ფიოდორ დოსტოევსკი

ნეტოჩკა ნეზვანოვა

ფიოდორ დოსტოევსკი

ნეტოჩკა ნეზვანოვა

რუსულიდან თარგმნა მარიამ ბაკურაძემ

I

მამა არ მახსოვს, როცა გარდამეცვალა ორი წლისა ვიყავი. დედაჩემი მეორედ გათხოვდა. ამ მეორე ქორწინებამ ბევრი მწუხარება მოუტანა დედას, თუმცა იგი სიყვარულით იყო გათხოვილი. მამინაცვალი მუსიკოსი მყავდა. მისი ბედი ძალზე საინტერესოა. იგი ყველაზე უცნაური და ყველაზე კარგი ადამიანი იყო იმათ შორის, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი. მეტად ძლიერ შემოიჭრა ის ჩემს პირველ, ბავშვურ შთაბეჭდილებებში, იმდენად ძლიერ, რომ შემდგომ ამ შთაბეჭდილებებმა წარუშლელი კვალი დატოვა მთელ ჩემს ცხოვრებაზე. უფრო გასაგები რომ გახდეს ჩემი ცხოვრების ამბავი, აქვე მოგითხრობთ მამინაცვლის ბიოგრაფიას. ყველაფერი, რასაც მე ახლა გიამბობთ, შემდგომ შევიტყვე ერთ-ერთი გამოჩენილი მევიოლინე ბ-სგან, რომლის ამხანაგი და ახლო მეგობარი ყოფილა ჩემი მამინაცვალი ახალგაზრდობაში.

მამინაცვლის გვარი ეფიმოვი გახლდათ. სოფელში, სადაც ის დაიბადა, ძალზე მდიდარი მემამულე ცხოვრობდა; მამა კი ჩემს მამინაცვალს ღარიბი მუსიკოსი ჰყოლია, რომელიც დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ამ მემამულის მამულში დასახლებულა და მისსავე ორკესტრში დაუწყია მუშაობა. მემამულე დიდებული მაცხოვრებელი ყოფილა, თავდავიწყებით ჰყვარებია მუსიკა, ყველაფერზე მეტად. ამბობდნენ, ერთხელ საზღვარგარეთაც კი გადაუწყვეტია წასვლა, რომელიღაც წყლებზე, თუმცა ადრე ფეხი არასოდეს მოუცვლია სოფლიდან, მოსკოვშიც კი არ ყოფილაო. საზღვარგარეთ სულ რამდენიმე კვირით წასულა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ მოესმინა რომელიღაც გამოჩენილი მევიოლინესათვის, რომელიც, როგორც გაზეთები იუწყებოდნენ, წყლებზე იმისათ-

ვის ჩამოსულა, რომ სამი კონცერტი გაემართა. მემამულეს საკმაოდ მოზრდილი ორკესტრი ჰყოლია და თითქმის მთელ თავის შემოსავალს ზედ ახარჯავდა თურმე. ამ ორკესტრში დაუწყია მუშაობა ჩემს მამინაცვალს კლარნეტისტად. მაშინ კი, როცა ერთი უცნაური კაცი გაუცვნია, ოცდაორი წლისა ყოფილა.

ამავე მაზრაში ერთი მდიდარი გრაფი ცხოვრობდა, რომელიც საოჯახო თეატრის შენახვას გაუკოტრებია. ამ გრაფს თავისი ორკესტრიდან ცუდი ყოფაქცევისათვის დაუთხოვია ერთი კაპელმეისტერი, წარმოშობით იტალიელი, კაპელმეისტერი ნამდვილად ცუდი კაცი ყოფილა. როცა სამუშაოდან დაუთხოვიათ, სულ წასულა ხელიდან, სოფელში სამიკიტნოდან სამიკიტნოში დაუწყია ხეტიალი, ლოთობა, არც მათხოვრობას თაკილობდა, მაზრაში აღარავინ დარჩენილა ისეთი, ვინც მას სამუშაოდ მიიღებდა. სწორედ ამ კაცს დამეგობრებია ჩემი მამინაცვალი. ეს მეგობრობა მეტად უცნაური ყოფილა, სრულიად ამოუცნობი. ამ მეგობრობას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია ჩემი მამინაცვლის ხასიათზე. თავად მემამულეც, რომელიც ადრე წინააღმდეგი ყოფილა მათი სიახლოვის, ახლა გულგრილად უყურებდა ამ ამბავს. ბოლოს კაპელმეისტერი უეცრად გარდაცვლილა. დილით გლეხებს კაშხალთან უნახავთ თხრილში. დაუწყიათ გამოძიება და დაუდგენიათ, რომ კაპელმეისტერი აპოპლექსურმა დამბლამ მოკლა.

მისი ქონება ინახებოდა ჩემს მამინაცვალთან, რომელსაც მაშინვე წარუდგენია დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ამ ქონების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი თვითონ იყო. გარდაცვლილს ბარათი დაუტოვებია, რომლითაც იუწყებოდა, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემი ქონების მემკვიდრედ ეფიმოვს ვტოვებო. ქონება შედგებოდა შავი ფრაკისა და ვიოლინოსაგან, რომელიც, ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივი ყოფილა, ფრაკი კი კარგად მოვლილი და ფაქიზად შენახული, რადგან იტალიელს იმედი ჰქონია კვლავაც მოვეწყობი სამუშაოზეო. ჩემს მამინაც-

ვალს არავინ შედავებია ამ ქონებაში, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მემამულესთან გამოცხადებულა გრაფის ორკესტრის პირველი მევიოლინე, გრაფისავე ბარათით, რომელშიც გრაფი თხოვდა მემამულეს: ვიოლინო, იტალიელს რომ დარჩა, ეფიმოვმა მე მომყიდოს, დიდი სურვილი მაქვს ჩემი ორკესტრისათვის შევიძინოო... სამი ათას მანეთს თავაზობდა და დასძენდა, რომ რამდენიმეჯერ გავაგზავნე კაცი ეგორ ეფიმოვთან, რათა პირადად მასთან მომეგვარებინა საქმე, მაგრამ ეფიმოვი სასტიკ უარზეაო. გრაფი დაასკვნიდა, რომ ვიოლინოში კარგ ფასს ვიძლევი და ეფიმოვის სიჯიუტე შეურაცხმყოფელ ეჭვს მიბადებს, ვითომ მე ვაჭრობისას ვსარგებლობდე მისი მიამიტობითა და უმეცრებით. ამიტომაც მოითხოვდა, შეასმინეთ რამეო.

მემამულეს დაუყოვნებლივ გამოუძახია ჩემი მამინაცვალი.

— რატომ არ გინდა მიჰყიდო? — უკითხავს მას, შენ ხომ სულაც არ გჭირდება ვიოლინო, სამი ათასს გაძლევს, ფასი კარგია. უგუნურად იქცევი, იქნებ ფიქრობ, სხვა მეტს მოგცემს? გრაფი არ მოგატყუებს.

— გრაფთან ჩემი ნებით არ წავალ, — უთქვამს ეფიმოვს, — ხოლო ძალით თუ გამაგზავნიან, რას იზამ, ღვთის ნებაა. მე გრაფს ვიოლინოს არ მივყიდი, მაგრამ ძალით თუ წამართმევენ, ესეც ღვთის ნება იქნება.

ცხადია, ასეთი პასუხით ეფიმოვი მემამულის ყველაზე მგრძნობიარე სიმს შეეხო. საქმე ის იყო, რომ მემამულე მუდამ ამაყობდა, ჩემი მუსიკოსები ნამდვილი არტისტები არიან, მათი წყალობითაა, რომ ჩემი ორკესტრი არათუ გრაფის ორკესტრს სჯობს, დედაქალაქის ორკესტრსაც არ ჩამოუვარდება და მე ვიცი, მათ როგორ უნდა მოვექცეო.

— კეთილი, — უთქვამს მემამულეს, — გრაფს მე შევატყობინებ, რომ შენ არ გსურს მიჰყიდო ვიოლინო, ეს შენი ნებაა, ძალას ვერავინ დაგატანს, გესმის? მაგრამ მე მაინტერესებს, რად გინდა

ვიოლინო? მართალია, ცუდი კლარნეტისტი ხარ, მაგრამ, ასეა თუ ისე, შენი ინსტრუმენტი მაინც კლარნეტია, ეგ ვიოლინო კი მე დამითმე, სამი ათას მანეთს მოგცემ. (ვინ რა იცოდა, რომ ეს ინსტრუმენტი განსაკუთრებული რამ იყო).

ეფიმოვს ჩაუცინია.

— არა ბატონო, ვერ მოგყიდით, — უთქვამს მას, — რა თქმა უნდა, ნება თქვენია...

— განა მე გაიძულებ? — წამოუყვირია მოთმინებიდან გამოსულ მემამულეს, მით უმეტეს, რომ ამ საუბარს დასწრებია გრაფის მუსიკოსიც, რომელსაც შეეძლო ამ ამბიდან არახელსაყრელი დასკვნა გაეკეთებინა მემამულის ორკესტრში მომუშავე მუსიკოსების ხვედრზე. — გასწი აქედან, უმადურო, — უთქვამს მემამულეს, — ამას იქით თვალით აღარ დამენახო! ნეტა რომელ კედელს ახლიდი თავს შენი კლარნეტით, მე რომ არ გყავდე? შენ ხომ დაკვრაც არ იცი ხეირიანად. ჩემთან კი რა გიჭირს, გამძღარი ხარ, ჩაცმულ-დახურული, ჯამაგირი გაქვს, კეთილშობილივით ცხოვრობ, არტისტი ხარ, მაგრამ ამას როდი აფასებ, როდი გესმის, გასწი დამეკარგე, შენი აქ ყოფნით ნუ მაღიზიანებ.

მემამულე ყველას აგდებდა თავისი ორკესტრიდან, ვიზედაც ჯავრობდა, რადგან თავისი სიფიცხის ეშინოდა, ხოლო სიმკაცრის გამოჩენა „არტისტების“ მიმართ, როგორც ის თავის მუსიკოსებს უწოდებდა, როდი უნდოდა.

ვაჭრობა არ შედგა და საქმეც ამით დამთავრდა. მაგრამ უეცრად ერთი თვის შემდეგ, გრაფის მევიოლინემ რაღაც საშინელი რამ განიზრახა: თავისი პასუხისმგებლობით შეიტანა საჩივარი, რომლითაც იტალიელის სიკვდილს ჩემს მამინაცვალს აბრალებდა. ანგარებით მოკლა, მისი მდიდარი მემკვიდრეობის ხელში ჩაგდება უნდოდაო. ანდერძი ძალით გამოსტყუა, დანაშაულის დასამტკიცებლად მოწმეებს მოვიყვანო. გრაფისა და მემამულის რწმუნებამ თუ მუდარამ, ჩემი მამინაცვლის დასაცავად, ვერ გაჭ-

რა, ვერავინ შეაცვლევინა დამსმენს თავისი გადაწყვეტილება. ეუბნებოდნენ, სამედიცინო გამოძიება, კაპელმეისტერის ცხედარზე რომ ჩატარდა, სწორი იყო და შენ სიმართლის წინააღმდეგ ილაშქრებო. იქნებ პირადი სიძულვილი და სინანული გალაპარაკებს, რადგან ხელთ ვერ იგდე ძვირფასი განძი, რომლის ყიდვასაც შენთვის აპირებდნენო. მაგრამ მუსიკოსი თავისას გაიძახოდა — მართალი ვარო და ირწმუნებოდა, რომ აპოპლექსური დამბლა სიმთვრალემ არ გამოიწვია, არამედ მოწამვლამო და საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვდა. ერთი შეხედვით მისი რწმუნება თითქოს მართლაც სამართლიანი იყო და, რაღა თქმა უნდა, საქმეს მსვლელობა მისცეს. ეფიმოვი დააპატიმრეს, საქალაქო ციხეში გადაგზავნეს. დაიწყო ძიება, ამ საქმით მთელი მაზრა დაინტერესდა. საქმე ძალზე სწრაფად წავიდა წინ და იმით დამთავრდა, რომ მუსიკოსი ამხილეს ცილისწამებაში და სათანადო სასჯელიც გამოუტანეს. მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა; გინდა თუ არა, მართალი ვარო. ბოლოს გამოტყდა, არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ გამაჩნდა და ბრალდებები, რომლებიც წარმოგიდგინეთ, ჩემივე შეთხზული იყოო. მაგრამ, როცა ამ ამბავს ვთხზავდი, ეჭვითა და მიხვედრილობით ვხელმძღვანელობდი და ახლაც, როცა მეორე გამოძიება დამთავრდა, როცა ეფიმოვის სიმართლე ფორმალურად დამტკიცდა, მე მაინც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საცოდავი კაპელმეისტერის სიკვდილში ეფიმოვს მიუძღვის ბრალიო. თუმცა შეიძლება საწამლავით კი არა, სხვა რაიმე საშუალებით მოაკვდინაო. მაგრამ ამ მუსიკოსის მიმართ განაჩენის სისრულეში მოყვანა ვერ მოასწრეს, რადგან უეცრად გახდა ავად ტვინის ანთებით, ჭკუაზე შეცდა და ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ამ ხნის განმავლობაში მემამულეს კეთილშობილურად ეჭირა თავი. საკუთარი შვილივით ზრუნავდა ჩემს მამინაცვალზე. რამდენჯერმე ციხეში მიაკითხა, ფული აჩუქა, დაამშვიდა, როცა გა-

იგო თამბაქო უყვარსო, საუკეთესო სიგარები მიუტანა, ხოლო, როცა გაამართლეს, ზეიმი მოუწყო მთელ ორკესტრთან ერთად. ეფიმოვის საქმეს ისე უყურებდა, როგორც მთელი ორკესტრის საქმეს, რადგან თავისი მუსიკოსების კარგ ყოფაქცევას მათ ნიჭზე ნაკლებ როდი აფასებდა. ამის შემდეგ ერთი წელი გავიდა და უეცრად მთელ მაზრაში ხმა დაირხა — სამაზრო ქალაქში ცნობილი ფრანგი მევიოლინე ჩამოვიდა და გავლით რამდენიმე კონცერტს გამართავსო. მემამულე მაშინვე დაფაცურდა, ყოველგვარ ხერხს მიმართა, რომ როგორმე დამკვრელი თავისთან მიეწვია. საქმე კარგად აეწყო. ფრანგი დაპირდა მოვალო. ყველაფერი მზად იყო მის შესახვედრად, თითქმის მთელი მაზრა მოიპატიჟეს, მაგრამ საქმე უეცრად სხვა გზით წარიმართა...

ერთ დილას მემამულეს მოახსენეს, ეფიმოვი უეცრად სადღაც გაქრაო. დაიწყეს ძებნა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს. ორკესტრი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კლარნეტისტი აკლდათ.

მოულოდნელად, ასე სამიოდე დღის შემდეგ ეფიმოვის დაკარგვიდან, მემამულემ მიიღო ფრანგის წერილი, რომელშიც იგი ქედმაღლურად უარს უთვლიდა სტუმრობაზე და დასძენდა, რაღა თქმა უნდა, ქარაგმებით, — შემდგომში უფრო წინდახედული ვიქნები იმ ბატონებთან ურთიერთობის საკითხში, რომლებსაც მუსიკოსებისაგან შემდგარი საკუთარი ორკესტრი ჰყავთო. განა გულსატკენი არ არის უსმენდე ჭეშმარიტ ტალანტს იმ ადამიანის ხელმძღვანელობით, რომელსაც თვითონ არ ესმის ტალანტის ფასი და თან დასძენდა, ეფიმოვის მაგალითი, ნამდვილი არტისტისა და საუკეთესო მევიოლინესი, რომლის ბადალი მთელს რუსეთში არავინ მეგულება, სავსებით საკმარისია ჩემი სიტყვების დასადასტურებლადო.

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, მემამულე სახტად დარჩა, გულის სიღრმემდე ნაწყენი იყო, როგორ? ეფიმოვი, ის ეფიმოვი,

ვისთვისაც ასე ზრუნავდა, ამდენი ამაგი დასდო, ასე უწყალოდ და ასე უსინდისოდ სწამებდა ცილს? მერე ვისთან, ევროპელ არტისტთან, რომლის აზრს იგი უსაზღვროდ დიდი პატივისცემით ეკიდება, და ბოლოს, წერილი იმ მხრივაც იყო უცნაური, რომ ატყობინებდნენ: მევიოლინე ეფიმოვი დიდი ნიჭის არტისტია და თქვენ ვერ შეძელით ამოგეცნოთ მისი ნიჭი, აიძულებდით სხვა საკრავზე დაეკრაო. ყველაფერმა ამან ისე გააკვირვა მემამულე, რომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ წასულიყო ქალაქში და პირადად შეხვედროდა ფრანგს, მაგრამ ამ დროს უეცრად გრაფის წერილი მიიღო, გრაფი საჩქაროდ იხმობდა თავისთან, თან ატყობინებდა — საქმის ვითარება ვიცი, ჩამოსული ვირტუოზი და ეფიმოვი ახლა ჩემთან არიან, ეფიმოვის სიუხეშით და ცილისწამებით გაკვირვებულმა ვბრძანე ეფიმოვი დააპატიმრონო და ბოლოს დასძენდა: თქვენი ჩამოსვლა აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ეფიმოვის ბრალდება მეც მეხებაო. ეს საქმე ძალზე მნიშვნელოვანია და რაც შეიძლება სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვსო.

მემამულე დაუყოვნებლივ წავიდა გრაფთან, იმავე წამს გაიცნო ფრანგი და ჩემი მამინაცვლის შესახებ ყველაფერი უამბო, რაც კი იცოდა. თან დასძინა — არასოდეს, ეჭვადაც არ ვიცოდი, რომ ეფიმოვი დიდი ნიჭის პატრონი იყო, პირიქით, მუდამ ძალზე ცუდ კლარნეტისტად ითვლებოდა და პირველად მესმის, რომ მუსიკოსი, რომელმაც მიმატოვა, თურმე ვიოლინოზე უკრავდაო. ამას ისიც დაუმატა, რომ ეფიმოვი თავისუფალი მოქალაქე იყო, სრულიად დამოუკიდებელი, და თუ მართლა ასე შევიწროებულად გრძნობდა თავს, შეეძლო, როცა კი მოისურვებდა, წასულიყო ჩემგანო. ფრანგი გაოცდა. დაუძახეს ეფიმოვს. ეფიმოვს თავი ქედმაღლურად ეჭირა, კაცი ვეღარ იცნობდა, დამცინავ პასუხებს იძლეოდა და დაჟინებით ამტკიცებდა: ყველაფერი, რაც ადრე ფრანგს მოვახსენე, მართალიაო. ყოველივე ამან უკიდურესობამდე გააღიზიანა გრაფი, რომელმაც პირდაპირ უთხრა, არამზა-

და ხარ, ცილისმწამებელი, ყველაზე სამარცხვინო სასჯელის ღირსიო.

— ნუ სწუხდებით, თქვენო აღმატებულებავ, — მიუგო ჩემმა მამინაცვალმა, — კარგა ხანია გიცნობთ და საკმაოდ კარგადაც, თქვენი წყალობით იყო, რომ სისხლის სამართალს ძლივს დავაღწიე თავი, ვიცი ვისი შეგულიანებითაც დამაბეზღა თქვენმა ყოფილმა მუსიკოსმა ალექსი ნიკიფორიჩმა.

ასეთი საშინელი ბრალდების მოსმენის შემდეგ გრაფმა აღარ იცოდა რა ექნა, თავს ძლივს იკავებდა, მაგრამ ამ დროს ერთმა მოხელემ, რომელიც რაღაც საქმის გამო მოსულიყო გრაფთან, განაცხადა: ამ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება, ასეთი საშინელი სიუხეშე ეფიმოვის მხრივ ბოროტებას და უმართებულო ცილისმწამებლურ ბრალდებას შეიცავსო და უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ დავაპატიმრო ახლავე, აქვე, გრაფის სახლშიო. ფრანგმა საშინელი გულისწყრომა გამოთქვა: არ მესმის ასეთი უმსგავსი უმადურობაო. მაშინ იყო რომ ჩემმა მამინაცვალმა მიუგო: ყოველგვარი სასჯელი მირჩევნია, სასამართლო, კვლავ სისხლის სამართლის ძიება, ვიდრე ისეთი ცხოვრება, როგორიც მემამულის ორკესტრში ყოფნისას მქონდაო, თავის დანებება კი არ შემეძლო, რადგან უკიდურეს გაჭირვებას განვიცდიდიო. ეს თქვა და თავის დამპატიმრებელთან ერთად დარბაზიდან გავიდა. ეფიმოვი ცალკე ოთახში მოათავსეს, ხვალვე ქალაქს გაგაგზავნითო — დაემუქრნენ.

შუაღამისას საპატიმრო ოთახის კარი გაიღო და ეფიმოვთან მემამულე შევიდა. ხალათი და ფოსტლები ეცვა. ხელში ანთებული ფარანი ეჭირა, როგორც ჩანდა დაძინება ვერ მოეხერხებინა, უთუოდ რაღაც საზრუნავს აეძულებინა ამ დროს საწოლიდან წამომდგარიყო. ეფიმოვს არ ეძინა, გაკვირვებით შეხედა შემოსულს. მემამულემ ფარანი დადო და ეფიმოვის საწოლის პირდაპირ მდგარ სკამზე დაჯდა. იგი ღელავდა.

— ეგორ! — უთხრა მან ჩემს მამინაცვალს, — ასე ძალიან რად მაწყენინე?

ეფიმოვი დუმდა. მემამულემ კითხვა გაუმეორა და მის ხმაში რაღაც ღრმა გრძნობა და უცნაური სევდა გაისმა.

— ღმერთმა უწყის რად გაწყენინეთ, ბატონო ჩემო, — მიუგო ბოლოს ჩემმა მამინაცვალმა და ხელი გაიქნია, — ჩანს, ეშმაკი შემიჩნდა! თავადაც არ ვიცი რა დამემართა, ვინ წამაქეზა. მაგრამ თქვენთან კი აღარ დამედგომება. ჩანს, თვით ეშმაკი დაეუფლა ჩემს სულს!

— ეგორ! — კვლავ დაიწყო მემამულემ, — დამიბრუნდი და ყველაფერს გაპატიებ, ყველაფერს დავივიწყებ. მომისმინე: შენ პირველი იქნები ჩემს დამკვრელთა შორის, სხვებზე დიდ ხელფასს მოგცემ...

— არა, ბატონო, ნურც გამაგონებთ. არ მეცხოვრება მე თქვენთან! ეშმაკი დაეუფლა ჩემს სულს, აკი მოგახსენეთ, თქვენთან რომ დავრჩე სახლს გადაგიწვავთ. ახლა საკუთარ თავსაც აღარ ვენდობი, დროდადრო ისეთი ნაღველი მეუფლება, ვფიქრობ, სჯობდა სულაც არ გავჩენილიყავი ამქვეყნად. თავი დამანებეთ, ბატონო ჩემო, ასე სჯობს. ყველაფერი კი მას შემდეგ მოხდა, რაც ამ ეშმაკს დავუძმობილდი.

— ვის? — ჰკითხა მემამულემ.

— აი, იმას, ძაღლივით რომ ამოხდა სული, ყველასგან განკიცხულს. იტალიელზე მოგახსენებთ.

— იმან გასწავლა, ეგორუშკა, დაკვრა?

— ჰო! ბევრი რამ მასწავლა იმან ჩემდა ჭირად. სჯობდა სულაც არ მენახა.

— განა ისიც ვიოლინოს დაკვრის ოსტატი იყო, ეგორუშკა?

— არა, თავად ცუდად უკრავდა, მაგრამ სწავლება იცოდა კარგი. მე კი ჩემით ვისწავლე დაკვრა. ის მხოლოდ მიჩვენებდა, — სჯობდა ხელი გამხმობოდა და ეს მეცნიერება არ შემესწავლა. ახ-

ლა თავად არ ვიცი, რა მინდა. აი, ბატონო ჩემო, რომ მკითხოთ, მითხარი, ეგორუშკა, რა გინდა, ყველაფერს აგისრულებო, ვერაფერს გეტყვით. თავადაც არ ვიცი, რა მინდა და იმიტომ. არა, ბატონო, ვიმეორებ სჯობს თავი დამანებოთ, რაღაც ისეთ ხიფათს ავუტეხ ჩემს თავს, რომ სადმე შორს გამაგზავნონ და ამით საქმესაც ბოლო მოეღება.

— ეგორ! — თქვა მემამულემ წუთიერი დუმილის შემდეგ, — ასე ვერ დაგტოვებ, თუ ჩემთან არ გსურს სამსახური, წადი, შენ ხომ თავისუფალი მოქალაქე ხარ, ვერ დაგიჭერ, მაგრამ აქედან ისე ვერ წავალ, თუ არ დაუკრავ ჩემთვის. დაუკარი, ეგორ! დაუკარი ღვთის გულისათვის, კი არ გიბრძანებ, არც ძალას გატან, გთხოვ. გამიგე; ცრემლმორეული გევედრები. ღვთის გულისათვის დაუკარი ეგორუშკა, ის, რაც ფრანგს მოასმენინე. გული მოიოხე. ჯიუტი კაცი ხარ, ეგორუშკა, მაგრამ არც მე ვარ ნაკლები. მე მესმის შენი, გთხოვ შენც გამიგო, მოვკვდები, თუ შენივე ნება-სურვილით არ დაუკრავ იმას, რაც ფრანგს მოასმენინე.

— იყოს ნება თქვენი! — თქვა ეფიმოვმა, დავიფიცე, რომ არასოდეს დავუკრა თქვენი თანდასწრებით, დიახ, სწორედ თქვენი თანდასწრებით, მაგრამ ახლა გული მომილბეთ და დავუკრავ, მაგრამ ეს იქნება პირველი და უკანასკნელი, ვეღარასოდეს მოისმენთ თქვენ ჩემს დაკვრას, ბატონო ჩემო, ვეღარასოდეს, თუნდაც ათასი მანეთი შემომთავაზოთ.

ჩემმა მამინაცვალმა ვიოლინო ხელთ აიღო და რუსულ სიმღერებზე თავისი ვარიაციების დაკვრა დაიწყო. ბ. ამბობდა, ვიოლინოზე შესრულებული მისი ეს ვარიაციები პირველი და საუკეთესო პიესა იყო და შემდეგში არასოდეს აღარაფერი დაუკრავს ასე კარგად და ასეთი შთაგონებითო. მემამულე, რომელიც საერთოდ გულგრილად ვერ ისმენდა მუსიკას, გულამოსკვნილი ტიროდა, ხოლო, როცა ეფიმოვმა დაკვრა დაასრულა, სკამიდან წა-

მოდგა, ჯიბიდან სამასი მანეთი ამოიღო და ჩემს მამინაცვალს გაუწოდა.

— ახლა კი წადი, ეგორ, განთავისუფლებ, — უთხრა მან ჩემს მამინაცვალს, — გრაფთან მე თავად მოვაგვარებ საქმეს, მაგრამ მომისმინე, იცოდე, გზაზე აღარასოდეს გადამეყარო, წინ ფართო გზა გიდევს და თუ ამ გზაზე ერთმანეთს კვლავ შევხვდებით, ჩემთვისაც საწყენი იქნება და შენთვისაც. მაშ მშვიდობით! — მოიცა! კიდევ ერთ რჩევას მოგცემ განშორებისას, მხოლოდ ერთს: არ დალიო, სწავლას დაეწაფე, ისწავლე და არ გაყოყოჩდე. მშობელ მამასავით გარიგებ, ისწავლე, სასმელს არ გაეკარო, თორემ ერთხელ თუ მაინც მოწრუპე, ჯავრიან გულზე, ჯავრი კი ბევრი გექნება, დაიღუპები, ყველაფერი თავდაყირა დატრიალდება და იქნებ, შენც, შენი იტალიელივით, სადმე თხრილში ამოგძვრეს სული. ახლა მშვიდობით! მოიცა, მაკოცე! — ერთმანეთს აკოცეს და ჩემმა მამინაცვალმა საპატიმრო ოთახი დატოვა.

ხოლო, როგორც კი საპატიმროს თავი დააღწია, მაშინვე ქეიფს მიჰყო ხელი და, უახლოეს სამაზრო ქალაქში, სულ ერთიანად გაფლანგა თავისი სამასი მანეთი, მერე იქვე ცუდი ზნის ბინძურ მოქეიფე ადამიანებს დაუძმობილდა და იმით დაამთავრა, რომ მარტოდმარტომ, თითქმის მათხოვრად დარჩენილმა, რომელიღაც გასაცოდავებული პროვინციული თეატრის ორკესტრში ამოჰყო თავი, სადაც პირველი და შეიძლება ერთადერთი მევიოლინე იყო. ყველაფერი ეს მაინცდამაინც არ ეხამებოდა მის თავისუფალ აზრებს, რომელიც მიზნად ისახავდა რაც შეიძლება მალე გამგზავრებულიყო პეტერბურგს, იქ კარგი სამსახური ეშოვნა, სწავლა დაეწყო და ნამდვილი არტისტი გამხდარიყო. მაგრამ ამ პატარა ორკესტრშიც ვერ აეწყო მისი ცხოვრება, აქაც მალე წაეჩხუბა მოხეტიალე თეატრის ანტრეპრენიორს და იქაურობა მიატოვა. მაშინ იყო რომ სულით დაეცა და უკიდურესი გადაწყვეტილებაც კი მიიღო, რაც კიდევ უფრო ლახავდა მის თავ-

მოყვარეობას. ჩვენს ნაცნობ მემამულეს წერილი გაუგზავნა: თავის მდგომარეობას უხსნიდა, ფულს სთხოვდა. წერილი თავშეკავებული იყო. პასუხი არ მოსვლია. მაშინ მეორე წერილი გაგზავნა. რომელშიც მემამულეს, თავისთვის მეტად დამამცირებელი სიტყვებით, კეთილისმყოფელსა და ხელოვნების ნამდვილ შემფასებელს უწოდებდა, მერე კი ისევ დახმარებას სთხოვდა. ბოლოს პასუხიც მოვიდა. მემამულე ას მანეთს უგზავნიდა და თან კაპელმეისტერის ხელით დაწერილ წერილში რამდენიმე სტრიქონით ატყობინებდა, რომ შემდგომში ამგვარი თხოვნით ნუღარ მომმართავთო. ჩემი მამინაცვალი ფიქრობდა, როგორც კი ფულს მივიღებ, მაშინვე პეტერბურგს გავემგზავრებიო, მაგრამ ვალების გასტუმრების შემდეგ ისე ცოტა ფული აღმოაჩნდა, რომ მგზავრობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო და ისევ პროვინციაში დარჩა, ისევ რომელიღაც პროვინციულ ორკესტრში მოეწყო, მაგრამ აქაც ვერ შეეგუა, ასე ამგვარად დაიწყო ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა და განუშორებელი ფიქრით, რომ ახლო მომავალში პეტერბურგს გაემგზავრებოდა, მთელი ექვსი წელი დაჰყო პროვინციაში. ბოლოს შიშმა აიტანა, რაღაცნაირმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, მიხვდა, თუ როგორი მარცხი განიცადა მისმა ნიჭმა, გაუთავებელი გაჭირვებისა და მათხოვრული ცხოვრების გამო და ერთხელ დილაადრიან თავისი ვიოლინო ხელთ აიღო, ანტრეპრენიორს გამოეთხოვა და თითქმის მათხოვრულ მდგომარეობაში მყოფმა პეტერბურგს მიაშურა. აქ კი ბინად სადღაც სხვენზე მოეწყო. მაშინ გაიცნო პირველად ბ., რომელიც ის იყო დაბრუნებულიყო გერმანიიდან და თავის კარიერაზე ოცნებობდა. ისინი მალე დამეგობრდნენ. ბ. ახლაც დიდი სიყვარულით იგონებს ჩემს მამინაცვალს. ორთავენი ახალგაზრდები იყვნენ, ერთნაირი იმედებითა და ერთნაირი მიზნებით აღსავსენი, მაგრამ ბ. სრულიად ახალგაზრდა იყო, მწუხარება და გაჭირვება იმდენი არ ენახა, გარდა ამისა, გერმანელი გახლდათ და ჯიუტად

მიიწევდა წინ, საკუთარი ძალის სრული შეგნებით. მან თითქმის წინასწარ იცოდა რას მიაღწევდა ცხოვრებაში — მაშინ, როცა მისი ამხანაგი უკვე ოცდაათი წლისა იყო, ლუკმაპურისათვის ბრძოლისა და იძულებითი შრომისაგან დაღლილ-დაქანცული, შვიდი წლის მანძილზე პროვინციულ თეატრებსა და მემამულეთა ორკესტრებში ხეტიალისაგან ძალაგამოცლილი, მოთმინებადაკარგული. მას მხოლოდ ერთი იმედიღა ასულდგმულებდა — რაც შეიძლება მალე შეეგროვებინა ფული, გაჭირვებისგან თავი დაეხსნა და პეტერბურგს გამგზავრებულიყო. მაგრამ ეს ფიქრი გაუგებარი იყო. ეს იყო რაღაც შინაგანი მოწოდება, რომელმაც ბოლოს, მრავალი წლის შემდეგ, თვით მის თვალშიც დაკარგა პირვანდელი ძალა, და, როცა პეტერბურგში აღმოჩნდა, თითქმის შეუგნებლად მოქმედებდა. მოქმედებდა ძველთაგანვე შემორჩენილი ჩვეულების მიხედვით, განუშორებელი სურვილითა და ფიქრით ამ მოგზაურობაზე, მაგრამ სინამდვილეში თავად აღარ იცოდა რა უნდა გაეკეთებინა ამ ქალაქში. მისი ენთუზიაზმი იყო რაღაცნაირი მშფოთვარე, ღვარძლიანი, ფიცხი, თითქოს ამ ენთუზიაზმით სურდა თავის მოტყუება და დარწმუნება, რომ ჯერჯერობით არ დამშრალა მასში პირვანდელი ძალა, პირვანდელი ცეცხლი, პირვანდელი აღმაფრენა. ამ გაუთავებელმა აღტაცებამ განაცვიფრა ცივი და მეთოდური ბ., თავბრუ დაასხა და ისე ულოცავდა ჩემს მამინაცვალს გამარჯვებას, თითქოს მის წინ უკვე, დიდი მუსიკოსი ყოფილიყოს. სხვაგვარად ვერ წარმოედგინა თავისი ამხანაგის მომავალი ბედი. მაგრამ მალე გამოერკვა და ნათლად დაინახა, რომ მთელი ეს სიფიცხე, გატაცება და მოუთმენლობა, სხვა არა იყო რა, თუ არა შეუგნებელი სასოწარკვეთილება დაკარგული ნიჭისა. იქნებ არც თავიდან არსებობდა ესოდენ დიდი ნიჭი, იქნებ თავიდანვე შეცდომა იყო ამაო გულდაჯერება, თვითკმაყოფილება, გაუთავებელი ფანტაზია, გაუთავებელი ოცნება საკუთარი გენიის არსებობისა. „მაგრამ, — ჰყვებოდა ბ., — არ შე-

იძლება არ განვეცვიფრებინე ჩემი ამხანაგის ბუნებას. ჩემ თვალწინ განწირული, ცხარე და მშფოთვარე ბრძოლა მიმდინარეობდა დაძაბულ ნებისყოფასა და შინაგან უსუსურობას შორის. საცოდავი მთელი შვიდი წლის მანძილზე მხოლოდ მომავალი დიდების ოცნებით კმაყოფილდებოდა. ისიც კი ვერ შენიშნა, როგორ გამოეცალა ხელიდან პირვანდელი საწყისი ჩვენი ხელოვნებისა, საქმის თავდაპირველი მექანიზმი. მაგრამ, ამასთან, მის უთავბოლო წარმოსახვაში წინასწარ იზრდებოდა წარმოუდგენლად დიდი გეგმები მომავლისა. გარდა იმისა, რომ გენიოსობა სურდა, უნდოდა გამხდარიყო უპირველესი მევიოლინე მსოფლიოში და თავს უკვე სახავდა კიდეც ასეთ გენიოსად. ამავე დროს კომპოზიტორობა უნდოდა მაშინ, როცა კონტრაპუნქტის არაფერი გაეგებოდა. მაგრამ ყველაზე ძალიან ამ ადამიანში მე მანცვიფრებდა, — დასძენდა ბ. — რომ მიუხედავად სრული უღონობისა და ხელოვნების ტექნიკის უმნიშვნელო ცოდნისა, ჰქონდა რაღაც ღრმა, ნათელი და შეიძლება ითქვას, ინსტინქტური ძალა ხელოვნების შეგრძნებისა. ისე ძლიერ გრძნობდა ის ხელოვნებას, ისე ძლიერ განიცდიდა შინაგანად, რომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ დაიბნა და თავი ხელოვნების ღრმა ინსტინქტურ კრიტიკოსად წარმოიდგინა, ხელოვნების ქურუმად და გენიოსად დასახა. ხანდახან თავისი მოუქნელი და მეცნიერებისათვის სრულიად მიუღებელი ენით ისე კარგად და მოხერხებულად მეტყოდა რაღაც ღრმასა და ჭეშმარიტს, რომ სახტად დარჩენილს ვერ გამეგო, როგორ გამოიცნო ყოველივე ეს, მაშინ, როდესაც არაფერი ჰქონდა წაკითხული, ნასწავლი და მე თავადაც ხომ დიდად დავალებული ვიყავი მისგან, — განაგრძობდა ბ. — მისი რჩევის შედეგად მივაღწიე სრულყოფას ხელოვნებაში. ჩემზე თუ ვიტყვით, — ამბობდა ბ., — მე სრულიად მშვიდად ვიყავი. თავდავიწყებით მიყვარდა ჩემი ხელოვნება, თუმცა იმთავითვე ვიცოდი, რომ ბუნებისგან მაინცდამაინც დიდად დაჯილდოებული არა ვარ, თუ შეიძლება ასე ით-

ქვას, შავი მუშა ვარ ხელოვნებაში, სამაგიეროდ კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ ზანტ მონასავით არ ჩავმარხე მიწაში ბუნების მიერ მომადლებული ნიჭი. პირიქით, გავაღრმავე და თუ ახლა მკაფიოდ დაკვრას მიქებენ, თუ უკვირთ ჩემი ტექნიკის სიზუსტე, ყოველივე ამას დაძაბული და განუწყვეტელი შრომის შედეგად მივაღწიე. საკუთარი ძალის ნათლად შეგრძნების შედეგად. თვითნებურად თავის დამდაბლებისა და ამპარტავნობისადმი განუწყვეტელი ბრძოლის გამოცხადებით, თავი არ მივეცი უდროო თვითკმაყოფილებას, სიზარმაცეს, რაც ბუნებრივი შედეგია ამ თვითკმაყოფილებისა“.

თავის მხრივ, ბ-ს უცდია გაეზიარებინა აზრი ამხანაგისათვის, რომელსაც ასე ბრმად დაემორჩილა პირველხანად, მაგრამ ამაოდ. ჩემს მამინაცვალს ეს აბრაზებდა მხოლოდ და ნელ-ნელა გული გაუცივდათ ერთმანეთზე. მალე ბ-მ შენიშნა, რომ მის ამხანაგს სულ უფრო და უფრო ხშირად ეუფლებოდა აპათია, მოწყენა, წუხილი, ხოლო ენთუზიაზმსა და აღტაცებას სულ უფრო და უფრო ნაკლებ იჩენდა. ყოველივე ამას რაღაც საშინელი სასოწარკვეთა და ნაღველი დაერთო. დაბოლოს, ჩემი მამინაცვალი მთელი კვირაობით ხელს აღარ ჰკიდებდა ვიოლინოს. სრულ დაცემამდე ცოტაღა აკლდა და აი, მალე სრულიად გადაეშვა ეს საცოდავი მანკიერების მორევში. მოხდა სწორედ ის, რასაც მემამულე უკიჟინებდა. იგი თავშეუკავებლად დაეწაფა ღვინოს. ბ. შიშით შეჰყურებდა მას. რჩევამ არ გაჭრა. პირიქით, ბ-ს ეშინოდა კიდეც რჩევის მიცემის, რადგან ეფიმოვი ნელ-ნელა უკიდურეს ცინიზმამდე დაეშვა: სრულიად აღარ რცხვენოდა ბ-ს ხარჯზე ცხოვრება. პირიქით, ისე იქცეოდა, თითქოს ამის სრული უფლება ჰქონოდეს. ამასობაში საცხოვრებელი სახსარი ელეოდა. ბ-ს სულ უფრო და უფრო უჭირდა თავის გატანა, რასაც გაკვეთილებიდან აღებული ფულითა და საღამოს წვეულებებზე დაკვრით ახერხებდა. წვეულებებზე — გერმანელები, ვაჭრები, ღარიბი მოხელეები, მართალია

ცოტას, მაგრამ მაინც უხდიდნენ გასამრჯელოს. ეფიმოვი თითქოს ვერ ამჩნევდა ამხანაგის გაჭირვებას. ექცეოდა უწყალოდ და კვირიდან კვირამდე ხმას არ სცემდა. ერთხელ ბ-ს ძალზე მშვიდად შეუნიშნავს, კარგი იქნებოდა, რომ ასე არ უგულებელყოფდე შენს ვიოლინოს, თორემ სულ გადაეჩვევი დაკვრასო. ამაზე ეფიმოვი გაბრაზებულა, ჯიბრზე ხელს აღარ ვახლებო, უთქვამს ისე, თითქოს მუხლმოდრეკილი შევედრებოდა ვინმე. მეორედ, როცა ერთ-ერთ წვეულებაზე ბ-ს მეორე დამკვრელი დასჭირვებია, ეფიმოვისათვის შეუთავაზებია — წამომყევიო, ეფიმოვი ამაზე გაბრაზებულა: მე არც ქუჩის დამკვრელი ვარ და არც შენისთანა უსინდისო, რომ კეთილშობილური ხელოვნება დავამცირო და ვიგინდარა ხელოსნების წინაშე დავუკრა, რომლებსაც არ ძალუძთ გაიგონ არც ჩემი ნიჭი და არც ჩემი დაკვრაო. ხოლო, როცა ბ., რომელსაც არაფერი უთქვამს ამაზე, წასულა საღამოს წვეულებაზე დასაკრავად, მარტო დარჩენილი ეფიმოვი დაფიქრებულა და დაუსკვნია, რომ ყველაფერი ეს განგებ მომიწყვესო. მე ხომ ბ-ს ხარჯზე ვცხოვრობ, ჰოდა ბ-ს უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ დადგა დრო, როცა მეც უნდა შევუდგე ფულის შოვნას, ხოლო შემდეგ, როცა ბ. დაბრუნებულა, სრულიად მოულოდნელად დაუწყია ყვედრება: შენი მოქმედება სულმდაბლურია, ერთ წუთსაც აღარ დავრჩები შენთანო და მართლაც, ორი დღით სადღაც წასულა, მაგრამ მესამე დღეს ისევ გამოცხადებულა და ვითომ აქ არაფერი მომხდარაო, გაუგრძელებია ძველებური ცხოვრება.

მხოლოდ უწინდელი შეჩვევა, მეგობრობა, სიბრალული, რომელსაც ბ. გრძნობდა საცოდავი დაღუპული ადამიანისადმი, აიძულებდა თავი შეეკავებინა და არ დაეთხოვა ამხანაგი სახლიდან. ბოლოს მაინც დაშორდნენ ერთმანეთს. ბ-ს ბედმა გაუღიმა, ვიღაც დიდი მფარველი გამოუჩნდა. ამ დროისათვის ბ. უკვე შესანიშნავ მსახიობად ითვლებოდა. მისმა სწრაფმზარდმა სახელმა, საშუალება მისცა ოპერის თეატრის ორკესტრში მოწყობილი-

ყო, სადაც, ძალიან მალე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი. ეფიმოვს გამომშვიდობებისას ფული მისცა და თვალზე ცრემლმორეული სთხოვდა: ჭეშმარიტ გზას დაუბრუნდიო. ბ. შემდეგაც განსაკუთრებული სიყვარულით იგონებდა მას. მასთან ნაცნობობამ ძალზე ღრმა კვალი დატოვა ბ-ს ახალგაზრდულ შთაბეჭდილებებზე. ერთად გამოვიდნენ ისინი ცხოვრების სარბიელზე, შეეთვისნენ ერთმანეთს. ეფიმოვის ყველაზე უცნაური ახირება, ყველაზე უხეში ნაკლიც კი უფრო მეტად აახლოვებდა მასთან. ბ-ს კარგად ესმოდა ეფიმოვის. თითქოს გამჭვირვალე შუშაში ხედავდა, წინასწარ გრძნობდა რით დამთავრდებოდა ყოველივე. განშორებისას ერთმანეთს გადაეხვივნენ, ორთავე ტიროდა. ეფიმოვი ქვითინებდა: — დაღუპული კაცი ვარ, — ამბობდა ის, ადრევე ვგრძნობდი ამას. მაგრამ ახლა საბოლოოდ ამეხილა თვალი, საბოლოოდ დავინახე ჩემი დაღუპვაო.

— უნიჭო ვარ! — ასკვნიდა მკვდარივით გადაფითრებული ეფიმოვი.

ბ. ძალზე ღელავდა.

— მომისმინე, ეგორ პეტროვიჩ, — ეუბნებოდა ის ამხანაგს, აბა, რას სჩადი? თავს რად იღუპავ, სასოწარკვეთილებას რად ეძლევი? მოთმინება და მხნეობაა საჭირო, შენ კი მჭვუნვარებას მისცემიხარ და გაიძახი, უნიჭო ვარო, ტყუილია, უნიჭო არა ხარ. გარწმუნებ, ეს იქიდან ჩანს, რომ შენ სულ სხვაგვარად გრძნობ ხელოვნებას. სულ სხვაგვარად განიცდი. შენი ცხოვრების განვლილი გზაც ადასტურებს ამას. განა თავად შენ არ მიამბობდი შენი წარსულის შესახებ? მაშინაც ხომ ასეთივე შეუცნობი სასოწარკვეთა დაგეუფლა და შენმა პირველმა მასწავლებელმა, ამ უცნაურმა ადამიანმა, რომლის შესახებაც ასე ბევრი რამ გითქვამს ჩემთვის, პირველად აღგიძრა ხელოვნებისადმი სიყვარული, გამოიცნო შენი ნიჭი, შენ მაშინაც ისევე მძიმედ განიცადე და იგრძენი ეს, როგორც ახლა გრძნობ, მაგრამ მაინც არ იცოდი, რა გემართე-

ბოდა, მემამულესთან არ გედგომებოდა; მაგრამ არც ის იცოდი რა გინდა. მასწავლებელი ძალზე ადრე გარდაიცვალა და შენ შეუცნობი მისწრაფებით მარტო დაგტოვა, რაც მთავარია საკუთარ თავში ვერ ჩაგახედა. შენ კი გრძნობდი, რომ შენთვის სულ სხვა გზა იყო საჭირო, უფრო ფართო, შენი მოწოდებაც სულ სხვა იყო. მაგრამ არ იცოდი როგორ შემოგევლო თავი ამისთვის და საკუთარ ნაღველში ჩაფლულს, შეგზარდა ყველაფერი, რაც გარს გერტყა. ექვს წელიწადს, რომელიც სიღარიბესა და გაჭირვებაში გაატარე, უშედეგოდ არ ჩაუვლია. სწავლობდი, ფიქრობდი, შეიცან საკუთარი თავი, შეიცან საკუთარი ძალა და ახლა ხელოვნებაც გესმის და შენი დანიშნულებაც. ჰოდა, ჩემო მეგობარო, ახლა მოთმინებაა საჭირო, სიმხნევე. შენ ჩემზე უფრო კარგი ხვედრი გელის მომავალში, შენ ჩემზე ბევრად უფრო დიდი მხატვარი ხარ, მაგრამ ღმერთს მადლობას შევწირავდი, რომ ჩემი მოთმინების მეათედი მაინც მოეცა შენთვის. ისწავლე, სმას თავი დაანებე, მოიქეცი ისე, როგორც შენი კეთილი მემამულე გასწავლიდა. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თავიდან დაიწყო, ანაბანიდან. რა გაწუხებს? სიღარიბე, გაჭირვება? მაგრამ სწორედ სიღარიბე და გაჭირვებაა, რომ წარმოშობს ხელოვნებას, დასაწყისისათვის ეს გარდაუვალიცაა. ჯერ არავის სჭირდები, ცნობაც კი არავის სურს შენი. ასეა მოწყობილი ეს ქვეყანა. ჯერ სადა ხარ, როცა შენი ნიჭის ამბავს შეიტყობენ უარესიც იქნება. შური, ფლიდობა, ყველაზე მძიმედ კი, გაჭირვებაზე უფრო მძიმედაც, უვიცობა დაგაწვება. ნიჭს თანაგრძნობა სჭირდება, გაგება, შენ კი ნახავ, თუ მიზანს მიაღწიე, როგორი სახით შემოგეხვევიან გარს, არარად ჩაგაგდებენ. ყოველივე იმას, რაც შენ მძიმე შრომის შედეგად შექმენი, სიღატაკეში, შიმშილში, უძილო ღამეების ხარჯზე, ზიზღით შეხედავენ. ისინი, მომავალი შენი ამხანაგები, არ გაგამხნევებენ, არ დაგამშვიდებენ, არ გიჩვენებენ რა გაქვს კარგი და ჭეშმარიტი, მაგრამ ღვარძლიანი სიხარულით წამოსწევენ წინ თითოეულ შენს

შეცდომას, მიგითითებენ სწორედ იმაზე, რაც ცუდი გაქვს, რაშიც ცდები და გარეგნული სიმშვიდითა და შინაგანი ზიზღის გრძნობით იზეიმებენ ყოველ შენს შეცდომას, (თითქოს რომელიმე მათგანი დაზღვეული იყოს შეცდომისაგან). შენ კი დიდგულა ხარ, კუდი ყავარზე გაქვს გადებული და, ვინ იცის, იქნებ ვინმე არაკაცის თავმოყვარეობა შეურაცხყო და ვაი მაშინ შენ, — შენ მარტო დარჩები, ისინი კი ბევრნი იქნებიან. ნემსების ჩხვლეტით გაგაწამებენ, ახლა მეც კი ვიწყებ საკუთარ თავზე ამის განცდას. მაშ გამხნევდი! არცთუ ისე ღარიბი ხარ. შეგიძლია იცხოვრო, ნუ ითაკილებ შავ სამუშაოს, დააპე შეშა, ისევე როგორც მე ვაპობდი, იქ საცოდავი ხელოსნების საღამოებზე. მაგრამ შენ მოუთმენელი ხარ, ავად ხარ შენი მოუთმენლობით, ცოტა გაქვს უბრალოება, ძალზე ეშმაკობ, ძალზე ბევრს ფიქრობ, ძალზე ტვირთავ თავს, შეუპოვარი ხარ საუბრისას და მხდალი, როცა ხელთ ქამანის აღებაა საჭირო. თავმოყვარე ხარ, გამბედაობა არ გაკლია. იყავი გაბედული, ჯერ ისწავლე და თუ საკუთარ თავში დაჯერებული არა ხარ, ბრმად მიჰყევი გზას, საეგებისოდ. შენ ცეცხლი გაქვს, გრძნობა, იქნებ გაიმარჯვო და თუ ვერ გაიმარჯვებ, მაინც იარე, რადგან არაფერს დაკარგავ, მოგება კი ძალზე დიდი გექნება. ამ საქმეში, ჩემო ძმაო, ბედი სასწორზე უნდა შეაგდო.

გრძნობამორეული ეფიმოვი უსმენდა თავის ყოფილ ამხანაგს და იმისდა მიხედვით ეცვლებოდა სახეზე ფერი, თუ რას ეუბნებოდა ის. ფერმკრთალი ლოყები შეუწითლდა, თვალები უჩვეულო გამბედაობითა და იმედის ცეცხლით უბრწყინავდა. მალე ეს კეთილშობილური გამბედაობა თვითდაჯერებაში გადაიზარდა. მერე მისთვის ჩვეულ შეუპოვრობაში და ბოლოს, როცა ბ. თავის რჩევა-დარიგებას ამთავრებდა, ეფიმოვს მოთმინება დაეკარგა. უგულისყუროდ უსმენდა, მაგრამ მაინც მაგრად ჩამოართვა ხელი, მადლობა გადაუხადა და თავის დამცირებასა და ნაღვლიანი მდგომარეობიდან უკიდურეს ქედმაღლობასა და უტიფრობაში

სწრაფად გარდასახვის ოსტატმა, თვითდაჯერებით განაცხადა: ჩემს ხვედრზე ნუ სწუხარ, მე თვითონ ვიზრუნებ საკუთარ თავზე, მეც მალე ვიშოვნი მფარველს, კონცერტს გავმართავ და მერე ფულიც და სახელიც თავისთავად მოვაო. ბ-მ არაფერი უპასუხა. მხოლოდ მხრები აიჩეჩა. ასე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს, მაგრამ, რასაკვირველია, დიდი ხნით არა. ეფიმოვმა მალე გაფლანგა მიღებული თანხა და ფულისათვის ისევ მიადგა ბ-ს. მერე მეორედ მივიდა, მესამედ, მეოთხედ, მეათედ და ბოლოს მოთმინებიდან გამოსული ბ. შინ აღარ დახვდა. ამის შემდეგ ეფიმოვი სულ გადაიკარგა.

გავიდა რამდენიმე წელი. ერთხელ ბ. რეპეტიციიდან შინ ბრუნდებოდა, უცებ ერთ-ერთ შესახვევში, ჭუჭყიანი სამიკიტნოს შესასვლელ კართან, ვიღაც ცუდად ჩაცმულ, შეზარხოშებულ კაცს შეეფეთა. უცნობმა სახელით მიმართა, ეს კაცი ეფიმოვი აღმოჩნდა. ძალიან გამოცვლილიყო, სახე გაყვითლებული და შეშუპებული ჰქონდა, როგორც ჩანდა უწესო ცხოვრებას თავისი წარუშლელი კვალი დაეტოვებინა მასზე. ბ-ს ძალიან გაეხარდა ამხანაგის ნახვა და ორი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რომ თვითონაც ვერ შენიშნა ისე ამოჰყო თავი სამიკიტნოში, სადაც ეფიმოვმა შეათრია. აქ მომცრო, გაჭვარტლულ, განცალკევებულ ოთახში უფრო კარგად დააკვირდა ამხანაგს და ნახა, რომ ტანზე ძონძები ეცვა, ფეხზე — დახეული ფეხსაცმელი, ჩამოძენძილი გულისპირი კი სულ ერთიანად ღვინის ლაქებით ჰქონდა მოთხვრილი. ცვენაშეპარულ თმაში ჭაღარა გარეოდა.

— რასა იქმ? როგორა ხარ? — შეეკითხა ბ.

ეფიმოვს შერცხვა, თავდაპირველად შეკრთა კიდეც, პასუხობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უთავბოლოდ, ბ-მ იფიქრა, ჭკუაზე თუ შეცდაო, ბოლოს, ეფიმოვი გამოუტყდა, რომ თუ არაყი არ დავლიე, ლაპარაკი არ შემიძლია, სამიკიტნოში კი უკვე კარგა ხანია აღარ მენდობიანო, როცა ამას ამბობდა, წითლდებოდა, თუმცა რაღაც-

ნაირი გაბედული მოძრაობით თავის გამხნევებას ლამობდა, მაგრამ ეს თავხედურად, თავმომაბეზრებლად და განსაკუთრებით შესამჩნევად გამოსდიოდა. ამ დროს საცოდავი იერი ჰქონდა. კეთილ ბ-ს, რომელიც დარწმუნდა, რომ მისი შიში სავსებით გამართლებული იყო, ამხანაგი შეეცოდა. არაყი მოატანინა. ეფიმოვს სახე გაუბრწყინდა, მადლიერების გრძნობა აღებეჭდა სახეზე და იმდენად დაიბნა, რომ თვალზე ცრემლმომდგარი მზად იყო ხელები დაეკოცნა თავისი კეთილისმყოფელისათვის. სადილობის დროს განცვიფრებულმა ბ-მ შეიტყო, რომ ეფიმოვი დაცოლშვილებულიყო. მაგრამ კიდევ უფრო სახტად დარჩა, როცა ამხანაგმა უთხრა: ყველა ჩემი უბედურებისა და გაჭირვების მიზეზი ჩემი ცოლიაო, იმან ჩაკლა საბოლოოდ ჩემში დიდი ნიჭიო.

— ეს როგორ? — ჰკითხა ბ-მ.

— მე, ჩემო ძმაო, უკვე ორი წელია ვიოლინო ხელთ არ ამიღია, — უპასუხა ეფიმოვმა, — დედაკაცი გაუნათლებელია, უხეში, შინამსახური. ლაპარაკიც კი არ ღირს იმაზე, ჩვენ ყოველდღე ვჩხუბობთ, სხვა არაფერს ვაკეთებთ.

— მაშ რაღად შეირთე, თუ ასე იყო?

— მშიერი ვიყავი, გავიცანი, ათას მანეთამდე ფული ჰქონდა, ჰოდა, საჩქაროდ შევირთე. იმას კი შევუყვარდი, თვითონ ჩამომეკიდა კისერზე, ნეტა ვინ ეხვეწებოდა. ფული დავამღერე, ჩემო მეგობარო, ჰოდა, რომელ ნიჭზე შეიძლება ლაპარაკი? — ყველაფერი დაღუპულია.

ბ. ხედავდა, რომ ეფიმოვი მთელი ძალით ცდილობდა თავის გამართლებას.

— ყველაფერი მივატოვე, ყველაფერი, — თქვა მან და იქვე დასძინა, — თუმცა არა, ამ ბოლო დროს ვიოლინოს დაკვრაში დიდ წარმატებას მივაღწიე, ჰოდა, ახლა თუ მოვინდომებ, შენც, პირველი დამკვრელი რომ გქვია ქალაქში, ჩემი ფეხის მტვრადაც არ ეღირები.

— მერე რა გიშლის ხელს? — ჰკითხა გაკვირვებულმა ბ-მ, — მოგეძებნა სამუშაო.

— არა ღირს! — ხელი ჩაიქნია ეფიმოვმა, — აბა, რომელ თქვენგანს ესმის რამე? რა გესმით თქვენ? ბრანწი და მეტი არაფერი? თქვენი საქმე მხიარული საცეკვაოს ბრახაბრუხია რომელიმე ბალეტში, ვიოლინოს ნამდვილი დამკვრელი კი თვალითაც არ გინახავთ, ვერც ვერაფერს გაუგებთ, რომც ნახოთ, ჰოდა, რაღად უნდა შეგაწყინოთ თავი? იყავით თქვენთვის, როგორც გენებოთ ისე.

ეფიმოვმა კვლავ ჩაიქნია ხელი და სკამზე შექანდა, რადგან უკვე კარგა მაგრა შეზარხოშებულიყო. მერე ბ-ს დაუწყო პატიჟი თავისთან, მაგრამ ბ-მ თავი შორს დაიჭირა, მისამართი გამოართვა და შეპირდა, ხვალ გინახულებო. ეფიმოვი, რომელიც ახლა უკვე დანაყრებული გახლდათ, დაცინვით შეჰყურებდა თავის ყოფილ ამხანაგს და ყოველ ღონეს ხმარობდა, როგორმე ეკბინა მისთვის. როცა წასასვლელად გაემზადნენ, ბ-ს მდიდრულ ქურქს წაავლო ხელი და ისე გაუწოდა, როგორც მდაბალი გაუწვდის მაღალს. გვერდით ოთახში როცა გავიდნენ, შეჩერდა: — პირველი და ერთადერთი მევიოლინე მთელ ქალაქში, — წარუდგინა მან ბ. მიკიტნებს და იქ დამსწრე ხალხს. ერთი სიტყვით, ამ წუთს მეტად საზიზღარი იყო.

მეორე დღეს დილით ბ-მ მაინც მოძებნა ის. ჩვენ სხვენზე ვცხოვრობდით, ერთ ოთახში, უკიდურეს სიღატაკეში, გაჭირვებაში. მაშინ მე ოთხი წლისა ვიყავი. დედაჩემის და ეფიმოვის შეუღლებიდან ორი წელი იყო გასული. საცოდავი დედაჩემი, საკმაოდ განათლებული და ლამაზი ქალი ყოფილა. ადრე გუვერნანტად ნამუშევარი. სიღარიბის გამო მოხუც მოხელეს, მამაჩემს გაჰყოლია ცოლად, რომელთანაც ერთი წელი უცხოვრია. როცა მამაჩემი უეცრად გარდაცვლილა და მისი უმნიშვნელო ქონება მემკვიდრეებს დაუნაწილებიათ, დედა მარტოდმარტო დარჩენილა

ჩემსა და იმ უმნიშვნელო თანხის ანაბარა, რომელიც მემკვიდრეობის გაყოფისას რგებია. ისევ გუვერნანტის ადგილის შოვნა, პატარა ბავშვით ხელში, გაძნელებია. ამ დროს კი, რაღაც შემთხვევის წყალობით, ეფიმოვს შეხვედრია. მთელი გულით შეუყვარებია ის. დედაჩემი ხომ მეოცნებე იყო, უცნაური გატაცება იცოდა. ეფიმოვი გენიოსად დაუსახავს და მისი ქედმაღლურად წარმოთქმული სიტყვები, ბრწყინვალე მომავალზე, დაუჯერებია. მის თავმოყვარეობას ელამუნებოდა, რომ გენიოსი ადამიანის საყრდენი და ხელმძღვანელი უნდა გამხდარიყო და ცოლად გაჰყოლია. შეუღლების პირველივე თვიდან გაფანტულა მისი ოცნება და საშინელი სინამდვილე აღმართულა მის წინ. ეფიმოვს, რომელმაც შეიძლება მართლა იმიტომ შეირთო დედაჩემი, რომ ორიოდე გროში გააჩნდა, როცა ეს ფული გაუფლანგავს, მაშინვე გულ-ხელი დაუკრეფია, თითქოს გახარებია კიდეც, რომ მიზეზი მიეცა და დაუყოვნებლივ განუცხადებია: ჩემმა ცოლმა მიმიყვანა დაღუპვის კარამდეო, არ შეიძლება ადამიანი მუშაობდე დახუთულ ოთახში, დამშეული ოჯახის პირისპირ და მუსიკა და სიმღერა შექმნაო. ბოლოს უთქვამს: ჩანს ასეთი ხვედრი მარგუნა ბედმაო.

ვგონებ, საბოლოოდ თვითონაც დარწმუნებულა თავისი სიტყვების სიმართლეში, თითქოს გახარებია კიდეც, რომ გასამართლებელი საბუთი იშოვნა. ეს საცოდავი, ვგონებ, თვითონ ეძებდა თავისი დაღუპული ნიჭის გასამართლებლად გარეგნულ მიზეზს, რომლისთვისაც შეიძლებოდა დაებრალებინა ყველა თავისი მარცხი და უბედურება. დარწმუნება კი იმ საშინელ სინამდვილეში, რომ ხელოვნებისათვის დიდი ხანია რაც სამუდამოდ დაიღუპა, წარმოუდგენელი იყო. მოუსვენრად ებრძოდა აზრს, მაჯლაჯუნასავით რომ უხუთავდა სულს, ბოლოს, როცა სიმართლე სძლევდა, როცა წამით თვალს აახელდა, ეგონა, ამ საშინელებისაგან ჭკუაზე შევიშლებიო. იმ აზრის დათმობა კი, რომელსაც

ესოდენ დიდი ხანია ელოლიავებოდა, რომელიც მთელი მისი ცხოვრების დედააზრს წარმოადგენდა არა და არ შეეძლო, უკანასკნელ წუთამდე იმედოვნებდა, რომ ჯერ კიდევ გვიან არ არისო. დაეჭვების წუთებში ღვინოს ეტანებოდა, მის თავბრუდამხვევ ბურუსში ნთქავდა მოწოლილ ნაღველს და ბოლოს, იქნებ თავადაც არ იცოდა თუ რაოდენ საჭირო ხდებოდა მისთვის ამ წუთებში ცოლი, რადგან ის იყო მისი ხელშესახები მიზეზი და მართლაც იგი კინაღამ ჭკუაზე შეცდა იმაზე ფიქრით, რომ ცოლს, რომელმაც დამღუპა, დავმარხავ და მერე ყველაფერი თავის რიგზე წავაო. საცოდავმა დედამ ვერ გაუგო ქმარს და ამ მტრულ გარემოცვაში, როგორც ნამდვილი მეოცნებე, პირველი დარტყმისთანავე შედრკა. იგი ანჩხლი და ფიცხი გახდა, წარამარა ლანძღავდა ქმარს, რომელსაც სიამოვნებდა ცოლის ტანჯვა. განუწყვეტლივ დენიდა სამუშაოზე, მაგრამ ქმარი, რომელიც თავისი დამთხვეული ხასიათის, სიბეცისა და მიზნის მიუღწევლობის გამო, თითქმის სრულიად უგრძნობ და უგულო ადამიანად იქცა, მხოლოდ იღიმებოდა და ფიცს სდებდა, ვიდრე ცოლს არ დავმარხავ, ვიოლინოს ხელს არ ვახლებო და სასტიკი გულგრილობით განუცხადა კიდეც ეს ცოლს. დედას, რომელსაც სიკვდილამდე თავდავიწყებით უყვარდა ქმარი, ამგვარ პირობებში ცხოვრება ძალიან უჭირდა. დაავადმყოფდა, გაწვალდა, გაიტანჯა, ამასთან მთელი ოჯახის გამოკვებაც მხოლოდ მას დააწვა კისერზე, ამიტომაც გადაწყვიტა სადილების გაკეთება ხელზე გასაცემად, მაგრამ ქმარი ფულს ჩუმ-ჩუმად პარავდა და დედაჩემი იძულებული იყო ხშირად საჭმლის ნაცვლად ცარიელი ჭურჭელი გაეგზავნა მუშტრისათვის. ასე ამგვარად, დიდის ვაი-ვაგლახით გაგვქონდა თავი სხვენზე. როცა ბ. გვეწვია, დედა სარეცხს რეცხავდა, ძველმანებს ღებავდა.

ჩვენი ოჯახის სიღატაკემ განაცვიფრა ბ.

— მომისმინე, — უთხრა მან ჩემს მამინაცვალს, — სად ხედავ აქ ნიჭის დაღუპვას? ყველაფერი, რაც შენ მიამბე, ტყუილი ყოფილა, ის გარჩენს, შენ კი რას აკეთებ?

— არაფერს! — მიუგო ჩემმა მამინაცვლამა.

მაგრამ ბ-მ ჯერ კიდევ როდი იცოდა დედაჩემის თავს დამტყდარი ყველა უბედურება. ქმარს ხშირად ოჯახში ათასნაირი თავხედი და ჩხუბის მოთავე შემოჰყავდა და მაშინ უნდა გენახათ რა ამბავი იყო ჩვენთან.

ბ. დიდხანს არწმუნებდა თავის ყოფილ ამხანაგს, გონს მოდი, კარგად დაფიქრდიო, ბოლოს განუცხადა, თუ არ გამოსწორდები, აღარ დაგეხმარებიო, პირდაპირ უთხრა, ფულს არ მოგცემ, თორემ სულერთია ღვინოში დახარჯავო. ბოლოს სთხოვა: დაუკარი რამე, იქნებ როგორმე სამუშაოს შოვნაში დაგეხმაროო. როცა მამინაცვალი ვიოლინოს მოსატანად გავიდა, ბ-მ დედაჩემს ფული ჩუმად გაუწოდა, დედამ არ გამოართვა, საცოდავ ქალს პირველად უხდებოდა მოწყალების მიღება. მაშინ ბ. მომიბრუნდა და ფული მე მომცა. დედას ცრემლები წასკდა. მამინაცვალმა ვიოლინო გამოიტანა, მაგრამ ჯერ არაყი მოითხოვა, არაყი თუ არ დავლიე, ვერ დავუკრავო. გააგზავნეს არაყზე, — დალია და ხასიათზე მოვიდა.

— ჩემი საკუთარი შემოქმედებიდან დავუკრავ რაიმეს, ამხანაგურად, შენთვის. — განუცხადა ბ-ს და კომოდიდან სქელი დამტვერიანებული რვეული ამოათრია. — სულ ჩემი დაწერილია, — თქვა მან და რვეულზე უჩვენა, — აი ნახე! თქვენი ბალეტები ნუკი გგონია, ძმობილო!

ბ-მ უხმოდ გადაათვალიერა რვეულის რამდენიმე გვერდი და მერე თავისი მოტანილი ნოტები გადაშალა. — შენი შემოქმედება ჯერჯერობით გვერდზე გადადე, — უთხრა მან მამაჩემს, — ჩემი მოტანილი ნოტებიდან დაუკარი რამე.

მამინაცვალი განაწყენდა, მაგრამ შეეშინდა ახალი მფარველი არ დავკარგოო და თხოვნა შეუსრულა. ბ. ხედავდა, რომ მის ყოფილ ამხანაგს, მათი განშორების შემდეგ, საკმაოდ ბევრი უმუშავია, ბევრი გაუკეთებია, თუმცა ტრაბახობდა, ცოლის შერთვის შემდეგ ვიოლინო ხელთ არ ამიღიაო. უნდა გენახათ საცოდავი დედაჩემის სიხარული, როგორი სიამაყით შეჰყურებდა ქმარს. ბ-საც გულწრფელად უხაროდა. იმ დროისათვის ბ-ს უკვე საკმაოდ ბევრი გავლენიანი ნაცნობი ჰყავდა და გადაწყვიტა დაუყოვნებლივ მიემართა მათთვის. იგი რეკომენდაციას უწევდა საცოდავ ამხანაგს, რომელსაც პირობა ჩამოართვა, რომ კარგად მოიქცეოდა. ჯერჯერობით კი თავის ხარჯზე გამოაწყო და რამდენიმე გამოჩენილ პირს წარუდგინა, რომლებზედაც ამყარებდა იმედს. საქმე იმაშია, რომ ეფიმოვი მხოლოდ ლაპარაკის დროს ყოყოჩობდა, ახლა კი დიდი სიხარულით მიიღო ძველი მეგობრის წინადადება. ბ-მ მიამბო, — მრცხვენოდა, როცა ვუყურებდი ამ გაუთავებელ პირფერობასა და დამამცირებელ თაყვანისცემას, რომელსაც ჩემდამი იჩენდა მხოლოდ იმიტომ, რომ მოვემადლიერებინე და ჩემი კეთილი განწყობა არ დაეკარგაო. ეფიმოვი ხედავდა, რომ მისთვის კარგი უნდოდათ და სმასაც თავი დაანება. ბოლოს თეატრის ორკესტრში მოუნახეს ადგილი. გამოცდა კარგად ჩააბარა, რადგან ერთი თვის მუყაითი შრომით აინაზღაურა ის, რაც უსაქმოდ გატარებულ წელიწადნახევარში დაკარგა, თან პირობა დადო შემდეგშიც მუყაითად ვიშრომებ და ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას ზუსტად და პირნათლად შევასრულებო. მაგრამ ჩვენი ოჯახის მდგომარეობა არ გამოსწორებულა, ეფიმოვი თავისი ჯამაგირიდან ერთ კაპიკსაც არ აძლევდა დედას, რასაც შოულობდა სულ ღვინოში ხარჯავდა თავის ახალ ამხანაგებთან ერთად, რომლებიც სასწრაფოდ გაიჩინა. ესენი უმთავრესად თეატრის მომსახურე პერსონალიდან იყვნენ. გუნდის მომღერლები და სტატისტები, ერთი სიტყვით, ისეთი ადამიანები, რო-

მელთა შორის ყოველთვის თვითონ პირველობდა. ჭეშმარიტად ნიჭიერ ხალხს გაურბოდა, თავის ამხანაგთა შორის მან განსაკუთრებული პატივი დაიმსახურა. მაშინვე უამბო იმის შესახებ, რომ ის აღიარებული არ არის, თუმცა მეტად ნიჭიერია, რომ ცოლმა დაღუპა. ბოლოს დასძენდა: ჩვენს კაპელმეისტერს მუსიკისა არაფერი გაეგებაო, დასცინოდა ორკესტრის ყველა მსახიობს, დასცინოდა ოპერებს, რომლებსაც დგამდნენ სცენაზე და თვით ოპერის ავტორებსაც. ბოლოს, რაღაც ახალი მუსიკის ქადაგება დაიწყო. ერთი სიტყვით, მთელ ორკესტრს მოაბეზრა თავი. ამხანაგებს წაეჩხუბა. უხეშად მოექცა კაპელმეისტერს და სხვა ხელმძღვანელებს, მოუსვენარი, მოჩხუბარი და ყველაზე უმნიშვნელო ადამიანის სახელი დაიმკვიდრა და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ყველასთვის აუტანელი შეიქნა.

და, მართლაც, მეტად უცნაური იყო, რომ ადამიანი, რომელიც არაფერს წარმოადგენდა, იყო გამოუსადეგარი როგორც დამკვრელი, ცუდი როგორც ადამიანი, ტრაბახა, ყოყოჩა, უზრდელი და ასეთი დიდი პრეტენზიები კი ჰქონდა.

ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ ბ-ს წაეჩხუბა, რაღაც გაუგონარი ჭორი მოუგონა, რომელიც უტყუარ სიმართლედ გაასაღა და ნახევარი წლის განმავლობაში უთავბოლო მუშაობისა და მუდამ მთვრალ მდგომარეობაში ყოფნის გამო თეატრიდან მოიშორეს. მაგრამ ასე ადვილად როდი წავიდა. სულ მალე ისევ ძველმანებში ნახეს იმიტომ, რომ წესიერი ტანსაცმელი ზოგი დააგირავა, ზოგი გაყიდა და ისევ ძველ თანამშრომლებთან დაიწყო სიარული. უხაროდათ თუ არა მაინც მიდიოდა. ჭორებს ავრცელებდა, რაღაც სისულელეებს ლაპარაკობდა, უჩიოდა ცხოვრებას, ყველას თავის სახლში ეპატიჟებოდა, მოდით ნახეთ რა ავი ცოლი მყავსო. რაღა თქმა უნდა, გამოჩნდნენ მსმენელები, რომლებიც გაგდებულ ამხანაგს ათრობდნენ და მერე ყოველგვარ სისულელეს ათქმევინებდნენ. ის ხომ ყოველთვის მახვილგონივრულად

ლაპარაკობდა. ათასგვარი ცინიკური თქმებითა და ქარაგმებით ამდიდრებდა თავის ნათქვამს, გესლსა და ნაღველს ანთხევდა შიგ. იყვნენ განსაკუთრებული ჯურის ადამიანები, რომლებსაც მოსწონდათ ასეთი ლაპარაკი და დამთხვეულ მასხარას, როგორც მას ეძახდნენ, უსაქმობის დროს, აღიზიანებდნენ. უამბობდნენ ახლად გზად გავლილ რომელიმე მევიოლინეზე, რომლის გაგონებაზე ეფიმოვს სახე ეცვლებოდა, დაირცხვენდა, დაიწყებდა გამოკითხვას: ვინ არის, საიდან ჩამოვიდა, რას წარმოადგენს ეს ახალი ტალანტიო და იმავე წუთს შურით ივსებოდა ამ დიდი ნიჭის მიმართ. მგონი სწორედ ამ დროიდან დაიწყო მისი ნამდვილი შეშლილობა, — აეკვიატა აზრი, რომ პირველი მევიოლინეა, სხვაგან თუ არა, ყოველ შემთხვევაში პეტერბურგში მაინც, მაგრამ ბედისაგან არის დევნილი, დაჩაგრულია, ათასგვარ ხრიკებს უგონებენ, არ ესმით მისი და ამიტომაც დარჩა ესოდენ შეუცნობი. ამ უკანასკნელზე ფიქრი სიამოვნებდა კიდეც, რადგან არიან ადამიანები, რომლებსაც მოსწონთ, როცა თავს დაჩაგრულთა და შევიწროებულთა შორის რაცხავენ, ხმამაღლა აღიარებენ, ანდა ჩუმად, გულში თაყვანს სცემენ სხვების მიერ შეუცნობ თავის დიდებას. ეფიმოვი პეტერბურგელ მევიოლინეებს სათითაოდ ყველას იცნობდა. მაგრამ თავის მეტოქედ არავის რაცხავდა. მუსიკის მცოდნეებსაც და დილეტანტებსაც, რომლებიც იცნობდნენ ამ საცოდავ დამთხვეულს, უყვარდათ მასთან რომელიმე ნიჭიერ მევიოლინეზე ლაპარაკის ჩამოგდება, რადგან თავის მხრივ ისიც აელაპარაკებინათ. უყვარდათ ამ კაცის ავი, გესლიანი შენიშვნები, საქმიანი და ჭკვიანური გამოთქმები, რომლებსაც მხოლოდ მაშინ ხმარობდა, როცა თავისი არარსებული მტრის დაკვრას აკრიტიკებდა. იქნებ ხეირიანად არც კი ესმოდათ, რასაც ის ამბობდა, მაგრამ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თანამედროვე სახელოვანი მუსიკოსების დაცინვა მასზე უკეთ და მასზე მოხერხებულად სხვას არავის შეეძლო. ის მსახიობებიც კი, რომლებსაც ასე

ხშირად დასცინოდა, შიშნარევი თვალებით შეჰყურებდნენ, რადგან კარგად იცნობდნენ მის გესლიან ენას, აღიარებდნენ მის საქმიან თავდასხმებსა თუ სამართლიან მსჯელობებს, როცა ვინმეს გაკილვაზე მიდგებოდა საქმე. მის გამოჩენას თეატრის დერეფნებსა და კულისებში ისე შეეჩვივნენ, რომ თეატრის მოსამსახურენი, როგორც აუცილებელ და საჭირო პიროვნებას დაუბრკოლებლად უშვებდნენ თეატრში. იგი აქ შინაურ კაცად იქცა. ორი თუ სამი წელი გავიდა ამ ყოფაში. ბოლოს თეატრის თანამშრომლებს ესეც მობეზრდათ და ფორმალურად ისევ განდევნეს თეატრიდან. ამის შემდეგ ორი წლის განმავლობაში, ვიდრე მისი ცხოვრების დასასრულამდე აღარავის უნახავს იგი, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. თუმცა ერთი-ორჯერ ბ-ს შეხვედრია, ისეთი გასაცოდავებული ყოფილა, რომ სიბრალულისაგან ბ-ს ზიზღი დავიწყებია და დაუძახნია. ჩემს მამინაცვალს უთაკილია. ძველი, მიბრეცილ-მობრეცილი ქუდი თვალებზე ჩამოუფხატავს და გვერდი აუქცევია, ისე ვითომ დაძახება ვერ გავიგონეო. ბოლოს, რომელიღაც ერთ-ერთ დიდ დღესასწაულზე ბ-სთვის მოუხსენებიათ: თქვენი ძველი მეგობარი ეფიმოვი გესტუმრათო. ბ. გამოსულა, შეზარხოშებულ ეფიმოვს ძალზე მდაბალი, თითქმის მიწამდე თავდახრილი სალამი მიუცია, მაგრამ შინ შეყოლაზე გადაწყვეტილი უარი უთქვამს, ესეც განგებ, აქაო და გაიგეთ, სად ჩვენ უნიჭონი და სად თქვენ ცნობილნიო, ჩემთვის პატარა ადამიანისათვის ლაქიას ადგილიც საკმარისია, მოგილოცავთ დღესასწაულს, სალამს მოგცემთ და წავალო, ერთი სიტყვით, ყველაფერი გადაჭარბებულად, სულელურად და საზიზღრად გამოსვლია. ამის შემდეგ კარგახანს აღარ უნახავს ბ-ს. თითქმის ზუსტად კატასტროფამდე, რომლითაც დასრულდა ეს სამწუხარო, ავადმყოფური და დუხჭირი ცხოვრება. დასრულდა კი საშინლად. ეს კატასტროფა მჭიდროდაა დაკავშირებული არა მარტო ჩემს ბავშვურ პირველ შთაბეჭდილებებთან, არამედ მთელ ჩემს ცხოვრებას-

თან. აი, როგორ მოხდა ეს. თუმცა ჯერ ის უნდა გიამბოთ, თუ როგორი იყო ჩემი ბავშვობა, რას ნიშნავდა ჩემთვის ეს კაცი, რომელიც ასე მტკივნეულად შემოიჭრა ჩემს პირველ ბავშვურ შთაბეჭდილებებში და მიზეზი გახდა საცოდავი დედაჩემის სიკვდილისა.

II

ჩემს თავს გადამხდარი ამბები დამამახსოვრდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მეცხრე წელში გადავდექი. ის რაც მანამდე მოხდა ჩემს ცხოვრებაში, მე თვითონ არ ვიცი როგორ გამომრჩა. სამაგიეროდ, რვაწლინახევრის გავხდი თუ არა, ყველაფერი ნათლად აღიბეჭდა ჩემს გონებაში, იმდენად ნათლად, რომ ყოველი წვრილმანიც კი გუშინდელი დღესავით მახსოვს. ადრეული ამბებიც მაგონდება, მაგრამ უფრო სიზმარივით. მახსოვს, ჩაბნელებულ კუთხეში, ძველ სახატესთან მუდამ ენთო მბჟუტავი კანდელი. ერთხელ ქუჩაში ცხენმა გადამქელა. ამის შემდეგ, როგორც მოგვიანებით მითხრეს, მთელი სამი თვე ვიწექი. ერთხელ, სწორედ ამ ავადმყოფობის დროს, დედაჩემის გვერდით (ჩვენ ერთად გვეძინა) შუაღამისას გამეღვიძა, ღამის წყვდიადით მოცულ სიჩუმეში შემაძრწუნა ჩემმა ავადმყოფურმა სიზმრებმა და თაგვებმა, ოთახის კუთხეში რომ აფხაჭუნებდნენ. მთელი ღამე შიშისაგან ვთრთოდი და საბნის ქვეშ ვიმალებოდი, მაგრამ დედაჩემის გაღვიძებას ვერა ვბედავდი, აქედან ვასკვნი, რომ ყოველგვარ შიშზე უფრო დედაჩემის მეშინოდა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ცხოვრებას გონების თვალით შევხედე, სწრაფად და მოულოდნელად დავიწყე განვითარება. ბევრი, სრულიად არაბავშვური ამბები, იმდენად ხელმისაწვდომი გახდა ჩემთვის, რომ შევშინდი. მე ყველაფერს ნათლად ვხედავდი, ადვილად ვერკვეოდი და ამ დრომ, რომლის შემდეგ თავი შევიცანი, წარუშლელი, ნაღვლით სავსე შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ეს შთაბეჭდილებები შემდეგში

ყოველთვის მეორდებოდნენ, დღითიდღე იზრდებოდნენ და ჩემს მშობლებთან ყოფნისა და მთელი ჩემი ბავშვობის პერიოდიც, შავბნელ და უცნაურ ფიქრებში გავატარე.

ახლა, როცა ამ ამბავს ვიგონებ, ასე მგონია ღრმა ძილისაგან გამაღვიძეს-მეთქი. (მაგრამ მაშინ, ალბათ, ეს ყველაფერი ასე საკვირველი არ იყო ჩემთვის). დაბალჭერიან დიდ, დახურულსა და ჭუჭყიან ოთახში გავიღვიძე. კედლები მონაცრისფრო-მოჭუჭყისფროდ იყო შეღებელი, კუთხეში რუსული ღუმელი იდგა. ფანჯრები ქუჩაში გადიოდა, ანდა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, მოპირდაპირე სახლის სახურავზე. დაბალი და ფართო ფანჯრები ხვრელს უფრო წააგავდნენ, რაფები ისე მაღლა ჰქონდა, რომ მახსოვს სკამს სკამზე ვდგამდი, რომ ფანჯარას მივწვდომოდი. აქ ჯდომა მაშინ მიყვარდა, როცა შინ მარტო ვიყავი. ჩვენი სახლიდან თითქმის ნახევარი ქალაქი მოჩანდა. ზედ სახლის სახურავის ქვეშ ვცხოვრობდით. სახლი უზარმაზარი იყო, ექვსსართულიანი. ჩვენს ავეჯს შეადგენდა: მუშამბაგადაკრული ნეჭაამოყრილი, დამტვრეული დივნის მაგვარი რაღაც, თეთრი უბრალო მაგიდა, ორი სკამი, დედაჩემის საწოლი, კუთხეში მიმდგარი უცნაური კარადა და კომოდი, რომელიც მუდამ გვერდზე იყო გადახრილი და კიდევ მიხეულ-მოხეული ქაღალდებისაგან შეკოწიწებული თეჯირები.

მახსოვს ბინდი იდგა, იატაკზე უწესრიგოდ ეყარა ჯაგრისები, რაღაც ჩვრები, ხის ჯამ-ჭურჭელი, გატეხილი ბოთლი და კიდევ რაღაც-რაღაცები. დედაჩემი ძალზე აღელვებული იყო, ტიროდა.

მამინაცვალი, თავისი განუყრელი დახეული სერთუკით, კუთხეში მიმჯდარიყო და იქიდან ელაპარაკებოდა დედაჩემს დაცინვით. დედას თანდათან ერეოდა ბრაზი, იატაკზე ისევ მიგორავდა ჯამ-ჭურჭელი, ჯაგრისები. მე უეცრად ტირილი წამსკდა, წამოვიყვირე და მათკენ გავიქეცი. ძალზე შეშინებული ვიყავი, მამინაცვალს მაგრად მოვეხვიე, ვცდილობდი ჩემი სხეულით დამეფარა

იგი. ღმერთმა უწყის, რატომ ვიფიქრე, რომ ის დამნაშავე არ იყო და დედაჩემი ტყუილუბრალოდ აწამებდა. მე მამინაცვალს ვემხრობოდი, მზად ვიყავი მის მაგივრად მეთხოვა პატიება, მის მაგივრად გადამეტანა ყოველგვარი სასჯელი. ძალიან მეშინოდა დედაჩემის და ასე მეგონა ყველას ძალიან ეშინია-მეთქი მისი. დედა ჯერ გაოცდა, მერე ხელებში მწვდა და თეჯირს იქით წამათრია. საწოლზე მაგრად ვიტკინე ხელი, მაგრამ შიშმა ისე ამიტანა, რომ წარბიც არ შემიხრია. დედაჩემი ძალზე ცხარობდა, მამაჩემს ჩემზე უთითებდა, (მამინაცვალს შემდეგშიც მამას ვუწოდებ, რადგან მე გაცილებით გვიან გავიგე, რომ ის ნამდვილი მამა არ იყო ჩემი). ამ აყალმაყალში დაახლოებით ორი საათი გავიდა. მთელი სხეულით ვთრთოდი. გონებას ვძაბავდი, მინდოდა გამეგო რით დამთავრდებოდა ყოველივე დაბოლოს, როგორც იქნა დამთავრდა. დედაჩემი სადღაც წავიდა, მამამ დამიძახა და მაკოცა, თავზე ხელი გადამისვა, მუხლებზე დამისვა. მეც მაგრად ჩავეკარი გულში. უთუოდ ეს იყო პირველი მამა-შვილური ალერსი და სწორედ ამიტომ დამამახსოვრდა ყოველივე წვრილმანი მოყოლებული ამ დღიდან. მე შევნიშნე, რომ მამაჩემისაგან დავიმსახურე მოწყალება, უთუოდ იმიტომ, რომ დავიცავი. მგონი პირველად მაშინ განმაცვიფრა აზრმა, რომ მამა ბევრს იტანს დედაჩემისაგან. ამის შემდეგ ეს აზრი აღარც მომშორებია და მუდამ მიშფოთებდა სულს.

ამ წუთიდან მოყოლებული, რაღაც გასაოცარი სიყვარულით შევიყვარე მამაჩემი. ეს არ ჰგავდა ბავშვურ გრძნობას, ეს იყო რაღაც ახირებული სიყვარული, უფრო სიბრალულს ჰგავდა, დედაშვილურ გრძნობას, თუ სასაცილო არ იქნება ბავშვს ასეთი გრძნობა მივაწეროთ. მამაჩემი ყოველთვის საცოდავ, დაჩაგრულ და განწირულ ადამიანად მეჩვენებოდა, რომელსაც სდევნიდნენ და ჩემთვის საშინელი და არაბუნებრივიც კი იყო მთელი გულით არ შემეყვარებინა, არ დამემშვიდებინა, არ მოვფერებოდი, არ მე-

ფიქრა მასზე, მაგრამ დღემდე ვერ გამიგია რატომ დამებადა ეს აზრი, რატომ ვიფიქრე, რომ მამაჩემი განწირული კაცია, უბედურზე უბედური მთელი დედამიწის ზურგზე. ვინ შთამაგონა ეს? როგორ მოხდა, რომ მე ბავშვმა, შევძელი თუნდაც მცირედ მაინც ჩავწვდომოდი მის წარუმატებლობას? მე კი ჩავწვდი, თუმცა ჩემებურად, გადასხვაფერებულად და დღემდე ვერ მივმხვდარვარ საიდან მოვიდა ეს აზრი? იქნებ სიმკაცრემ, რომელსაც დედაჩემი იჩენდა, შთამაგონა ეს, იქნებ იმიტომაც შევეთვისე მამაჩემს, რომ ისიც ჩემთან ერთად იტანჯებოდა?

მე უკვე გიამბეთ ჩემი პირველი ნაბიჯების შესახებ, გიამბეთ ჩემი პირველი გამოფხიზლების ამბავი ჩვილის ძილისაგან. პირველივე წუთებიდან გული მქონდა მოწყლული. დამქანცველი, გონებისათვის მიუწვდომელი სისწრაფით დავიწყე განვითარება. აღარ მაკმაყოფილებდნენ მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებები, დავიწყე ფიქრი, მსჯელობა, დაკვირვება, მაგრამ ეს დაკვირვება იმდენად არაბუნებრივი იყო, იმდენად ნაადრევი, რომ ჩემს წარმოსახვაში არ შემეძლო ყველაფერი ჩემებურად არ გადამესხვაფერებინა. უეცრად რაღაც განსაკუთრებულ სამყაროში ამოვყავი თავი. ჩემ ირგვლივ ყველაფერი იმ ჯადოქრულ ზღაპარს დაემსგავსა, რომელსაც მამა ხშირად მიამბობდა ხოლმე და რომელიც იმ ხანად არ შემეძლო წმინდა წყლის სიმართლედ არ მიმეღო. გამიჩნდა ახირებული აზრები, ძალზე კარგად გავიგე — თუმც არ ვიცი როგორ, რომ ვცხოვრობ უცნაურ ოჯახში, რომ ჩემი მშობლები არ ჰგვანან იმ ადამიანებს, რომლებსაც იმ ხანად ხშირად ვხვდებოდი. „რატომ? — ვფიქრობდი მე, რატომაა, რომ ჩემი მშობლები გარეგნულადაც კი განსხვავდებიან სხვებისაგან, სხვების სახეზე ღიმილს ვამჩნევ, ჩემს ოჯახში კი არასოდეს იცინიან, არასოდეს არაფერი უხარიათ?...“ რამ მაიძულა მე, ცხრა წლის ბავშვი, ასე გულმოდგინედ დავკვირვებოდი ყველაფერს, ყური მეგდო იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ჩვენი სახლის კი-

ბეზე, ანდა ქუჩაში ვხვდებოდი ხოლმე, როცა საღამო ხანს, ძონ-ძების დასაფარავად დედის ჯუბას მოვიხურავდი და სპილენძის გროშებით ხელში, დუქანში მივდიოდი პურის, შაქრის, ანდა ჩაის საყიდლად. მე მივხვდი, რომ ჩვენს ოჯახში რაღაც აუტანელი მწუ-ხარება იყო დასადგურებული, თუმცა ვერ გეტყვით როგორ ჩავ-წვდი ამას, თავს ვიმტვრევდი, ვცდილობდი ამომეხსნა რატომ ხდებოდა ასე და არ ვიცი ვინ დამეხმარა, რომ ყველაფერი ჩემე-ბურად ამომეხსნა. დედა დავადანაშაულე და მამაჩემთან ურთი-ერთობის საკითხში ავსულად წარმოვიდგინე. არ ვიცი საიდან შე-მექმნა ასეთი საზარელი წარმოდგენა. მაგრამ რამდენადაც უფ-რო ვუახლოვდებოდი მამაჩემს, იმდენად უფრო შევიძულე ჩემი საბრალო დედა. დღემდე მაწამებს ამის მოგონება. აგერ მეორე შემთხვევაც, რომელმაც პირველზე არანაკლებ შეუწყო ხელი მა-მაჩემის და ჩემ უცნაურ დაახლოებას.

ერთხელ, ასე საღამოს ათი საათი იქნებოდა, როცა დედამ დუ-ქანში გამაგზავნა საფუარის საყიდლად. მამა შინ არ იყო, დაბრუ-ნებისას გზაზე წავიქეცი და მთელი საფუარი დავღვარე. პირველი რაც გავიფიქრე იყო — დედა გამიჯავრდება-მეთქი, მაგრამ მარ-ცხენა ხელი ისე ვიტკინე, რომ ადგომა ვეღარ შევძელი. გამ-ვლელ-გამომვლელნი გარს შემომეხვივნენ, ვიღაც მოხუცმა ქალმა ჩემი წამოყენება სცადა. ვიღაც ბიჭმა გვერდით ჩამირბინა და თავში გასაღები ჩამარტყა. ბოლოს წამომაყენეს. ჯამის ნამ-სხვრევები ავკრიფე და ბარბაცით გავუდექი გზას, ფეხებს ძლივ-სღა მივათრევდი. ამ დროს მამა დავინახე, ხალხში ჩამდგარიყო ჩვენი სახლის პირდაპირ, მდიდრული სახლის წინ. ეს გაჩახჩახე-ბული სახლი ვიღაც წარჩინებულს ეკუთვნოდა. შესასვლელთან უამრავი ეტლი იდგა. მუსიკის ხმები ფანჯრებიდან ქუჩაში იღვრე-ბოდა. მამას სერთუკის კალთაზე წავეპოტინე, დამტვრეული ჯამი ვაჩვენე და ავტირდი. დედასთან მისვლა მეშინია-მეთქი ვუთხა-რი, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ გამომექომაგებოდა,

რატომ ვიყავი დარწმუნებული, რომ დედაჩემზე უფრო ვუყვარდი? ვინ შთამაგონა ეს? რატომ მივედი მასთან ასე უშიშრად არ ვიცი. მან ხელი მომკიდა და დამამშვიდა, მერე მითხრა: მოდი რაღაცას გაჩვენებო და ხელში ამიყვანა. მე ვერაფერი დავინახე, რადგან მტკივან ხელზე წამავლო ხელი და კიდევ უფრო მეტკინა. დაყვირება ვერ გავბედე, შემეშინდა არ ვაწყენინო-მეთქი. ის კი მეკითხებოდა: ხედავ თუ არაო, მე მთელი გულით მინდოდა მესიამოვნებინა და ვუთხარი: წითელ ფარდებს ვხედავ-მეთქი, ხოლო როცა ქუჩის მეორე მხარეს დააპირა გადასვლა და სახლისაკენ აიღო გეზი, არ ვიცი რატომ, უეცრად ავტირდი, ვეხვეწებოდი, ვთხოვდი ჩქარა ავიდეთ დედასთან-მეთქი. მახსოვს, როგორ მემძიმა მამაჩემის ალერსი. ერთი იმათგანი, ვინც ასე ძალიან მინდოდა მყვარებოდა — მეალერსებოდა, ვუყვარდი, მეორესთან კი ვერ ვბედავდი მისვლას, მეშინოდა, მაგრამ დედა არ გამჯავრებია, დასაძინებლად გამისტუმრა. მახსოვს თანდათან მიმატებდა ხელი ტკივილს, ციებ-ცხელებიანივით ვცახცახებდი, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი, რადგან ყველაფერმა ასე მშვიდად ჩაიარა. მთელი ღამე წითელფარდებიანი სახლი მესიზმრებოდა.

და აი, როცა მეორე დღეს გავიღვიძე, ჩემი პირველი საზრუნავი, ჩემი ერთადერთი საფიქრალი წითელფარდებიანი სახლი იყო. დედა წავიდა თუ არა მაშინვე ფანჯრის რაფაზე ავსკუპდი და ამ სახლს დავუწყე ყურება. კარგახანია ჩემს ბავშვურ ცნობისმოყვარეობას აღიზიანებდა ეს სახლი, განსაკუთრებით საღამოჟამს მიყვარდა მისი ცქერა, როცა ფანჯრებში შუქი აინთებოდა და სისხლივით წითელი, მეწამულისფერი ფარდები, ფართო და უხვად გაჩირაღდნებული ფანჯრები რაღაცნაირად განსაკუთრებულად ბრწყინავდნენ. აქ თითქმის განუწყვეტლივ მოდიოდნენ ლამაზი, ამაყად თავაღერილცხენებიანი მდიდრული ეტლები. ჩემს ცნობისმოყვარეობას ყველაფერი აღიზიანებდა, შესასვლელთან ამტყდარი ფაციფუცი, თუ გაუთავებელი აურზაური, ფერად-ფერადი

ფარნებით დამშვენებული ეტლები თუ ამ ეტლებში მსხდომი ლამაზად მორთული ქალები. ყოველივე ეს ჩემს ბავშვურ წარმოსახვაში მეფურად მდიდრულ, საარაკო-საზღაპრო ელფერს იღებდა. ახლა კი, როცა მამაჩემს ამ მდიდრულ სახლთან შევხვდი, ინტერესი გამიორკეცდა, სახლიც უფრო მშვენიერი მეჩვენა. განცვიფრებისაგან ჩემს წარმოსახვაში რაღაცნაირი საოცარი წარმოდგენები და ათასგვარი ვარაუდები იბადებოდნენ და, სრულიად არ მიკვირს, რომ ისეთ უცნაურ ადამიანთა შორის, როგორიც ჩემი მშობლები იყვნენ, მეც ესოდენ უცნაური და ფანტასტიკური ბავშვი გამოვედი. განსაკუთრებულ განცვიფრებას ჩემში მათი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათები იწვევდა. მანცვიფრებდა მაგალითად ის, რომ დედა მუდამ ფუსფუსებდა, მუდამ ზრუნავდა ჩვენს ღარიბულ ოჯახზე, მუდამ აყვედრიდა მამას, მარტო მე ვშრომობო და უნებურად მებადებოდა კითხვა: რატომ ცხოვრობდა მამა ჩვენს ოჯახში უცხოსავით? რატომ არ ეხმარებოდა დედას? დედაჩემმა ერთხელ როგორღაც, რამდენიმე სიტყვით ამიხსნა და მე რაღაცნაირი გაკვირვებით შევიტყვე, რომ მამაჩემი მსახიობი იყო (ეს სიტყვა ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში). რომ ის ნიჭიერი კაცია და რომ საერთოდ მსახიობი განსაკუთრებული ადამიანია, რომელიც სხვებს არა ჰგავს. იქნებ თვით მამაჩემის მოქცევამ მიმიყვანა ამ დასკვნამდე, ანდა იქნებ მაშინ გავიგონე რაღაც ისეთი, რაც ახლა არ მახსოვს, მაგრამ საოცარია რამდენად გასაგები გახდა მამაჩემის სიტყვების აზრი ჩემთვის მაშინ, როცა ერთხელ ჩემი თანდასწრებით, განსაკუთრებული გრძნობით თქვა: მოვა დრო და მე ღარიბი აღარ ვიქნები, მე თვითონ გავხდები მდიდარი ბატონკაციო და ბოლოს დაასკვნა, მე აღვდგები მხოლოდ მაშინ, როცა ცოლი მომიკვდებაო. მახსოვს, ამ სიტყვებმა პირველად საშინლად შემაძრწუნა. ოთახში ვეღარ გავჩერდი და ჩვენს გამოყინულ წინკარში გავვარდი, ფანჯრის რაფას დავეყრდნე, სახეზე ხელები ავიფარე და ავტირდი. მერე კი თანდათან

შევეჩვიე ამ საშინელ აზრს და, რადგან დიდხანს გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა არ შემეძლო, რადგან საჭირო იყო რაღაც ვარაუდზე შეჩერება, ჩემმა ფანტაზიამაც უეცრად მიშველა და აი, არ ვიცი როგორ მოხდა, იმ აზრამდე მივედი, რომ, როცა დედაჩემი მოკვდება, მე და მამა მივატოვებთ ჩვენს მოსაწყენ სახლს და ერთად წავალთ სადმე. მაგრამ სად? — უკანასკნელ წუთამდე არ მქონდა წარმოდგენილი, მახსოვს მხოლოდ, რამდენადაც კი შემეძლო ლამაზად ვრთავდი იმ ადგილს, სადაც მე და მამაჩემი ვაპირებდით წასვლას (მჯეროდა, რომ ჩვენ წავიდოდით და აუცილებლად ერთად). და რაც კი დიდებული, ბრწყინვალე და წარტმაცი გამაჩნდა ოცნებაში, არაფერს ვიშურებდი ამ ადგილის მოსართავად. მეგონა, ჩვენ მაშინვე გავმდიდრდებოდით, მე აღარ გამაგზავნიდნენ დუქანში, რაც ასე ძალიან მძულდა, რადგან გზაზე მეზობელი სახლის ბავშვები მაწვალებდნენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა რძე ან კარაქი მომქონდა. ვიცოდი, რძეს თუ დავღვრიდი, მკაცრად დამსჯიდნენ. მერე იმაზე ვოცნებობდი, რომ მამაჩემი შეიკერავდა ძვირფას ტანსაცმელს, დავბინავდებოდით ბრწყინვალე სახლში და აი, ახლა ამ წითელფარდებიანმა, მდიდრულმა სახლმა და ამ სახლთან ახლოს მამაჩემის შეხვედრამ, რომელიც ცდილობდა ჩემთვის რაღაც ეჩვენებინა, ხელი შეუწყო ჩემს ოცნებას და იმწამსვე წარმოვიდგინე, რომ ჩვენ სწორედ ამ სახლში გადავბარგდებოდით და აქ მუდმივ განცხრომასა და ბრწყინვალებაში ვიცხოვრებდით. აქედან მოყოლებული ამ საზღაპრო სახლს თვალს არ ვაშორებდი და დაძაბული ცნობისმოყვარეობით შევყურებდი ყოველ საღამოს. მაგონდებოდა ეტლები, მორთულ-მოკაზმული სტუმრები, რომელთა მსგავსი ჯერ არასოდეს მენახა, ჩამესმოდა ამ სახლის ფანჯრებიდან გადმოღვრილი მუსიკის წარმტაცი ხმები, ვაცქერდებოდი ადამიანთა ლანდებს, რომლებიც ამ ფანჯრების იქით გაიელვებდნენ ხოლმე და ვცდილობდი გამომეცნო, რა ხდებოდა ამ ფარდებს მიღმა და

მუდამ მეჩვენებოდა, რომ იქ იყო სამოთხე და მუდმივი დღესასწაული. შემჯავრდა ჩვენი ღარიბული სახლი, ძონძები, რომლებიც ჩემს სხეულს ფარავდნენ და ერთხელ, როცა ჩვეულებისამებრ ფანჯარაზე ვიყავ ასკუპებული და დედამ დამიყვირა ძირს ჩამოდიო, მაშინვე გავიფიქრე: დედას არ სიამოვნებს, როცა ამ სახლს ვუყურებ-მეთქი, არ უნდა, რომ ამ სახლზე ვფიქრობდე, არ სურს ჩვენი ბედნიერება და ახლაც ხელს მიშლის... მთელი საღამო დედას დაკვირვებითა და ეჭვით შევცქეროდი.

ნეტა როგორ შემეძლო ასეთი გულქვა ვყოფილიყავი ისეთი გატანჯული ადამიანის მიმართ, როგორიც დედაჩემი იყო. მხოლოდ ახლაღა მესმის მისი გაწამებული ცხოვრების ამბავი და გულისტკივილის გარეშე არ შემიძლია ვიფიქრო ამ ტანჯულ ადამიანზე. ჩემი ბავშვობის უცნაურსა და შავბნელ დროშიც კი, ჩემი ცხოვრების ასეთი არაჩვეულებრივი განვითარების პირველ წუთებშიც ხშირად მეკუმშებოდა გული ტკივილისა და ბრაზისაგან, — წუხილი, შეძრწუნება და ეჭვი მიფორიაქებდა სულს. სინდისი მქენჯნიდა და ხშირად იმიტომ ვიტანჯებოდი და ვეწამებოდი, რომ ვგრძნობდი ჩემს უსამართლობას დედაჩემისადმი, მაგრამ ჩვენ როგორღაც გავურბოდით ერთმანეთს და არ მახსოვს თუნდაც ერთხელ მაინც მივფერებოდი. ახლა კი ხშირად ყველაზე უმნიშვნელო მოგონებაც გულს მისერავს და მაძრწუნებს. მახსოვს ერთხელ (რაღა თქმა უნდა, რასაც მე ახლა მოგიყვებით სრულიად უმნიშვნელოა, წვრილმანი და იქნებ უხეშიც, მაგრამ სწორედ ასეთი მოგონებები მაწამებენ და ტკივილით აღიბეჭდნენ ჩემს მეხსიერებაში), — ერთხელ, საღამოჟამს, როცა მამა შინ არ იყო, დედამ გადაწყვიტა გავეგზავნე შაქრისა და ჩაის საყიდლად, მაგრამ ვიდრე გამაგზავნიდა, დიდხანს ფიქრობდა, ვარაუდობდა, ხმამაღლა ითვლიდა სპილენძის ფულს, რომელიც მთელ მის ავლადიდებას შეადგენდა. მგონი დაახლოებით ნახევარი საათი ითვლიდა, მაგრამ მაინც ვერ დაითვალა. ზოგჯერ, ალბათ მწუხარე-

ბის გამო, აზრი უწყდებოდა და ნათლად მახსოვს, რომ თავისთვის ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ისე, გეგონებოდათ სიტყვებს უფრთხილდებაო, ნელა, გამოზომილად, სახე ფერმკრთალი ჰქონდა, ხელები ჩვეულებისამებრ უთრთოდა, თავსაც აქნევდა, ასე იყო მაშინ, როცა თავისთვის მსჯელობდა.

— არა, არ გვინდა, — დაასკვნა მან ბოლოს და შემომხედა, — სჯობს დავწვეთ და დავიძინოთ, ჰა! ხომ გეძინება, ნეტოჩკა?...

ხმას არ ვიღებდი, დედამ თავი ამიწია და ისეთი ალერსით შემომხედა, ისეთი დედობრივი თბილი ღიმილით გაუნათდა სახე, რომ გულმა გამალებით დამიწყო ცემა, ისე რომ მეტკინა კიდეც. დედამ მე ნეტოჩკა დამიძახა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იმ წუთს ძალიან ვუყვარდი. ეს სახელი მისი შერქმეული იყო. ჩემი ნამდვილი სახელი ანა სიყვარულით გადააკეთა ნეტოჩკად და როცა ასე მეძახდა, ვიცოდი, მიალერსებდა. გული ამიჩუყდა, მინდოდა მოვხვეოდი, გულში ჩავკვროდი, მასთან ერთად ავტირებულიყავი. საწყალი დედა, დიდხანს მისვამდა თავზე ხელს, — იქნებ უნებურადაც, იქნებ დაავიწყდა კიდეც, რომ მეფერებოდა და თან მეუბნებოდა: „ჩემო პატარავ, ანეტა, ნეტოჩკა“! ცრემლი მომადგა, მაგრამ თავს ვიკავებდი. რატომღაც ვჯიუტობდი, ვმალავდი ჩემს გრძნობებს, თუმცა თვითონაც ვიტანჯებოდი, არ შეიძლებოდა ბუნებრივად მქონოდა ეს გულქვაობა, არ შეიძლებოდა დედაჩემს ავემხედრებინე თავის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ სასტიკად მექცეოდა. არა! მე გამაფუჭა მამაჩემისადმი თავდადებულმა, ფანტასტიკურმა სიყვარულმა. ხანდახან, ღამღამობით, კუთხეში თხელი საბნის ქვეშ მოკლე საფენზე მიწოლილი ვიღვიძებდი და მუდამ რაღაცის მეშინოდა. ძილ-ღვიძილში მაგონდებოდა, რომ არცთუ ისე დიდიხნის წინათ, როცა უფრო პატარა ვიყავი და დედაჩემის გვერდით მეძინა, ასე ძალიან არ მეშინოდა. საკმარისი იყო მივკვროდი დედას, თვალები მაგრად მომეხუჭა, ხელი მაგრად მომეხვია მისთვის და მაშინვე ჩამეძინებოდა. მე ვიგრძენი,

რომ არ შემეძლო მალულად მაინც არ მყვარებოდა დედა. მერე ისიც შევნიშნე, რომ სხვა ბავშვებიც იყვნენ გულქვანი, სიმახინჯემდე გულქვანი, მაგრამ თუ ვინმეს შეიყვარებდნენ, შეიყვარებდნენ მთელი გულით და მეც ასე დამემართა.

დროდადრო ჩვენს კუთხეში, როცა დედა და მამა ჩხუბით დაიღლებოდნენ, მთელი ერთი კვირის მანძილზე, სამარისებური სიჩუმე დაისადგურებდა. მაშინ მეც, მათ შორის, ძველებურად ვცხოვრობდი, ხმას არ ვიღებდი, ვფიქრობდი ჩემთვის, ვოცნებობდი რაღაც მიუწვდომელზე, ვნაღვლობდი, თვალს ვადევნებდი მშობლებს და ამოვხსენი მათი დამოკიდებულება. ჩავწვდი რაში იყო საქმე, რაშიც მდგომარეობდა მათი ფარული და მუდმივი მტრობა, მათი მწუხარება. გავარჩიე ბურუსი, რომელშიც გახვეული იყო მთელი მათი უთავბოლო ცხოვრება და რომელიც გამეფებული იყო ჩვენს კუთხეში. რაღა თქმა უნდა, ყოველივე ამას მივხვდი ყოველგვარი კვლევისა და მიზეზთა ამოხსნის გარეშე, მივხვდი იმდენად, რამდენადაც მოვახერხე. ხშირად ზამთრის გრძელ საღამოებში ოთახის რომელიმე კუთხეში მიმჯდარი ხარბად ვაცქერდებოდი მათ. ვაკვირდებოდი მამაჩემის სახეს და ვცდილობდი ამომეხსნა რაზე ფიქრობდა, რა იზიდავდა, მაოცებდა დედაც. ხშირად მაშინებდა კიდეც. ის შეუჩერებლად მიმოდიოდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში და არ იღლებოდა. ხშირად ღამითაც დგებოდა, ეს მაშინ, როცა უძილობა აწუხებდა, რომელიც ასე ძალიან სტანჯავდა. დადიოდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა, თითქოს მარტო ყოფილიყოს. ხანდახან ხელებსაც შლიდა, ხან გულხელს დაიკრეფდა, ხან რაღაცნაირი უსაზღვრო ნაღველით შეპყრობილი, თითებს იმტვრევდა, ხანდახან ცრემლიც კი ჩამოუგორდებოდა ლოყაზე, მაგრამ ამას თვითონ ვერ ამჩნევდა, რადგან დროდადრო უგრძნობ მდგომარეობაში იყო, რაღაც მძიმე ავადმყოფობა აწუხებდა, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამას.

მახსოვს თანდათან, სულ უფრო და უფრო მიძნელდებოდა მარტოობა და სიჩუმე, რომლის დარღვევას ვერ ვბედავდი. უკვე მთელი წელი იყო, რაც შეგნებული ცხოვრებით ვცხოვრობდი, ვფიქრობდი, ვოცნებობდი, ჩუმჩუმად ვიტანჯებოდი, მტანჯავდნენ უხილავი, გაურკვეველი მისწრაფებები, წამით რომ გამიელვებდნენ. ველურს დავემსგავსე. პირველად მამამ შემნიშნა ეს, დამიძახა და მკითხა, ასე დაჟინებით რად მიცქერო, არ მახსოვს რა ვუპასუხე, ის კი ვიცი, რომ რაღაცაზე დაფიქრდა, ბოლოს შემომხედა და მითხრა: ხვალ ანბანს მოგიტან და კითხვას გასწავლიო. მოუთმენლად ველოდი ანბანს, მთელი ღამე ოცნებებში გავატარე, თუმცა გარკვევით არ ვიცოდი რას ნიშნავდა ანბანი. მეორე დღეს მართლაც დაიწყო მამამ ჩემთან მეცადინეობა. ორიოდე სიტყვით გავიგე რასაც მოითხოვდნენ ჩემგან და სწრაფად შევითვისე ყველაფერი, ვიცოდი, ამით ვასიამოვნებდი მამას. ეს იყო ჩემი მაშინდელი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა, როცა მამა მაქებდა, მიხვედრილობას მიწონებდა, მერე თავზე გადამისვამდა ხელს და მაკოცებდა, მაშინვე სიხარულის ცრემლები მდიოდა. მამამ თანდათან შემიყვარა და მეც უფრო გავთამამდი. ხშირად საათობით ველაპარაკობდი და არ ვიღლებოდი, თუმცა ბევრი რამ არ მესმოდა მისი ნათქვამიდან. ხანდახან შიში ამიტანდა ხოლმე მოწყენილი არ მოვეჩვენო-მეთქი და მაშინ რაც კი ძალი და ღონე მქონდა ვცდილობდი მეგრძნობინებინა, რომ ყველაფერი კარგად გავიგე. ბოლოს მამაჩემს ჩვეულებად გადაექცა ჩემთან მეცადინეობა. საღამოს შინ დაბრუნდებოდა თუ არა მაშინვე მივაკითხავდი ჩემი ანბანით და ისიც თავის წინ დამსვავდა მერხზე. მეცადინეობის შემდეგ რაღაც წიგნს მიკითხავდა; თუმცა ბევრი არაფერი გამეგებოდა წაკითხულიდან. მაინც გაუთავებლად ვიცინოდი, ვფიქრობდი ამით ვასიამოვნებ მეთქი და მართლაც ვხედავდი, რომ ძალიან უხაროდა, როცა მე ვიცინოდი. ერთხელ გაკვეთილების შემდეგ ზღაპარი მიამბო. ჩემს ცხოვრებაში ეს იყო

პირველი ზღაპარი, რომელიც მე მოვისმინე. მონუსხული ვიჯექი, გაფაციცებით ვუგდები ყურს მის მონაყოლს და სადღაც უხილავ სამყაროში დავფრინავდი. როცა მოყოლა დაამთავრა, უსაზღვროდ აღფრთოვანებული დავრჩი იმიტომ კი არა, რომ ამბავმა გამიტაცა — არა, იმიტომ, რომ მე ყველაფერი სინამდვილედ მივიღე, ჩემს ფანტაზიას გასაქანი მივეცი და უცებ ოცნება და სინამდვილე ერთმანეთში აირია, უცებ დამიდგა თვალწინ წითელფარდებიანი სახლი და არ ვიცი როგორ მოხდა ეს, მაგრამ ამ ამბის მომყოლი მამა, ამავე ამბის მოქმედ გმირად დავსახე, დედაჩემიც, რომელიც ხელს გვიშლიდა წავსულიყავით სადღაც, მაგრამ სად? ვერ გეტყოდით. და ბოლოს, ჩემი თავიც, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, უპირველეს ყოვლისა ჩემი თავი, რომელიც სავსე მქონდა ფანტასტიკური ოცნებებით და რაღაც წარმოუდგენელი მოჩვენებებით. და ყველაფერი ეს ისე აირ-დაირია ერთმანეთში, რომ სულ ცოტა ხანში ჩემს თავში წარმოუდგენელი ქაოსი გამეფდა. მე რამდენიმე ხნით სავსებით დავკარგე ტაქტიცა და სინამდვილისადმი ყოველგვარი შეგრძნებაც, აღარ ვიცოდი სად ვიმყოფებოდი. მოუთმენლობისაგან ვიწვოდი, მინდოდა მამაჩემისათვის მეკითხა: რა გველის მომავალში, რა გელის შენ, სად წამიყვან, როცა ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, დავაპირებთ ამ სახლის მიტოვებას-მეთქი. ჩემი მხრივ მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი ეს როგორღაც მალე უნდა მომხდარიყო. მაგრამ როგორ, რა სახით მოხდებოდა, არ ვიცოდი და ამაზე ფიქრით დაუსრულებლად ვეწამებოდი. ხანდახან — უფრო ხშირად საღამოობით — მეჩვენებოდა, რომ მამა საცაა ქურდულად თვალს ჩამიკრავს და წინკარში გამიხმობს. მე გასვლისას დედაჩემის ჩუმად წავიმძღვარებ ანბანს და სრულიად უვარგის ლითოგრაფიულ სურათს, რომელიც უხსოვარი დროიდან უჩარჩოოდ ეკიდა კედელზე და რომლის წაღებაც მე აუცილებლად მქონდა გადაწყვეტილი. მერე ჩვენ დედაჩემის ჩუმად გავიქცევით სად-

მე და აღარასოდეს დავბრუნდებით დედასთან. ერთხელ, როცა დედა შინ არ იყო, ხოლო მამა განსაკუთრებულად მხიარულად გრძნობდა თავს, — ეს კი მაშინ ხდებოდა, როცა ოდნავ გადაკრულში იყო — დრო შევარჩიე და მივუახლოვდი, ლაპარაკი დავუწყე იმ იმედით, რომ მალე საუბარს ჩემთვის სანუკვარ თემაზე ჩამოვაგდებ-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, გავაცინე, ხელი მაგრად მოვხვიე და შიშითა და გულისფანცქალით, თითქოს რაღაც უსაშველოდ დიდი საიდუმლოს განდობას ვუპირებდი, არეულ-დარეულად დავუწყე იმის გამოკითხვა, თუ სად წავალთ? მალე წავალთ თუ არა? რას წავიღებთ თან? როგორ ვიცხოვრებთ? და ბოლოს, წავალთ თუ არა იმ წითელფარდებიან სახლში?

— წითელფარდებიან სახლშიო? რაო, რა თქვი? რას ბოდავ, შე უბედურო, შენა.

მე წეღანდელზე უფრო შემეშინდა და ახსნა დავუწყე, რომ დედაჩემის სიკვდილის შემდეგ ჩვენ აქ, სხვენზე აღარ ვიცხოვრებთ, რომ ის წამიყვანს სადღაც და ჩვენ ბედნიერები და მდიდრები ვიქნებით. დაბოლოს, ვარწმუნებდი, რომ ყველაფერ ამას შენ თვითონ შემპირდი-მეთქი და რწმუნებისას სავსებით მჯეროდა, რომ მამა ნამდვილად შემპირდა. დიახ, მჯეროდა.

— დედა? მოკვდა? როდესაც დედა მოკვდება? — იმეორებდა ის და შეჭაღარავებულ, შეჭმუხვნილ სქელ წარბებს ქვეშიდან გაკვირვებული და ოდნავ სახეშეცვლილი შემომცქეროდა, — რაებს ბოდავ, შე საცოდავო, შე უგუნურო შენა... — და დამიწყო ლანძღვა. დიდხანს მარწმუნებდა, რომ მე სულელი ბავშვი ვარ, რომ ამ ქვეყნისა არაფერი გამეგება. აღარ მახსოვს კიდევ რაებს მეუბნებოდა, მაგრამ ძალზე გულნატკენი კი იყო.

ვერც ერთი სიტყვა ვერ გავიგე მისი საყვედურებიდან. ვერც იმას მივხვდი, თუ რაოდენ მძიმე იყო მისთვის, როცა გაიგო, რომ მის მიერ დედაჩემის მისამართით ნაღველნარევი ბრაზით ნათქვამ სიტყვებს ყური მოვკარი, დავიმახსოვრე და მერე კარგახან

ვფიქრობდი მათზე. რანაირი ხასიათიც არ უნდა ჰქონოდა მამაჩემს იმხანად, როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო მისი სიგიჟე, არ შეიძლებოდა ყოველივე ამას არ შეეძრწუნებინა იგი და თუმცა სრულიად ვერ მივხვდი რაზე იყო ნაწყენი, საშინელმა ნაღველმა შემიპყრო, გავმწარდი და ავტირდი კიდეც. ვიფიქრე, ალბათ, ყველაფერი, რაც მომავალში უნდა მოხდეს, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მე, სულელ ბავშვს, არა მაქვს უფლება ამაზე ვიფიქრო და ვილაპარაკო-მეთქი. გარდა ამისა, მართალია თავდაპირველად ვერ მივხვდი, მაგრამ ბოლოს ბუნდოვნად ვიგრძენი, რომ მე დედას ვაწყენინე და შიშმა და ძრწოლამ ამიტანა, ეჭვმა შემიპყრო, მამაჩემმა შემნიშნა, რომ ძალიან ვიტანჯებოდი და დაწყნარება დამიწყო, ცრემლი სახელოთი მომწმინდა. ნუღარ ტირიხარო, მითხრა, რამდენიმე ხანს ჩუმად ვისხედით. მამა დაბღვერილი იჯდა, რაღაცაზე ფიქრობდა, მერე ისევ ალაპარაკდა და მიუხედავად იმისა, რომ გულისყურით ვუსმენდი, ვერაფერი გავიგე. მხოლოდ რამდენიმე სიტყვიდან, რომლებიც დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში, მივხვდი, რომ თავის ვინაობას მაცნობდა. მეუბნებოდა, რომ ის დიდი მსახიობია, ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული, მაგრამ ვერ გაუგეს. მახსოვს მკითხა: გაიგე თუ არა, რაც გითხარიო და, როცა რაღა თქმა უნდა, დასტური მივეცი, გამამეორებინა, ხომ ვარ ნიჭიერიო, მე ვუპასუხე ნიჭიერი ხარ-მეთქი, მამას ჩაეცინა, ალბათ, ბოლოს თვითონაც მიხვდა, რომ ასეთ სერიოზულ საკითხზე სასაცილო იყო ჩემთან ლაპარაკი. საუბარი კარლ ფიოდორიჩის მოსვლამ შეგვაწყვეტინა. მე გავიცინე და სავსებით გავმხიარულდი, როცა მამამ კარლ ფიოდორიჩზე მიმითითა და მითხრა:

— აი, მაგას კი ნიჭის ნატამალი არ გააჩნიაო.

ეს კარლ ფიოდორიჩი მეტად საინტერესო კაცი გახლდათ. იმ ხანად ძალზე იშვიათად ვხვდებოდი ადამიანებს და კარლ ფიოდორიჩის დავიწყება ვერ შევძელი. დღევანდელი დღესავით

მახსოვს იგი. წარმოშობით გერმანელი იყო, გვარად მეიერი. გერმანიიდან პეტერბურგის საბალეტო დასში მოწყობის უსაზღვროდ დიდმა სურვილმა წამოიყვანა, მაგრამ ძალზე ცუდი მოცეკვავე გახლდათ და ფიგურანტადაც კი არ მიიღეს. სამაგიეროდ თეატრში გამოდიოდა, სადაც უენო როლებს ასრულებდა — ეს იქნებოდა ფორტინბრასის ამალაში, თუ ვერონის ერთ-ერთი იმ რაინდის როლში, რომელიც ოც კაცთან ერთად, მუყაოს ხმლით ხელში, გაჰყვიროდა: მოვკვდები მეფისათვისო და მაინც ალბათ, დედამიწის ზურგზე მსახიობი არ მოიძებნებოდა, რომელსაც ასე ძალიან ჰყვარებოდა თავისი როლი. ყველაზე დიდი უბედურება მისთვის ის იყო, რომ ბალეტში არ მიიღეს. საბალეტო ხელოვნებას ყველაფერზე მაღლა აყენებდა, ისიც ისე იყო შეყვარებული ბალეტზე, როგორც მამაჩემი ვიოლინოზე. მამაჩემი და ის ჯერ კიდევ თეატრში შეხვდნენ ერთმანეთს და იქვე დაახლოვდნენ. ამ დღიდან მოყოლებული ერთი წუთითაც აღარ მოშორებია ყოფილი ფიგურანტი მამაჩემს. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ერთად დასტიროდნენ თავიანთ მწარე ხვედრს, რომ ადამიანებმა არ აღიარეს მათი ნიჭი. გერმანელი ყველაზე მგრძნობიარე და კეთილი ადამიანი იყო დედამიწის ზურგზე. მამაჩემთან წმინდა და უანგარო მეგობრობა აკავშირებდა. სამაგიეროდ მამაჩემს, ვგონებ, არავითარი განსაკუთრებული სიყვარული არ ჰქონდა მისი და ნაცნობთა შორის იტანდა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა უკეთესი არავინ ეგულებოდა. უფრო მეტსაც გეტყვით, თავისი ახირებული ხასიათის გამო, საბალეტო ხელოვნებას მამაჩემი არ თვლიდა ხელოვნებად და ხშირად ცრემლებამდე მიჰყავდა საცოდავი გერმანელი. მან კარგად იცოდა გერმანელის სუსტი ხასიათი და ყოველთვის დასცინოდა, შეურაცხყოფდა, როცა მოთმინებიდან გამოსული გერმანელი, მის მიერ ნათქვამის საწინააღმდეგოს მტკიცებას შეეცდებოდა. უფრო მოგვიანებით ბევრი რამ გავიგე კარლ ფიოდორიჩზე ბ-საგან, რომელიც მას ტკაცუნას ეძახ-

და. ბევრი რამ მიამბო მან მამაჩემისა და კარლ ფიოდორიჩის მეგობრობაზე. ხშირად ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს, ცოტას გადაჰკრავდნენ და მერე ერთად დასტიროდნენ თავიანთ ბედს და იმას, რომ შეუცნობნი დარჩნენ. ეს შეხვედრები მეც მახსოვს. შევცქეროდი ამ ორ უცნაურ ადამიანს და მათთან ერთად მეც ვფშლუკუნებდი, მხოლოდ რაზე, ვერ გეტყვით. ეს მაშინ, როცა დედა შინ არ იყო, თორემ გერმანელს საოცრად ეშინოდა დედაჩემის. ჩვენთან მოსვლისას, ჯერ წინკარში გაჩერდებოდა, დაელოდებოდა ვინმეს გამოსვლას, თუ გაიგებდა დედა შინ იყო, მაშინვე უკან გაბრუნდებოდა. თან ყოველთვის რაღაც გერმანული ლექსები მოჰქონდა და ხმამაღლა გვიკითხავდა, კითხულობდა აღგზნებით, გამოთქმით, მერე დამტვრეული რუსულით გვითარგმნიდა, რომ უკეთ გაგვეგო. მამას ძალიან ამხიარულებდა ეს, მეც გულიანად ვიცინოდი ისე, რომ ცრემლებიც კი მცვივოდა თვალებიდან. ერთხელ მამამ და კარლ ფიოდორიჩმა რაღაც რუსული თხზულება მოიტანეს, ამ თხზულებამ ისე აღაგზნო ისინი, რომ შემდეგ, როგორც კი შეიყრებოდნენ მუდამ ამ თხზულებას კითხულობდნენ. ეს იყო რაღაც დრამა დაწერილი ლექსად, ვიღაც ცნობილი რუსი მთხზველის მიერ. ამ თხზულების პირველი სტრიქონები კარგად დამამახსოვრდა, იმდენად კარგად, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც შემთხვევით ხელში ჩამივარდა, მაშინვე ვიცანი. აქ აღწერილი იყო ერთი დიდი მხატვრის ჯენაროს, თუ ჯაკობოს უბედურების ამბავი, როდესაც ჯაკობო ერთ გვერდზე გაჰყვიროდა: შეუცნობი დავრჩიო, მეორეზე ამბობდა: შემიცნესო, ანდა ამბობდა უნიჭო ვარო, ორიოდე პწკარის შემდეგ გაიძახოდა: — ნიჭიერი ვარო, ყველაფერი ეს ძალზე სასაცილოდ მთავრდებოდა. რაღა თქმა უნდა, ეს თხზულება მაინცდამაინც დიდს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ დახეთ სასწაულს: ამ ორ მკითხველზე მეტად ტრაგიკული და გულუბრყვილო ზეგავლენა მოახდინა, რადგან ისინი ბევრ საერთოს ჰპოვებდნენ ამ თხზულების

გმირთან. მახსოვს, კარლ ფიოდორიჩი ხანდახან ისე აღიგზნებოდა, რომ ადგილიდან წამოხტებოდა, ოთახის მოპირდაპირე კუთხეში გაიქცეოდა და იქიდან მე და მამაჩემს, მე ის „მადმუაზელს“ მეძახდა, დაჟინებით, ჯიუტად, თვალზე ცრემლმომდგარი გვთხოვდა, აქვე ამ წუთსვე გამასამართლეთ ხალხისა და საკუთარი ბედის წინაშეო და მაშინვე ცეკვას იწყებდა. აკეთებდა სხვადასხვა ილეთებს, ყვიროდა — მითხარით ჩქარა, ვინა ვარ მე, ვარ თუ არა, ბოლოს და ბოლოს, მსახიობი, განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ მე ნიჭიერი ვარო! მამა უცებ გამხიარულდებოდა, ჩუმჩუმად თვალს ჩამიკრავდა იმის ნიშნად, რომ მოიცა ახლა ბევრს ვიცინებთო და მეც ერთი სული მქონდა, ვიდრე გულიანად გადავიხარხარებდი, მაგრამ მამა ამ დროს თითით მემუქრებოდა და შეკავებული სიცილისაგან ვიგუდებოდი. ახლაც კი მეცინება, როცა ეს ამბავი მაგონდება. დღესაც ნათლად მახსოვს კარლ ფიოდორიჩი — ჯუჯა ტანის კაცი იყო, ჭაღარა, ძალზე გამხდარი, თამბაქოთი მოთხვრილი კეხიანი წითელი ცხვირი ჰქონდა. ფეხები მახინჯი, მოღუნული, მაგრამ ამით თითქოს ამაყობდა კიდეც, ძალზე ვიწრო შარვალს ატარებდა. როცა უკანასკნელ ილეთზე შეჩერდებოდა, ჩვენკენ გამოიშვერდა ხელს და გაგვიღიმებდა ისე, როგორც ცეკვის დამთავრების შემდეგ მსახიობები იღიმებიან ხოლმე სცენაზე. მამა ერთ ხანს ხმას არ იღებდა, თითქოს ვერ გაებედა მსჯავრის დადება, მაგრამ სინამდვილეში, განგებ ტოვებდა ასე ცალ ფეხზე უსახელო მსახიობს, რომელიც მთელი ძალით ცდილობდა წონასწორობის დაცვას, მაგრამ თავს ვერ იკავებდა და ქანაობდა, ბოლოს მამაჩემი გადმომხედავდა, თვალით მანიშნებდა, აგერ ახლავე გაჩვენებ, რასაც ნიშნავს პირუთვნელი მსჯავრიო. ამასობაში მოცეკვავეც მუდარით, დარცხვენილი მიყურებდა.

— არა, კარლ ფიოდორიჩ, ვერ აამებ კაცს, ვერა, — ამბობდა ბოლოს მამა ისე, თითქოს უჭირდა ამ მწარე სინამდვილის ასე აშ-

კარად გამოთქმა. კარლ ფიოდორიჩს ოხვრა აღმოხდებოდა, მაგრამ თავს იმხნევებდა, აჩქარებული მოძრაობით ისევ გვთხოვდა ყურადღებას, ისევ გაიძახოდა, მსჯავრი დამდეთო, ახლა სულ სხვაგვარად ვიცეკვებო და კვლავ გარბოდა ოთახის მეორე კუთხეში, ზოგჯერ ისე მაგრად შეხტებოდა, რომ ჭერს აარტყამდა თავს, მაგრამ გმირულად იტანდა ტკივილს. ილეთს იმეორებდა, იღიმებოდა, ხელებს ჩვენკენ იშვერდა, მსჯავრის დადებას გვთხოვდა, მამაჩემი შეუბრალებელი იყო და ისევ კუშტად ეუბნებოდა.

— არა, კარლ ფიოდორიჩ, ვერ აამებ კაცს, ვერა, როგორც ჩანს ასეთია შენი ბედი.

ამის მოთმენა უკვე აღარ შემეძლო და გულიანად ვხარხარებდი. ჩემი შემხედვარე მამაჩემიც იცინოდა. მაშინ კი კარლ ფიოდორიჩი ხვდებოდა დამცინიანო და ბრაზისაგან წამოწითლებული და თვალცრემლიანი, ღრმა, მაგრამ რაღაცნაირი სასაცილო გრძნობით, რომლის მოგონებაც ამ საცოდავისადმი შემდეგშიც სიბრალულს იწვევდა ჩემში, ეუბნებოდა მამას:

— მუხთალი ხარ, მეგობარო, მუხთალი!

მერე ქუდს დასტაცებდა ხელს და გარბოდა. გზადაგზა ფიცს სდებდა, აღარასოდეს მოვალო თქვენთან, მაგრამ ასეთი უსიამოვნებანი ხანმოკლე ხასიათს ატარებდა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მოვიდოდა, ისევ იწყებდნენ შესანიშნავი დრამის კითხვას, ისევ იღვრებოდა ცრემლები და ბოლოს გულუბრყვილო კარლ ფიოდორიჩი კვლავ გვთხოვდა ყურადღებას, მსჯავრის დადებას, ოღონდ ახლა სერიოზულად, ისე როგორც ნამდვილ მეგობრებს შეეფერებათ, დაცინვის გარეშე.

ერთხელ დედამ რაღაცის საყიდლად დუქანში გამაგზავნა. უკან დაბრუნებისას ვერცხლის მანეთიანი, რომელიც მედუქნემ ხურდაში დამიბრუნა, ფრთხილად მეჭირა. კიბეზე მამაჩემი შემომხვდა. ეზოდან გამოდიოდა, გავუცინე, სხვაგვარად არ შემეძ-

ლო, მის დანახვაზე ყოველთვის გრძნობა მერეოდა. მომიახლოვდა, ჩემკენ დაიხარა საკოცნელად, ჩემს ხელში ვერცხლის მანეთიანი შენიშნა... დამავიწყდა მეთქვა, რომ მამაჩემის გამოხედვას იმდენად შევეჩვიე, რომ საკმარისი იყო მისი ერთი შემოხედვა და ყველა მის სურვილს მაშინვე ამოვიცნობდი. როცა მოწყენილი იყო, მეც ნაღველი მიპყრობდა, უფრო ხშირად მაშინ იყო მოწყენილი, როცა უკანასკნელი გროში შემოეხარჯებოდა და ღვინის შესაძენად, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეეძლო, ფული არ ჰქონდა. მაგრამ იმ წუთს, როდესაც მე მას კიბეზე შევხვდი, მომეჩვენა, რომ რაღაც განსაკუთრებული აწუხებდა... დაბინდულ თვალებს უაზროდ აცეცებდა. პირველად ვერც კი მიცნო, ჩემს ხელში ბრჭყვიალა მანეთიანი როცა შენიშნა, ერთბაშად გაწითლდა, მერე გაფითრდა. როგორც ჩანს, მასში რაღაც შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობდა. ბოლოს, თითქოს სძლია თავს. მიბრძანა, ზევით ადიო, თვითონ რამდენიმე საფეხურით ქვევით ჩავიდა, მაგრამ უცებ შეჩერდა კიბეზე და სასწრაფოდ დამიძახა:

— ნეტოჩკა, მომისმინე, — ძალზე დარცხვენილი ჩანდა, — მომეცი ეგ ფული, ისევ დაგიბრუნებ. რაო? ხომ მისცემ შენს მამიკოს? შენ ხომ კეთილი გოგო ხარ, ნეტოჩკა?

თითქოს წინასწარ ვგრძნობდი ამას, მაგრამ როდესაც დედაჩემის სახე წარმოვიდგინე, წარმოვიდგინე როგორ დამტუქსავდა, მაშინვე უკან დავიხიე. უფრო კი საკუთარი თავისა და მამაჩემისადმი აღძრული სირცხვილის გრძნობამ შემაჩერა. მამაჩემმა შემნიშნა და მაშინვე მითხრა:

— კარგი, არ მინდა, არ მინდა!....

— არა, მამა, წაიღე, ვეტყვი, დამეკარგა-მეთქი, თუ არადა ვეტყვი, მეზობლის ბიჭებმა წამართვეს-მეთქი.

— მაშ, კარგი. განა არ ვიცოდი, შენ ჭკვიანი გოგო ხარ, — მითხრა ღიმილნარევი მთრთოლარე ტუჩებით და რადგან ფული უკვე ხელთ ჰქონდა, სიხარულის დამალვას აღარ ცდილობდა. — შენ

კეთილი გოგო ხარ, ნეტოჩკა, ნამდვილი ანგელოზი, მოდი ხელზე გაკოცო!

და მან ხელზე კოცნა დამიპირა, მე სწრაფად გამოვგლიჯე ხელი, რაღაცნაირი სირცხვილისა და სიბრალულის გრძნობა დამეუფლა, უცნაურმა შიშმა ამიტანა, არ გამოვმშვიდობებივარ ისე გავიქეცი ზევით. როცა ოთახში შევედი, ლოყები მიხურდა, გული მანამდე შეუცნობი გრძნობითა და ნაღველით მიცემდა, დედას მაინც გაბედულად ვუთხარი, ფული თოვლში ჩამივარდა და ვეღარ ვიპოვე-მეთქი. მეგონა, ერთი მაგრად მცემდა, მაგრამ არ ვუცემივარ. პირველად გაცეცხლდა, ალბათ სინანულისაგან, ჩვენ ხომ ძალიან ღარიბები ვიყავით, დამიყვირა, მაგრამ უცებ მოეგო გონს, თავი შეიკავა, მხოლოდ ეს კი მითხრა: მოუხერხებელი ხარ, დაუდევარი, დედა რომ გიყვარდეს, ასე არ მოექცეოდი მის ქონებასო. ამას ცემა მერჩია. დედაჩემმა კარგად იცოდა ეს. იცოდა ჩემი მგრძნობიარე გულის ამბავი, ხშირად ავადმყოფურ გაღიზიანებამდე რომ მივყავდი და უნდოდა ამ მწარე საყვედურით ემოქმედა ჩემზე, რომ მომავალში უფრო გავფრთხილებულიყავი.

დაბინდებისას, მამაჩემის მოსვლის დროისთვის, მე ყოველთვის წინკარში გავდიოდი და იქ ველოდი. ამჯერად განსაკუთრებით ვღელავდი. ალბათ, სინდისი მქენჯნიდა. ბოლოს მოვიდა მამაჩემი, ძალიან გამიხარდა მისი მოსვლა, ვიმედოვნებდი, რომ მდგომარეობა შემიმსუბუქდებოდა. ნასვამი იყო: დამინახა თუ არა მაშინვე დარცხვენილი და იდუმალი სახით შემომხედა. კუთხეში გამიხმო, კარს შიშით მიაჩერდა, ჯიბიდან თაფლის კვერი ამოიღო და ჩურჩულით მითხრა: დედის დაუკითხავად ფული არასოდეს აღარ აიღოო, ძალიან ცუდი საქმეა, ძალიან ცუდი, სირცხვილია, დღეს გადაუდებელი საქმისთვის დამჭირდა და იმიტომ გამოგართვი, თორემ... როცა დაგიბრუნებ მაშინვე მიუტანე დედას და უთხარი ვიპოვე-თქო. საერთოდ კი დაუკითხავად ფულის აღება არ შეიძლება. არასოდეს აღარ აიღო. თუ სხვა დროსაც ასე-

თი გამგონე იქნები, კვლავაც გიყიდი თაფლის კვერებს. ბოლოს ისიც კი დასძინა: დედა ცოდოა, ავადმყოფი ქალია, უბედური. დღე და ღამეს ასწორებს, ჩვენთვის შრომობს. მე შიშით შევყურებდი, გაოგნებული ვიყავი, მთელი სხეულით ვთრთოდი, ვტიროდი. სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდი, ადგილიდან ვერ ვიძროდი. ბოლოს, მამაჩემი ოთახში შევიდა, მიბრძანა არ იტიროო, დედას არაფერი უთხრაო. შევნიშნე, რომ თვითონაც შეცბუნებული იყო. მთელი საღამო დავიტანჯე. პირველი შემთხვევა იყო, რომ მამაჩემის შეხედვა მიმძიმდა, ახლოს მისვლას ვერ ვბედავდი, როგორც ჩანს, ისიც გაურბოდა ჩემს შემოხედვას. დედა ბოლთას სცემდა. თავისთვის ლაპარაკობდა, ასე იცოდა, როცა ცნობიერებას ჰკარგავდა, დღეს ჩვეულებრივზე ცუდად გრძნობდა თავს, შეტევა დაეწყო. ბოლოს შინაგანი მღელვარებისაგან მეც ციებ-ცხელებამ ამიტანა. ღამით ძილი არ მომეკარა, ავადმყოფურმა სიზმრებმა გამაწამეს. ამდენ ტანჯვას ვეღარ გავუძელი და მწარედ ავტირდი. ჩემს ქვითინზე დედას გაეღვიძა, გამომეხმაურა, მკითხა რა მოგივიდაო, ხმა არ გავეცი, მაგრამ გული უფრო ამიჩუყდა. მაშინ სანთელი აანთო, მომიახლოვდა, დაწყნარება დამიწყო, იფიქრა, ძილში შეაშინა, ალბათ რამემო. „აი, შე სულელო! ამოდენა გოგო ხარ და სიზმრებისა კი გეშინია. კარგი, გეყოფა!“ — მაკოცა — ჩემთან წამოდი და იქ დაიძინეო, — მითხრა, — მე არ მინდოდა წასვლა, არ შემეძლო, ვერ გავბედავდი მის მოხვევნას. საშინლად ვიტანჯებოდი, მზად ვიყავი ყველაფერი მეთქვა, დავაპირე კიდეც, მაგრამ მამა გამახსენდა, დედასთან არაფერი წამოგცდესო რომ მითხრა და გავჩუმდი. „საწყალი ნეტოჩკა, — მეუბნებოდა დედა, როცა ლოგინში მაწვენდა და თავის ძველ სალოფში მფუთნიდა, რადგან ხედავდა, რომ ციებცხელებიანივით ვცახცახებდი. ალბათ, შენც ჩემსავით ავადმყოფი გამოხვალ, მითხრა და ისე ნაღვლიანად შემომხედა, რომ ვეღარ გავუძელი და თვალი დავხუჭე, თავი გვერდზე მივაბრუნე. არ მახსოვს როდის ჩამეძინა,

მაგრამ ძილღვიძილში კიდევ დიდხანს ჩამესმოდა ნაცნობი სიტ-ყვები. არასოდეს მიგრძვნია ამაზე უფრო დიდი ტანჯვა; გული ისე შემეკუმშა, რომ მეტკინა კიდეც. მეორე დილით უკეთ ვიგრძენი თავი. მამას გამოველაპარაკე, მაგრამ გუშინდელი ამბავი არ მიხსენებია, წინასწარ ვგრძნობდი, რომ ამით ვასიამოვნებდი. მართლაც, მაშინვე გამხიარულდა, თუმცა ადრე თვითონაც დაბ-ღვერილი მიყურებდა. ახლა კი ჩემმა მხიარულმა განწყობილე-ბამ მასაც რაღაცნაირი სიხარული მოჰგვარა, თითქმის ბავშვური კმაყოფილება აღებეჭდა სახეზე. მალე დედა სადღაც წავიდა და მამა თავის შეკავებას აღარ ცდილობდა. მკოცნიდა. მკოცნიდა ისე, რომ რაღაცნაირმა ისტერიულმა აღტაცებამ შემიპყრო. ვიცი-ნოდი და ვტიროდი ერთსადაიმავე დროს. ბოლოს მითხრა: რა-ღაც მინდა გაჩვენოო, ძალიან კარგი რამეა, ძალიან გაგეხარდე-ბაო. გაჩვენებ, რადგან ძალიან ჭკვიანი და კეთილი გოგო ხარო. ჟილეტი გაიხსნა, შავ ზონარზე გამობმული, ყელზე ჩამოკიდებუ-ლი გასაღები ამოიღო, იდუმალი სახით შემომხედა, თითქოს უნ-დოდა, რომ ჩემს თვალებში ამოეკითხა კმაყოფილება, რომე-ლიც, მისი აზრით, უნდა აღმბეჭდვოდა. სკივრი გააღო. იქიდან დიდი სიფრთხილით ამოიღო რაღაცნაირი უცნაური ფორმის შავი ყუთი, რომელიც დღემდე არასოდეს მენახა. დიდის მოკრძალე-ბით შეახო ხელი, სახეზე აღბეჭდილი ღიმილი მოზეიმე იერმა შე-უცვალა. პაწია გასაღებით ეს საიდუმლო ყუთიც გააღო და იქიდან რაღაც ძალზე უცნაური ფორმის ნივთი ამოიღო, მე არც ეს ნივთი მქონდა ნანახი ადრე. მოწიწებითა და დიდის სიფრთხილით შე-ახო ხელი. ჩემი ინსტრუმენტიაო, მითხრა, ვიოლინოო. მერე, ჩუ-მი მოზეიმე ხმით, ძალზე ბევრ ლაპარაკს მოჰყვა. არ მესმოდა რას ამბობდა, მაგრამ ადრევე გაგონილი სიტყვები შევიცანი. ისი-ნი დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში. მახსოვს მეუბნებოდა, რომ ის ნიჭიერი მსახიობია, რომ ოდესმე ისიც დაუკრავს ვიოლინოზე და ჩვენ ყველანი გავმდიდრდებით, ყველას დიდი ბედნიერება გვეწ-

ვევა. ბოლოს თვალზე მომდგარი ცრემლი ლოყაზე ჩამოუგორდა. გული ამიჩუყდა, ვიოლინოს აკოცა, მეც მაკოცნინა, ხოლო როცა შენიშნა, რომ ვიოლინოს ახლოს დათვალიერება მინდოდა, დედაჩემის საწოლთან მიმიყვანა, ვიოლინო ხელში მომცა, მაგრამ მაშინვე ვიგრძენი როგორ აუთრთოლდა ხელები შიშისაგან, ვაი რომ უეცრად გამტეხოდა. მე ხელი მოვკიდე ვიოლინოს, მერე სიმებს შევეხე და სუსტი ხმა გაისმა.

— ეს მუსიკაა! — ვთქვი და მამას შევხედე.

— დიახ, დიახ, მუსიკაა! — გაიმეორა მამამ მხიარულად და ხელების სრესას მოჰყვა. — შენ ჭკვიანი და კეთილი გოგო ხარ, — მითხრა და მიუხედავად ქებისა და იმ აღტაცებისა, რომელიც სახეზე აღბეჭდვოდა, შევნიშნე როგორი შიშით მიცქეროდა, მეც შიშმა ამიტანა. ვიოლინო მაშინვე უკან დავუბრუნე და ისეთივე სიფრთხილით შეინახა, როგორი სიფრთხილითაც ამოიღო. ყუთი დაკეტა, სკივრში ჩადო. მერე ისევ მომეფერა, თავზე ხელი გადამისვა. კვლავ გიჩვენებ, თუ ასეთი კეთილი, ჭკვიანი და გამგონე გოგო იქნებიო. ასე ამგვარად გაფანტა ვიოლინომ ჩვენი საერთო მწუხარება. მხოლოდ საღამოჟამს, როცა სახლიდან გარეთ გადიოდა, ჩამჩურჩულა: გახსოვდეს, რაც გუშინ გითხარიო.

ასე ვიზრდებოდი ჩვენს კუთხეში და თანდათანობით იზრდებოდა ჩემი სიყვარულიც, — არა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი — ვნება, რადგან არ მეგულება სიტყვა, რომელსაც შეეძლოს სრულად გამოხატოს მამაჩემისადმი აღძრული ის თავშეუკავებელი და, ჩემთვის მეტად მტკივნეული, გრძნობა, რომელსაც ავადმყოფურ გაღიზიანებამდე მივყავდი. მე მხოლოდ ერთი ბედნიერება მასულდგმულებდა, ეს იყო ფიქრი და ოცნება მამაჩემზე. მინდოდა მეკეთებინა ის, რაც მას თუნდაც მცირედ სიამოვნებას მოჰგვრიდა. რამდენჯერ ვმდგარვარ სიცივისაგან გათოშილი კიბეზე იმიტომ, რომ თუნდაც ერთი წუთით მაინც უფრო ადრე მომეკრა თვალი მისთვის. გამეგო მისი მოსვლა. ჩემს ბედნიერებას საზ-

ღვარი არ ჰქონდა, როცა მომეფერებოდა, მაგრამ ამასთან ერთად უსაზღვროდ ვიტანჯებოდი, ესოდენ დიდ გულგრილობას რომ ვიჩენდი დედაჩემისადმი. როცა დედას შევყურებდი, წარმოუდგენელი ნაღველი და სიბრალულის გრძნობა მიპყრობდა. არ შემეძლო გულგრილად მეცქირა მათი გაუთავებელი მტრობისათვის. საჭირო იყო მივმხრობოდი რომელიმეს, გამეკეთებინა არჩევანი და აი, მე ნახევრად სულელ კაცს მივემხრე, მხოლოდ იმიტომ, რომ ის უფრო საცოდავი და დამცირებული მომეჩვენა, იმიტომ, რომ მან თავიდანვე სასწაულებრივად იმოქმედა ჩემს ფანტაზიაზე, მაგრამ — ვინ იცის? — იქნებ სწორედ იმის გამო მივემხრე, რომ ის დედაჩემივით სერიოზული და კუშტი არ იყო. გარეგნობაც რაღაცნაირი უცნაური ჰქონდა. უფრო სულელს ჰგავდა, ვიდრე ჭკვიანს. ხშირად ბავშვური გამოხდომები ჰქონდა და ბოლოს — მე ნაკლებ მეშინოდა მისი, ვიდრე დედაჩემის. უფრო ნაკლებ პატივს ვცემდი, თავს ისე ვგრძნობდი მასთან, როგორც თანატოლთან. თანდათან იმ დასკვნამდე მივედი, რომ მე მასზე უფრო მაღლა ვდგავარ, ბოლოს სავსებით დავიმორჩილე, აუცილებელი გავხდი მისთვის. ამან შინაგანად სიამაყის გრძნობით ამავსო, გამარჯვებას ვზეიმობდი, ხოლო, როცა დავრწმუნდი ესოდენ აუცილებელი ვარ-მეთქი, ხშირად ვეპრანჭებოდი კიდეც. მართლაც ჩემი ეს უცნაური სიყვარული რამდენადმე რომანს წაგავდა, მაგრამ ეს რომანი ხანმოკლე აღმოჩნდა, მე მალე დავობლდი დედ-მამით. მათი ცხოვრება საშინელი კატასტროფით დამთავრდა, რომელიც მძიმედ და მტანჯველად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. აი, როგორ მოხდა ეს.

III

იმხანად მთელი პეტერბურგი უჩვეულოდ აფორიაქებული იყო. ხმა გავრცელდა სახელგანთქმული ს. აპირებს ჩამოსვლასო. პეტერბურგის მთელი მუსიკალური სამყარო დაიძრა: მომღერლები, მსახიობები, პოეტები, მხატვრები, მუსიკის მოყვარულნი და ისინიც კი, ვისაც არასოდეს ჰყვარებია მუსიკა და მორცხვი სიამაყით ამბობდნენ: მუსიკის ერთი ნოტიც კი არ ვიცითო — ბილეთის შესაძენად სალაროებს მოაწყდნენ. დარბაზი იმ ენთუზიასტთა მეათასედსაც ვერ იტევდა, რომლებსაც შეეძლოთ ბილეთში ოცდახუთი მანეთი მიეცათ. მაგრამ ს-ს ევროპულმა სახელმა, დაფნის გვირგვინით დამშვენებულმა მისმა სიბერემ, ახალგაზრდულმა უჭკნობმა ნიჭმა, დარხეულმა ხმამ, რომ ის ამ ბოლო დროს იშვიათად იღებს ხელთ ხემს და ბოლოს, იმის რწმუნებამ, რომ იგი უკანასკნელად მოგზაურობს ევროპაში და შემდგომ სულაც თავს ანებებს დაკვრასო, საჭირო ეფექტი მოახდინა. ერთი სიტყვით, შთაბეჭდილება უსაზღვროდ დიდი იყო.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ ყოველი ახალი, რამდენადმე ცნობილი მევიოლინეს გამოჩენა ჩემს მამინაცვალში მეტისმეტად უსიამოვნო გრძნობას იწვევდა. იგი ყოველთვის ცდილობდა ჩამოსული მსახიობის მსმენელთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ყოფილიყო, რომ მისი შემოქმედების დონე თვითონ შეემოწმებინა. ხშირად ავად ხდებოდა იმის გამო, რომ ახლად ჩამოსული მსახიობის ქება ესმოდა და მხოლოდ მაშინ მშვიდდებოდა, თუ მევიოლინეს ნაკლს მოუნახავდა დაკვრაში და მერე გესლიანი დაცინვით თვითონვე გაავრცელებდა ამ აზრს. საწყალი შეშლილი მთელ დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთადერთს ნიჭს, ერთადერთ მსახიობს სცნობდა და ეს მსახიობი, რაღა თქმა უნდა, თვითონ იყო. მაგრამ ხმამ მუსიკალური გენიის ჩამოსვლის შესახებ მასზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. აქვე უნდა შევ-

ნიშნოთ, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში პეტერბურგში არ ჩამოსულა არც ერთი ს-ს დარი და თუნდაც რამდენადმე მის დონეზე მდგარი მსახიობი და ამიტომაც მამაჩემს წარმოდგენა არ ჰქონდა პირველხარისხოვან ევროპელ მუსიკოსებზე.

შემდგომში მე მიამბეს მამაჩემზე, როგორც კი ს-ს ჩამოსვლის ამბავი გაიგო, მაშინვე თეატრის კულისებში გაჩნდაო. ამბობდნენ, ძალზე აღელვებული იყო, შეშფოთებით გამოუკითხავს ს-ს მომავალი კონცერტის შესახებ. კარგახანია კულისებში აღარ ენახათ მამაჩემი და მის გამოჩენას თავისებური ეფექტი მოუხდენია. ვიღაცას მოუსურვებია მისი გაღიზიანება და გამომწვევად უთქვამს: ახლა თქვენ, მეგობარო, ეგორ პეტროვიჩ, უბრალო საბალეტო მუსიკას კი არა, ნამდვილ მუსიკას მოისმენთ, რომლისგანაც, ალბათ, მოსვენებას დაკარგავთო. ამის გაგონებაზე მამა გაფითრებულა, მაგრამ სახეზე ისტერიული ღიმილი აუკრავს და უთქვამს: ვნახოთ, დიდებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ეგ ხომ მხოლოდ პარიზშია ნამყოფი. პარიზელებმა ატეხეს ეს აურზაური, პარიზელების ამბავი კი საყოველთაოდ ცნობილიაო და ა.შ. გარშემო სიცილი ამტყდარა: საწყალი მამაჩემი, ძალზე განაწყენებული კი დარჩენილა, მაგრამ თავი შეუკავებია და უთქვამს: კარგით, რაკი ასეა, მე არაფერს ვიტყვი, მაგრამ ზეგამდე არც ისე დიდი დროა, ვნახოთ ეს სასწაულიც მალე გამოჩნდებაო.

ბ-მ მიამბო, იმავე საღამოს, დაბინდებისას, თავად ნ-ს შეხვედრია, რომელიც ცნობილი დილეტანტი ყოფილა, მუსიკის საკმაოდ კარგი მცოდნე და მოყვარული. ისინი ახლად ჩამოსულ მსახიობზე საუბრობდნენ. უეცრად ბ-ს მამაჩემისათვის მოუკრავს თვალი. ქუჩის მოსახვევში მაღაზიის ვიტრინასთან მდგარა და თვალმოუშორებლად მისჩერებოდა მაღაზიის ფანჯრის რაფაზე დადებულ აფიშას, რომელზედაც დიდი ასოებით ყოფილა გამოცხადებული ს-ს კონცერტის ამბავი.

— ხედავთ იმ კაცს? — უკითხავს ბ-ს თავადისათვის და მამაჩემზე მიუთითებია.

— ვინ არის? — დაინტერესებულა თავადი.

— თქვენ უკვე გაგონილი გაქვთ მაგისი ამბავი, ეგ ის ეფიმოვია, რომლის შესახებაც არაერთხელ მიამბნია თქვენთვის. როგორღაც თქვენ მფარველობაც კი გაუწიეთ მაგას.

— საინტერესოა! სიამოვნებით მოვუსმენდი. დიახ, სიამოვნებით. თქვენგან ბევრი მსმენია მაგის შესახებ, ამბობენ, ძალზე საინტერესო პიროვნებააო.

— არ ღირს მაგის მოსმენა, — უთქვამს ბ-ს, — მძიმე მოსასმენია. თქვენზე არ ვიცი როგორ იმოქმედებს, მე კი ყოველთვის გულს მიკლავს. მთელი მაგისი ცხოვრება საზარელი, უმსგავსო ტრაგედიაა, მე კარგად ვგრძნობ ამას და რაგინდ ბინძურიც არ უნდა იყოს ეგ, ჩემში თანაგრძნობას იწვევს. თქვენ ამბობთ, თავადო, საინტერესო პიროვნებააო, დიახ, საინტერესო პიროვნებაა, მაგრამ ძალზე მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე, ჯერ ერთი შეშლილია, მეორეც ამ შეშლილს სამი დანაშაული აწევს კისერზე. საკუთარი თავის გარდა მან დაღუპა კიდევ ორი ადამიანი: ცოლი და შვილი. მე მას კარგად ვიცნობ, თავს მოიკლავდა, რომ დარწმუნდეს თავის დანაშაულში, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ აგერ რვა წელი იქნება, რაც სჯერა და არც სჯერა. რვა წელია, რაც საკუთარ თავს ებრძვის, რომ სავსებით დაიჯეროს.

— თქვენ სთქვით ღარიბიაო? — ჩაურთო თავადმა.

— დიახ, მაგრამ სიღარიბე დღესდღეობით იქნებ ხსნაც არის მაგისთვის, რადგან ეს მაგის ხელჩასაჭიდი მიზეზია. დღეს მას შეუძლია ყველას წინაშე იმართლოს თავი, რომ მხოლოდ და მხოლოდ სიღარიბე უშლის ხელს, თორემ მდიდარი რომ იყოს ყველას დაანახებდა რა მსახიობიცაა. არ ექნებოდა საზრუნავი, სამაგიეროდ ექნებოდა დრო. მან ცოლიც ხომ უცნაური იმედით შეირთო, ეგონა ის ათასი მანეთი, რომელიც მის ცოლს ჰქონდა, ფეხზე

დააყენებდა. მეოცნებე პოეტივით მოიქცა. თუმცა ეგ ყოველთვის ასე იქცევა. იცით ამ რვა წლის განმავლობაში რა აქვს ახირებული? ყველა ჩემი უბედურების მიზეზი ჩემი ცოლიაო. მხოლოდ ის მიშლის ხელსო. თავად გულხელი დაიკრიფა და არაფრის გაკეთება არა სურს, მაგრამ წაართვით ცოლი და იგი ყველაზე უბედური კაცი იქნება მთელს დედამიწის ზურგზე. აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია ვიოლინო ხელთ არ აუღია. მერე და არ იკითხავთ რა მიზეზით? როგორც კი ხელს მოჰკიდებს ხემს, მაშინვე რწმუნდება, რომ არარაობაა, ნულია ამ ქვეყნად და სხვა არაფერი. ახლა კი, როდესაც ხემი გვერდზე უდევს, შორეული იმედით მაინც სულდგმულობს. იგი მეოცნებეა, მას ჰგონია უეცრად, რაღაც სასწაულით შეიძლება ადამიანი ცნობილი გახდეს მთელს მსოფლიოში. მისი დევიზია aut Caesar, aut nihil, თითქოს ცეზარად გახდომა ერთი ხელის დაკვრით შეიძლებოდეს. მისი ოცნებაა — დიდება. ხოლო თუ ასეთი გრძნობა ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცევა მსახიობის ცხოვრებაში, იგი მსახიობი ვეღარ დადგება, რადგან მას უკვე დაკარგული აქვს, რაც მთავარია — მხატვრული ინსტინქტი, ე.ი. სიყვარული ხელოვნებისადმი, რადგან ეს არის ხელოვნება და არა სხვა რამ, თუნდაც დიდება, მაგრამ ს-ს პირიქით ემართება, როდესაც იგი ხელთ ხემს იღებს, მისთვის აღარაფერი არსებობს ამ ქვეყნად, გარდა საკუთარი მუსიკისა, ხოლო ხემის შემდეგ უპირველესი მისთვის ფულია და ბოლოს, ვგონებ დიდება. მაგრამ იგი ამ საკითხზე არცთუ მაინცდამაინც ზრუნავს... იცით, დღესდღეობით რა აწუხებს ამ საცოდავს? — დასძინა ბ-მ და ეფიმოვზე მიუთითა, — ყველაზე უსუსური, უმნიშვნელო და სასაცილო რამ, რაც კი მთელს დედამიწის ზურგზე შეიძლება არსებობდეს, ეს გახლავთ ფიქრი იმაზე, თუ რომელი უფრო დიდია ის თუ ს., რადგან მას კვლავაც ბეჯითად სჯერა, რომ უპირველესი მუსიკოსია დედამიწის ზურგზე, დაარწმუნეთ წინააღმდეგში და გეუბნებით, მაშინვე განადგურდება მეხდაცემული-

ვით, რადგან საშინელებაა განშორდე ურყევ რწმენას, რომელსაც შესწირე მთელი შენი სიცოცხლე და რომლის საფუძველი, ასეა თუ ისე, ღრმა და სერიოზულია, რადგან ეფიმოვის მოწოდება თავდაპირველად ეჭვს გარეშეა რომ მუსიკა იყო.

— საინტერესოა, როგორ იმოქმედებს მასზე, როცა ს-ს მოუსმენს? — შენიშნა თავადმა?

— ეგ მართლაც საინტერესოა, — თქვა ბ-მ დაფიქრებით, — მაგრამ არა, — დასძინა იქვე, — იგი მაშინვე გამოფხიზლდება, მისი სიგიჟე უფრო ძლიერია, ვიდრე სინამდვილე, იგი მაშინვე გამონახავს რაღაც მიზეზს.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — თქვა თავადმა.

ამ დროს ისინი მამაჩემს გაუსწორდნენ, მამას უნდოდა შეუმჩნევლად აევლო გვერდი მათთვის, მაგრამ ბ-მ შეაჩერა, გამოელაპარაკა, — დაესწრები თუ არა ს-ს კონცერტსო, ჰკითხა. მამამ თავი შორს დაიჭირა; არ ვიცი, კონცერტებზე და გზადგავლილ ყველა ვირტუოზზე უფრო მნიშვნელოვანი სხვა საქმე მაქვსო. თუმცა ვინ იცის, ვნახოთ, თუ დრო მექნა, რატომაც არ დავესწრებიო: — ამ დროს შეშფოთებით შეჰყურებდა მოსაუბრეებს, გაღიმებაც სცადა, მერე ქუდს წაავლო ხელი, თავი დაუკრა, დრო არა მაქვსო, — თქვა და წავიდა.

მაგრამ მე უკვე ერთი დღით ადრე ვიცოდი, რომ მამას რაღაც აწუხებდა, წუხილის მიზეზი არ ვიცოდი დაბეჯითებით, მაგრამ ვხედავდი, რომ ძალზე ღელავდა, დედამაც კი შენიშნა, იმ დროს დედა ძალიან ავად იყო, ფეხზე ძლივს იდგა. მამა წამდაუწუმ შემოდიოდა სახლში და გადიოდა. დილით სამი თუ ოთხი ძველი ამხანაგი ესტუმრა, რამაც ძალიან გამაკვირვა, რადგან კარლ ფიოდორიჩის გარდა უცხო აღარავინ მოსულა ჩვენთან მას შემდეგ, რაც მამამ საბოლოოდ მიატოვა თეატრი. ბოლოს კარლ ფიოდორიჩიც გამოცხადდა ქოშინ-ქოშინით, ხელში აფიშა ეჭირა. მე მთელის გულისყურით ვუსმენდი და თვალს ვადევნებდი მათ.

ყველაფერი ისე მოქმედებდა ჩემზე, თითქოს მე ვიყავი ყველაფერში დამნაშავე, მამაჩემის სახეზე აღბეჭდილ მწუხარებაშიც კი. მინდოდა გამეგო რაზე ლაპარაკობდნენ და პირველად იყო, რომ ს-ს სახელს მოვკარი ყური, ბოლოს იმასაც მივხვდი, რომ სულ ცოტა თხუთმეტი მანეთი მაინც იყო საჭირო, რომ ადამიანი ს-ს კონცერტს დასწრებოდა. ისიც მახსოვს, რომ ერთხელ მამაჩემმა თავი ვერ შეიკავა, ხელი ჩაიქნია და წამოიძახა: ვიცნობ მე ამ სასწაულმოქმედ, უნიჭო ტალანტებს, მაგ ს-საც ვიცნობ. ეგენი ყველანი ურიები არიან, თვალი რუსული ფულისკენ უჭირავთ, რუსებს კი ყოველგვარი სისულელე სჯერათ თავისი უბრალოების გამო. მით უმეტეს, როცა ეს შეეხება იმას, ვის გარშემოც ფრანგები სტეხენ აურზაურს. მე უკვე მესმოდა რასაც ნიშნავდა სიტყვა — ნიჭი. სტუმრებს გაეცინათ. მალე წავიდ-წამოვიდნენ. მამა უგუნებოდ დარჩა. მე მივხვდი, რომ მამა ს-ზე ჯავრობდა. მისი გულის მოგების მიზნითა და სურვილით, რომ განმექარვებინა მისი სევდა, მაგიდას მივუახლოვდი, ხელში აფიშა ავიღე, ხმამაღლა დამარცვლით ს-ს გვარი ამოვიკითხე და ხმამაღლა გავიცინე, მერე მამას შევხედე. მამა დაფიქრებული იჯდა. „ესეც კარლ ფიოდორიჩს ჰგავს, არა, მამა? ეგეც ვერ აამებს კაცს?“ — ვუთხარი მე. მამა შეკრთა, თითქოს ვიღაცამ მოულოდნელად შეაშინაო. აფიშა ხელიდან გამომგლიჯა, ფეხები დამიბაკუნა, დამიყვირა, დასტაცა ქუდს ხელი და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ მაშინვე შემობრუნდა, წინკარში გამიხმო, მაკოცა და რაღაცნაირი ფარული შიშითა და წუხილით დამიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მე ჭკვიანი და კეთილი გოგო ვარ, რომ მე არ მოვისურვებ მამის წყენინებას, რომ ის ჩემგან რაღაც დიდ დახმარებას მოელის, მაგრამ კერძოდ რას, არ მითხრა. მე მიმძიმდა მისი ყურის გდება, ვგრძნობდი, რომ არც ეს სიტყვები და არც მოფერება გულწრფელი არ იყო. ყოველივე ამან შემაძრწუნა. მწვავე წუხილი ვიგრძენი.

მეორე დღეს სადილობისას, — ეს უკვე კონცერტის წინა დღით მოხდა, — მამაჩემი ცოცხალ-მკვდარივით იყო, საშინლად გამოცვლილი მეჩვენა, წამდაუწუმ გვიყურებდა ხან მე, ხან დედას. ბოლოს იმანაც განმაცვიფრა, რომ დედას რაღაცაზე გამოელაპარაკა. სხვა დროს მსგავსი შემთხვევა არ მახსოვს. ნასადილევს განსაკუთრებულად ნაზად მომეფერა. ყოველწუთს წინკარში მეძახდა, რაღაცას იმიზეზებდა. აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს ეშინოდა არავინ მოგვისწროსო. თავზე ხელს მისვამდა, მკოცნიდა, მეუბნებოდა, კეთილი და გამგონე გოგო ხარო. თუ მე გიყვარვარ, უთუოდ გააკეთებ იმას, რასაც გთხოვო. ყოველივე ამან წარმოუდგენელი ნაღველით ამივსო გული. ბოლოს, როცა მეათედ გამიხმო კიბეზე, გაირკვა რაშიც ყოფილა საქმე. შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ბოლოს გაწამებულმა ნაღვლიანი სახით მკითხა: არ იცი სადა აქვს დედას შენახული ის ოცდახუთი მანეთი გუშინ დილით რომ მოიტანაო? ამის გაგონებაზე თავზარი დამეცა. მაგრამ ამ დროს კიბეზე ხმაური გაისმა და შეშინებული მამაჩემი მაშინვე გაიქცა. მე მარტო დავრჩი. საღამოს, როცა დაბრუნდა, დარცხვენილი, ნაღვლიანი და შეწუხებული სახე ჰქონდა. ხმაამოუღებლად ჩამოჯდა სკამზე და რაღაცნაირი მორიდებით მიყურებდა. მე შიშმა ამიტანა, თვალი საგანგებოდ მოვარიდე, ამასობაში დედამ, რომელმაც მთელი დღე ლოგინში გაატარა, დამიძახა, სპილენძის ფული მომცა და ჩაისა და შაქრის საყიდლად გამაგზავნა დუქანში. ჩაის იშვიათად ვსვამდით. დედა, ჩვენი უსახსრობის გამო, მხოლოდ მაშინ ისრულებდა ამ სურვილს, როდესაც ძალიან ავად იყო. მე ფული გამოვართვი თუ არა მაშინვე წინკარში გავედი და რაც ძალი და ღონე მქონდა მოვკურცხლე. თითქოს იმისი მეშინოდა, არავინ დამედევნოს მეთქი, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა. მამა ქუჩაში დამეწია და ისევ კიბეზე დამაბრუნა.

— ნეტოჩკა! — მითხრა მან მთრთოლარე ხმით, — ძვირფასო ჩემო! მომისმინე: მომეცი ეგ ფული, მე ხვალვე...

— მამილო! მამილო! — დავიყვირე და ვედრებით მუხლებზე დავეცი, — დედას ვეღარ წავართმევ ფულს, სხვა დროს...

— მაშ კარგი, არ გინდა არა? — ჩურჩულებდა მამაჩემი რაღაცნაირი გააფთრებით, — გამოდის, რომ აღარ გიყვარვარ. კარგი, მიგატოვებ, იყავი დედაშენთან, მე კი თქვენთან აღარ ვიქნები, აღარ წაგიყვან თან, გესმის, ბოროტო ბავშვო, გესმის?

— მამილო! — შევყვირე საბოლოოდ შეძრწუნებულმა და მის კალთას ჩავაფრინდი, — აიღე ფული, აჰა, ვაიმე, რაღა ვქნა, — ვამბობდი და ხელებს ვიმტვრევდი, — დედა იტირებს, ისევ გამლანძღავს.

მამაჩემი ვგონებ ასეთ წინააღმდეგობას არ მოელოდა, მაგრამ ფული მაინც გამომართვა. ბოლოს ჩემი წამება ვეღარ აიტანა და იქვე დამტოვა კიბეზე. თვითონ კი თავქვე დაეშვა, მე ზემოთ ავედი, მაგრამ ჩვენი სახლის კართან მისულს ღონემ მიმტყუნა, შინ შესვლა ვეღარ გავბედე, არ შემეძლო. მთელი არსებით შეძრწუნებული ვიყავი, ვშფოთავდი, სახეზე ხელები ავიფარე, ფანჯრის რაფას დავეყრდნე ისე, როგორც მაშინ მამაჩემმა პირველად დედაჩემის სიკვდილის სურვილი რომ გამოამჟღავნა. თითქმის გონმიხდილი ვიდექი, ვცდილობდი ოდნავი ფაჩუნიც კი არ გამომპარვოდა კიბეზე. ბოლოს, ვიღაცის ფეხის ხმა შემომესმა, ჩქარი ნაბიჯით ამოდიოდა. ეს ის იყო, შევიცანი მისი ფეხის ხმა.

— აქა ხარ? — მკითხა ჩურჩულით.

მისკენ წავიწიე.

— აჰა! — წამოიყვირა და ხელში ფული მომაჩეჩა, — აჰა! წაიღე უკან! ახლა მე შენი მამა აღარა ვარ, გესმის? არ მინდა ვიყო შენი მამა! შენ ჩემზე უფრო დედა გიყვარს, გიყვარდეს, დარჩი დედასთან, მე აღარ მსურს შენთან ყოფნა! — თქვა და ხელი მკრა, მერე ისევ კიბეზე დაეშვა. მე ტირილით გამოვუდექი უკან.

— მამილო, კეთილო მამილო! გაგიგონებ, ყველაფერს გაგიგონებ! — ვყვიროდი განწირული ხმით, შენ დედაზე უფრო ძალიან მიყვარხარ! წაიღე ფული, წაიღე!

მაგრამ მამას აღარ ესმოდა ჩემი. იგი უეცრად გაჰქრა სადღაც. მთელი ეს საღამო მკვდარივით ვიყავი, ციებ-ცხელებიანივით ვთრთოდი. მახსოვს, დედა რაღაცას მეუბნებოდა, მეძახდა, მაგრამ არაფერი მესმოდა, ვერაფერს ვგრძნობდი, ვერაფერს ვხედავდი. ბოლოს ყველაფერი შეტევით დამთავრდა: ავტირდი, ავყვირდი, დედას ისე შეეშინდა, რომ შიშისაგან აღარ იცოდა რა ექნა. თავის ლოგინში ჩამაწვინა, ყელზე მოვეხვიე. არ მახსოვს შიშისაგან ათრთოლებულს როდის ჩამეძინა. ასე გავატარე ღამე. დილით ძალიან გვიან გამეღვიძა, დედა შინ აღარ იყო, ამ დროს ყოველთვის მიდიოდა თავის საქმეებზე. მამაჩემს ვიღაც უცხო კაცი ჰყავდა, რაღაცაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ძლივს მოვითმინე სტუმრის წასვლამდე. როგორც კი მარტო დავრჩით, მაშინვე მივედი მამასთან და ქვითინით ვეხვეწებოდი, გუშინდელი ამბავი მაპატიე-მეთქი.

— მერე, შენ ისევ ისეთი ჭკვიანი და გამგონე იქნები? — მკაცრად მკითხა მან.

— ვიქნები, მამილო, ვიქნები. — ვუპასუხე მე, — იმასაც გეტყვი სადა აქვს დედას ფული შენახული. აი, იმ ყუთში, გუშინ აგერ ამ კოლოფში იდო.

— სად? — წამოიყვირა შემკრთალმა მამამ და სკამიდან წამოხტა, — სად იდო, რა თქვი?

— ჩაკეტილი აქვს, მამა, — ვუთხარი მე, — მოიცადე, საღამოს დასახურდავებლად გამაგზავნის, მე თვითონ ვნახე, რომ სპილენძის ფული აღარა აქვს.

— მე მხოლოდ თხუთმეტი მანეთი მჭირდება, ნეტოჩკა! გესმის? მხოლოდ თხუთმეტი. დღეს მომეცი და ხვალვე დაგიბრუნებ, უკანვე დაგიბრუნებ, უკლებლივ, ახლა კი წავალ და შაქარყი-

ნულს გიყიდი, ნიგოზს... თოჯინასაც... ხვალვე გიყიდი... ყოველ-დღე მოგიტან სასუსნავს, თუ ჭკვიანი გოგო იქნები.

— არ მინდა, მამა, არ მინდა! სულ ერთია უკანვე დაგიბრუნებ, არ შევჭამ! — წამოვიყვირე ცრემლმორეულმა და გულგატანჯულ-მა. იმ წუთს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ მე მას არ ვეცოდები, არ ვუყვარვარ, იგი ვერ ხედავს ჩემს სიყვარულს მისდამი, იგი ფიქრობს, რომ საჩუქრების გულისთვის ვაკეთებ ამას. და მე ბავშვმა გამჭოლ დავინახე მამაჩემი, იმის შეგნებამ, რომ დავკარგე ჩემი უწინდელი საყვარელი მამიკო, რომ აღარ შემიძლია მიყვარდეს იგი ძველებურად, სამუდამოდ დამიკოდა გული. თვითონ კი რაღაც უჩვეულოდ იყო გახარებული, იმიტომ რომ დავეხმარე, ხედავდა რომ არაფრის მეშინოდა, მზად ვიყავი მისი გულისთვის ყველაფერზე წავსულიყავი და ღმერთია მოწმე რა ძვირად მიღირდა მაშინ მე ეს „ყველაფერი“. კარგად მესმოდა რასაც ნიშნავდა დედაჩემისთვის ეს ფული. ვიცოდი, რომ მისი და-კარგვის გამო შეიძლებოდა მწუხარებისგან ავადაც გამხდარიყო და ჩემში სინანული მტკივნეულად ისადგურებდა. მაგრამ მამაჩე-მი ამას სრულიად ვერ გრძნობდა. მას ისევ სამი წლის ბავშვი ვე-გონე, მაშინ როდესაც მე უკვე ყველაფერი კარგად მესმოდა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მკოცნიდა, მამშვიდებდა, ნუ ტი-რიხარო, მპირდებოდა — დღესვე წაგიყვან აქედან, მოგაშორებ დედასო, ალბათ ამით უნდოდა ჩემი განუყრელი ოცნების დაკმა-ყოფილება. დაბოლოს, ჯიბიდან აფიშა ამოიღო, დამიწყო რწმუ-ნება, რომ ეს კაცი, რომელთანაც დღეს აპირებს წასვლას, მისი მტერია, დაუძინებელი მტერი. მაგრამ მტრები მას ვერაფერს და-აკლებენ. თავის მტრებზე ჩემთან ლაპარაკისას თავად წააგავდა ბავშვს, როცა შენიშნა, რომ ხმის ამოუღებლად ვუსმენდი, და რო-გორც სხვა დროს, არ ვიღიმებოდი, ქუდს წაავლო ხელი და ოთა-ხიდან გასვლა დააპირა. სადღაც მიიჩქაროდა, მაგრამ წასვლამ-დე კიდევ ერთხელ მაკოცა, გამიღიმა, თავი დამიქნია, თითქოს

არ მენდო და ამით კიდევ ერთხელ უნდოდა ჩემი გული მოეგო, რომ სიტყვა არ გამეტეხა.

უკვე მოგახსენეთ, შეშლილსა ჰგავდა-მეთქი, მაგრამ ეს წინადღითაც იგრძნობოდა. ფული კონცერტზე დასასწრებად სჭირდებოდა. კონცერტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის.

იგი თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ამ კონცერტზე იყო დამოკიდებული მისი ბედი. მაგრამ ისე დაიბნა, რომ წინა დღით სპილენძის ფულის წართმევასაც კი მიპირებდა, თითქოს ამ ფულით შეეძლო ბილეთის ყიდვა. მი-სი უცნაურობა სადილობისას კიდევ უფრო ნათლად გამომჟღავნდა. წამდაუწუმ დგებოდა და მერე ისევ ჯდებოდა, თითქოს ეს არის გონს მოეგოო, ქუდს ხელს ჰკიდებდა, თითქოს სადღაც აპირებდა წასვლას, დაბნეული იყო იმდენად, რომ რაღაცას ჩურჩულებდა, მერე ისევ მე შემომხედავდა, თვალს ჩამიკრავდა, რაღაცას მანიშნებდა ფულის მიღება ეჩქარებოდა, თითქოს მიჯავრდებოდა კიდეც, რომ ამდენხანს ვერ მოვახერხე დედაჩემისთვის ფულის გამორთმევა. დედამაც კი შენიშნა მისი ეს უცნაური მოძრაობა და განცვიფრებული მიშტერებოდა. მე სასიკვდილოდ განწირულს ვგავდი. სადილი დავამთავრეთ. კუთხეში მოვიკრუნჩხე, ვცახცახებდი, წუთებს ვითვლიდი და იმ დროზე ვფიქრობდი, როცა დედაჩემი ჩვეულებრივ საყიდლებზე მგზავნიდა ხოლმე. ჩემს სიცოცხლეში ასეთი მძიმე წუთები არ განმიცდია, ამიტომაც ჩამრჩა, ალბათ, ეს წუთები მეხსიერებაში სამუდამოდ. ვინ იცის, რა არ განვიცადე მაშინ. ადამიანის ცხოვრებაში არის წამი, როდესაც იგი ცნობიერებით განიცდის გაცილებით მეტს, ვიდრე მრავალი წლის მანძილზე. მე ვგრძნობდი, რომ ცუდ საქციელს ჩავდიოდი. განა თვითონ მამაჩემი არ დამეხმარა კეთილის გარკვევაში მაშინ, როდესაც პირველად ცუდ საქმეზე მიმადენა და მერე თვითონვე ამიხსნა შეშინებულმა, რომ ასეთი საქციელი ძალზე ცუდია. ნუთუ მამა ვერ გრძნობდა, რა

ძნელი საქმე იყო ისეთი ბუნების ბავშვის მოტყუება, რომელიც ხარბად იზიდავდა შთაბეჭდილებებს, რომელსაც უკვე შეგნებული და გააზრებული ჰქონდა ავიცა და კარგიც, განა მე თვითონ არ ვიცოდი, რომ უკიდურესი მდგომარეობა აიძულებდა მამაჩემს ხელმეორედ მივედენე ცუდ საქმეზე, გაეწირა ჩემი შესაბრალისი, მიუსაფარი ბავშვობა? კიდევ ერთხელ შეერყია ჯერ ჩამოუყალიბებელი ჩემი სინდისი? და ახლა, კუთხეში მიმჯდარი იმაზე ვფიქრობდი, თუ რამ აიძულა საჩუქარს შემპირებოდა იმისათვის, რისი გაკეთებაც თვითონვე ვიკისრე, ჩემივე სურვილით? დღემდე შეუცნობი ახალი შეგრძნებანი, ახალი მისწრაფებანი, ახალი კითხვები იბადებოდა ჩემ წინაშე და მაწამებდნენ. მერე უცებ დედაზე დავიწყე ფიქრი: წარმომიდგა როგორი ნაღველი დაეუფლებოდა, როცა გაიგებდა თავისი ოფლით მონაგარი უკანასკნელი გროშების დაკარგვის ამბავს. დედამ საქმეს თავი დაანება, რომელსაც დიდის გაჭირვებით აკეთებდა და დამიძახა. მე აცახცახებული მივუახლოვდი. კამოდიდან ფული ამოიღო, გამომიწოდა: „ნეტოჩკა, წადი, მხოლოდ, ღვთის გულისათვის, ფრთხილად იყავი, ეს ფულიც არ დაკარგო, არავინ მოგატყუოს“ — მითხრა მან. მე ვედრებით შევხედე მამას. მამა გამამხნევებლად მიღიმოდა, თავს მიქნევდა, მოუთმენლობისაგან ხელებს ისრესდა. საათმა ექვსჯერ დარეკა. კონცერტი შვიდზე იწყებოდა. განა მამაჩემისთვის ნაკლებ სამძიმო იყო ეს მოლოდინი?

კიბეზე შევჩერდი, დაველოდე. მოუთმენლობით შეპყრობილი მამა ისე ღელავდა, რომ ყოველგვარი სიფრთხილე გადავიწყებოდა; მაშინვე უკან დამედევნა. ფული გადავეცი. კიბეზე ბნელოდა, მისი სახე არ ჩანდა, მაგრამ ვგრძნობდი, როცა ფულს მართმევდა, საშინლად თრთოდა... მე თითქოს ქვად ვიქეცი, გაუნძრევლად ვიდექი. ბოლოს, მითხრა, ზემოთ ადი, ქუდი მომიტანეო. მისმა სიტყვებმა გამომაფხიზლა, როგორც ჩანდა, თვითონ არ აპირებდა ზემოთ ამოსვლას.

— მამა! განა... შენ არ წამოხვალ ჩემთან ერთად? — ვკითხე ათრთოლებული ხმით, რადგან უკანასკნელი იმედიღა მასულდგმულებდა. ეს მისი მფარველობა იყო.

— არა, მარტო წადი... ჰა? მოიცადე, მოიცადე! — წამოიძახა მან უეცრად, — მოიცადე, მე შენ ახლავე საჩუქარს მოგიტან, მხოლოდ ჯერ ქუდი მომიტანე.

უეცრად ისე მომეჩვენა, რომ ყინულივით ცივმა ხელმა გული შემიკუმშა, წამოვიყვირე, მამა ხელისკვრით მოვიშორე და ზემოთ გავიქეცი. როცა ოთახში შევედი, ადამიანის ფერი აღარ მედო. ახლა რომ დედაჩემისთვის მეთქვა ფული წამართვეს-მეთქი, დამიჯერებდა, მაგრამ იმ წუთს არაფრის თქმა არ შემეძლო. სასოწარკვეთილებისაგან კრუნჩხვები დამეწყო, გულშემოყრილი დავეცი დედაჩემის საწოლზე, სახეზე ხელები ავიფარე. წუთის შემდეგ კარი ფრთხილად გაჭრიალდა, ოთახში მამაჩემი შემოვიდა, ალბათ, ქუდის წასაღებად.

— სად არის ფული? — დამიყვირა უეცრად დედამ, რომელიც ერთბაშად მიხვდა, რომ აქ რაღაც ამბავი იყო. — სად არის ფული? თქვი, თქვი! — და ამ დროს მე მომვარდა, ლოგინიდან წამომაგდო, შუა ოთახში დამაყენა.

მე ხმას არ ვიღებდი, თავჩაღუნული დავშტერებოდი მიწას, არ შემეძლო გამერკვია რა ხდებოდა ჩემს გარშემო, რა მემართებოდა.

— სად არის ფული? — წამოიყვირა ისევ დედამ და უეცრად მიუბრუნდა მამაჩემს, რომელიც ქუდის აღებას ლამობდა, — სად არის ფული? — გაიმეორა მან. — სად არის-მეთქი? შენ მოგცა? შე უღმერთოვ! ჩემო დამღუპველო! ავაზაკო! შენ ხომ ამასაც ღუპავ! ბავშვს! ბავშვს! არა, შენ ასე ადვილად ვერ წახვალ, ვერა!

და თვალისდახამხამებაში კართან გაჩნდა, კარი შიგნიდან ჩაკეტა; გასაღები ჯიბეში ჩაიდო. მერე ისევ მე მომიბრუნდა, მღელვარებისაგან ძლივს გასაგონი ხმით მითხრა:

— თქვი, გამოტყდი, გამოტყდი, ყველაფერში გამოტყდი... თქვი! თორემ არ ვიცი რას გიზამ!

გაცეცხლებული იყო. გაშმაგებული მიმტვრევდა ხელებს. მე იმ წუთსვე დავიფიცე ჩემთვის, რომ მამაჩემზე ხმას არ ამოვიღებ; არაფერს ვიტყვი-მეთქი. მაგრამ უკანასკნელად მაინც ავწიე თავი და მორცხვად ჩავხედე თვალებში. მისი ერთი გამოხედვა, ერთი სიტყვა, რაიმე ისეთი მოძრაობა, რასაც მოველოდი, რაზედაც ჩუმად ჩემთვის ვლოცულობდი და მე ბედნიერი ვიქნებოდი, მიუხედავად ყოველგვარი ტანჯვა-წამებისა, მაგრამ, ღმერთო ჩემო! იგი უგულო მუქარით მანიშნებდა, ხმა არ ამოიღოო. თითქოს შეიძლებოდა ამ წუთში ვინმესი მშინებოდა. ყელში რაღაცამ წამიჭირა, სუნთქვა შემეკრა, ფეხები მომეკვეთა, უგონოდ დავეცი იატაკზე... გუშინდელი ნერვული შეტევა გამიმეორდა.

გონს მხოლოდ მაშინ მოვედი, როცა ჩვენი ოთახის კარზე უეცრად კაკუნი გაისმა. დედამ კარი გააღო და მე ლივრეაში ჩაცმული კაცი შევნიშნე, იგი ოთახში შემოვიდა, დაკვირვებით დაგვაცქერდა, მიიხედ-მოიხედა და მუსიკოსი ეფიმოვი იკითხა, მამაჩემი წარუდგა, ლაქიამ ბარათი გადასცა და აცნობა, რომ იგი ბ-სგან არის გამოგზავნილი, რომელიც ამ წუთს თავადთან იმყოფება. პაკეტში ს-ს კონცერტზე დასასწრები მოსაწვევი ბარათი იდო.

მდიდრულ ლივრეიანი ლაქიის გამოჩენამ, რომელმაც თავისი ბატონის, თავადის გვარი ახსენა და მისივე სახელით ღარიბ მუსიკოსს მოაკითხა — დედაჩემზე უეცრად დიდი გავლენა მოახდინა. მე ამბის დასაწყისშივე მოგახსენეთ, რომ საცოდავ ქალს ისევ და ისევ ძველებურად უყვარდა მამაჩემი. ახლაც, მიუხედავად მთელი რვა წლის განმავლობაში გაუთავებელი წამებისა, მისი გული არ შეცვლილა, მას ისევ შეეძლო მისი სიყვარული! ვინ იცის, იქნებ უეცრად ბედის შეტრიალებაც იწამა, მასზე ხომ იმედის ოდნავი წამოქროლებაც დიდ გავლენას ახდენდა. ვინ იცის, იქნებ თვითონაც რამდენადმე დაავადებული იყო თავისი დამ-

თხვეული ქმრის ურყევი რწმენით. არც შეიძლებოდა ესოდენ სუსტ ქალზე ამ რწმენას, თუნდაც მცირედი გავლენა მაინც არ მოეხდინა. და ახლა, როცა თავადმა ასეთი პატივი დასდო მის ქმარს, შეეძლო ერთ წამში ათასგვარი გეგმა შეედგინა, მაშინვე შემობრუნებულიყო მისკენ, მაშინვე ეპატიებინა ყველაფერი, მთელი ცხოვრების მანძილზე მის მიერ მიყენებული წამებაც, უკანასკნელი ბოროტმოქმედებაც — ერთადერთი შვილის გაწირვისა, და ახლად აფეთქებული აღტაცებისა და იმედის შედეგად, ქმრის ეს ბოროტმოქმედება დაეყვანა უბრალო შეცდომამდე, სულმოკლეობამდე, რომელიც გამოიწვია მათხოვრულმა, ბინძურმა და უიმედო ცხოვრებამ. იგი მთელი თავისი არსებით გატაცების ქალი გახლდათ და იმ წუთსაც შეეძლო გაემართლებინა თავისი ქმარი და აღვსილიყო ამ დაღუპული ადამიანისადმი გაუთავებელი სიბრალულით.

მამაჩემიც განაცვიფრა თავადისა და ბ-ს ასეთმა ყურადღებამ, მაშინვე დაფაცურდა, პირდაპირ დედას მიუბრუნდა, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, დედა ოთახიდან გავიდა, ორიოდ წუთში დაბრუნდა, ხელში ხურდა ფული ეჭირა. მამამ ვერცხლის მანეთიანი ლაქიას გაუწოდა. ლაქია თავაზიანად გამოგვეთხოვა. ამასობაში დედამ უთო შემოიტანა, ქმრის ყველაზე საუკეთესო პერანგის გულისპირი დააუთოვა, თავისი ხელით გაუკეთა თეთრი ბატისტის ჰალსტუხი, უხსოვარი დროიდან რომ ინახებოდა მამაჩემის გარდერობში შავ, საკმაოდ ნახმარ ფრაკთან ერთად, რომელიც ჯერ კიდევ მამაჩემის თეატრში მუშაობის დროს იყო შეკერილი. როცა მამამ ჩაცმა დაამთავრა, ქუდს მოჰკიდა ხელი, მაგრამ წასვლისას ერთი ჭიქა წყალი მოითხოვა. იგი ძალზე ფერმკრთალი ჩანდა, ღონემიხდილი დაეშვა სკამზე; წყალი მე მივაწოდე, ვინ იცის, იქნებ დედაჩემის გულში ისევ იფეთქა მტრულმა დამოკიდებულებამ ქმრისადმი და ამან გაანელა მისი პირველი აღტაცება.

მამაჩემი გავიდა. ჩვენ მარტო დავრჩით. მე კუთხეში მოვიკუნტე. დიდხანს შევყურებდი დედაჩემს ხმაამოუღებლად. დედას ტუჩები უთრთოდა, ფერმკრთალ ლოყებზე უეცრად ვარდისფერი გადაეკრა, დროდადრო მთელი სხეულით თრთოდა. ბოლოს, მისი ნაღველი ჩივილში, ქვითინში და ბედის სამდურავში გადმოიღვარა!

— მე, მე ვარ დამნაშავე ყველაფერში! მე საცოდავი! — ამბობდა ის თავისთვის, — რა მოუვა ჩემს შვილს? რა დაემართება, როცა მე მოვკვდები? — განაგრძობდა ის და მხოლოდ ამის გაფიქრებაზე მეხდაცემულივით იდგა შუა ოთახში. — ნეტოჩკა, ჩემო შვილო! საწყალო ნეტოჩკა, საცოდავო, — თქვა მან და ხელზე ხელი მომკიდა, თრთოლვით მიმიკრა გულზე, — ვის ანაბარა გტოვებ, როცა ცოცხალი ვარ და მაშინაც ვერ გადევნებ თვალყურს, ვერ გზრდი ხეირიანად? არა, შენ არ გესმის ჩემი, ნეტოჩკა! გესმის, დაიმახსოვრებ რასაც გეუბნები? გეხსომება ყოველთვის?

— მეხსომება, დედიკო, მეხსომება, — ვემუდარებოდი გულხელდაკრეფილი.

დიდხანს და მაგრად ვყავდი ჩაკრული გულში, თითქოს ეშინოდა, რომ მალე დავშორდებოდი.

— დედა, დედიკო! — ვეუბნებოდი ქვითინით, — რატომ... რატომ არ გიყვარს მამა? — ქვითინისაგან სუნთქვაშეკრულმა სიტყვა ვეღარ დავამთავრე.

დედას კვნესა აღმოხდა გულიდან, ახალმა ენით აუწერელმა ნაღველმა შეიპყრო. ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

— საწყალო, საწყალო ჩემო! მე კი ვერ შევნიშნე როგორ გაიზარდა, ყველაფერი იცის, ყველაფერი! ღმერთო ჩემო! რა შთაბეჭდილება უნდა დარჩეს, რა მაგალითი უნდა მიიღოს, — და მან სასოწარკვეთილებისაგან ისევ თითების მტვრევა დაიწყო.

მერე მომიახლოვდა, მისი სიყვარული ამ წუთს თავდავიწყებამდე იყო მისული, მკოცნიდა, მიკოცნიდა და ცრემლებით მისვე-

ლებდა ხელებს, მთხოვდა პატიებას...მე არასოდეს მენახა ამგვარი ტანჯვა... ბოლოს სავსებით გაწამდა, თითქოს გონიც დაკარგა, ამ ყოფაში მთელი ერთი საათი დაჰყო. მერე დაღლილ-დაქანცული წამოდგა. დაწექი და დაიძინეო, მითხრა. ჩემი კუთხისაკენ წავედი, საბანში გავეხვიე, მაგრამ ძილი არ მომეკარა, დედაჩემზე ფიქრმა გამაწამა. მოუთმენლად ველოდი მამაჩემის დაბრუნებას. მასზე ფიქრისას რაღაც საშინელი აზრი მიფორიაქებდა სულს. ნახევარი საათის შემდეგ დედამ სანთელი აიღო, მომიახლოვდა, უნდოდა დარწმუნებულიყო მეძინა თუ არა. მის დასამშვიდებლად თვალი მაგრად მოვხუჭე, თავი მოვიმძინარე. დედამ შემათვალიერა. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა კარადას, კარი გამოაღო, ერთი ჭიქა ღვინო დაისხა, დალია და დასაძინებლად დაწვა. მაგიდაზე ანთებული სანთელი დატოვა. კარი არ ჩაუკეტავს, ყოველთვის ასე იქცეოდა, როცა მამაჩემი იგვიანებდა.

მე ნახევრად გონმიხდილი ვიწექი, ძილი არ მეკარებოდა, თვალს მოვხუჭავდი თუ არა, მაშინვე მეღვიძებოდა, რაღაც საშინელი ზმანებისაგან დროდადრო შევხტებოდი. ჩემი ნაღველი თანდათან იზრდებოდა. ყვირილი მინდოდა, მაგრამ ხმას გულშივე ვიხშობდი. ბოლოს, უკვე გვიან ღამით, ოთახის კარის გაღების ხმა შემომესმა. არ მახსოვს რამდენი დრო გავიდა, მაგრამ როცა საბოლოოდ გავახილე თვალი, მამაჩემი შევნიშნე, ძალზე ფერმკრთალი მომეჩვენა. კართან მიმდგარ სკამზე იჯდა, რაღაცაზე ფიქრობდა. ოთახში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ჩამოღვენთილი ქონის სანთელი მწუხარედ ანათებდა ჩვენს სამყოფელს.

დიდხანს შევყურებდი მამას, კარგახანს იჯდა გაუნძრევლად ერთსა და იმავე მდგომარეობაში, თავჩაქინდრული მუხლებზე ხელებდაყრდნობილი. რამდენჯერმე ვცადე დაძახება, მაგრამ ვერ შევძელი. მე კვლავ გონმიხდილივით ვიყავი. ბოლოს, როგორც იქნა, მამაჩემი გამოერკვა, თავი ასწია და სკამიდან წამოდგა. შუა ოთახში რამდენიმე წამით შეჩერდა, თითქოს რაღაც გა-

დაწყვეტილების მიღებას აპირებდა, მერე უეცრად დედაჩემის საწოლს მიუახლოვდა, ყური მიუგდო, როცა დარწმუნდა სძინავსო, იმ სკივრისაკენ წავიდა, რომელშიც ვიოლინო იდო. სკივრი გააღო, შავი ბუდე ამოიღო, მაგიდაზე დადო. მერე ამღვრეული თვალებით ისევ სწრაფად მიმოიხედა გარშემო. სხვა დროს ასეთი გამოხედვა არ შემინიშნავს.

ის იყო ვიოლინოს მოჰკიდა ხელი, მაგრამ იქვე მიაგდო, უკან დაბრუნდა, კარი ჩაკეტა. მერე კარადის გამოღებული კარი შენიშნა, ნელი ნაბიჯით მივიდა, თვალი ჭიქას ჰკიდა, ღვინო დაისხა, დალია, ახლა უკვე მესამედ წაავლო ხელი ვიოლინოს, მაგრამ მესამედაც მიანება თავი, დედაჩემის საწოლს მიუახლოვდა. შიშისაგან თავზარდაცემული ველოდი შედეგს.

დიდხანს, ძალზე დიდხანს უგდებდა ყურს დედაჩემის სუნთქვას, მერე უეცრად სახეზე საბანი გადახადა, ხელით დაუწყო მის სახეს მოსინჯვა, მე შევკრთი. კიდევ ერთხელ დაიხარა დედაჩემისაკენ ისე, რომ თითქმის თავი ზედ დაადო, მაგრამ, როცა საბოლოოდ წამოიწია, მე შევნიშნე, რომ ზომაზე მეტად გადაფითრებულ სახეზე, თითქოს ღიმილმა გაიელვა. ფრთხილად დაახურა საბანი დედას თავიდან ფეხებამდე. მე შეუცნობი შიშისაგან თრთოლა დავიწყე. შიშმა ამიტანა დედაჩემის გამო, შემაშინა მისმა ღრმა ძილმა და შეშფოთებით დავაცქერდი იმ უძრავ ხაზებს, რომლებიც კუთხურად მოსჩანდნენ საბნის ქვეშიდან... ჩემს გონებაში ელვის სისწრაფით გაირბინა საშინელმა აზრმა.

როცა მამაჩემმა ყველაფერი მოამზადა, ისევ კარადას მიუახლოვდა, დარჩენილი ღვინო დალია, მერე მაგიდისაკენ წამოვიდა. მთელი სხეულით თრთოდა, გადაფითრებული იყო, კაცი ვეღარ იცნობდა. ისევ მოკიდა ხელი ვიოლინოს. მე უკვე ნანახი მქონდა ეს ვიოლინო და ვიცოდი რასაც წარმოადგენდა, მაგრამ ახლა რაღაც საშინელს ველოდი, საშიშს, საუცხოოს... პირველი აკორდის აღებისთანავე შევკრთი. მამამ დაკვრა დაიწყო, მაგრამ

ხმა რაღაცნაირად წყვეტილად გაისმა. იგი ყოველ წუთს წყდებოდა, გეგონებოდათ დამკვრელი რაღაცას იგონებსო. ბოლოს ხემი მიაგდო, სახე გაწამებულ-გატანჯული ჰქონდა, უცნაურად გადახედა ლოგინს, თითქოს ისევ რაღაც წუხილმა შეიპყრო, ისევ მიუახლოვდა საწოლს... არც ერთი მოძრაობა არ გამომპარვია, საშინელმა გრძნობამ შემიპყრო, გარინდული ვადევნებდი თვალს.

უეცრად ისევ დაიწყო ხელების ფათური, რაღაცას ეძებდა. მე ისევ საშინელმა აზრმა გამიელვა: რატომ სძინავს ასე მაგრად დედაჩემს? რატომ არ გაიღვიძა მაშინ, როცა მამაჩემი მის სახეს ხელით შეეხო? ბოლოს ისიც შევნიშნე, რომ მამაჩემმა ჩვენი ტანსაცმლის მოგროვება დაიწყო, აგროვებდა ყველაფერს, რაც კი ხელთ მხვდებოდა. აქ იყო დედაჩემის სალოფიც, თავისი ძველი სერთუკიც, ხალათიც, ჩემი კაბაც, ტანთ რომ გავიხადე. მთელ ამ გროვაში სულ ერთიანად ჩაიმალა დედაჩემი, მაგრამ კვლავინდებურად გაუნძრევლად იწვა, არც ერთი ნაკვთი არ შერხეულა მის ტანზე.

დედას ღრმად ეძინა!

მამამ თავისი საქმე მოათავა და თითქოს უფრო თავისუფლად ამოისუნთქა. ამჯერად აღარაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ მაინც წუხდა. სანთელს ადგილი შეუცვალა, თვითონაც კარისკენ შებრუნდა, არ უნდოდა საწოლისათვის ეცქირა. ბოლოს ვიოლინო ხელთ აიღო, ხემი რაღაცნაირი თავგანწირვით ჩამოჰკრა... მუსიკა დაიწყო.

მაგრამ არა, ეს არ იყო მუსიკა... მე ყველაფერი ნათლად მახსოვს, მახსოვს ყოველი წამი, ყველაფერი რამაც განაცვიფრა მაშინ ჩემი გონება. არა, ეს არ იყო ისეთი მუსიკა, როგორც შემდგომ მომისმენია. ეს არ იყო ვიოლინოს ხმა. ეს იყო ვიღაცის განწირული კივილი, რომელიც პირველად გაისმა ჩვენს ჩაბნელებულ სამყოფელში.

იქნებ ჩემი შთაბეჭდილებები იყო მცდარი და ავადმყოფური, იქნებ ახლახან ნანახისა და განცდილისგან ვიყავი შემზადებული ესოდენ აუტანელი მტანჯველი შთაბეჭდილებებისათვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გავიგონე ადამიანის კვნესა, ტირილი, კივილი. ამ ხმაში იღვრებოდა მთლიანად ადამიანის სასოწარკვეთილება და ბოლოს, როცა უკანასკნელმა თავზარდამცემმა აკორდმა დაიქუხა, რომელშიც ჩაქსოვილი იყო ყველაფერი, რაც კი არსებობს საშინელი და აუტანელი ტირილში, მწვალებლური — ტანჯვასა და წამებაში, სევდიანი, უიმედო სევდასა და ნაღველში — მე ვეღარ მოვითმინე და ცახცახმა ამიტანა, თვალთაგან ცრემლები გადმომცვივდა და საშინელი თავგანწირული ყვირილით მივვარდი მამაჩემს, შემოვეხვიე. მან შეჰყვირა და ვიოლინო ძირს დაუშვა.

წუთით გაოგნებული იჯდა. ბოლოს თვალები აქეთ-იქით გაექცა, მიიხედ-მოიხედა, თითქოს რაღაცას ეძებდა, უცებ ვიოლინოს დაავლო ხელი, ჩემს თავზე აღმართა... წამიც და იქვე მომკლავდა, რომ...

— მამიკო! — დავიყვირე მე, — მამიკო!

როცა ჩემი ხმა გაიგონა, უეცრად ფოთოლივით აცახცახდა, ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

— აა! შენ ისევ ცოცხალი ხარ! მაშ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა! შენ ისევ ჩემთანა ხარ! — დაიყვირა და მხრებით ჰაერში ამიტაცა.

— მამიკო! — შევყვირე მე, — ნუ მაშინებ, ღვთის გულისათვის! მეშინია! ვაიმე!

ჩემმა ტირილმა განაცვიფრა, ფრთხილად დამიშვა იატაკზე. ერთხანს ხმაამოუღებლად მიყურებდა, თითქოს მიცნო და რაღაცას იგონებსო. ბოლოს თითქოს გონსაც მოეგო, რაღაც საშინელმა აზრმა თავზარი დასცა, დაბინდულ თვალთაგან ცრემლები

გადმოსცვივდა. ჩემკენ დაიხარა, დაჟინებით დამაცქერდა სახეზე.

— მამილო! — ვეუბნებოდი შიშისაგან გაწამებული, — ნუ მიყურებ აგრე, მამიკო! წავიდეთ აქედან, წავიდეთ ჩქარა! გავიქცეთ!

— ჰო, გავიქცეთ! გავიქცეთ, დროა! წამოდი, ნეტოჩკა! ჩქარა! ჩქარა! — და ისე აწრიალდა, თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა რა უნდა გაეკეთებინა, აჩქარდა, აქეთ-იქით დაიწყო ყურება. იატაკზე დედაჩემის ცხვირსახოცი შენიშნა, აიღო, ჯიბეში ჩაიდო, მერე მისი ჩაჩიც აიღო, ისიც შეინახა, გეგონებოდათ შორეული მგზავრობისათვის ემზადება და ყველაფრის წაღება უნდა, რაც შეიძლება იქ დასჭირდესო.

თვალისდახამხამებაში ჩავიცვი კაბა, მასავით ავჩქარდი, მეც დავიწყე ყველაფრის მოგროვება, რაც კი, ჩემი აზრით, შეიძლებოდა დაგვჭირვებოდა მგზავრობისას.

— ყველაფერი მოაგროვე, ყველაფერი? — მეკითხებოდა ის, — ყველაფერი მზად არის? ჩქარა! ჩქარა!

სასწრაფოდ გამოვკარი ბოხჩა, თავზე შალი მოვიხვიე, კარებში როცა გავდიოდი, უეცრად სურათის ჩამოღება გამახსენდა, კედელზე რომ ეკიდა. მამაჩემი მაშინვე დამეთანხმა. ის ახლა მშვიდად იყო, ლაპარაკობდა ხმადაბლა, მხოლოდ ეს იყო, რომ მაჩქარებდა, მეუბნებოდა, დროზე წავიდეთო. სურათი ძალზე მაღლა ეკიდა, ორთავემ მოვიტანეთ სკამი, ერთზე მეორე შევდგით, მე სკამზე ავცოცდი და, როგორც იქნა, დიდის ვაივაგლახით ჩამოვხსენით სურათი. ახლა ყველაფერი მზად იყო ჩვენი მგზავრობისათვის. მამამ ხელზე ხელი მომკიდა, ის იყო წასვლას ვაპირებდით, რომ უეცრად შემაჩერა. დიდხანს იდგა ერთ ადგილზე, შუბლს ისრესდა, თითქოს რაღაცას იგონებდა, თითქოს ჯერ კიდევ დარჩა გასაკეთებელი რაღაც. ბოლოს მიაგნო. დედაჩემის სასთუმლის ქვეშ გასაღები მონახა, კომოდთან მივიდა, რაღაცას

აჩქარებით დაუწყო ძებნა. როცა დაბრუნდა, კომოდის უჯრაში ნაპოვნი ფული მოიტანა.

— აჰა, აიღე, გაუფრთხილდი, — ჩამჩურჩულა მან, — არ დაკარგო გესმის? დაიმახსოვრე!

ფული პირველად ხელში მომაჩეჩა, მერე უკან წაიღო და უბეში ჩამიდო. მახსოვს შევკრთი, როცა ჩემს სხეულს ვერცხლის ფული შეეხო. თითქოს მხოლოდ ახლა ვიგრძენი რასაც ნიშნავდა ფული. ჩვენ ისევ მზად ვიყავით წასასვლელად, მაგრამ მამამ უეცრად ისევ შემაჩერა.

— ნეტოჩკა! — მითხრა მან ისე, თითქოს თავს ძალას ატანდა, თითქოს სათქმელის მოფიქრებას ლამობდა, — ჩემო ბავშვო, მე დამავიწყდა... რაო? რა არის საჭირო? არ მახსოვს... ჰო, ჰო! ვიპოვე, გამახსენდა! მოდი აქ, ნეტოჩკა!

მან იმ კუთხისაკენ წამიყვანა, სადაც ხატი ეკიდა, მითხრა, დაიჩოქეო.

— ილოცე შვილო, ილოცე! გულს მოგეშვება, უსათუოდ მოგეშვება, — ჩამჩურჩულებდა და ხატზე მითითებდა, რაღაც უცნაურად შემომცქეროდა, — ილოცე, ილოცე! — მეუბნებოდა თხოვნითა თუ ვედრებით.

მე დავიჩოქე, გულხელი დავიკრიფე და შიშითა და ძრწოლით თავზარდაცემული იატაკზე დავემხე, რამდენიმე წუთს მკვდარივით გაუნძრევლად ვეგდე. თავს ძალას ვატანდი, მთელ ჩემს გრძნობებს ვიშველიებდი, რომ ლოცვანი მეთქვა, მაგრამ შიშმა უფრო მეტად ამიტანა. ბოლოს გაწამებული წამოვდექი. უკვე აღარ მინდოდა მამაჩემთან ერთად წასვლა. მეშინოდა, დარჩენა მწადდა, ბოლოს, ის რაც ასე მაწამებდა, გულის სიღრმიდან აღმომხდა.

— მამიკო! — ვთქვი მე ცრემლების ფრქვევით, — დედა? რა დაემართა დედას? სადის არის დედა? სად არის ჩემი დედიკო?

მე აღარ შემეძლო სიტყვის გაგრძელება და უფრო ძლიერ ავქვითინდი.

ისიც თვალცრემლიანი შემომყურებდა. ბოლოს, ხელი მომკიდა, საწოლთან მიმიყვანა, დედაჩემის თავზე გროვად დაყრილი ტანსაცმელი გადაქექა და საბანი გადააძრო. ღმერთო ჩემო! დედაჩემი მკვდარი იყო, იგი უკვე გაციებული და გალურჯებული იწვა. მე გონდაკარგული მივვარდი მის ცხედარს, მოვეხვიე. მამამ მის წინ დამაჩოქა.

— თაყვანი ეცი, შვილო! — მითხრა მან, — გამოემშვიდობე...

მე თავი დავხარე, მამამაც ჩემთან ერთად დახარა თავი... საშინელი ფერი ედო სახეზე. ტუჩების ცმაცუნით რაღაცას ჩურჩულებდა.

— ეს მე არ მიქნია, ნეტოჩკა, არა, — მეუბნებოდა და ათრთოლებული ხელით მიცვალებულზე მითითებდა, — გესმის, მე არა, მე არა ვარ დამნაშავე, გახსოვდეს ნეტოჩკა!

— მამა, წავიდეთ, — წავჩურჩულე შიშით, — დროა!

— ჰო, ახლა კი დროა, კარგა ხანია დროა! — თქვა და მაგრად მომკიდა ხელზე ხელი. ოთახიდან გასვლას ჩქარობდა. — მაშ, ახლა გავუდგეთ გზას! მადლობა ღმერთს, ყველაფერი დამთავრებულია!

კიბეზე ჩამოვედით, მეეზოვემ, რომელმაც ჭიშკარი გაგვიღო და ჯერ ისევ ძილ-ღვიძილში იყო, დაეჭვებულმა შემოგვხედა. მამაჩემს თითქოს შეეშინდა არაფერი მკითხოსო და პირველი გაძვრა ჭიშკარში. ძლივს დავეწიე. ჩვენი ქუჩა გავიარეთ და არხის სანაპიროზე გავედით. ღამის განმავლობაში ქვაფენილზე თოვლი დაედო, ახლაც ბარდნიდა წვრილ-წვრილად. ციოდა, მთელი სხეულით ვცახცახებდი, მამაჩემს უკან მივდევდი, მისი ფრაკის კალთაზე ჩაფრენილი. ვიოლინო იღლიის ქვეშ ჰქონდა ამოჩრილი, ყოველ წუთს ჩერდებოდა, რომ ბუდე გაესწორებინა.

თხუთმეტი წუთი იქნებოდა რაც მივდიოდით: მამამ დაქანებულ ქუჩაზე შეუხვია, თითქმის ზედ თხრილთან უკანასკნელ კუნძზე ჩამოჯდა. ჩვენგან ორიოდე ნაბიჯის დაშორებით ყინულჭრილი იყო. კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ღმერთო! დღევანდელი დღესავით მახსოვს ის საშინელი გრძნობა, რომელიც მაშინ დამეუფლა უეცრად! ძლივს აღსრულდა, რაზეც მთელი ერთი წლის მანძილზე ვოცნებობდი. ჩვენ უკვე დავტოვეთ ჩვენი ღარიბული სახლი, მაგრამ განა ამაზე ვოცნებობდი, განა ამას მოველოდი? განა ეს ისახებოდა ჩემს ბავშვურ ფანტაზიაში, როცა ვფიქრობდი იმ ადამიანის ბედნიერებაზე, რომელიც ასეთი არაბავშვური სიყვარულით მიყვარდა? ყველაზე ძალიან ამ წუთებში დედაზე ფიქრი მაწამებდა. რად მივატოვე მარტო? — ვფიქრობდი მე, — რად მივაგდეთ მისი სხეული ისე, როგორც უსარგებლო ნივთი? და მახსოვს, ყველაზე ძალიან მაშინ ამ გრძნობამ შემაწუხა.

— მამიკო! — დავიწყე მე, რადგან აღარ შემეძლო ესოდენ მძიმე საზრუნავის მარტო ატანა, — მამიკო!

— რა იყო? — მკითხა მან მკაცრად.

— რატომ მივატოვეთ დედა? რატომ მივაგდეთ ასე? — ვკითხე და ავტირდი, — დავბრუნდეთ მამიკო, დავუძახოთ ვინმეს დედასთან.

— ჰო, ჰო, — წამოიძახა უცებ გამოფხიზლებულმა მამამ და ისე წამოდგა კუნძიდან, თითქოს რაღაც ახალი მოიფიქრა, რომლითაც თავისი ფიქრების გაფანტვა სურდა, — ჰო, ნეტოჩკა, ასე არ შეიძლება. უნდა წავიდეთ დედასთან, იქ ცივა! წადი მასთან, ნეტოჩკა, წადი, იქ არა ბნელა. იქ სანთელი ანთია, ნუ გეშინია, დაუძახე ვინმეს, მერე ისევ აქ მოდი. ჩემთან. წადი, მე დაგელოდები... მე არსად წავალ.

იმავე წუთს გავუდექი გზას, მაგრამ ის იყო ქვაფენილზე შევდგი ფეხი, რომ უეცრად რაღაცამ მიჩხვლიტა გულზე... მოვიხედე და დავინახე რომ მამაჩემი მოპირდაპირე მხარეს გარბოდა. მე

გამირბოდა, მტოვებდა, მტოვებდა მარტო ამ მძიმე წუთებში! რაც ძალი და ღონე მქონდა წამოვიყვირე, უკან გამოვედევნე. სუნთქვა შემეკრა, ის სულ უფრო და უფრო უმატებდა სირბილს... მე მას უკვე ვკარგავდი თვალთა ხედვიდან. გზაზე მისი ქუდი ეგდო, სირბილის დროს დავარდნოდა. ავიღე და ისევ გამოვუდექი, სუნთქვა მეკვროდა. ფეხები მომიდუნდა, ვხედავდი, რაღაც უმსგავსობა ხდებოდა ჩემს თავს. მეგონა, სიზმარში ვარ-მეთქი. დროდადრო მართლაც ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, როგორც სიზმარში. აგერ გავრბივარ, გავურბივარ მდევარს, მაგრამ ფეხები მეკეცება, აი, სულ ცოტაც და მდევარი დამეწევა, გრძნობადაკარგული ვეცემი ძირს.

და საშინელი შეგრძნებისაგან, რომ ის გარბის უქუდოდ, უფარაჯოდ, გამირბის მე, თავის საყვარელ შვილს, გული ძლიერ მიცემდა, მიკვნესოდა, მტკიოდა... მე კი მხოლოდ იმიტომ მინდოდა დავწეოდი, რომ კიდევ ერთხელ მაგრად გადამეკოცნა და მეთქვა, რომ ტყუილად ეშინია ჩემი. დამემშვიდებინა, დამერწმუნებინა, რომ თუ მას არ სურს ჩემთან ყოფნა, მე არ ავეკიდები, რომ დედაჩემთან დავბრუნდები. სწორედ ამ დროს შევნიშნე, როგორ შეუხვია ერთ-ერთ შესახვევში. მეც იქ შევუხვიე და უკან გამოვუდექი. ჯერ ისევ ვხედავდი მას, ვხედავდი როგორ გარბოდა ჩემ წინ... მაგრამ ამ დროს ღონემ მიმტყუნა, დავიყვირე და ავტირდი. მახსოვს, სირბილის დროს ორ გამვლელს შევეფეთე, ისინი შუა ქვაფენილზე გაჩერებულიყვნენ და განცვიფრებულნი გვადევნებდნენ თვალს მე და მამაჩემს.

— მამიკო! მამიკო! — დავიყვირე უკანასკნელად და ქვაფენილზე ფეხი დამიცდა, იქვე რომელიღაც სახლის ჭიშკართან დავეცი. ვიგრძენი, როგორ გადამესხა სისხლი სახეზე. ერთი წუთის შემდეგ გრძნობა დავკარგე...

თბილსა და რბილ ლოგინში გამოვფხიზლდი. გულთბილი, ალერსიანი ადამიანები მეხვია გარს. სიხარულით შეხვდნენ ისი-

ნი ჩემს გამოფხიზლებას. პირველად მოხუცი ქალი დავინახე, ცხვირზე სათვალე ეკეთა, მერე მაღალი კაცი, იგი დიდი სიბრალულით შემომცქეროდა. ბოლოს მშვენიერი ახალგაზრდა ქალი შევნიშნე და სულ ბოლოს ჭაღარა მოხუცი, რომელსაც ჩემი ხელი ეჭირა ხელში და საათს დასცქეროდა.

მე გავიღვიძე ახალი ცხოვრებისათვის. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც დაცემის წინ ქუჩაში შევხვდი, თავადი X იყო. სწორედ მისი სახლის წინ დავეცი უგონოდ. შემდგომში, როცა გამოძიება დაიწყეს და დაადგინეს ვინც ვიყავი, თავადს, რომელმაც მამაჩემს მოსაწვევი ბარათი გამოუგზავნა ს-ს კონცერტზე დასასწრებად, შემთხვევის უცნაურობით განცვიფრებულს, გადაუწყვეტია თავის სახლში მივეღე და მის შვილებთან ერთად აღვეზარდე. მოგვიანებით მამაჩემის ამბავიც მოიკითხეს და დაადგინეს, რომ სადღაც ქალაქგარეთ უნახავთ, თითქმის სრულიად გონს გადასული, საავადმყოფოში წაუყვანიათ და იქ ორ დღეში გარდაცვლილა.

გარდაიცვალა მამაჩემი, რადგან ასეთი სიკვდილი სრულიად ბუნებრივი და გარდაუვალი იყო მისთვის, ვინც ასეთი ცხოვრება განვლო. ასე უნდა დამთავრებულიყო მისი სიცოცხლე, რადგან რაც მას ცხოვრებასთან აკავშირებდა, უეცრად გაქრა, როგორც ზმანება, დაინგრა და დაიმსხვრა, როგორც ინგრევა ფუჭი ოცნება. იგი გარდაიცვალა მაშინ, როცა საბოლოოდ დაიშრიტა მისი უკანასკნელი იმედი, როცა თვალისდახამხამებაში გაქრა ის, რითაც თავს იტყუებდა მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში და რაც ასულდგმულებდა მას. სინამდვილეში მთელი თავისი ბრწყინვალებით მოსჭრა თვალი და ის, რაც საყოველთაოდ სიცრუედ იყო აღიარებული, ახლა პირადად მისთვისაც სიცრუედ იქცა. თავისი ცხოვრების დასასრულს მან მოუსმინა ბრწყინვალე გენიოსს, რომელმაც მისივე ამბავი მოუთხრო და სამუდამოდ დასდო მსჯავრი. უკანასკნელ ჰანგებთან ერთად, რომელიც გე-

ნიალური დამკვრელის ს-ს ვიოლინოს სიმებს მოსწყდა, მის თვალწინ ხელოვნების მთელი საიდუმლო გადაიშალა და მუდამ ჭაბუკურმა, ძლიერმა და ჭეშმარიტმა გენიამ გააცამტვერა იგი თავისი ჭეშმარიტებით. თითქოს ყველაფერი, რაც დღემდე იდუმალად აწამებდა მას, მხოლოდ ეზმანებოდა და ფარულად სტანჯავდა, რაც დროდადრო იჩენდა თავს, მაგრამ რასაც შეშინებული გაურბოდა და თავს სიცრუით იიმედებდა, ყველაფერი, რასაც გრძნობდა დღემდე, მაგრამ რაც ესოდენ აშინებდა, უეცრად და ერთბაშად გაბრწყინდა მის თვალწინ და მაშინ მას, რომელიც დღემდე ჯიუტად არ სცნობდა სინათლეს სინათლედ, ხოლო წყვდიადს წყვდიადად — თვალი აეხილა, მაგრამ სინამდვილე აუტანელი აღმოჩნდა მისთვის. მან პირველად დაინახა წარსული, აწმყო და მომავალი თავის ფერებში და თვალთ დაუბნელდა, გონება თითქოს შანთით ამოუწვეს და როგორც გარდუვალი რამ, უეცრად მეხივით დაეცა თავზე, უეცრად მოხდა ის, რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ასეთი შიშითა და ძრწოლით ელოდა, თითქოს მთელი ამ ხნის განმავლობაში მის თავს ზემოთ ცული იყო აღმართული და იგი აუტანელი ტანჯვა-წამებით ელოდა ამ ცულის დაკვრას და აი, დაკრეს კიდეც. ეს დარტყმა სასიკვდილო აღმოჩნდა მისთვის. მას უნდოდა საკუთარი თავის გასამართლებას გაქცეოდა, მაგრამ გასაქცევი აღარსად ჰქონდა. საამისო უკანასკნელი იმედიც გაქრა, აღარ არსებობდა მიზეზი, რადგან ის, ვისი სიცოცხლეც მრავალი წლის მანძილზე ტვირთად აწვა და ამძიმებდა, ის ვინც ცხოვრებას უშლიდა და ვისი სიკვდილის შემდეგაც, მისივე ცრუ რწმენით, უცბად, ერთი ხელის დაკვრით უნდა აღზევებულიყო — აღარ არსებობდა, იგი გარდაიცვალა და ახლა მარტო დარჩენილს აღარავინ ბორკავდა, ბოლოს და ბოლოს იგი თავისუფალი იყო და მშფოთვარე სასოწარკვეთილებამდე მისულს უნდოდა უკანასკნელად თავადვე დაედო მსჯავრი საკუთარი თავისთვის, მსჯავრი მკაცრი და ულმობელი, როგორც პირუთ-

ვნელსა და უანგარო მსჯავრმდებელს, მაგრამ დასუსტებულ მის ხემს მხოლოდ გენიოსის უკანასკნელი მუსიკალური ფრაზის განმეორება შეეძლო და ამ წუთებში მისმა სიგიჟემ, რომელიც აგერ უკვე ათი წელია რაც დარაჯობდა, გარდუვალად დაღუპა იგი.

IV

გამოკეთება ნელ-ნელა დავიწყე, მაგრამ მაშინაც კი, როცა საბოლოოდ წამოვდექი ლოგინიდან, გონება ისევ დახშული მქონდა, კიდევ დიდხანს ვერ გავრკვეულიყავი რა ხდებოდა ჩემს თავს. ზოგჯერ თავი სიზმარში მეგონა და მახსოვს, გულით მინდოდა, რომ ყველაფერი რაც თავს გადამხდა, მართლაც სიზმარი ყოფილიყო. დროდადრო, დაძინებისას, თავს იმით ვიიმედებდი, რომ დილით გავიღვიძებ და ისევ ჩემს ღარიბულ ოთახში აღმოვჩნდები-მეთქი, ვნახავ დედას, მამას. ბოლოს ჩემი მდგომარეობა გავარკვიე. ნელ-ნელა დავრწმუნდი, რომ სრულიად მარტო ვარ დარჩენილი, ვცხოვრობ სხვის კარზე. აი, მაშინ იყო, რომ პირველად ვიგრძენი ნამდვილი ობლობა.

ხარბად დავუწყე ყურება ყველაფერს, რაც ესოდენ უეცრად შემომერტყა გარს. პირველხანად ყველაფერი უცნაური და საკვირველი მეჩვენებოდა. ყველაფერი მაკრთობდა, ეს იქნებოდა ახალი სახეები, ახალი ზნე-ჩვეულებანი, თუ ოთახები ძველებურ თავადურ სახლში — დღევანდელი დღესავით მახსოვს ისინი — დიდრონი, მაღალჭერიანი, მდიდრული, მაგრამ იმდენად პირქუში და მოღუშული, რომ მე გულწრფელად მეშინოდა ამ ოთახებში გავლა. ეს იყო გაუთავებლად გრძელი დარბაზები, მეგონა შიგ რომ შევიდე, აუცილებლად დავიკარგები-მეთქი. ჯერ მთლიანად გამოკეთებული არ ვიყავი და ჩემი შთაბეჭდილებებიც, ამ საზეიმო და პირქუში საცხოვრებლის დარად, მძიმე და პირქუში იყო. ნაღველი, რომელიც თვითონაც არ ვიცი რატომ მეუფლებოდა, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ჩემს პატარა გულში. განცვიფრებული სახით შევდგებოდი რომელიმე სურათის, სარკის, ანდა ბუხრის წინ, ასე იკლიკანტურად რომ გაეკეთებინა ხელოსანს, თუ არა და ქანდაკების წინ, რომელიც თითქოს იმალებოდა ნიშში, რომ იქიდან უფრო კარგად ეთვალთვალა ჩემთვის, რათა უფრო

მოხერხებულად შევეშინებინე. და მერე უეცრად მავიწყდებოდა რისთვის შევჩერდი, რა მინდოდა, რაზე ვფიქრობდი და მხოლოდ იმის შემდეგ, როცა გამოვერკვეოდი, შიში და ძრწოლა ამიტანდა ხოლმე. გული გამალებით მიწყებდა ძგერას.

იმათგან, ვინც ჩემი ავადმყოფობის დროს იშვიათად მოდიოდა ჩემს სანახავად, მოხუცი ექიმის გარდა, ყველაზე უფრო ძლიერ ხანდაზმული, სერიოზული, მაგრამ ამასთან ძალზე კეთილი კაცის სახემ განმაცვიფრა. იგი განსაკუთრებული თანაგრძნობით მიყურებდა! ყველაზე მეტად ის შევიყვარე, ძალიან მინდოდა გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ მეშინოდა. იგი გარეგნულად მუდამ სევდიანი ჩანდა. ლაპარაკობდა ცოტას და სვენებ-სვენებით. მის ტუჩებზე ღიმილს ვერასოდეს ნახავდით. ეს გახლდათ თვით თავადი X., რომელმაც მიპოვა და თავის სახლში შემიფარა, როცა გამოკეთება დავიწყე, სულ უფრო და უფრო იშვიათად მოდიოდა ჩვენთან. ბოლოს, როცა უკანასკნელად მოვიდა, კანფეტები და სურათებიანი საბავშვო წიგნი მომიტანა, მაკოცა, პირჯვარი გადამწერა და მთხოვა გავმხიარულებულიყავი. გამომშვიდობებისას დასძინა: მალე მეგობარი გეყოლებაო. მას თავისი ქალიშვილი კატია ჰყავდა მხედველობაში, ჩემი ტოლი გოგონა, რომელიც მაშინ მოსკოვში იყო. მერე თავისი ბავშვების აღმზრდელს — ხანდაზმულ ფრანგ ქალს და ჩემს მომვლელ ქალიშვილს გამოელაპარაკა და ჩემზე მიუთითა, ხოლო ამის შემდეგ ოთახიდან გავიდა. ზუსტად სამი კვირის განმავლობაში აღარ გამოჩენილა. თავადი თავის სახლში სრულიად განმარტოებით ცხოვრობდა. სახლის უმეტესი ნაწილი მის ცოლს ეჭირა. ცოლ-ქმარი ზოგჯერ მთელი კვირაობით ვერ ხვდებოდა ერთმანეთს. სხვებიც იშვიათად თუ ახსენებდნენ მის სახელს, ყოველივე ეს მოგვიანებით შევნიშნე. გეგონებოდათ თავადი ამ სახლში სულაც არ ცხოვრობსო. პატივისცემით კი ყველა პატივს სცემდა, ასე განსაჯეთ, უყვარდათ კიდეც, თუმცა ახირებულ და უცნაურ კაცად თვლიდნენ, თითქოს

თვითონაც გრძნობდა ამას, იცოდა სხვებს რომ არა ჰგავს და ამიტომაც გაურბოდა ხალხს... თავის დროზე მე გაცილებით უფრო დაწვრილებით და უფრო მეტის თქმა მომიწევს მასზე.

ერთხელ როგორღაც დილით მომრთეს, ჩამაცვეს სუფთა, სიფრიფანა საცვლები და შავი შალის კაბა თეთრი პლერეზით, რომელსაც მე რაღაცნაირი სევდანარევი განცვიფრებით შევავლე თვალი. თმა დამივარცხნეს და ზემოდან ქვემოთ, თავადის ცოლის სამყოფელში ჩამიყვანეს. როცა მის ოთახში შევდგი ფეხი, განცვიფრებისაგან გავშეშდი, ჩემს სიცოცხლეში არ მენახა ამდენი სიმდიდრე, ასეთი ბრწყინვალება, მაგრამ ეს შთაბეჭდილება მხოლოდ წამიერი იყო. თავადის ცოლმა ხმა ამოიღო თუ არა, ფერი მეცვალა. მან ბრძანა ჩემი მასთან ახლოს მიყვანა. როცა ტანთ მაცმევდნენ, მაშინაც ვგრძნობდი, რომ რაღაც წამებისათვის მამზადებდნენ, თუმცა, ღმერთმა უწყის, საიდან დამებადა ეს აზრი. საერთოდ, ახალ ცხოვრებაში მე რაღაცნაირი უნდობლობის გრძნობით შევდგი ფეხი. ყველაფერი, რაც გარშემო ხდებოდა უნდობლობას იწვევდა ჩემში, მაგრამ თავადის ცოლმა თავაზიანად მიმიღო, მაკოცა და მეც უფრო თამამად შევხედე მას. ეს ის მშვენიერი მანდილოსანი გახლდათ, რომელსაც ჩემი უგონო მდგომარეობიდან გამოფხიზლებისას პირველად მოვკარი თვალი და მაინც, როცა ხელზე ვკოცნიდი, მთელი სხეულით ვთრთოდი. ვერასგზით ვერ დავიმორჩილე თავი, რომ რომელიმე მის შეკითხვაზე ხეირიანად პასუხი გამეცა. თავის გვერდით დაბალ სკამზე დაჯდომა მიბრძანა. ვგონებ, ეს სკამი წინასწარ იყო ჩემთვის მომზადებული. ჩანდა, თავადის ცოლს მხოლოდ და მხოლოდ კეთილი სურვილი ამოძრავებდა ჩემ მიმართ, უნდოდა მთელი გულით შემთვისებოდა, დაეყვავებინა ჩემთვის და დედის ადგილი დაეჭირა ჩემს ცხოვრებაში. მე კი ვერ მივხვდი ამას და წავაგე მის თვალში. ხელში შესანიშნავი სურათებიანი წიგნი მომცეს და მიბრძანეს გადაათვალიერეო. თვითონ თავადის მეუღლე

ვიღაცას წერილს წერდა და მხოლოდ დროდადრო თუ მიანებებ-და თავს წერას, რომ ჩემთვის ორიოდ კითხვა დაესვა, მაგრამ მე ისეთი დაბნეული ვიყავი, რომ ხეირიანად პასუხის გაცემას ვერ ვახერხებდი. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცხოვ-რება მეტისმეტად უცნაური იყო, უმთავრესი ადგილი მასში ჩემს ბედისწერას ეჭირა, ანდა, ვინ იცის, იქნებ სხვადასხვა უჩინარ ამ-ბებსაც. საერთოდ ბევრი იყო ჩემს ცხოვრებაში საინტერესო და ამოუხსნელი, იქ-ნებ ფანტასტიკურიც. ამ მელოდრამატული გა-რემოს ჯიბრზე, სავსებით ჩვეულებრივი ბავშვი აღმოვჩნდი: შეში-ნებული, მივიწყებული, მოსულელოც კი, რაც განსაკუთრებით არ მოსწონდა თავადის ცოლს და, მე მგონი სულ მალე მოვაბეზრე თავი, რაშიც, სრულიად ბუნებრივია, მხოლოდ ჩემს თავს ვადანა-შაულებ. სამი საათისთვის სტუმრებმა დაიწყეს მოსვლა. თავადის მეუღლე უცებ შეიცვალა, უფრო თავაზიანი და ალერსიანი გახდა ჩემ მიმართ, სტუმრების შეკითხვებზე ამბობდა: ამ ბავშვის ამბავი ძალზე საინტერესოაო. მერე ფრანგულად იწყებდა მოყოლას. ამ დროს სტუმრები მე მიყურებდნენ, თავს აქნევდნენ, ისმოდა ცალ-კეული წამოძახილები, ერთმა ახალგაზრდა კაცმა ჩემკენ ლორ-ნეტი მოაბრუნა. სუნამოშეფრქვეულ მოხუცს ჩემი კოცნა მოუნდა, მაგრამ მე გაუნძრევლად ვიჯექი, ვფითრდებოდი და ვწითლდე-ბოდი, თვალდახრილი მთელი სხეულით ვთრთოდი, გული მელე-ოდა, მტკიოდა, მაგონდებოდა ჩემი წარსული. ჩვენი სხვენი, მამა-ჩემი, იქ გატარებული ჩუმი და გრძელი საღამოები, ვიგონებდი დედას და მასზე ფიქრისას თვალები ცრემლებით მევსებოდა, ყელში რაღაც მიჭერდა, თითქოს, მთელი გულით მწადდა გაქცე-ვა, გაუჩინარება, მარტო დარჩენა. ბოლოს, როცა სტუმრები წა-ვიდ-წამოვიდნენ, თავადის ცოლი ისევ შეიცვალა, ისევ სიმკაცრე აღებეჭდა სახეზე. ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მიყურებდა კუშტად. განსაკუთრებით შემაშინეს მისმა განმგმირავმა თვა-ლებმა, რომლებსაც ხანდახან მთელი თხუთმეტი წუთი არ მაშო-

რებდა. მაშინებდნენ მისი მოკუმული თხელი ტუჩები. საღამოხანს ზემოთ ამიყვანეს. ძილში ციებ-ცხელებიანივით ვცახცახებდი, ნაღველი გულს მისერავდა. ღამე რამდენიმეჯერ გამეღვიძა, ავადმყოფური სიზმრები მოსვენებას არ მაძლევდნენ, ვტიროდი. დილით კი ისევ ის ამბავი გამეორდა, ისევ წამიყვანეს თავადის ცოლთან. ბოლოს, მგონი თვითონ თავადის ცოლს მობეზრდა ჩემი თავგადასავლის მოყოლა სტუმრებისთვის, ხოლო სტუმრებს მისთვის თანაგრძნობის გამოცხადება. ესეც არ იყოს, მე ხომ სრულიად ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი „ყოველგვარი მიამიტობის“ გარეშე, როგორც ერთხელ თავადის ცოლმა თვითონვე განუცხადა ხანდაზმულ მანდილოსანს მასთან განმარტოებული საუბრისას, როცა ამ ქალმა ჰკითხა: ნუთუ არ გწყინდება ამ ბავშვთანო. და აი, ერთ საღამოს აქედან იმ ვარაუდით წამიყვანეს, რომ შემდეგში აღარასოდეს აღარ დამაბრუნებდნენ აქ. ასე და ამგვარად დამთავრდა ჩემი ფავორიტობა. თუმცა ნება დამრთეს სადაც მინდოდა თავისუფლად მევლო. მეც ერთ ადგილას ჯდომა არ შემეძლო ჩემი ავადმყოფური ნაღველის გამო და მიხაროდა, რომ საშუალება მქონდა ყველას მოვშორებოდი და ჩავსულიყავი ქვემოთ დიდ ოთახებში. მახსოვს, მთელი გულით მწადდა შინაურებთან გამოლაპარაკება, მაგრამ მათი გაბრაზების მეშინოდა და ისევ მარტო ყოფნას ვარჩევდი. ყველაზე საყვარელ დროსტარებად მიმაჩნდა, თუ სადმე კუთხეში მიკრუნჩხული, ყველასათვის შეუმჩნევლად, რაიმე ბარგს ამოფარებული, ვფიქრობდი ჩემთვის, ვიგონებდი ყველაფერს, რაც თავს გადამხდა. მაგრამ უცნაური რამ მემართებოდა, თითქოს სრულიად გადამავიწყდა ჩემს მშობლებთან გატარებული უკანასკნელი წუთები, გადამავიწყდა ყველაფერი, რაც ამ ამბავთან იყო დაკავშირებული. ჩემ თვალწინ მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული დაუმთავრებელი სურათები ცოცხლდებოდნენ, მაგონდებოდა ცალკეული ფაქტები, მე მართლაც ყველაფერი მახსოვდა თითქოს — ღამეც, ვიოლინოც,

მამაჩემიც, მახსოვდა ისიც, თუ როგორ ვუშოვე მამას ფული, მაგრამ მთელ ამ შემთხვევათა გააზრებას, გარკვევას როგორღაც ვერ ვახერხებდი... მხოლოდ გული სულ უფრო და უფრო მიმძიმდებოდა და როდესაც იმასაც წარმოვიდგენდი თუ მიცვალებული დედის საწოლთან როგორ ვლოცულობდი, მაშინვე მთელ სხეულში ჟრუანტელი დამივლიდა, ვცახცახებდი, ოდნავ შევყვირებდი კიდეც და მერე სუნთქვაშეკრულს ისე ძლიერ მტკიოდა გული და მიცემდა, რომ შიშისგან სასწრაფოდ გამოვრბოდი ჩემი კუთხიდან. თუმცა სიმართლე არ მითქვამს, როცა გითხარით მარტო მტოვებდნენ-მეთქი. პირიქით, გულმოდგინედ მითვალთვალებდნენ, ზუსტად ასრულებდნენ თავადის ბრძანებას, რომელსაც ნათქვამი ჰქონდა არავის შევეზღუდე და სრული თავისუფლება მოეცათ ჩემთვის, მაგრამ თვალყური ედევნებინათ. ვამჩნევდი, დროდადრო, ვინმე შინაურთაგან, ანდა მოსამსახურეებიდან, როგორ შემოიხედავდა იმ ოთახში სადაც მე ვიმყოფებოდი და მერე ისევ უხმოდ გავიდოდა. ასეთი ყურადღება ძალზე მანცვიფრებდა, ნაწილობრივ მაწუხებდა კიდეც. ვერ გამეგო რად მექცეოდნენ ასე, მუდამ იმის ფიქრში ვიყავი, რომ რაღაცისთვის მიფრთხილდებიან-მეთქი და მახსოვს მუდამ იმას ვცდილობდი, სადმე შორს წავსულიყავი, რათა საჭიროების შემთხვევაში ადვილად შემძლებოდა დამალვა. ერთხელ სადარბაზო შესასვლელის კიბეზე გავედი. კიბე იყო ძალიან ფართო, მთლიანად მარმარილოსი, თავიდან ბოლომდე ნოხებდაგებული, ყვავილებითა და ჩინებული საყვავილეებით მორთული. ყოველი კიბის მოედანზე ორ-ორი მაღალ-მაღალი კაცი იჯდა, ტანთ ჭრელაჭრულა ეცვათ, ხელებზე ხელთათმანები, ხოლო ყელზე თეთრი ქათქათა ჰალსტუხი ეკეთათ. მე მათ განცვიფრებული შევყურებდი, ვერაფრით ამეხსნა რატომ ისხდნენ ასე გაუნძრევლად, უსაქმოდ და მუნჯებივით ერთმანეთის პირისპირ.

სულ უფრო და უფრო მომწონდა ეს განმარტოებული სეირნობა, მაგრამ იმას, რისთვისაც მე ზემო სართულიდან ქვემოთ ჩამოვრბოდი, სხვა მიზეზიც ჰქონდა. ზემო სართულზე, თითქმის გარეთ გამოუსვლელად ცხოვრობდა თავადის მოხუცი დეიდა. ეს მოხუცი ქალი ღრმად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, რადგან იგი, ვგონებ, ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება იყო მთელ ჩვენს სახლში. მასთან ურთიერთობის დროს ყველა რაღაც ერთგვარ ეტიკეტს იცავდა, თვით თავადის ცოლიც კი, რომელსაც ასე ამაყად ეჭირა თავი და ესოდენ თავნება იყო, ზუსტად კვირაში ორჯერ დაწესებულ დღეებში მიდიოდა მასთან, რათა პირადად მოენახულებინა. ეს სტუმრობა ჩვეულებრივად დილის საათებში ინიშნებოდა. მათ შორის იმართებოდა გულგრილი საუბარი, რომელიც ხშირად საზეიმო დუმილში გადადიოდა, ამ დროს მოხუცი ქალი ან ლოცვანს კითხულობდა თავისთვის, ანდა კრიალოსანს მარცვლავდა. სტუმრობა მაშინ მთავრდებოდა, როცა ამას მოხუცი მოისურვებდა. იგი ფეხზე წამოდგებოდა, თავადის მეუღლეს ტუჩებში აკოცებდა და ამით ამცნობდა, რომ შეხვედრის დრო ამოიწურაო. წინათ ისინი ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ახლა, თვით მოხუცის ნება-სურვილით, მდგომარეობა ოდნავ შემსუბუქდა. თავადის მეუღლის მოვალეობას დღესდღეობით ის შეადგენდა, რომ კვირის დანარჩენი ხუთი დღის განმავლობაში კაცი უნდა გაეგზავნა მასთან და მისი ჯანმრთელობის ამბავი შეეტყო. საერთოდ კი გადაბერებული თავადის ქალი ამ სახლში თითქმის ისე ცხოვრობდა, როგორც მონასტერში. იგი ქალიშვილი გახლდათ და როცა ოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა, მონასტერში გამწესდა. თუმცა აღკვეცით არ აღკვეცილა. იქ ჩვიდმეტი წელი დაჰყო, შემდეგ მიატოვა მონასტერი და საცხოვრებლად მოსკოვში ჩამოვიდა, თავადის ქვრივ დასთან — გრაფის მეუღლე ლ-სთან, რომლის ჯანმრთელობა ყოველ წელს უარესდებოდა. მის აქ ჩამოსვლას სხვა მიზანიც ჰქონდა, უნდოდა თავის მეორე

დას, თავად X-ის მეუღლეს შერიგებოდა, რომელსაც ოც წელზე მეტი იქნებოდა, რაც ხმას არ სცემდა, მაგრამ, როგორც ამბობ-დნენ, ერთად ცხოვრების დროს არც ერთი დღე არ გაუტარებიათ თანხმობაში, ათასჯერ მოუწადინებიათ დაშორება, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოუხერხებიათ, რადგან, ბოლოს და ბოლოს, თი-თოეული მათგანი დარწმუნებულა, რომ აუცილებელია დანარჩე-ნი ორისთვის მარტოობისა თუ ნაღველის წუთებში. და მიუხედა-ვად გარეგნულად საზეიმო, მაგრამ ულაზათო, მოწყენილი ცხოვ-რებისა, რომელიც მათ მოსკოვურ კოშკში სუფევდა, მთელი ქა-ლაქი თავს ვალდებულად თვლიდა ამ განდეგილ ქალებთან ურ-თიერთობა არ შეეწყვიტა. ამ სამ ქალს ისინი არისტოკრატთა ან-დერძებისა და თქმულებათა დამცველებად თვლიდნენ და ისე უყურებდნენ, როგორც მკვიდრ ბოიარინთა ცოცხალ მემატი-ანეებს. თავად ლ-ს მეუღლემ, ამ ჩინებულმა ქალმა, გარდაცვა-ლების შემდეგ, ბევრი სასიამოვნო მოგონება დატოვა თავის თავ-ზე. პეტერბურგიდან მოსკოვს ჩამოსულნი პირველად ყოველ-თვის მათ ესტუმრებოდნენ ხოლმე, და ისინი, ვისთვისაც ამ სახ-ლის კარი ღია აღმოჩნდებოდა, ყველგან სასურველნი იყვნენ. როცა თავადი ლ-ს მეუღლე გარდაიცვალა, დები წავიდ-წამოვიდ-ნენ, უფროსი, თავადი X-ის მეუღლე, მოსკოვში დარჩა. მან დის შემდეგ, რომელიც უშვილოდ გარდაიცვალა, მემკვიდრეობა მი-იღო. უმცროსი და, მონასტერში ნამყოფი, თავის დისშვილ X-სთან გადმოსახლდა პეტერბურგში. სამაგიეროდ თავადი X-ის ორი შვილი: ასული კატია და ძე ალექსანდრე, ბებიასთან მოს-კოვში დარჩნენ სტუმრად, რათა ბებია გაერთოთ და ნუგეში ეცათ მარტოობაში. თავადი X-ის მეუღლე, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა შვილები და იძულებული იყო განშორებოდა მათ გლო-ვის დამთავრებამდე, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. დამავიწყდა მეთქვა, რომ გლოვა, რომელიც მალე უნდა დასრულებულიყო, იმის შემდეგაც გრძელდებოდა, რაც მე ამ სახლში დავსახლდი.

მოხუცი თავადის ქალი მუდამ შავებში დადიოდა, მუდამ შავ უბრალო შალის ქსოვილისგან შეკერილ კაბას ატარებდა, ზედ იკეთებდა წვრილნაოჭიან, გახამებულ თეთრ საყელოს, რომელიც მას დავრდომილთა თავშესაფარში მომუშავე ქალის იერს აძლევდა. ხელში მუდამ კრიალოსანი ეჭირა, წირვაზე მუდამ ზეიმით მიდიოდა, მარხვას ყოველდღე ინახავდა, სტუმრად სხვადასხვა სასულიერო და დარბაისელ პირებს იწვევდა, საღმრთო წიგნებს კითხულობდა და საერთოდ ნამდვილ მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა. ზემო სართულზე, სადაც ის ცხოვრობდა, სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ყოვლად დაუშვებელი იყო კარის ოდნავი გაჭრიალებაც კი. მოხუცს თხუთმეტი წლის გოგოსავით ჰქონდა გამახვილებული სმენა და მაშინვე გზავნიდა ვინმეს ხმაურისა თუ ოდნავი გაფაჩუნების მიზეზის გამოსარკვევად. ყველა ჩურჩულით ლაპარაკობდა, ყველა ფეხის წვერებზე დადიოდა. საწყალი ფრანგი ქალი, თავადაც მოხუცი, იძულებული გახდა გამოთხოვებოდა თავის საყვარელ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს. ქუსლები, საერთოდ, განდევნეს ხმარებიდან. ამ სახლში ჩემი გამოჩენიდან ორი კვირის შემდეგ მოხუცებულმა თავადის ქალმა კაცი გამოგზავნა საკითხავად — ვინ ვარ და რას წარმოვადგენ, როგორ მოვხვდი აქ და ა.შ. მოხუცის ცნობისმოყვარეობა მაშინვე დიდი პატივით დააკმაყოფილეს. ახლა მეორე შიკრიკი გამოცხადდა ფრანგ ქალთან იმის საკითხავად, თუ რატომ არ ვუნახივარ მას აქამდე? მაშინვე დაფაცურდნენ, დაიწყო ჩემი თმის ვარცხნა, ხელ-პირის ბანა, თუმცა ხელ-პირი მუდამ სუფთა მქონდა. მასწავლიდნენ როგორ უნდა მივესალმო, როგორ უნდა ველაპარაკო მხიარულად და თავაზიანად. ერთი სიტყვით, თავგზა ამიბნიეს. ახლა ჩვენი მხრიდანაც წავიდა ელჩი: ხომ არ ინებებს ობოლი გოგოს ნახვას. პასუხი უარყოფითი მოვიდა, მაგრამ ვადა მეორე დღისთვის, წირვის შემდეგ დაინიშნა. მთელი ღამე არ მიძინია, შემდგომ მიყვებოდნენ, რომ მთელი ღამის განმავლობაში ვბოდავდი. მივდიო-

დი თავადის ასულთან და რაღაც დანაშაულის გამო პატიებას ვთხოვდი. ბოლოს ჩემი განკითხვის დღეც დადგა. როგორც კი შემიყვანეს მასთან, მაშინვე თვალში მეცა დაბალი ტანის, ძალზე გამხდარი მოხუცი ქალი. უშველებელ სავარძელში იჯდა. თავი დამიქნია და ცხვირზე სათვალე გაიკეთა, რომ უფრო უკეთ დავენახე. მახსოვს, სრულიად არ მოვეწონე. აღნიშნა, რომ ველური ბავშვი ვარ, არც რევერანსი ვიცი და არც ხელებზე ამბორი. ამის შემდეგ დაიწყო გამოკითხვები, რაზედაც დიდი ვაი-ვაგლახით ვპასუხობდი, მაგრამ საქმე როდესაც ჩემს დედ-მამაზე მიდგა, უცებ ავტირდი. მოხუცს ძალიან არ მოეწონა გული რომ ამიჩუყდა, თუმცა დამამშვიდა. მითხრა, ღვთის იმედი იქონიეო. მერე მკითხა: უკანასკნელად როდის იყავიო საყდარში და ვინაიდან მისი შეკითხვა ჩემთვის თითქმის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემი აღზრდის საქმე ძალზე უგულვებელყოფილი იყო, თავადის ასულს თავზარი დაეცა. თავადის მეუღლესთან კაცი აფრინეს. მერე ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ უახლოეს კვირას საყდარში წამიყვანდნენ, მანამდე კი, თვით თავადის ასული შემპირდა, მე ვილოცებ შენთვისო, მაგრამ, ამასთან, ჩემი გაყვანა ბრძანა, რადგან, მისივე სიტყვებით, ძალზე მძიმე შთაბეჭდილება მოვახდინე მასზე. ამაში არც არაფერი იყო გასაკვირი. ეს ბუნებრივია, ასეც უნდა მომხდარიყო, ისიც ნათელი იყო, რომ სრულიად არ მოვეწონე. იმავე დღეს გამოგზავნეს კაცი სათქმელად, რომ მე ძალზე ბევრს ვცელქობ და ჩემი ხმა მთელ სახლში ისმის. თუმცა, მე მთელი დღის განმავლობაში გაუნძრევლად ვიჯექი. ცხადია, მოხუცს მოეჩვენა. და მაინც, მეორე დღესაც იგივე შენიშვნა მივიღე. მერე ისე მოხდა, რომ ფინჯანი ხელიდან გამივარდა და გატყდა. ფრანგ ქალთან ერთად სხვებიც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, მაშინვე ყველაზე შორეულ ოთახში გადამიყვანეს, სადაც დანარჩენებიც მომყვნენ თავზარდაცემულნი.

მაგრამ მერე კი აღარ ვიცი რით დამთავრდა ეს ამბავი. აი, რატომ მიხაროდა ქვემოთ ჩასვლა და დიდ ოთახებში ბორიალი. ვიცოდი, რომ იქ ხელს არავის შევუშლიდი.

ერთხელ, მახსოვს, ერთ-ერთ დარბაზში ვიჯექი თავჩაქინდრული. ხელები თვალებზე მქონდა აფარებული და ვფიქრობდი. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს ვიყავი ასე, ჩემს მოუმწიფებელ გონებას არ შეეძლო დაეძლია ჩემი სევდისა და მწუხარების მიზეზი და სულ უფრო და უფრო მიმძიმდებოდა გული. უეცრად თავს ზემოთ ვიღაცის ხმა შემომესმა.

— რა დაგემართა, ჩემო კარგო?

თავი ავწიე. ეს თავადი იყო, იგი ღრმა თანაგრძნობით შემომცქეროდა. ისეთი გულმოკლული და მწუხარე სახით შევხედე, რომ მის დიდრონ ცისფერ თვალებში ცრემლი აკიაფდა.

— საწყალი ობოლი! — თქვა მან და თავზე ხელი გადამისვა.

— არა, არა, ობოლი არა... — წამოვიყვირე და ოხვრა აღმომხდა. მთელი არსება შემეძრა თითქოს. ადგილიდან წამოვხტი; ხელზე ხელი წავავლე და კოცნა დავუწყე, თან ცრემლებით ვუსველებდი, თან ვევედრებოდი. — არა, არა, ობოლი არა!

— შვილო ჩემო, რა მოგდის? ჩემო საყვარელო, საბრალო ნეტოჩკა, რა გემართება, რა?

— სად არის დედაჩემი, სად? — ავღრიალდი, რადგან მეტის ატანა აღარ შემეძლო, აღარ შემეძლო დაგუბებული ნაღველის შეკავება და მის წინ მუხლებზე უღონოდ დავეცი. — სად არის დედა? მითხარი, ძვირფასო, სად არის დედაჩემი, სად?

— მაპატიე, მაპატიე, შვილო!... — ღმერთო, ეს რა დამემართა, რატომ გავახსენე... წამოდი, წამოდი ჩემთან, ნეტოჩკა.

ხელი წამავლო და სასწრაფოდ მომაშორა იქაურობას. იგი გულის სიღრმემდე შეძრწუნებული იყო. ბოლოს, ერთ-ერთ ოთახში შევედით, რომელიც ჯერ არ მენახა.

ეს სახატე ოთახი იყო. ბინდდებოდა, კანდელები დღესავით ანათებდნენ, ოქროთი და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი ხატები ბრწყინავდნენ. ბრჭყვიალა შეჭედილობიდან მქრქალად მოჩანდა წმინდანთა სახეები. ეს ოთახი სხვა ოთახებს არ ჰგავდა. აქ ყველაფერი თავისებურად იდუმალი და კუშტი იყო. განმაცვიფრა აქაურობამ. რაღაცნაირმა შიშმა შემიპყრო. მე ხომ ყველაფერს ძალზე მტკივნეულად განვიცდიდი! თავადმა სასწრაფოდ ღვთისმშობლის ხატის წინ დამაჩოქა და თვითონაც გვერდში ამომიდგა...

— ილოცე, შვილო, ილოცე! ორთავემ ვილოცოთ! — მითხრა ჩუმი, გრძნობამორეული ხმით.

მაგრამ ლოცვა არ შემეძლო, ძალზე განცვიფრებული ვიყავი, თითქმის შეშინებული. უეცრად მამაჩემის სიტყვები გამახსენდა, იმ უკანასკნელ ღამეს დედაჩემის ცხედართან რომ მითხრა და ცუდად შევიქენი. ლოგინში როცა ჩავწექი უკვე ავად ვიყავი. ამჯერად ავადმყოფობა კინაღამ საბედისწერო აღმოჩნდა. აი, როგორ მოხდა ეს: ერთ დილით ნაცნობი გვარი შემომესმა. ზედ ჩემს საწოლთან შინაურებიდან ვიღაცამ ს-ს გვარი ახსენა. მე შევკრთი, მოგონებები ერთბაშად შემომეჯარნენ. ვიგონებდი, ვოცნებობდი, ვწვალობდი და არ მახსოვს რამდენ ხანს დავყავი ასეთ ყოფაში. როცა გამომეღვიძა, ძალიან გვიან იყო, ბნელოდა, ლამპა აღარ ენთო. ქალიშვილი, რომელიც ჩემს ოთახში უნდა ყოფილიყო, არ ჩანდა. უეცრად საიდანღაც მუსიკის ხმა შემომესმა, შორიდან მოდიოდა, ხანდახან სრულიად წყდებოდა, მერე ისევ ძლიერდებოდა, თითქოს თანდათან მიახლოვდებოდა. არ მახსოვს, რა გრძნობა დამეუფლა, რა განზრახვამ შეიპყრო ჩემი ისედაც დაავადებული გონება. წამოვდექი, ვერ გეტყვით საიდან მოვიკრიფე ღონე, სასწრაფოდ გადავიცვი ძაძები და ხელის ფათურით ოთახიდან გავედი. არც მეორე და არც მესამე ოთახში არავინ შემხვედრია. ბოლოს დერეფანში ამოვყავი თავი. ხმები სულ უფრო

და უფრო ძლიერდებოდა. დერეფნის შუაგულში, ქვემოთ ჩასასვლელ კიბესთან დავდექი, როცა დიდ ოთახებში მინდოდა ჩასვლა, ყოველთვის ამ კიბით ჩავდიოდი. იქაურობა გაჩირაღდნებული იყო. ქვემოთ ხალხი ირეოდა, მე კუთხეში მივიყუჟე, ვინმემ არ დამინახოს-მეთქი, მერე ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ქვემოთ, მეორე დერეფანში გავჩნდი.

მეზობელი ოთახიდან მუსიკის ძლიერი ხმა გაისმოდა. აქ ძლიერი ხმაური იდგა, ლაპარაკობდნენ, გეგონებოდათ ათას კაცს მოუყრია თავიო. დერეფნიდან დარბაზში შესასვლელ კარზე ხავერდის მეწამულისფერი, უშველებელი ფარდები ეკიდა. ერთერთ ფარდას ყური ავუწიე, ორი ფარდის შუა მოვექეცი, გული ძლიერ მიცემდა, ფეხზე დგომა მიჭირდა, რამდენიმე წუთში, როგორც იქნა, დავძლიე მღელვარება და მეორე ფარდასაც ავუწიე ყური... ღმერთო ჩემო! ეს დიდი და პირქუში დარბაზი, რომელშიც ასე ძალიან მეშინოდა შესვლა, გაჩახჩახებული იყო. სიბნელეს შეჩვეულს, მოზღვავებულმა სინათლემ თვალი ისე მომჭრა, რომ მეტკინა კიდეც. სუნამოს სურნელი სახეში მეცა. აქ უამრავი ხალხი ირეოდა. წინ და უკან დადიოდნენ, ყველას მხიარული და კმაყოფილი სახე ჰქონდა. ქალებს ღია ფერის მდიდრული კაბები ეცვათ, მე ყველგან გაბრწყინებულ, კმაყოფილ სახეებს ვხედავდი, მოჯადოებულივით ვიდექი. მეგონა ყველაფერი, რაც აქ ხდება, უკვე ნანახი მაქვს-მეთქი. იქნებ სიზმარში... მაგონდებოდა ბინდბუნდი, ჩვენი სხვენი, ჰაერში გამოკიდებული ფანჯარა, მოციმციმე ფარნები, დამრეცად, შორს წასული ქუჩა, მაგონდებოდა ჩვენი სახლის წინ აღმართული მეწამულისფერ ფარდებიანი სახლი, ამ სახლის სადარბაზოსთან მდგარი ეტლები, ამაყი ცხენების ტორების ცემა, მათი ხვიხვინი, ხალხის ყაყანი, ფანჯრებზე გაწოლილი ლანდები და შორიდან მომავალი მუსიკის ხმები... აი, სად ყოფილა თურმე ეს სამოთხე! — გამიელვა უეცრად თავში, — აი, სად მინდოდა წამოსვლა ჩემს საბრალო მამასთან ერთად... გა-

მოდის, რომ ეს ოცნება კი არა სინამდვილე ყოფილა... დიახ, სწორედ ამას ვხედავდი ჩემს ოცნებაში, ვხედავდი სიზმარსა თუ ცხადში. უეცრად ჩემს დაავადებულ გონებაში ფანტაზიამ იფეთქა, ენით აუწერელი აღტაცებისგან თვალთაგან ცრემლები წამსკდა. თვალებით მამას დავუწყე ძებნა. „აქ უნდა იყოს, აქ," — ვფიქრობდი და მოლოდინისგან გული მელეოდა, სუნთქვა მეკვროდა... მუსიკა შეწყდა, დარბაზში გუგუნი გაისმა, რაღაცნაირმა ჩურჩულმა გადაიარა. ხარბად ვაკვირდებოდი ჩემ წინ მოციმციმე სახეებს, ვცდილობდი ნაცნობი სახე დამენახა, დარბაზი არაჩვეულებრივად ღელავდა, ამაღლებულ ადგილზე გამხდარი, მაღალი ტანის მოხუცი კაცი დავინახე. ფერმკრთალი სახე უღიმოდა, წელში მოხრილი, მარჯვნივ და მარცხნივ ესალმებოდა ყველას. ხელში ვიოლინო ეჭირა. უეცრად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს მთელმა დარბაზმა ერთდროულად შეწყვიტა სუნთქვა და მოლოდინით შეპყრობილნი მოხუცს მიაჩერდნენ. მოხუცმა ვიოლინო მოზიდა, ხემი სიმებს შეახო და მუსიკა აჟღერდა. გული უეცრად შემეკუმშა, წარმოუდგენელმა ნაღველმა შემიპყრო, სუნთქვა შემეკრა, ყური მივუგდე; რაღაც ნაცნობი, უკვე ადრევე გაგონილი ხმა ჩამესმა ყურში. ამ ხმებმა შეუცნობი, საშინელი და ამაზრზენი წინათგრძნობა აღმიძრა, რომელიც ჩემითვე უნდა ამომეხსნა. ბოლოს, ვიოლინო უფრო ძლიერ და უფრო ჩქარა ახმიანდა, გულგამგმირავად გაისმა ვიღაცის სასოწარკვეთილი კივილი, შესაბრალისი და საცოდავი ტირილი, ამაოდ გაისმა ვიღაცის განწირული ვედრება და იქვე ჩაინთქა ამ მილეთ ხალხში. თანდათან სულ უფრო და უფრო ნაცნობი გახდა ეს ხმები ჩემთვის. მაგრამ გულს არ უნდოდა დაეჯერებინა. კბილს კბილი დავაჭირე, რომ ტკივილისგან გმინვა არ აღმომხდენოდა, ფარდას ხელი წავავლე, რომ არ წავქცეულიყავი. ხანდახან თვალს ვხუჭავდი, მერე ისევ ვახელდი იმის შიშით, რომ სიზმარში ვარ და რომელიღაც ჩემთვის ნაცნობ საშინელ წუთს გამეღვიძება-მეთ-

ქი. მესიზმრებოდა უკანასკნელი ღამე, ჩამესმოდა ხმები და დასარწმუნებლად თვალს ვახელდი, ხარბად ვაჩერდებოდი ხალხს, — მაგრამ არა. ესენი სხვები იყვნენ, სხვა სახეებს ვხედავდი ჩემ წინ... მომეჩვენა, თითქოს ყველა ჩემსავით ელოდა რაღაცას, ყველას ჩემსავით აწამებდა ღრმა ნაღველი და ყველას უნდოდა დაყვირება, რომ დროზე შეეჩერებინათ ეს გმინვა-გოდება, აგრერიგად რომ აწამებდა მათ, მაგრამ გმინვა-გოდება არ წყდებოდა, იგი თანდათან მატულობდა, სულ უფრო და უფრო გაგრძელებულად მოისმოდა და უეცრად საშინელ, გულშემზარავ ყვირილში გადაიზარდა. ეს იყო უკანასკნელი ყვირილი, რამაც მთელი ჩემი არსება შეძრა... ეჭვი არ არის, ეს ის ყვირილი იყო, დიახ ის, ვიცანი იგი, მე იგი უკვე გაგონილი მქონდა და ახლაც, როგორც იმ ღამით, გული გამიგმირა. „მამა. მამა! — გამიელვა უეცრად, — აქ არის, აქ, მეძახის, ეს მისი ვიოლინოა“... უეცრად თითქოს მთელ დარბაზს ოხვრა აღმოხდა, მქუხარე ტაშმა იგრიალა. მეტი ვეღარ მოვითმინე, ფარდა გადავწიე და გულგამგმირავი, თავგანწირული ქვითინით დარბაზში შევვარდი.

— მამა, მამა! შენ ხარ! სადა ხარ, მამა? — დავიყვირე თითქმის გრძნობადაკარგულმა.

არ მახსოვს, როგორ მივაღწიე მაღალ მოხუცამდე. როცა მისკენ გავრბოდი, ხალხი გზას მითმობდა. მივირბინე და ყვირილით შემოვეხვიე. ვეხვეოდი და მეგონა საკუთარ მამას ვეხვევი-მეთქი... ვიღაცის გაძვალტყავებულმა ხელმა უეცრად ჰაერში ამიტაცა, ვიღაცის შავმა თვალებმა შემომანათეს ისე, თითქოს დაწვას მიპირებენო. მე მოხუცს მივაჩერდი. „არა, ეს მამაჩემი არ არის, არა, ეს მისი მკვლელია!“ — გამიელვა უეცრად თავში და რაღაცნაირი სიშმაგე დამეუფლა. მომეჩვენა, თითქოს ჩემს თავს ზემოთ მოხუცი ხარხარებდა, მერე ეს ხარხარი მთლიან, საერთო შეხმატკბილებულ ღრიანცელში გადაიზარდა და გრძნობა დავკარგე.

V

ეს ჩემი ავადმყოფობის მეორე და უკანასკნელი პერიოდი იყო. ამჯერად თვალი როცა გავახილე, ჩემკენ თავდახრილი ბავშვის სახე შევნიშნე. ეს ბავშვი ჩემი ტოლი გოგონა იყო. მე მისკენ გავიშვირე ხელები. მისმა დანახვამ ბედნიერებასთან ერთად, რაღაც საამო წინათგრძნობით ამივსო გული. წარმოიდგინეთ ენით აუწერელი მშვენიერება, განსაცვიფრებელი, ბრწყინვალე სილამაზე, ერთ-ერთი იმათგანი, რომლის წინაშე ქედს იხრი, დგახარ გარინდებული, საამოდ დარცხვენილი და ბედნიერებისგან შემკრთალი, მადლობას სწირავ ღმერთს, რომ იგი არსებობს, იმისათვის, რომ საშუალება გაქვს უყურო, იმიტომ, რომ მან შენ ახლოს ჩაიარა. ეს გახლდათ თავადის ქალიშვილი კატია, რომელიც ის-ის იყო დაბრუნებულიყო მოსკოვიდან. ჩემს მოძრაობაზე გაეღიმა, ჩემი დასუსტებული ნერვები წარმოუდგენელი ბედნიერებისგან შეტოკდნენ.

კატიამ მამას დაუძახა, რომელიც ჩვენგან ორ ნაბიჯზე იდგა და ექიმს ელაპარაკებოდა.

— მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! — თქვა თავადმა გულწრფელი სიხარულით და ხელზე ხელი მომკიდა, — მოხარული ვარ, ძალზე მოხარული, — განაგრძო ჩვეულებრივი აჩქარებით, — კატია, აგერ ჩემი ქალიშვილიც, გაიცანით ერთმანეთი, — აი, ესეც შენი ამხანაგი. მალე გამოკეთდი, ნეტოჩკა, შე ეშმაკო, შენა, როგორ შემაშინე!...

ძალიან მალე დავიწყე გამოკეთება, რამდენიმე დღეში უკვე სიარული შევძელი. კატია თავისი განუყრელი ღიმილითა და სიცილ-კისკისით ყოველ დილით მოდიოდა ჩემს საწოლთან. მის გამოჩენას ყოველთვის სიხარულით ველოდი, გულით მინდოდა მისი კოცნა, მაგრამ გიჟმაჟი გოგონა მხოლოდ რამდენიმე წუთით თუ მოირბენდა ჩემთან, ერთ ადგილზე წყნარად ჯდომა არ შეეძ-

ლო, მუდამ დახტოდა, დარბოდა, ხმაური და ღრიანცელი მთელი სახლის გასაგონად, მისთვის აუცილებელი მოთხოვნილება იყო, ამიტომაც თავიდანვე გამომიცხადა: იშვიათად მოვალ შენთან, რადგან მწყინდებაო, მაგრამ ისიც დასძინა, რომ ვეცოდები და რა ქნას, იძულებულია მოვიდეს. აი, როცა გამოვკეთდები, მაშინ სხვა ამბავია. ჰოდა, ყოველი მოსვლის დროს ერთსა და იმავეს მეკითხებოდა:

— რაო, გამოკეთდი?

ხოლო რადგან მე ისევ ძველებურად გამხდარი და ფერმკრთალი ვიყავი, ღიმილიც რაღაცნაირ შიშნარევ იერს მაძლევდა, იგი მაშინვე წარბებს წკურავდა, თავს აქნევდა და განაწყენებული, ფეხების ბაკუნით მეუბნებოდა:

— განა გუშინ არ გითხარი, გამოკეთდი-მეთქი? რა იყო, ცუდად გაჭმევენ?

— ჰო, ცუდად, — ვეუბნებოდი დარცხვენილი, რადგან გულით მინდოდა მოვწონებოდი და ჩემ მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვის, ყოველი მოძრაობის მეშინოდა. მისი გამოჩენა თანდათან სულ უფრო და უფრო აღმაფრთოვანებდა. როცა ჩემთან იყო თვალს ვერ ვაშორებდი, თვალს ვერ ვაშორებდი მაშინაც, როცა მშორდებოდა, მოჯადოებულივით შევყურებდი იმ ადგილს, სადაც წასვლამდე იდგა. სიზმარში ვხედავდი, ხოლო როცა ვფხიზლობდი და ჩემ გვერდით არ იყო, მასთან საუბარს ვთხზავდი, ვიყავი მისი მეგობარი, ვცელქობდი და ვეშმაკობდი მასთან ერთად, მასთან ერთად ვტიროდი, როცა რაიმე მიზეზის გამო გვტუქსავდნენ. — ერთი სიტყვით, ვოცნებობდი ისე, როგორც შეყვარებულზე და ძალიან მინდოდა მისი რჩევის თანახმად, რაც შეიძლება მალე მოვმჯობინებულიყავი, ფერ-ხორცი შემმატებოდა.

დილ-დილაობით, როცა ჩემთან შემოირბენდა და შორიდანვე შემომძახებდა: „რაო, არ გამოკეთდი? ისევ ისეთი გამხდარი ხარ?“ შიში მიპყრობდა, თითქოს მე ვიყავი დამნაშავე იმაში, რომ

ფერ-ხორცი უცებ ვერ შევიმატე. მაგრამ კატიას ამაზე უფრო სერიოზულად არაფერი ანცვიფრებდა. დაბოლოს, მართლაც ბრაზობდა ჩემზე.

— გინდა, დღეს ნამცხვარს მოგიტან? — მითხრა მან ერთხელ, — ჭამე, უფრო მალე გასუქდები.

— კარგი, მომიტანე, — დავეთანხმე აღფრთოვანებული იმით, რომ კიდევ ერთხელ მექნებოდა მისი ნახვის საშუალება.

ჯანმრთელობის მოკითხვის შემდეგ, კატია ჩვეულებრივად ჩემი საწოლის პირდაპირ სკამზე ჩამოჯდებოდა და ისე, როგორც პირველ გაცნობის დღეს, თავისი შავი თვალებით, გულუბრყვილო განცვიფრებით თავიდან ფეხამდე მათვალიერებდა. მაგრამ საუბარს თავს ვერ ვაბამდით. მე მრცხვენოდა მისი, მრცხვენოდა მკვეთრად გამოხატული მისი ბავშვური საქციელის, თუმცა მთელი გულით მინდოდა მასთან ლაპარაკი.

— რას გაჩუმებულხარ? — წამოიწყო მან ერთხელ ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ.

— როგორ არის მამა? — ვკითხე მე, გახარებულმა იმით, რომ არსებობს საგანი რომელზედაც შეიძლება ყოველდღე ილაპარაკო.

— არა უშავს, მამა კარგად არის. მე დღეს ორი ჭიქა ჩაი დავლიე. შენ?

— ერთი.

ისევ სიჩუმე.

— დღეს კინაღამ ფალსტაფმა მიკბინა.

— ფალსტაფი ძაღლია?

— ჰო, ძაღლია, განა შენ არ გინახავს?

— ვნახე.

— მაშ რაღად მეკითხები?

და ვინაიდან არ ვიცოდი რა მეპასუხა, თავადის ასულმა კვლავ განცვიფრებით შემავლო თვალი.

— შენ რა, გიხარია, როცა გელაპარაკები?

— ჰო, ძალიან, ხშირად მოდი ხოლმე ჩემთან.

— სწორედ ასე მითხრეს, უხარია შენი ნახვაო, მალე გამოკეთდი. დღეს ნამცხვარს მოგიტან... რა იყო, რას გაჩუმებულხარ?

— ისე.

— შენ სულ ფიქრობ და ფიქრობ, არა?

— ჰო, ბევრს ვფიქრობ.

— ჩემზე კი ამბობენ, ბევრს ლაპარაკობს და ცოტას ფიქრობსო. განა ლაპარაკი ცუდია?

— არა, მე მსიამოვნებს, როცა შენ ლაპარაკობ.

— ჰოო?!... მადამ ლეოტარს ვკითხავ, იმან ყველაფერი კარგად იცის. შენ რაღაზე ფიქრობ ხოლმე?

— მე შენზე ვფიქრობ, — ვუპასუხე ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

— მერე, გიხარია?

— ჰო.

— გამოდის, რომ შენ მე გიყვარვარ?

— მიყვარხარ.

— მე კი ჯერჯერობით არა. შენ ისეთი გამხდარი ხარ! მე შენ ნამცხვარს მოგიტან... მაშ, ნახვამდის! — თქვა და გაქცევისას მაკოცა.

ნასადილევს ნამცხვარი მართლაც მივიღე. კატია გაშმაგებული მოვარდა, იცინოდა, უხაროდა, რომ ისეთი საჭმელი მომიტანა, რომელსაც მიკრძალავდნენ.

— ჭამე, ბევრი ჭამე. ეს ჩემი ულუფაა, მე არ მიჭამია. აბა, ნახვამდის! — ეს იყო და ეს, მაშინვე გაქრა.

მეორედაც დაწესებულ დროს კი არ მოვიდა, არამედ ნასადილევს. უეცრად შემოვარდა. შავი კულულები აქეთ-იქით გაფანტვოდა, თითქოს ქარს გაუწეწიაო, ლოყები აწითლებული ჰქონდა, თვალები უბრწყინავდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ერთი-ორი საათის ნარბენი იყო.

— შენ ბადმინტონის თამაში იცი? — შემომძახა უეცრად, სირბილისგან სუნთქვაშეკრულმა, ჩანდა, რომ სადღაც ძალიან ეჩქარებოდა.

— არა, — ვუთხარი სინანულით, რადგან დადებითი პასუხის მიცემა არ შემეძლო.

— აი, ხომ ხედავ! მაშ კარგი, როცა გამოკეთდები, მაშინ გასწავლი. იმიტომ მოვედი, რომ მეკითხა. ახლა წავედი, მე და მადამ ლეოტარი ვითამაშებთ. მშვიდობით. მელიან.

ბოლოს და ბოლოს, მე სულ წამოვდექი ლოგინიდან. თუმცა თავს სუსტად ვგრძნობდი. ღონე მღალატობდა. იდეა, რომელიც პირველად დამებადა, იყო კატიასთან განუყრელად ყოფნა. რაღაცნაირი გრძნობა თავშეუკავებელი სიძლიერით მეწეოდა მისკენ, მისი ყურებით ვერ ვძღებოდი. კატია განაცვიფრა ამ ამბავმა. ჩემი ლტოლვა იმდენად ძლიერი იყო და ისე შორს შევტოპე, რომ არ შეიძლებოდა კატიას არ შეენიშნა. ეს პირველად გაუგონარ უცნაურობადაც კი მოეჩვენა. მახსოვს, ერთხელ თამაშის დროს, ვერ მოვითმინე და ყელზე შემოვეხვიე, ვაკოცე. კატიამ თავი გაითავისუფლა, ხელები დამიჭირა, წარბები მწყრალად შეჰყარა, მერე, თითქოს რაღაც დანაშაულზე წამისწროო, მკითხა:

— რა იყო, რატომ მკოცნი?

ასეთი მოულოდნელი შეკითხვისგან უეცრად შევკრთი, შემრცხვა, თითქოს დანაშაულზე წამისწრეს, ხმა ვერ ამოვიღე. თავადის ასულმა, ამოუცნობი განცვიფრებისაგან მხრები აიჩეჩა! (ეს მისი ჩვეულება იყო) სრულიად სერიოზულად დაბრუცა მსუქანი ტუჩები, თამაშს თავი დაანება და დივანზე კუთხეში ჩამოჯდა. იქიდან დიდხანს მითვალთვალებდა, თავისთვის რაღაცას ფიქრობდა, თითქოს რაღაც ახალი საკითხის გადაწყვეტას ლამობდა, რომელიც უეცრად დაებადა, ესეც ჩვეულებად ჰქონდა მძიმე შემთხვევის დროს. მეც, ჩემი მხრივ, დიდხანს ვერ შევეჩვიე მისი ხასიათის ესოდენ მკვეთრსა და ფიცხელ გამოვლენას.

თავდაპირველად ჩემს თავს ვადანაშაულებდი, ვფიქრობდი, თავად მე ვარ-მეთქი უცნაური. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ საგონებელში ჩავარდნილი, მაინც ვეწამებოდი იმის გამო, რომ თავიდანვე ვერ მოვახერხე კატიასთან დამეგობრება და ერთხელ და სამუდამოდ თავის მოწონება. ჩემმა წარუმატებლობამ გულის სიღრმემდე შეურაცხმყო და მზად ვიყავი მისი ყოველი სწრაფად წარმოთქმული სიტყვისა თუ უნდობლობით აღსავსე გამოხედვის გამო მეტირა, ჩემი მწუხარება დღითი დღე კი არა, საათობით იზრდებოდა, რადგან კატია ყველაფერს ძალიან სწრაფად წყვეტდა ხოლმე. რამდენიმე დღეში შევნიშნე, რომ სავსებით შემიძულა. ეს ბავშვი ყველაფერს მკვეთრად აკეთებდა, ერთი ხელის მოსმით. ზოგს შეიძლება ეთქვა უხეშადო, მაგრამ მის ელვასავით სწრაფად მოძრავ, მიამიტობამდე გულახდილ და პირდაპირ ხასიათში იყო ხალასი, კეთილშობილური სიკეკლუცე. ეს კი იმით დაიწყო, რომ პირველად ჩემდამი უნდობლობა იგრძნო, მერე ზიზღი. თავდაპირველად ვგონებ იმიტომ, რომ თამაში არ ვიცოდი, ხოლო თავადის ასულს ცელქობა და სირბილი თავდავიწყებით უყვარდა. იგი იყო ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე, მოხერხებული. მე კი, პირიქით, ვიყავი ავადმყოფობისაგან დასუსტებული, ჩუმი, მუდამ დაფიქრებული. ამას ისიც დაუმატეთ, რომ არც ერთი თამაში არ ვიცოდი, ერთი სიტყვით, არ მყოფნიდა ნიჭი, რომ კატიას მოვწონებოდი. გარდა ამისა, მიმძიმდა, როცა ჩემით უკმაყოფილონი იყვნენ, ასეთ შემთხვევაში სულით ვეცემოდი, ვიყავი მოწყენილი, ღონე არ მყოფნიდა შეცდომის გამოსასწორებლად, ადრევე ჩემზე შექმნილი უარყოფითი აზრის ჩემს სასარგებლოდ შესაცვლევინებლად. ერთი სიტყვით, საბოლოოდ ვიღუპებოდი, კატიას არაფრით არ შეეძლო ამის გაგება. თავდაპირველად ეშინოდა კიდეც ჩემი, როცა მთელი ერთი საათის განმავლობაში თამაშს მასწავლიდა და მე ვერ ვითვისებდი, განცვიფრებული შემომაჩერდებოდა ხოლმე, ხოლო, რადგან მე მაშინვე მო-

ვიწყენდი და სატირლადაც კი მოვემზადებოდი, ცოტა ხანს დაფიქრდებოდა და მერე თავისთვის დაიწყებდა თამაშს, აღარც მეპატიჟებოდა. უფრო მეტიც, მთელი დღე ისე გადიოდა, რომ სიტყვასაც არ მეტყოდა. ამან განმაცვიფრა. ამის მერე ჩემი ასეთი უგულვებელყოფა სრულიად აუტანელი გახდა ჩემთვის, ხოლო ახალი სიმარტოვე კიდევ უფრო გამიძნელდა, ისევ შემიპყრო ნაღველმა, ისევ შემოეჯარნენ ჩემს გულს შავი ფიქრები.

მადამ ლეოტარმა, რომელიც თვალყურს გვადევნებდა, ბოლოს და ბოლოს შენიშნა ჩვენს ურთიერთობაში მომხდარი ცვლილება. და რადგან პირველად მე შევხვდი და ჩემმა იძულებითმა მარტოობამ განაცვიფრა, პირდაპირ თავადის ასულს მიმართა საყვედურით იმის გამო, რომ მან არ იცის, როგორ უნდა მომექცეს. თავადის ასულმა წარბი შეიკრა, მხრები აიჩეჩა. ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს, — განაცხადა მან. — მაგან თამაში არ იცის, მუდამ დაფიქრებულია. აგერ ჩამოვა ჩემი ძმა, საშა, მოსკოვიდან და მერე ეგენი უფრო მხიარულად იქნებიან.

მაგრამ მადამ ლეოტარი ამით არ დაკმაყოფილდა. მან ისევ უსაყვედურა იმის გამო, რომ მარტო მტოვებს მაშინ, როცა მე საბოლოოდ გამოჯანმრთელებული არა ვარ. არ შემიძლია მასავით მხიარული და ცოცხალი ვიყო. თუმცა, — დაუმატა მან, — იქნებ ასე სჯობს, რადგან შენ ზომაზე მეტად ცელქი ხარ, ამა და ამ დღეს ესა და ეს დანაშაული ჩაიდინე, ხოლო ამ სამი დღის წინ კინაღამ ბულდოგმა დაგგლიჯა. ერთი სიტყვით, მადამ ლეოტარმა შეუბრალებლად დატუქსა და იმით დაასრულა, რომ უბრძანა სასწრაფოდ მიდი და შეურიგდიო.

კატია დიდი ყურადღებით ისმენდა მადამ ლეოტარის ლაპარაკს, თითქოს გაიგო და ჩასწვდა მის ახალ, სამართლიან შენიშვნებს. გორგოლაჭი, რომელსაც დააგორებდა მთელ დარბაზში, იქვე მიაგდო, მომიახლოვდა, სერიოზული სახით შემომხედა და განცვიფრებულმა მკითხა:

— თქვენ რა, თამაში გინდათ ჩემთან?

— არა, — ვუთხარი შემკრთალმა საკუთარი თავისა და თვით კატიას გამო, რადგან მადამ ლეოტარი გაუჯავრდა.

— მაშ რა გინდათ?

— ჩამოვჯდები, კატია, სირბილი არ შემიძლია, მხოლოდ არ გამიჯავრდეთ, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ.

— ჰოდა, მარტო ვითამაშებ, — წარმოთქვა მან დამარცვლით და განცვიფრებულმა იმით, რომ ის არაფერ შუაშია, ნელა დასძინა, — ნახვამდის, მე თქვენზე გაჯავრებული არა ვარ.

— ნახვამდის, — მივუგე და სკამიდან წამოვიწიე, ხელი გავუწოდე.

— იქნებ კოცნა გინდათ ჩემი? — მკითხა მცირეოდენი ფიქრის შემდეგ. უთუოდ ამასწინანდელი შემთხვევა გაახსენდა და უნდოდა ესიამოვნებინა, რომ რაც შეიძლება მალე, ადვილად და მშვიდობიანად წასულიყო ჩემგან.

— როგორც გენებოთ, — ვუთხარი მე მოკრძალებულად და იმედით, რომ მაკოცებდა.

კატია სავსებით სერიოზული სახით მომიახლოვდა და მაკოცა, ამით მან შეასრულა ის, რასაც მისგან მოითხოვდნენ, გააკეთა იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ ესიამოვნებინა საბრალო გოგოსათვის, რომელთანაც თავისი სურვილის წინააღმდეგ აგზავნიდნენ. ჩემგან სავსებით კმაყოფილი და მხიარული წავიდა. სულ მალე მთელი სახლის გასაგონად ისევ გაისმა მისი სიცილ-კისკისი, რომელიც მანამდე გაგრძელდა, ვიდრე დაღლილ-დაქანცული არ მიეგდო დივანზე, რომ აღდგენილი ენერგიით კვლავ შესდგომოდა თამაშს. მთელი საღამო ეჭვის თვალით მიყურებდა. უთუოდ ძალზე ახირებულ და უცნაურ ბავშვად ვეჩვენებოდი. ნათლად ჩანდა, რომ საგონებელში იყო ჩავარდნილი ჩემ გამო. გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ ამჯერად, არ ვიცი რატომ, თავი შეიკავა, ლეოტარი ფრანგულს ასწავ-

ლიდა, ისინი დილის საათებში მეცადინეობდნენ. მათი მეცადინეობა გრამატიკის გამეორებითა და ლაფონტენის კითხვით ამოიწურებოდა, მაგრამ მაინცდამაინც არც ამით ტვირთავდნენ კატიას, რადგან მამის დაჟინებული თხოვნისა და დედის ბრძანების შედეგად ძლივს დაითანხმეს, რომ დღეში ორი საათით წიგნს მისჯდომოდა. ამ დავალებას ზუსტად ასრულებდა, რადგან პირობა თვითონ მისცა. კატია ძალიან ნიჭიერი გოგონა იყო. ყველაფერს სწრაფად და უცებ ითვისებდა. მაგრამ ამ საკითხშიც ცოტაოდენი უცნაურობა სჭირდა. როცა რაიმეში ვერ ერკვეოდა, დამოუკიდებლად იწყებდა ფიქრს, ჭირივით სძულდა სხვისი ახსნა-განმარტების მოსმენა, თითქოს რცხვენოდა კიდეც ამისი. ამბობდნენ, ხანდახან მთელი დღეები იტეხდა თავს იმის გამო, რომ ეს გაუგებარი საკითხი ამოეხსნა, ხოლო, როცა სხვის დაუხმარებლად ამას ვერ ახერხებდა, ბრაზობდა, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ მიმართავდა მადამ ლეოტარს დახმარებისათვის. ისიც მაშინ, როცა სავსებით გადაუწყდებოდა იმედი. ასე იქცეოდა ყოველთვის, ფიქრობდა ბევრს, თუმცა ერთი შეხედვით ამას ვერ შეამჩნევდით. მაგრამ, ამასთან ერთად, თავის ასაკთან შედარებით მეტისმეტად მიამიტი იყო. ზოგჯერ საოცარ სისულელეს იკითხავდა, ხოლო ზოგჯერ დიდი შორსმჭვრეტელობა და ეშმაკობა გამოსჭვივოდა მის პასუხში.

ვინაიდან, როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს ცოტათი მოვმჯობინდი და ცოტა რამის გაკეთება შემეძლო, მადამ ლეოტარმა ჩემი ცოდნის შემოწმება გადაწყვიტა და შენიშნა, რომ მე ძალიან კარგად ვკითხულობ, მაგრამ წერით ძალზე ცუდად ვწერ და საჭიროდ მიიჩნია სასწრაფოდ ესწავლებინა ჩემთვის ფრანგული ენა.

სიტყვა არ შემიბრუნებია და ერთ მშვენიერ დილას მე და კატია ერთად მივუსხედით სამეცადინო მაგიდას. ამჯერად ისე მოხდა, რომ კატია, თითქოს საგანგებოდ, ძნელად ითვისებდა ახსნილს, ძალზე გონებაგაფანტული ჩანდა, იმდენად, რომ მადამ ლეოტარ-

მა ვეღარ იცნო. მე კი, პირიქით, მადამ ლეოტარის გულისმოგების სურვილით, ფრანგული ანბანი ახსნისთანავე შევითვისე. გაკვეთილის ბოლოს მადამ ლეოტარი უკვე საბოლოოდ გაუჯავრდა კატიას.

— აგერ ამისაგან აიღეთ მაგალითი, — უთხრა მან და ჩემზე მიუთითა, — ავადმყოფი ბავშვია, პირველად მიუჯდა სამეცადინო მაგიდას და თქვენზე გაცილებით მეტი გააკეთა. არა გრცხვენიათ?

— მაგან ჩემზე მეტი იცის? — იკითხა განცვიფრებულმა კატიამ, — ეს როგორ შეიძლება, ეგ ხომ ჯერ მხოლოდ ანბანს სწავლობს?

— ანბანს! მაგრამ თქვენ რამდენხანს მოუნდით ანბანის შესწავლას?

— სამი გაკვეთილი.

— მაგან კი მხოლოდ ერთი გაკვეთილი მოანდომა. გამოდის, რომ ეგ სამჯერ უფრო სწრაფად ითვისებს, ბუნებრივია, ხელად გაგისწრებთ. ასე არ არის?

კატია ცოტა ხნით ჩაფიქრდა და დარწმუნებულმა, რომ მადამ ლეოტარის შენიშვნა სამართლიანი იყო, უცებ გაწითლდა. სირცხვილისაგან გაწითლება, ყოველი წარუმატებლობის შემთხვევაში, მისი განუყრელი თვისება იყო. მას მაშინვე სიამაყის თუ წყენის გრძნობა დაეუფლებოდა, როგორც კი ეშმაკობაზე წაუსწრებდნენ. ერთი სიტყვით, ცრემლები კინაღამ წასკდა, მაგრამ ხმა არ ამოიღო. მე ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს განადგურებას მიპირებსო. მაშინვე მივხვდი, საქმე რაშიც იყო. საწყალი გოგონა უკიდურესობამდე ამპარტავანი და თავმოყვარე იყო. როგორც კი მადამ ლეოტარისაგან წამოვედით, მაშინვე ვცადე გამოლაპარაკება, მინდოდა რაც შეიძლება მალე გამეფანტა მისი წყენა და გულისტკივილი, მეგრძნობინებინა, რომ მე სულაც არა ვარ დამნაშავე იმაში, რაც მას ფრანგმა ქალმა უთხრა, მაგრამ კატიამ ხმა არ გამცა, თითქოს არც კი გაუგონია ჩემი ნათქვამი.

ერთი საათის შემდეგ იმ ოთახში შემოვიდა, სადაც მე ვიჯექი წიგნით ხელში და შეშინებული იმის გამო, რომ კატიას ისევ არ სურს ჩემთან ლაპარაკი, მასზე ვფიქრობდი. შემოსვლისას დაბღვერილმა გამომხედა, ჩვეულებისამებრ სავარძელში ჩაჯდა, საიდანაც ნახევარი საათის განმავლობაში თვალმოუშორებლად მიყურებდა. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და კითხვით მივაჩერდი.

— თქვენ ცეკვა იცით? — შემეკითხა ის.

— არა, არ ვიცი.

— მე კი ვიცი.

— ფორტეპიანოზე უკრავთ?

— არა.

— მე კი ვუკრავ. ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლა არც ისე იოლი საქმეა.

ხმა არ ამომიღია.

— მადამ ლეოტარი ამბობს, რომ თქვენ მე მჯობიხართ.

— მადამ ლეოტარი თქვენზე გულმოსულია და იმიტომ. — ვუთხარი მე.

— მამაც გამიჯავრდება თუ იცით?

— არ ვიცი.

ისევ სიჩუმე. თავადის ასული მოუთმენლობისგან პაწია ფეხებს იატაკზე აბაკუნებდა და რადგან წყენის ატანა აღარ შეეძლო, მითხრა:

— მაშ, თქვენ იმის გამო, რომ ჩემზე უკეთ გესმით, დამცინებთ?

— არა, არა! — წამოვიყვირე და ადგილიდან წამოვხტი იმისთვის, რომ მოვხვეოდი.

— ნუთუ არა გრცხვენიათ, ამგვარად რომ ფიქრობთ? ხმამაღლაც კი გამოთქვამთ თქვენს აზრებს. — გაისმა უეცრად მადამ ლეოტარის ხმა, რომელიც აგერ უკვე ხუთი წუთი იქნებოდა თურმე, რაც თვალყურს გვადევნებდა და მთელი ჩვენი ლაპარაკი მოუსმენია. — გრცხვენოდეთ! თქვენ გშურთ საცოდავი ბავშვის და იმი-

ტომ ტრაბახობთ, რომ ცეკვა იცით, უკრავთ ფორტეპიანოზე. გრცხვენოდეთ, მე ყველაფერს ვუამბობ მამათქვენს.

თავადის ასულს ლოყებზე ცეცხლი წაეკიდა.

— ასე არ ვარგა. თქვენ თქვენი შეკითხვებით გული ატკინეთ ბავშვს. მაგას ხომ ღარიბი მშობლები ჰყავდა, აბა სად შეეძლოთ მათ მასწავლებლის აყვანა. ეგ თვითონ მეცადინეობდა, რადგან კარგი და კეთილი გოგოა. თქვენ იმის მაგივრად, რომ შეიყვაროთ, ეჩხუბებით. გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ! ეგ ხომ ობოლია, არავინ ჰყავს — ისღა გაკლიათ იტრაბახოთ, რომ თქვენ თავადის ასული ხართ და ეგ კი არა. მე თქვენ ახლა მარტო დაგტოვებთ, დაფიქრდით იმაზე, რაც გითხარით, ეცადეთ გამოსწორდეთ.

თავადის ასული ზუსტად ორი დღე ფიქრობდა. ორი დღის განმავლობაში აღარ ისმოდა მისი სიცილ-კისკისი. ღამით შემთხვევით გამეღვიძა და გავიგონე, რომ ძილში მადამ ლეოტარს ელაპარაკებოდა. ამ ორ დღეში თითქოს გახდა კიდეც. მის ნათელ სახეს აღარ დასთამაშებდა ვარდისფერი. ბოლოს, ჩვენ მესამე დღეს შევხვდით ერთმანეთს ქვემოთ, დიდ ოთახებში. თავადის ასული დედასთან ყოფილიყო და იქიდან ბრუნდებოდა. როცა დამინახა, შეჩერდა, იქვე შორიახლო ჩამოჯდა. მე შეშინებული სახით დაველოდე შედეგს, მთელი სხეულით ვთრთოდი.

— ნეტოჩკა, თქვენი გულისთვის რატომ გამიჯავრდნენ? — მკითხა მან ბოლოს.

— ჩემი გულისთვის არ გაგიჯავრდნენ, კატენკა. — ვუთხარი თავის გასამართლებლად.

— მადამ ლეოტარი ამბობს, რომ მე გაწყენინეთ.

— არა, კატენკა, არა, თქვენ ჩემთვის არ გიწყენინებიათ.

თავადის ასულმა განცვიფრებისგან მხრები აიჩეჩა.

— რატომ ტირით მუდამ? — მკითხა მან რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ.

— აღარ ვიტირებ, კატენკა, თუ თქვენ ასე გინდათ, — ვუთხარი ცრემლნარევი ხმით.

კატიამ ისევ მხრები აიჩეჩა.

— თქვენ წინათაც სულ ასე ტიროდით?

არაფერი მითქვამს.

— ჩვენთან რატომ ცხოვრობთ? — მკითხა მან უეცრად, ცოტახნის შემდეგ.

მე განცვიფრებული მივაჩერდი, თითქოს რაღაცამ მიჩხვლიტა გულზე.

— იმიტომ, რომ მე ობოლი ვარ, — ვუთხარი ბოლოს, როცა გამოვერკვიე.

— თქვენ დედ-მამა გყავდათ?

— მყავდა.

— მერე, არ უყვარდით იმათ?

— ვუყვარდი, — ვუთხარი შეწუხებულმა.

— ისინი ღარიბები იყვნენ?

— ჰო.

— ძალიან ღარიბები?

— ჰო.

— არაფერს გასწავლიდნენ?

— კითხვას მასწავლიდნენ.

— სათამაშოები გქონდათ?

— არა.

— ნამცხვარი?

— არა.

— რამდენი ოთახი გქონდათ?

— ერთი.

— ერთი?!

— ჰო, ერთი.

— მსახურები გყავდათ?

— არა.

— მაშ ვინ გემსახურებოდათ?

— მე თვითონ დავდიოდი საყიდლებზე.

თავადის ასულის შეკითხვები სულ უფრო და უფრო მიკლავდნენ გულს. გულს მიკლავდა წარსულის მოგონება, ჩემი სიმარტოვე. თავადის ასულის განცვიფრება და მღელვარებისგან მთელი სხეულით ვთრთოდი, ცრემლები ყელში მებჯინებოდა, გულზე სისხლი მაწვებოდა.

— თქვენ, ალბათ, გიხარიათ ჩვენთან რომ ცხოვრობთ?

მე ვდუმდი.

— თქვენ კარგი კაბა გქონიათ?

— არა.

— ცუდი?

— მქონია.

— ვიცი, ვნახე, მაჩვენეს.

— მაშ რაღად მეკითხებით? — ვთქვი მე და წამოვდექი.

მთელი სხეულით ვთრთოდი, ვთრთოდი რაღაც ახალი, შეუცნობი გრძნობით შეპყრობილი, — რაღად მეკითხებით? — გავიმეორე აღშფოთებისგან წამოწითლებულმა, — რატომ დამცინით?

თავადის ასულიც გაწითლდა, ისიც წამოხტა, მაგრამ თავი უცებ შეიკავა.

— არა... მე არ დაგცინით, — მითხრა მან, — მინდოდა ნამდვილად გამეგო, თქვენი მშობლები მართლა ღარიბები იყვნენ თუ არა.

— რაღად მეკითხებით ჩემი დედ-მამის ამბავს? — ვთქვი მე და გულისტკივილისგან ავტირდი, — რად მეკითხებით ჩემი მშობლების ამბავს ასეთნაირად, თქვენთვის ხომ არაფერი დაუშავებიათ იმათ?

კატია შეცბუნებული იდგა და არ იცოდა რა ეთქვა. ამ დროს თავადი შემოვიდა.

— რა იყო, ნეტოჩკა, რა დაგემართა? — მკითხა მან, როცა ჩემს თვალზე ცრემლი შენიშნა, — რა დაგემართა? — გაიმეორა და ახლა კატიას შეხედა, რომელიც ცეცხლივით ანთებულიყო სახეზე, —

რაზე ლაპარაკობდით? რატომ წაიჩხუბეთ? ნეტოჩკა, მითხარი, რატომ წაიჩხუბეთ?

მაგრამ მე ხმის ამოღება არ შემეძლო, თავადს ხელი დავუჭირე და თვალცრემლიანი ვკოცნიდი ხელზე.

— კატია, არ მომატყუო, თქვი რა მოხდა?

კატიას ტყუილის თქმა არ შეეძლო.

— ვუთხარი, რომ მაგისი ძველი კაბა ვნახე.

— ვინ გაჩვენა? ვინ გაბედა ჩვენება?

— თვითონ ვნახე, — თქვა კატიამ გადაჭრით.

— კარგი, აგრე იყოს, ვიცნობ შენს ხასიათს, არავის გასცემ, მაგრამ ის მაინც მითხარი, რა მოხდა, რაშია საქმე?

— ეგ ატირდა და მითხრა, რატომ დასცინი ჩემს მშობლებსო.

— გამოდის, რომ შენ მართლაც დასცინოდი.

კატია არ დამცინოდა, მაგრამ რადგან მე პირველ სიტყვაზევე ვიგრძენი ეს, სჩანს განზრხული ჰქონდა დაცინვა. მას ხმა არ ამოუღია, მაშასადამე, თავს სადღაც დამნაშავედ გრძნობდა.

— ახლავე მოდი და პატიება სთხოვე, — უთხრა თავადმა და ჩემზე მიუთითა.

თავადის ასული გადაფითრებული იდგა ერთ ადგილზე გაუნძრევლად.

— მიდი, რას უყურებ? — გაიმეორა თავადმა.

— არ მინდა, — თქვა კატიამ ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ.

— კატია!

— არა, არ მინდა! — დაიყვირა უეცრად თავადის ასულმა და თვალები აენთო, ფეხები დააბაკუნა. — არ მინდა ბოდიშის მოხდა,

არა... რა ჩემი ბრალია, ეგ რომ ყოველდღე ტირის. არ მინდა, არ მინდა!

— წამოდი ჩემთან, — უთხრა თავადმა კატიას, ხელი მოჰკიდა და თავის კაბინეტისაკენ წაიყვანა, — ნეტოჩკა, შენ ზემოთ ადი, — მითხრა მე.

სურვილი დამებადა თავადთან მიმერბინა და კატიას მაგივრად მეთხოვა პატიება, მაგრამ თავადმა თავისი ბრძანება ისე მკაცრად გაიმეორა, რომ შიშისგან ცოცხალ-მკვდარი ავედი ზემოთ. ჩვენს ოთახში შესვლისთანავე დივანზე დავვარდი, თავზე ხელები წავივლე. კატიას მოლოდინში წუთებს ვითვლიდი, მინდოდა ფეხებში ჩავვარდნოდი. ბოლოს, როგორც იქნა, დაბრუნდა, ხმა არ გამცა, გვერდი ამიარა, კუთხეში დაჯდა. თვალები დაწითლებული ჰქონდა, ლოყები დასიებოდა ნამტირალევს. გადაწყვეტილება, რომ კატიას ფეხებში ჩავვარდნოდი, უეცრად გაქრა, შიშით შევაჩერდი, ადგილიდან ვერ დავიძარი.

ყველაფერში ჩემს თავს ვადანაშაულებდი, ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ უფრო ღრმად დამერწმუნებინა ჩემი თავი დანაშაულში. ათასჯერ გადავწყვიტე მასთან მისვლა და ათასჯერ გადავიფიქრე, არ ვიცოდი როგორ მიმიღებდა. ასე გავიდა ერთი დღე, მეორე. საღამოხანს კატია ისევ გამხიარულდა. ისევ გააგორა გორგოლაჭი ოთახებში, მაგრამ ისევ მალე მიაგდო, კუთხეში მარტო მიჯდა. დაწოლის წინ უეცრად ჩემკენ მობრუნდა, ორიოდ ნაბიჯი გადმოდგა, თითქოს ტუჩებიც კი შეარხია, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, შეტრიალდა, ლოგინში ჩაწვა. ერთ დღეს მეორე მიჰყვა. განცვიფრებულმა მადამ ლეოტარმა კატიას ჰკითხა: რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ, ხმას რატომ არ იღებო? კატიამ კაბის არშიას წაავლო ხელი, რაღაც წაიბურტყუნა და მადამ ლეოტარის მიბრუნებისთანავე წამოწითლდა, მერე ატირდა და მე რომ არ დამენახა მისი ცრემლები, ოთახიდან გავარდა. ბოლოს, ყველაფერი გადაწყდა. ჩვენი წაჩ-

ხუბებიდან ზუსტად სამი დღის შემდეგ, ნასადილევს, უეცრად ჩვენს ოთახში შემოვიდა და მორცხვად მომიახლოვდა.

— მამამ მიბრძანა ბოდიში მოუხადეო, — ჩაილაპარაკა მან, — მაპატიებთ?

მე უცებ ორივე ხელზე ხელი წავავლე და მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულმა ვუთხარი:

— ჰო, ჰო.

— მამამ მითხრა, აკოცეთ ერთმანეთსო, მაკოცებთ?

მე პასუხად ხელებზე კოცნა დავუწყე, თან ხელებს ცრემლებით ვუსველებდი, როცა სახეზე შევხედე, რაღაც უჩვეულო მოძრაობა შევნიშნე. ნიკაპი და ტუჩები უთრთოდა, თვალები დანამვოდა, მაგრამ მღელვარება წამში დასძლია, ტუჩებზე ღიმილი აიკრა.

— წავალ, მამას ვეტყვი ვაკოცე-მეთქი, გავაგებინებ, რომ პატიება გთხოვეთ, — ისე წყნარად თქვა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, — სამი დღე იქნება რაც მამა არ მინახავს, მითხრა მანამდე არ მოხვიდე, ვიდრე ბოდიშს არ მოუხდიო, — დასძინა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ.

მერე ისევ დარცხვენილი და დაფიქრებული ჩავიდა ქვემოთ, თითქოს თვითონაც არ იყო დარწმუნებული როგორ მიიღებდა მამა.

მაგრამ ერთი საათის შემდეგ ისევ გაისმა ზემო სართულზე ყვირილი, ხმაური, სიცილი, ფალსტაფის ყეფა, რაღაც გადაყირავდა, რაღაც გატყდა, რამდენიმე წიგნი ხმაურით დაეცა იატაკზე, გორგოლაჭი ისევ გაგორდა მთელ ოთახებში. ერთი სიტყვით, მე მივხვდი, რომ მამა შეურიგდა კატიას. და გული სიხარულით ამითრთოლდა.

კატია აღარ მეკარებოდა, როგორც ჩანს, გაურბოდა ჩემთან ლაპარაკს. სამაგიეროდ დიდი ცნობისმოყვარეობით განიმსჭვალა ჩემდამი. სულ უფრო და უფრო ხშირად ცდილობდა ჩემს პირდაპირ დაჯდომას, რომ უფრო მოხერხებულად ეცქირა ჩემთვის.

მისმა ამ დაკვირვებამ თანდათან მიამიტი ხასიათი მიიღო. ერთი სიტყვით, ნებიერმა და თავნება გოგონამ, რომელსაც მეტისმეტად ანებივრებდნენ და უფრთხილდებოდნენ, როგორც უძვირფასეს განძს, ვერ გაიგო როგორ მოხდა, რომ მისი სურვილის წინააღმდეგ რამდენჯერმე შევეფეთე გზაზე. მაგრამ ამ გოგონას მეტისმეტად კეთილი გული ჰქონდა და თუნდაც მხოლოდ ინსტინქტის წყალობით ადვილად შეეძლო კეთილ გზაზე დადგომა. ყველაზე დიდი გავლენა მასზე მამას ჰქონდა, რომელიც გაგიჟებით უყვარდა კატიას. დედას კატია უყვარდა თავდავიწყებით, მაგრამ შვილს უხდებოდა თავისთავზე გადაეტანა დედის ახირებული ხასიათის სიმძიმე, რომელიც უსულგულობამდე მიდიოდა. თავადის მეუღლეს ახირებულად ესმოდა ბავშვის აღზრდის საქმე. უცნაურად უპირისპირებდა ის უწესო განებივრებასა და ულმობელ სისასტიკეს. მაგალითად: რისი გაკეთების უფლებასაც გუშინ აძლევდა, უეცრად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, უკრძალავდა დღეს. ეს კი ბავშვში გაორებას იწვევდა, ვერ მიმხვდარიყო სად იყო სიმართლე და სად სიცრუე, მაგრამ ამაზე შემდეგ... აქ მხოლოდ ის მინდა აღვნიშნო, რომ ბავშვმა უკვე მოახერხა და განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება დედასთან და მამასთან. ამ უკანასკნელთან იყო თავისუფალი, გულახდილი, არაფერს უმალავდა. დედასთან კი პირიქით, იყო გულჩათხრობილი, მიუნდობელი და უსიტყვოდ მორჩილი, თუმცა ეს მორჩილება გულწრფელობით ანდა რწმენით როდი იყო გამოწვეული, არამედ იძულებით, უკვე ადრევე დადგენილი წესის თანახმად. მე ამაზე შემდეგ ვილაპარაკებ. თუმცა, ჩემი კატიას ღირსებისათვის მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ ბოლოს და ბოლოს, მან გაუგო დედას და, როდესაც მას მორჩილებდა, უკვე სავსებით გონივრულად ესმოდა დედის თავდავიწყებამდე მისული სიყვარული, რომელიც ზოგჯერ ავადმყოფურ გრძნობაში გადაიზრდებოდა ხოლმე, თავადის ასული დიდსულოვნად ითვალისწინებდა ამ უკანასკნელ მდგომარე-

ობას. მაგრამ ვაი, რომ ამ ვარაუდმა შემდეგში მაინცდამაინც დიდი შეღავათი ვერ მოუტანა მის აღგზნებულ გონებას!

არ ვიცოდი რა ხდებოდა ჩემს თავს. რაღაც ახალმა, ამოუცნობმა გრძნობამ შემიპყრო, შინაგანი მღელვარება დამეუფლა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ეს ახალი გრძნობა მტანჯავდა, მაწამებდა. მოკლედ — დაე, მეპატიოს ნათქვამი, — შეყვარებული ვიყავი კატიაზე. დიახ, ეს იყო ნამდვილი სიყვარული, ვნებიანი, თავისი მწუხარებითა და სიხარულით. რამ გამოიწვია ეს სიყვარული? საიდან გაჩნდა იგი? იგი დაიბადა პირველსავე დღეს, მაშინვე, როგორც კი კატიას ანგელოზისებურმა სახემ სასიამოვნოდ განმაცვიფრა. ამ ბავშვში ყველაფერი მშვენიერი იყო. მას ერთი ნაკლიც არ გააჩნდა თანდაყოლილი. ყველა ნაკლი შემდეგ ჰქონდა შეძენილი. ყველა მათგანისადმი ბრძოლა წარმოებდა. მთელ მის არსებაში იგრძნობოდა შესანიშნავი საწყისი, რომელსაც მხოლოდ დროებით მიეღო ცრუ სახე და ყველაფერი, დაწყებული ამ ბრძოლით, მასში იმედითა და სიყვარულით სუნთქავდა, ყველაფერი ბედნიერ მომავალს უქადდა მას და განა მარტო მე მიყვარდა ის, უყვარდა ყველას, ყველა ტკბებოდა მისი სიმშვენიერით და როცა ჩვენ დღის სამ საათზე სასეირნოდ წაგვიყვანდნენ ხოლმე ქუჩაში, ვერც ერთ გამვლელს ვერ ნახავდით გულგრილს მისდამი, ყველა მოჯადოებული იყო მისით, არცთუ ისე იშვიათად ისმოდა ბედნიერი ბავშვის მისამართით განცვიფრებული შეძახილები. ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, და ასეც უნდა მომხდარიყო, — აი, ჩემი პირველი შთაბეჭდილება. იქნებ პირველად მე მისმა სიტურფემ შემბოჭა, იქნებ ესოდენ დიდმა ესთეტიკურმა სიმშვენიერემ, რომელიც მისმა სილამაზემ წარმოშვა. — აი, მთელი მიზეზი ჩემი სიყვარულისა.

თავადის ასულის მთავარი ნაკლი, ანდა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, მისი ხასიათის მთავარი საწყისი, რომელიც თავშეუკავებელი ძალით ილტვოდა, რათა თავდაპირველი სახით ჩამო-

ყალიბელიყო და რომელიც, ბუნებრივია, განიცდიდა მერყეობასა და ბრძოლის პროცესს, — იყო სიამაყე. ეს სიამაყე მიამიტ წვრილმანობამდე დადიოდა და თავმოყვარეობაში გადასული თავისებურ სახეს იღებდა. მაგალითად: წინააღმდეგობა მას, რანაირი სახისაც უნდა ყოფილიყო, არც სწყინდა და არც აბრაზებდა, არამედ ანცვიფრებდა; სრულიად წარმოუდგენელი იყო მისთვის, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც მას არ სურდა, მაგრამ სამართლიანობის გრძნობა ყოველთვის სჭარბობდა მასში და თუ ის დარწმუნდებოდა, რომ დამნაშავეა, უსიტყვოდ ემორჩილებოდა გამოტანილ განაჩენს. და თუ ამ დღემდე ჩემთან ურთიერთობაში მან უღალატა საკუთარ თავს, ამას ვხსნი ჩემდამი განსაკუთრებული ანტიპათიით, რომელმაც დროებით დაარღვია მისი ერთიანი ბუნების ჰარმონია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ძალზე დიდ გრძნობებს აქსოვდა თავის გატაცებაში და მხოლოდ საკუთარი მაგალითის და გამოცდილების საფუძველზე აღწევდა ჭეშმარიტებას. მის მიერ წამოწყებული ყოველი საქმის შედეგი, მართლაც რომ მშვენიერი და ჭეშმარიტი იყო, მაგრამ ამას გაუთავებელი ორჭოფობითა და შეცდომების შედეგად აღწევდა.

ძალზე მალე დაიკმაყოფილა მან ცნობისმოყვარეობა, რომელიც ჩემზე დაკვირვების სურვილმა აღუძრა და, ბოლოს, გადაწყვიტა ჩამომშორებოდა. ახლა ისე მექცეოდა, თითქოს არც კი ვარსებობდი. ზედმეტი ლაპარაკი რომელია, აუცილებელზეც თავს იკავებდა. ჩამომაშორა თამაშობებს, ძალით კი არა, ისე თითქოს მე თავად ვიყავი ამის მოსურნე. ჩვენი გაკვეთილები კვლავინდებურად გრძელდებოდა და მე თუ კარგი ყოფაქცევითა და მიხვედრილობით ქებას დავიმსახურებდი, აღარ მქონდა პატივი მისი თავმოყვარეობა შემელახა, რომელიც იმდენად ავადმყოფური იყო, რომ მისი შელახვა თვით ჩვენს ბულდოგს — სერ ჯონ ფალსტაფსაც კი შეეძლო. ფალსტაფი ფლეგმატური და გულგრი-

ლი ძაღლი გახლდათ, მაგრამ ამასთან ვინმე თუ მის წყენინებას გაბედავდა, ვეფხვივით გააფთრდებოდა, თვით პატრონის ძალაუფლებასაც არად დაგიდევდათ. კიდევ ერთი თვისება ჰქონდა ფალსტაფს, არავინ უყვარდა, განსაკუთრებით კი, რაღა თქმა უნდა, თავადის მოხუცი ქალი, რომელიც მის მოსისხლე მტრად ითვლებოდა... მაგრამ ამაზე შემდეგ... თავმოყვარე კატია ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ფალსტაფი დაემორჩილებინა, რადგან სრულიად დაუშვებლად მიაჩნდა, ყოფილიყო სახლში ვინმე ისეთი, თუნდაც ცხოველი, რომელიც არ დაემორჩილებოდა მას, არ სცნობდა მის ძალას, არ მოიხრიდა ქედს მის წინაშე, არ შეიყვარებდა მას. და აი, თავადის ასულმა ერთ დღეს გადაწყვიტა თვითონ გადასულიყო შეტევაზე. მას სურვილი ჰქონდა ყველაზე ემბრძანებლა, მაშ, როგორღა შეეძლო ფალსტაფს, გაქცეოდა თავის ხვედრს! მაგრამ შეუდრეკელი ბულდოგი არ ემორჩილებოდა.

ერთხელ, ნასადილევს, როდესაც მე და კატია ქვემოთ დიდ დარბაზში ვისხედით, ხოლო ბულდოგი ნასადილევს შუა დარბაზში გაშხლართული განცხრომას ეძლეოდა, თავადის ასულმა მისი დამორჩილება განიზრახა. თამაში მიატოვა, ფეხის წვერებზე შედგა, ათასგვარი საალერსო სიტყვებით, დაყვავებითა თუ ხელის ქნევით ძაღლთან მიახლოვება სცადა, მაგრამ ფალსტაფმა სათოფედ არ გაიკარა, შეუღრინა და თავისი საშინელი კბილები გამოაჩინა. თავადის ასული შეჩერდა, მისი ერთადერთი სურვილი იყო მიახლოვებოდა ფალსტაფს, ხელი გადაესვა ზურგზე, მაგრამ ამის უფლებას ფალსტაფი არავის აძლევდა, გარდა თავადის მეუღლისა, რომლის ფავორიტადაც ითვლებოდა. კატიას უნდოდა ისე მოეხერხებინა, რომ ძაღლი უკან გამოჰყოლოდა, ამოცანა ძალზე რთული იყო, იგი სერიოზულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული, რადგან ფალსტაფს არაფრად უღირდა ხელი წაეგლიჯა, ანდა მთლიანად დაეგლიჯა ადამიანი, თუ ამას საჭიროდ

მიიჩნევდა. ფალსტაფი ძალზე ძლიერი ძაღლი იყო, დათვზე უფრო ძლიერი და მე შორიდან შიშითა და შეშფოთებით შევყურებდი თავადის ასულის ოინებს. ერთი თქმით მისი დაყოლიება შეუძლებელი იყო, თვით ფალსტაფის კბილებმაც კი, რომლებსაც არც თუ მაინცდამაინც თავაზიანად აჩენდა, ვერ შეაჩერეს კატია, ხოლო, როდესაც კატია დარწმუნდა, რომ ძაღლთან მიახლოება არც ისე ადვილი საქმე იყო, მტერს განცვიფრებით შემოუარა გარს. ძაღლი არ განძრეულა. კატიამ მეორედაც სცადა გარს შემოვლა, ოღონდ ამჯერად რკალი საგრძნობლად შეავიწროვა, მერე მესამედ სცადა და როდესაც იმ ადგილს მიუახლოვდა, რომელსაც ფალსტაფი ნაკრძალად თვლიდა, ძაღლმა ისევ დაუღრინა, ისევ გამოჩნდნენ საშინელი კბილები. თავადის ასულმა ფეხები დააბაკუნა, განაწყენდა, ჩაფიქრდა, წავიდა და დივანზე ჩამოჯდა.

ათი წუთის შემდეგ ახალი საცდუნებელი მოიფიქრა. ოთახიდან გავიდა და კრენდელების და ღვეზლების მარაგით დაბრუნდა უკან, ერთი სიტყვით, სამოქმედო გეგმა შეცვალა, მაგრამ ფალსტაფი ამ ცდუნებისადმიც გულგრილი დარჩა, უთუოდ იმიტომ, რომ ძალზე მაძღარი იყო, ზედაც არ შეუხედავს კრენდელებისათვის, რომელიც თავადის ასულმა გადაუგდო, ხოლო როდესაც თავადის ასულმა კვლავ შედგა იმ ნაკრძალ ხაზზე ფეხი, რომელსაც ფალსტაფი თავის საზღვრად თვლიდა, წინააღმდეგობა პირველზე უფრო გაძლიერდა. ძაღლმა თავი ასწია, კბილები დაკრიჭა, ოდნავ დაიღრინა და ისე შეირხა, თითქოს ადგილიდან წამოვარდნას ლამობსო. თავადის ასული ბრაზისგან წამოწითლდა, ძაღლს ღვეზლები ესროლა და ისევ ძველ ადგილზე დაჯდა. ძალზე აღელვებული ჩანდა, ფეხებს ხალიჩაზე ურტყამდა, ლოყები ცეცხლივით ჰქონდა ანთებული, ბრაზისაგან თვალებზე ცრემლიც კი მოადგა. მერე ისე მოხდა, რომ მე შემომხედა და სისხლი

აუვარდა თავში. უეცრად ადგილიდან წამოიჭრა, მტკიცე ნაბიჯით გაემართა საშინელი ძაღლისაკენ.

ამჯერად იქნებ იმიტომ, რომ ძაღლი სახტად დარჩა, მტერი ნაკრძალში შეუშვა და მხოლოდ მაშინ, როცა მტერი ორიოდ ნაბიჯით იყო დაშორებული მისგან, ავბედითი ღრენით მიესალმა თავზეხელაღებულს. კატია წამით შეჩერდა, მხოლოდ წამით, მერე ისევ მტკიცე ნაბიჯით წავიდა წინ. მე შიშისგან ადგილზე გავშეშდი. არასოდეს მენახა ესოდენ აღფრთოვანებული კატია, თვალები მოახლოვებული გამარჯვების იმედით საზეიმოდ უბრწყინავდა. ამ დროს მშვენიერი სურათის დახატვა შეეძლო მხატვარს. თავადის ასულმა გულადად გაუსწორა თვალი გააფთრებული ძაღლის ბრაზიან გამოხედვას, არც მის დაღებულ ხახას შეუშინდა. ძაღლი წამოიწია, ბანჯგვლიანი მკერდიდან საშინელი ღრიალი ამოუშვა, წამიც და კატია ვერ გადაურჩებოდა გაგლეჯას, მაგრამ ამ დროს თავადის ასულმა ამაყი სახით ძაღლს ზურგზე ხელი დაადო და სამჯერ გადაუსვა. ბულდოგი ერთი წამი საგონებელში ჩავარდა, მხოლოდ ერთი წამით, ეს ერთი წამი ყველაზე საშინელი იყო, მერე სრულიად მოულოდნელად დინჯად წამოდგა, გაიზმორა, თითქოს მიხვდა, რომ არ ღირდა ბავშვებთან თავის გაყადრება და მშვიდად გავიდა ოთახიდან, თავადის ასულმა ზეიმით შედგა ფეხი გამარჯვების ადგილზე და საკუთარი წარმატებით მოხიბლულმა ენით აუწერელი სიხარულით შემომხედა. მე მიტკლის ფერი მედო, ეს შენიშნა კატიამ და გამიღიმა, მის ლოყებსაც მკვდრის ფერი დასდებოდა. ძლივს მიაღწია სავარძლამდე და ზედ ნახევრად გულწასული დაეცა.

ჩემი ლტოლვა კატიასადმი უსაზღვროდ დიდი იყო. ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი გამოისობით ამდენი შიში გადავიტანე. ნაღველი მიღრღნიდა გულს, ათასჯერ გადავწყვიტე მივალ და ყელზე შემოვეხვევი-მეთქი, მაგრამ შიშმა ერთ ადგილას მიმაჯაჭვა. მახსოვს, მასთან შეხვედრას

გავურბოდი, არ მინდოდა ჩემი მღელვარება ენახა და როცა იმ ოთახში, რომელშიც მე ვიმალებოდი, შემთხვევით შემოვიდოდა, მთელი სხეულით ვთრთოდი, გული ისე ძლიერ მიცემდა, რომ თავბრუ მეხვეოდა. ვფიქრობ, იმ ჩემმა ცუღლუტმაც შენიშნა ეს და ორი დღის განმავლობაში ისიც უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ მალე ამ მდგომარეობასაც შეეჩვია. ასე გავიდა ერთი თვე, ამ ხნის განმავლობაში მარტოობაში ვიტანჯებოდი. ჩემს გრძნობებს უცნაური თვისება ჰქონდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ შეეძლოთ დაუსრულებლად გაფართოება, უეცარი აფეთქება და გრძნობების მოულოდნელი გამომჟღავნება ჩემში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იჩენდა თავს. საჭიროა იმის თქმაც, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე მე და კატიას ხუთიოდე სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, მაგრამ მე რაღაც უხილავი ნიშნით მივხვდი, რომ ყველაფერი ეს გულმავიწყობით, ანდა ჩემდამი გულგრილობით კი არ მოსდიოდა, არამედ განგებ, თითქოს წინასწარ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ჩემგან თავი შორს დაეჭირა. მე კი მთელი ღამეები არ მეძინა. ხოლო დღისით უხერხულობის დაფარვას ვეღარ ვახერხებდი თვით მადამ ლეოტართან. ჩემი სიყვარული უცნაურ ხასიათს იღებდა. ერთხელ მისი ცხვირსახოცი ავიღე ქურდულად, მეორედ ბაფთა, რომელსაც თმებში იწნავდა და მთელი ღამე ვკოცნიდი, ცრემლებით ვასველებდი. თავდაპირველად კატიას გულგრილობა მტანჯავდა, შეურაცხმყოფდა, მაგრამ ახლა ყველაფერს ბინდი გადაეფარა, მე თავად ვეღარ ვერკვეოდი ხეირიანად ჩემს გრძნობებში. ამგვარად, ძველმა შთაბეჭდილებებმა თანდათან დაუთმო გზა ახალ შთაბეჭდილებებს. ჩემმა ნაღვლიანმა წარსულმაც თავისი ავადმყოფური ძალა დაკარგა და მანაც ახალ ცხოვრებას დაუთმო ადგილი.

მახსოვს ხანდახან ღამღამობით მეღვიძებოდა, ლოგინიდან წამოვდგებოდი, ფეხის წვერებზე ვუახლოვდებოდი კატიას სა-

წოლს, საათობით დავცქეროდი მძინარეს, მქრქალ სინათლეზე. ხანდახან ლოგინზე ჩამოვუჯდებოდი, თავს მისკენ დავხრიდი და ჩემს სახეზე მის თბილ სუნთქვას ვგრძნობდი. ფრთხილად, თან შიშისგან ათრთოლებული, ვუკოცნიდი ხელებს, მხრებს, თმას, ვუკოცნიდი ფეხებს, როდესაც ისინი საბნიდან მოუჩანდა. თანდათან, — რადგან მე მთელი ერთი თვის მანძილზე თვალი არ მომიშორებია მისთვის, — შევნიშნე, რომ კატია სულ უფრო და უფრო დაფიქრებული ხდებოდა. მის ხასიათში რაღაც ცვლილება მოხდა. ხანდახან მთელი დღის განმავლობაში ხმაამოუღებლად იჯდა და თავს ზემოთ არ სწევდა. უეცრად კი ისეთ ხმაურს ატეხდა, რომ უწინდელი ცელქობა მონაგონი იყო. გულფიცხი და მკაცრი გახდა, ხშირად ბრაზობდა, წითლდებოდა. ზოგჯერ მცირედ გულქვაობას ჩემდამიც იჩენდა. უეცრდ მოეპრიანებოდა და უარს იტყოდა ჩემთან ახლოს დაჯდომაზე, ჩემთან ერთად სადილობაზე, ისე იყო, თითქოს ზიზღის გრძნობას ვიწვევდი მასში. თუ არადა უეცრად ჩავიდოდა დედასთან და მთელი დღეები იქ იჯდა. თუმცა, იქნებ, კიდევაც გრძნობდა, რომ მე უმისოდ ნაღველი მტანჯავდა. ხანდახან საათობით თვალს არ მაშორებდა ისე, რომ აღარ ვიცოდი რა მექნა, სირცხვილისაგან ვწითლდებოდი და ვფითრდებოდი, მაგრამ ოთახიდან გასვლას ვერ ვბედავდი. ერთი-ორჯერ დაიჩივლა შემაცივაო, თუმცა ადრე მისი ავადმყოფობა არავის გაუგონია. ერთხელ, დილით, უეცრად საგანგებო ბრძანება მოვიდა: თავადის მეუღლის დაჟინებული მოთხოვნით კატია მასთან უნდა გადასულიყო საცხოვრებლად, ქვემო სართულზე. დედას გული კინაღამ გაუსკდა, როცა შვილის ავადმყოფობა წარმოიდგინა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ თავადის მეუღლე ძალზე უკმაყოფილო იყო ჩემით, რადგან კატიაში მომხდარ ცვლილებას, რომელსაც ისიც ამჩნევდა, მე მაბრალებდა, ჩემს კუშტ ხასიათს მიაწერდა, ასე უწოდებდა იგი შვილის ხასიათსაც. კარგახანია დაგვაშორებდა ჩვენ ერთმანეთს, მაგრამ ხელსაყრელ შემთხვე-

ვას ელოდა, რადგან იცოდა, რომ სერიოზული ლაპარაკი მოუწევდა თავადთან, რომელიც ცოლს ყველაფერს უთმობდა, მაგრამ დროდადრო ზედმიწევნით ჯიუტი და შეურყეველიც იყო. ცოლმა კარგად იცოდა ქმრის ეს ხასიათი.

კატიას დედასთან გადასვლამ განმაცვიფრა, მთელი კვირის განმავლობაში ავადმყოფურად განვიცდიდი მასთან განშორებას. ნაღველი მტანჯავდა, თავს ვიტეხდი იმაზე ფიქრით, თუ რამ გამოიწვია კატიას ზიზღი ჩემდამი. ნაღველი სულს მიხუთავდა, სამართლიანობისა და აღშფოთების გრძნობა უეცრად აჯანყდა ჩემში, რაღაცნაირმა სიამაყემ იჩინა თავი და, როცა მე, ჩვენი სასეირნოდ წაყვანის დროს, კატიას ვხვდებოდი, ისეთ სერიოზულ სახეს ვიღებდი, ისეთი დამოუკიდებელი იერი მქონდა აღბეჭდილი სახეზე, რომ კატია განცვიფრდა. რაღა თქმა უნდა, ასეთი ცვლილება ჩემში მხოლოდ და მხოლოდ დროებითი იყო, რომლის შემდეგ მე კიდევ უფრო ძლიერ მტკიოდა გული, კიდევ უფრო ვსუსტდებოდი, წინანდელზე უფრო მხდალი ვხდებოდი. ბოლოს, ერთ დილით, ჩემდა გასაკვირად და გასახარად, კატია ისევ დაბრუნდა ჩვენთან, ზემო სართულზე. იგი გიჟური სიცილით მივარდა მადამ ლეოტარს, ყელზე შემოეხვია და განუცხადა: მე ისევ თქვენთან გადმოვდივარო. მერე მეც დამიქნია თავი. ნებართვა ითხოვა დილის მეცადინეობა სხვა დროისათვის გადავიტანოთო და მთელი დილა ანცობასა და სირბილში გაატარა. არასოდეს მენახა ამაზე უფრო მხიარული და ცოცხალი კატია, მაგრამ საღამოს ისევ მოიწყინა, ისევ მიეცა ფიქრს, ისევ დაუჩრდილა მშვენიერი სახე რაღაცნაირმა ნაღველმა. როდესაც თავადის მეუღლე მის სანახავად მოვიდა, შევნიშნე, რომ მთელი ძალ-ღონის დაძაბვით ცდილობდა მხიარული ჩვენებოდა, მაგრამ დედის წასვლისთანავე ატირდა. მე განცვიფრებული დავრჩი, თავადის ასულმა შემნიშნა ეს და ოთახიდან გავიდა. ერთი სიტყვით, მასში რაღაც ახალი, მოულოდნელი ამბავი მწიფდებოდა. თავადის მეუღლე ექი-

მებს ეთათბირებოდა, მადამ ლეოტარს ყოველდღე იხმობდა თავისთან და კატიასთან დაკავშირებულ ყოველ წვრილმანზე ელაპარაკებოდა, მასვე დაევალა კატიას ყოველი მოძრაობისთვის თვალ-ყურის დევნება. ნამდვილსა და ჭეშმარიტ მიზეზს მხოლოდ მე ჩავწვდი და იმედმიცემულს გულმა სიხარულით დამიწყო ძგერა.

ერთი სიტყვით, პატარა რომანი დასასრულს უახლოვდებოდა. მესამე დღეს, იმის შემდეგ, რაც კატია ჩვენთან დაბრუნდა, მისი დაჟინებული გამოხედვა შევნიშნე. მთელი დილა რაღაცნაირი, არაჩვეულებრივად ლამაზი თვალებით მიყურებდა. ჩვენი მზერა რამდენჯერმე შეხვდა ერთმანეთს და ორთავე გავწითლდით, ორთავემ თვალები ძირს დავხარეთ, თითქოს შეგვრცხვა ერთმანეთის. ბოლოს, თავადის ასულმა გაიცინა და იქაურობას მოშორდა. საათმა სამჯერ დარეკა, ჩვენ სასეირნოდ მოგვამზადეს. კატია უეცრად მომიახლოვდა.

— ფეხსაცმელზე ზონარი გაქვთ შეხსნილი, — მითხრა მან, — მომეცით შეგიკრავთ.

გახარებულმა იმით, რომ ბოლოს და ბოლოს კატია დამელაპარაკა, წამოვწითლდი და ის იყო ზონარის შესაკრავად დავიხარე, რომ კატიამ მოუთმენლად და სიცილით მითხრა:

— მომეცი! — თან თვითონ დაიხარა, ფეხი ძალით გამომართვა და თავის მუხლზე დაიდო, ზონარი შემიკრა. მე სუნთქვაშეკრულმა არ ვიცოდი რა მექნა, რაღაცნაირმა საამო შიშმა შემიპყრო. როცა კატია ზონარის შეკვრას მორჩა, წამოდგა და თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა.

— ხედავ, საყელოც გახსნილი გაქვს, — თქვა მან და გაშიშვლებულ ყელზე თითი დამადო, — მომეცი ამასაც მე შეგიკრავ.

უარი არ მითქვამს, კატიამ ყელსხვევი ჯერ გახსნა და მერე თავისებურად შემიკრა.

— თორემ ასე შეიძლება გაცივდე, ხველებას დაგაწყებინებს, — თქვა ეშმაკური გაღიმებით და თავისი დანამული შავი თვალები შემომანათა. მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. არ ვიცოდი რა მემართებოდა, არ ვიცოდი რა ემართებოდა კატიას, მაგრამ, მადლობა ღმერთს, სეირნობა მალე დამთავრდა, ვინ იცის, იქნებ ვეღარ მომეთმინა და ქუჩაშივე მეკოცნა, თუმცა, როცა კიბეზე ავდიოდით, მე მაინც ვერ მოვითმინე და მხარზე ვაკოცე. კატიამ ეს შენიშნა და შეკრთა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. საღამოს კატია გამოაწყვეს და ქვემოთ ჩაიყვანეს. თავადის მეუღლეს სტუმრები ჰყავდა. იმ საღამოს ჩვენს სახლში საშინელი არეულობა მოხდა.

კატიას ნერვული შეტევა დაეწყო. თავადის მეუღლე შიშისაგან კინაღამ გაგიჟდა. ექიმი მოიყვანეს, მაგრამ ექიმმა არ იცოდა რა ეთქვა. ბუნებრივია, ყველაფერი საყმაწვილოს დააბრალეს, კატიას ასაკს, მაგრამ მე სულ სხვა აზრისა ვიყავი. დილით ჩვეულებრივად გამოცხადდა კატია ჩვენთან. მხიარული, ჯანმრთელი და ვარდისფერლოყებიანი, მაგრამ ისეთი უცნაური ჭირვეულობა დასჩემდა, რომ მსგავსი არასოდეს შეგვიმჩნევია. ჯერ ერთი, მთელი დილის განმავლობაში სრულიად არ დაემორჩილა მადამ ლეოტარს, მერე უეცრად თავადის მოხუცი ასულის ნახვა მოინდომა და მიუხედავად იმისა, რომ მოხუცს ჭირივით სძულდა თავისი დის შვილიშვილი, მუდამ ეჩხუბებოდა და არასოდეს მოისურვებდა მის ნახვას, ამჯერად ნება დართო მასთან მისვლის. თავდაპირველად ყველაფერი რიგზე წავიდა. ერთი საათი მშვიდად გაატარეს. ცუღლუტმა კატიამ გადაწყვიტა პატიება ეთხოვა მოხუცისთვის ყველა იმ დანაშაულისათვის, რაც ჩადენილი ჰქონდა, ცელქობის, ყვირილისა და იმისათვის, რომ მოხუცს მოსვენებას არ აძლევდა.მოხუცმა ქალმა ზეიმით, თვალზე ცრემლმომდგარმა აპატია შეცოდებანი. მაგრამ ეშმაკმა გოგონამ შორს გასტოპა. გადაწყვიტა მოხუცისათვის იმ ეშმაკობების შესახებ ეამბნა, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ გუნებაში ჰქონდა სა-

იდუმლოდ შემონახული. თავი მორჩილად მოაჩვენა, მემარხულედ, ცოდვები მომნანიებლად, ერთი სიტყვით, მოხუცი აღფრთოვანებული იყო. მის თავმოყვარეობაზე მაამებლად მოქმედებდა გამარჯვების მოლოდინი კატიაზე, რომელიც მთელი სახლის საუნჯე, ყველას კერპი იყო და შეეძლო საკუთარი დედაც კი აეძულებინა ყველაფერი ისე გაეკეთებინა, როგორც მას სურდა.

და აი ცუღლუტი გოგონა გამოუტყდა მოხუცს იმაში, რომ მას გადაწყვეტილი აქვს მოხუცის კაბას მიაკრას სადარბაზო ბარათი, ფალსტაფი დამალოს მისი საწოლის ქვეშ, გაუტეხოს სათვალე, გაიტანოს ყველა მისი წიგნი და ნაცვლად ამ წიგნებისა შემოუტანოს დედამისის ფრანგული რომანები. იშოვოს ტკაცუნები და მიმოფანტოს მთელ ოთახში, ჯიბეში ჩაუდოს ბანქოს სათამაშო ქაღალდი და ა.შ. და ა.შ. ერთი სიტყვით, ერთი ეშმაკობა ცვლიდა მეორეს, უფრო საშინელსა და უარესს. მოხუცს თავგზა აებნა, ბრაზისაგან ფითრდებოდა, წითლდებოდა, ბოლოს კატიამ ვეღარ მოითმინა, გადაიხარხარა და გაიქცა; მოხუცი ქალი ამ დღეში დატოვა. ხოლო მოხუცმა მაშინვე თავადის ცოლთან აფრინა კაცი. ამ ამბავმა დიდი დავიდარაბა გამოიწვია. თავადის მეუღლე ორი საათის განმავლობაში, თვალზე ცრემლმომდგარი, შესთხოვდა ნათესავ ქალს გაეთვალისწინებინა კატიას ავადმყოფობა და ეპატიებინა შეცოდებანი მანამდე, ვიდრე კატია გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ მოხუცს ამის გაგონებაც არ უნდოდა, განაცხადა, ხვალვე დავტოვებ აქაურობასო, მხოლოდ იმის შემდეგ მოლბა, როცა თავადის მეუღლე მტკიცედ შეპირდა: გამოჯანმრთელდება თუ არა, მაშინვე დავსჯიო. აუცილებლად შევასრულებ თქვენს სრულიად კანონიერ მოთხოვნასო, მაგრამ მიუხედავად ამისა, კატია მაინც დაისაჯა. მან მკაცრი გაფრთხილება მიიღო და ამასთან ერთად იგი ქვემო სართულზე, თავადის მეუღლესთან ჩაიყვანეს.

ცუღლუტმა გოგონამ ნასადილევს ისევ მოახერხა გამოპარვა. კიბეზე შემხვდა როცა ქვემოთ ჩავდიოდი. კარი მიხურა და ფალსტაფს ხელი მოჰკიდა. მე მაშინვე გულმა მიაზრა, რომ რაღაც საშინელი სამაგიეროს გადახდას აპირებდა. აი, რაში იყო საქმე:

მოხუცს ფალსტაფზე უფრო დიდი მტერი არავინ ჰყავდა. ფალსტაფი ძალზე მედიდური და ამაყი ძაღლი იყო, უკიდურესობამდე უკადრისი, არავის მიეფერებოდა, არავინ უყვარდა, მაგრამ საკუთარი თავისადმი მოითხოვდა პატივისცემას და კიდეც აღწევდა ამას, მითუმეტეს, რომ ამ პატივისცემას შიშის გრძნობაც ემატებოდა. მაგრამ აი, უეცრად თავადის მოხუცი ქალი ჩვენთან ჩამოვიდა საცხოვრებლად და ყველაფერი თავდაყირა დატრიალდა. ფალსტაფს საშინლად აწყენინეს. — მას მართლაც რომ აუკრძალეს ზემო სართულზე ასვლა.

პირველხანად, შეურაცხყოფილმა ფალსტაფმა აღარ იცოდა რა ექნა. მთელი კვირა ფეხებით ფხოჭნიდა კარს, რომელიც ზემოდან ქვემოთ ჩამოსასვლელი კიბის ბოლოში იყო მოთავსებული, მაგრამ მალე მიხვდა თავისი გაძევების მიზეზს და პირველ კვირა დღესვე, როდესაც მოხუცი ქალი ეკლესიაში წასასვლელად გამზადებული ჩამოდიოდა ქვემოთ, საშინელი ყეფითა და წკმუტუნით მივარდა. ძლივძლივობით დაიხსნეს საცოდავი მოხუცი შეურაცხყოფილი ძაღლის ულმობელი შურისძიებისაგან. ძაღლმა კარგად იცოდა, რომ მოხუცი ქალის მიზეზით განდევნეს ზემო სართულიდან. მოხუცმა ქალმა განაცხადა: არ შემიძლია მაგის დანახვაო და ამის შემდეგ იყო, რომ ფალსტაფს აუკრძალეს ზემო სართულზე ასვლა. ხოლო, როდესაც მოხუცი ქალი ქვემოთ ჩამოსვლას დააპირებდა, ფალსტაფს ყველაზე შორეულ კუთხეში მიმალავდნენ ხოლმე. მძიმე მოვალეობა დააწვათ მოსამსახურეებს, მაგრამ შურისძიებით აღსავსე ძაღლმა ერთი სამჯერ მაინც მოახერხა ზემოთ ავარდნა. როგორც კი კიბეზე ამოყოფდა თავს, მაშინვე შურდულივით გადაირბენდა მთელ ოთახებს, ისე, რომ

მისი შეჩერება მანამდე, ვიდრე მოხუცის საწოლ დარბაზამდე მიაღწევდა, არავის შეეძლო. კიდევ კარგი, რომ მოხუცთან კარი მუდამ დაკეტილი იყო. ფალსტაფს სხვა გზა აღარ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ღმუილით ეჯერებინა გული. ღმუოდა მანამდე, ვიდრე საშველად მოსული მსახურნი ქვემოთ არ ჩააგდებდნენ. მოხუცი ქალი ამასობაში სასიკვდილოდ განწირულივით, ცივი ხმით გაჰკიოდა და შიშისგან მართლაც ყოველთვის სერიოზულად ხდებოდა ავად. რამდენჯერმე თავისი ულტიმატუმი წაუყენა თავადის ცოლს. ერთხელ გონგადასული იქამდეც კი მივიდა, რომ განაცხადა: ან მე უნდა ვიყო ამ სახლში, ან ეგ ძაღლიო... მაგრამ თავადის მეუღლემ ფალსტაფთან განშორება არ მოისურვა.

ძალიან ცოტა ვინმე მოიძებნებოდა ამქვეყნად ისეთი, რომელიც თავადის მეუღლეს ჰყვარებოდა, მაგრამ ფალსტაფი, თავისი შვილების შემდეგ, ყველაზე საყვარელი არსება იყო მისთვის მთელ დედამიწის ზურგზე და აი, რატომ: ერთხელ, ასე ექვსიოდე წლის წინათ, თავადი სეირნობიდან დაბრუნდა და თან მოიყვანა ჭუჭყიანი, ავადმყოფი, საშინელი შესახედაობის პაწია ლეკვი, რომელიც წმინდა წყლის ბულდოგი აღმოჩნდა. თავადს ის როგორღაც სიკვდილისაგან გადაერჩინა. ახალი ბინადარი მეტისმეტად უზნეოდ და უპატივცემულოდ იქცეოდა, ამიტომაც თავადის მეუღლემ ბრძანა, რომ უკანა ეზოში გაეყვანათ და იქ თოკით მიებათ. თავადმა სიტყვა არ შეუბრუნა. ორი წლის შემდეგ, როდესაც მთელი ოჯახი აგარაკზე იყო, პატარა საშა, კატიას უმცროსი ძმა, ნევაში ჩავარდა. თავადის მეუღლემ საშინლად შეჰყვირა და მისი პირველი მოძრაობა იმაში გამოიხატა, რომ უნდოდა პირდაპირ წყალში გადავარდნილიყო. ძლივს დაიხსნეს გარდუვალი სიკვდილისაგან. ამასობაში წყლის ძლიერმა დინებამ ბავშვი შორს წაიღო და ახლა, წყლის ზედაპირზე დროდადრო მხოლოდ მისი ტანსაცმელიღა მოჩანდა. სასწრაფოდ დაიწყეს ნავის ახსნა, მაგრამ ბავშვის გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეეძლო. უეცრ-

რად უზარმაზარი ბულდოგი წყალში გადაეშვა, წყალწაღებულ ბავშვს თავს დაუარა, მიუახლოვდა, კბილებით ჩააფრინდა და გამარჯვებული სახით დაბრუნდა უკან. თავადის ცოლი ჭუჭყიანსა და დასველებულ ძაღლს მივარდა, კოცნა დაუწყო, მაგრამ ფალსტაფს, რომელიც მაშინ ჯერ ისევ ძველ, ძალზე პროზაულ და მდაბიო სახელს ატარებდა — ფრიკსს — ჭირივით სძულდა ალერსი, სულერთია ვინც გინდა ყოფილიყო და ახლაც, თავადის მეუღლის ხვევნა-კოცნას იმით უპასუხა, რომ რაც ძალი და ღონე ჰქონდა ბასრი კბილები მხარში ჩაარჭო. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სტანჯავდა თავადის მეუღლეს ეს ჭრილობა, მაგრამ მისი მადლიერების გრძნობა უსაზღვროდ დიდი იყო. ფალსტაფი შინ შემოიყვანეს, დაბანეს, გაასუფთავეს, კისერზე ძვირფასი ნაკეთობის ვერცხლის საყელო ჩამოაცვეს. თავადის მეუღლის კაბინეტში დაასახლეს და ქვეშ დათვის ძვირფასი ბეწვი დაუგეს. სულ მალე თავადის მეუღლემ იმასაც მიაღწია, რომ შეეძლო უშიშრად მიფერებოდა ძაღლს, მას აღარ ელოდა გარდაუვალი და სწრაფად დასჯის შიში. როცა თავადის მეუღლემ შეიტყო მის საყვარელ ძაღლს ფრიკსი ჰქვიაო, შეძრწუნდა. სასწრაფოდ შეუდგა ახალი, რამდენადაც შეიძლებოდა ძველებური სახელის გამოძებნას, მაგრამ სახელები: ჰექტორი, ცერბერი და სხვა ამგვარნი, კარგა ხანია ძალზე გაუხამსებული იყო. საჭირო იყო მთელი სახლის ფავორიტისათვის შესაფერი სახელის მოძებნა. ბოლოს თავადმა გაითვალისწინა რა ფრიკსის არაჩვეულებრივი ღორმუცელობა, წინადადება შემოიტანა ბულდოგს ფალსტაფი დავარქვათო. ეს ზედმეტი სახელი აღტაცებით მიიღო ყველამ და სამუდამოდაც შერჩა ბულდოგს. ფალსტაფი კარგად იქცეოდა: იყო ჩუმი, კუშტი, როგორც ეს შეეფერებოდა ნამდვილ ინგლისელს. არასოდეს წაიწევდა ვინმეზე, მაგრამ საკუთარ ადგილს დათვის ტყავზე ისე ადვილად არავის დაუთმობდა, მოითხოვდა პატივისცემას. იყო წუთები, როდესაც ნაღველი იპყრობდა და მაშინ სინანულით

ფიქრობდა მტერზე, თავის დაუძინებელ მტერზე, რომელიც შეეხო მის ძალაუფლებას და ჯერაც დაუსჯელი დადიოდა. ასეთ წუთებში იგი ნელ-ნელა მიიწევდა ზემო სართულზე ასასვლელი კიბისაკენ, ხოლო, რადგან კარი მუდამ დაკეტილი ხვდებოდა, სადმე კუთხეში შორიახლო მიმალვით მიწოლილი ვერაგულად ელოდა წამს, როდესაც დაუდევრობით ვინმეს კარი ღია დარჩებოდა, მაგრამ კარის დაცვის განკარგულება მტკიცედ სრულდებოდა და აგერ უკვე ორი თვე იქნებოდა, რაც ფალსტაფი ზემოთ აღარ ასულა.

— ფალსტაფ! ფალსტაფ! — დაუძახა თავადის ასულმა ფალსტაფს, კარი გამოაღო და თავაზიანად შეიპატიჟა ძაღლი ჩვენს კიბეზე.

ფალსტაფმა მაშინვე აუღო ალღო, საცაა კარს გააღებენო და თავისი რუბიკონის გადასალახავად მოემზადა. მაგრამ თავადის ასულის მიპატიჟებამ დააეჭვა და იმდენად დაიბნა, რომ საკუთარ ყურს არ დაუჯერა. რადგან კატასავით მზაკვარი იყო, არ უნდოდა გაეგებინებინა დაუდევრობა შევნიშნეო, ფანჯარასთან მივიდა, ძლიერი თათები ფანჯრის რაფაზე დააწყო, პირდაპირ მეზობელ სახლს დაუწყო თვალთვალი — ერთი სიტყვით, მოიქცა ისე, როგორც სრულიად უცხო ვინმე, რომელიც ეს-ეს არის სასეირნოდ გამოვიდა, მაგრამ წუთით შეჩერდა, რომ მეზობელი სახლის ჩინებული არქიტექტურით დამტკბარიყო. ამასობაში კი მისი გული ტკბილი მოლოდინით ცემდა. წარმოიდგინეთ როგორი უნდა ყოფილიყო განცვიფრება, სიხარული, სიხარულისაგან გამოწვეული გაშმაგება, როდესაც მის წინ ფართოდ გაიღო კარი და არამც თუ გაიღო, ეპატიჟებოდნენ, ეძახდნენ, სთხოვდნენ, მობრძანდი და დაუყოვნებლივ შეისრულე შენი დიდი ხნის წადილიო. ფალსტაფმა სიხარულისგან ერთი დაიწკმუტუნა, კბილები გამოაჩინა და გაშმაგებული და ძლევამოსილი, შურდულივით ავარდა ზემოთ.

მისი შეტევა წარმოუდგენლად ძლიერი იყო, იმდენად ძლიერი, რომ სირბილის დროს წამოდებული სკამი თავუკუღმა გადატრიალდა და ერთ საჟენზე გადავარდა. გასროლილი ტყვიასავით მიჰქროდა ფალსტაფი. მადამ ლეოტარმა შიშისაგან ერთი მაგრად შეჰკივლა. ამასობაში ძაღლმა თავის სანატრელ ადგილს მიაღწია, ორივე თათი კარებს დაარტყა, მაგრამ კარი არ გაიღო. ფალსტაფი განწირულივით აყმუვლდა. მის საპასუხოდ გადაბერებული ქალის საშინელი კივილი გაისმა, მაგრამ ამ დროს ყოველი მხრიდან გამოჩნდა მტრის ჯარი, მთელი სახლი აქ გადმოსახლებულიყო. გააფთრებული ფალსტაფი ოთხივე ფეხით მახეში გაბმული და ცხვირზე ალიკაპით, რომელიც მოხერხებულად ჩამოაცვეს, სახელგატეხილი და ქამანდაჩავლებული დაბრუნდა ბრძოლის ველიდან.

თავადის მეუღლესთან კაცი აფრინეს.

ამჯერად თავადის მეუღლეს სულაც არ ჰქონდა დამნაშავის პატიებისა და შეწყნარების განწყობა. მაგრამ ვინ უნდა დაესაჯა? და აი, ის მაშინვე მიხვდა ვინც იყო დამნაშავე და მზერა კატიაზე გადაიტანა... ნამდვილად ასეა: — გაიფიქრა მან. კატია ფერწასული იდგა ერთ ადგილზე, შიშისგან თრთოდა. საცოდავი მხოლოდ ახლა მიმხვდარიყო რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის ცელქობას. შეიძლებოდა ეჭვი მიეტანათ შინამოსამსახურეებზე, სრულიად უდანაშაულო ადამიანებზე და კატია უკვე მზად იყო ყველაფერი ეთქვა.

— შენ ჩაიდინე? — მკაცრად ჰკითხა თავადის მეუღლემ.

შევნიშნე როგორი მკვდრის ფერი დაედო კატიას სახეზე. ერთი ნაბიჯი წინ წავდგი და მტკიცედ განვაცხადე:

— მე გავუშვი ფალსტაფი... შემთხვევით, — დავსძინე, რადგან მთელი ჩემი სიმტკიცე, თავადის მეუღლის მრისხანე სახის დანახვისთანავე გაქრა.

— მადამ ლეოტარ! დასაჯეთ სამაგალითოდ! — თქვა თავადის მეუღლემ და ოთახიდან გავიდა.

კატიას შევხედე. იგი რეტდასხმულივით იდგა, ხელები ჩამოსცვენოდა და ფერმკრთალი სახით მიწას ჩასჩერებოდა.

ერთადერთი სასჯელი, რომელსაც თავადის შვილების მიმართ იყენებდნენ, ეს დამნაშავის ცარიელ ოთახში გამომწყვდევა იყო. ორი საათით ცარიელ ოთახში ჯდომა მაინცდამაინც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ როდესაც ბავშვს, მისი სურვილის გარეშე ძალით სვამდნენ შიგ და ეუბნებოდნენ, დამწყვდეული ხარო, საკმაოდ მნიშვნელოვან სასჯელს წარმოადგენდა. ჩვეულებისამებრ, კატიას, ანდა მის ძმას ორი საათით სვამდნენ ხოლმე ცარიელ ოთახში, მე კი ოთხი საათით ჩამსვეს, რადგან გაითვალისწინეს ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. სიხარულისგან გულშეღონებულმა შევდგი ფეხი ჩემს დილეგში, რადგან ამ დროს თავადის ასულზე ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ გავიმარჯვე, მაგრამ ოთხი საათის ნაცვლად დილის ოთხ საათამდე დავყავი ტყვეობაში. აი, როგორ მოხდა ეს: ჩემი დასჯიდან ორი საათის შემდეგ მადამ ლეოტარს შეატყობინეს: თქვენი ქალიშვილი მოსკოვიდან ჩამოვიდა, უეცრად ავად გახდა და თქვენი ნახვა სურსო. მადამ ლეოტარი წავიდა ისე, რომ არ გავხსენებივარ. ჩემს მომვლელ ქალიშვილს კი უთუოდ ეგონა, უკვე გამათავისუფლეს. კატია ქვემოთ ჩაიყვანეს, სადაც იძულებული იყო ღამის თერთმეტ საათამდე მჯდარიყო. დაბრუნებისას ძალიან გაჭკვირვებია, როცა ლოგინში არ დავხვდი, ქალიშვილს მისთვის ტანთ გაუხდია და ლოგინში ჩაუწვენია. კატიას, რაღაც მოსაზრების გამო, ჩემი ამბავი არ უკითხავს. დარწმუნებულს, რომ ოთხი საათით ვარ დასჯილი და ჩვენი გადია აუცილებლად მომიყვანს, ლოგინში ჩაწოლილს დაუწყია ლოდინი, მაგრამ გადიას სულაც არ გავხსენებივარ, მითუმეტეს, რომ ტანთ მუდამ მე თვითონ ვიხდიდი. ამრიგად დავრჩი ტყვეობაში.

ღამის ოთხ საათზე ბრახუნი შემომესმა, ლამის იყო კარი შემოამტვრიეს. ცარიელ იატაკზე მეძინა. გამეღვიძა და შიშისგან დავიყვირე, მაგრამ მაშინვე ვიცანი კატიას ხმა, ყველაზე ხმამაღლა ის ყვიროდა, მერე მადამ ლეოტარის ხმაც შევიცანი, მერე შეშინებული ნასტიას ხმა, მერე მეკუჭნავის, ბოლოს გააღეს კარი და მადამ ლეოტარი თვალცრემლიანი გადამეხვია, პატიებას მთხოვდა გულმავიწყობისათვის, მეც შემოვეჭდე ყელზე, ცრემლებისაგან სახე სულ ერთიანად დასველებული მქონდა, სიცივისაგან გათოშილი ვცახცახებდი. ცარიელ იატაკზე წოლისაგან ძვლები მტკიოდა. თვალებით კატიას ვეძებდი, მაგრამ კატია უკვე ჩვენს ოთახში შესულიყო, ლოგინში ჩაწოლილიყო, როცა შევედი, არ ვიცი ეძინა, არ ვიცი თავი მოიმძინარა. საღამოს კი, როცა ჩაკეტილი ვიყავი, ჩემს მოლოდინში უეცრად ჩასძინებია. დილის ოთხ საათზე გამოუღვიძია, მთელი სახლი ფეხზე დაუყენებია. გამოუღვიძებია შვილისგან დაბრუნებული მადამ ლეოტარი, გადია, ყველა ქალიშვილი და მე ტყვეობიდან მიხსნა.

დილით უკვე ყველამ იცოდა ჩემს თავს გადამხდარი ამბავი და თვით თავადის მეუღლემაც კი განაცხადა, რომ ძალზე მკაცრად დაისაჯაო. რაც შეეხება თავადს, პირველად ვნახე ასეთი გაცეცხლებული, როცა ის დილის ათ საათზე ჩვენთან ზემოთ ამოვიდა.

— მომიტევეთ! — მიუბრუნდა იგი მადამ ლეოტარს, — რას სჩადიხართ? როგორ ექცევით საცოდავ ბავშვს? ეს ბარბაროსობაა, ნამდვილი ბარბაროსობა! ბავშვი ავადმყოფია, სუსტი, მეოცნებე, მშიშარა, ფანტაზიორი და თქვენ მთელი ღამით მარტო ტოვებთ ბნელ ოთახში! ეს ხომ ბავშვის დაღუპვას ნიშნავს! განა თქვენ არ იცით მაგისი ამბავი? ბარბაროსობაა, უადამიანობა, თქვენ გეუბნებით, ქალბატონო! როგორ შეიძლება ასეთი სასჯელი გამოიგონოს კაცმა? ვინ მოიგონა ეს? ვინ მოიფიქრა?

საბრალო მადამ ლეოტარი დარცხვენილი და თვალცრემლიანი უხსნიდა თუ როგორ მოხდა ყველაფერი. ეუბნებოდა, რომ შვი-

ლი ჩამოუვიდა და დავავიწყდი, რომ დასჯა თავისთავად არ არის ცუდი საქმე, რაღა თქმა უნდა, როცა ზომიერებას არ სცილდება, რომ ჟან-ჟაკ რუსოც ამბობს რაღაც ამდაგვარს.

— ქალბატონო, ჟან-ჟაკ რუსო! მაგრამ ჟან-ჟაკ რუსოს არ შეეძლო ეს ეთქვა. ჟან-ჟაკ რუსო არ არის ავტორიტეტი. ჟან-ჟაკ რუსო ვერ გაბედავდა აღზრდის საკითხებზე ლაპარაკს, მას არ ჰქონდა ამის უფლება. ჟან-ჟაკ რუსომ საკუთარი შვილები უარყო, ჟან-ჟაკ რუსო ცუდი ადამიანია, ქალბატონო!

— ჟან-ჟაკ რუსო! ჟან-ჟაკი ცუდი ადამიანია! თავადო! თავადო! რას ბრძანებთ?

და მადამ ლეოტარი სულ ერთიანად აენთო.

მადამ ლეოტარი შესანიშნავი ქალი იყო, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ არ იცოდა ადვილად წყენა, მაგრამ როცა მის საყვარელ ადამიანებს შეეხებოდნენ, როცა უდიერად მოიხსენიებდნენ კლასიკოსთა აჩრდილებს — კორნელის, რასინის, შეურაცხყოფდნენ ვოლტერს, ჟან-ჟაკ რუსოზე ამბობდნენ ცუდი ადამიანიაო, ბარბაროსიაო — ღმერთო ჩემო! ცრემლები წასკდა მადამ ლეოტარს, მღელვარებისაგან სულ ერთიან თრთოდა მოხუცი ქალი.

— თქვენ აჭარბებთ, თავადო! — წამოიძახა მან ბოლოს მღელვარებისგან თითქმის გონს გადასულმა.

თავადი უეცრად გონს მოეგო, ბოდიში მოუხადა, მერე მე მომიახლოვდა, ძალზე მგრძნობიარედ მაკოცა, ჯვარი გადამსახა და ოთახიდან გავიდა.

— საბრალო თავადი, — თქვა მადამ ლეოტარმა, ახლა უკვე გულაჩუყებულმა.

ჩვენ საკლასო მაგიდას მივუსხედით სამეცადინოდ.

თავადის ასული ძალზე დაბნეული იყო. სადილის წინ მომიახლოვდა, სახეზე სიწითლე გადაჰკვროდა, ტუჩებზე ღიმილი. ჩემ

წინ გაჩერდა, მხრებზე ხელი დამადო და თითქოს რაღაცის რცხვენიაო, აჩქარებით მითხრა:

— რაო? გუშინ დიდხანს მოგიწია ჩემ მაგივრად ჯდომამ? სადილის შემდეგ წავიდეთ სათამაშოდ დიდ ოთახში.

ვიღაცამ გვერდით ჩაგვიარა და თავადის ასული მაშინვე შეტრიალდა.

ნასადილევს, ბინდისას, ჩვენ ხელჩაკიდებულნი ჩავედით ქვემოთ, დიდ დარბაზში. თავადის ასული მღელვარებისაგან მძიმედ სუნთქავდა. მე კი ისეთი ბედნიერი და მხიარული ვიყავი, როგორიც არასოდეს ვყოფილვარ.

— გინდა ბურთი ვითამაშოთ? — მითხრა მან, — მოდი, შენ აი, აქ დადექი.

და დარბაზის ერთ კუთხეში დამაყენა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ თვითონ მოშორებით დამდგარიყო ჩემგან და ბურთი თვითონ ესროლა ჩემთვის, სამიოდე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა. შემომხედა, გაწითლდა. დივანში ჩაეშვა და ორივე ხელი სახეზე აიფარა. მე მისკენ წავიწიე, იმას კი ეგონა, წასვლას ვაპირებდი.

— ნუ წახვალ, ნეტოჩკა, ჩემთან დარჩი, ახლავე გამივლის, — თქვა მან და მაშინვე წამოხტა. აწითლებული, თვალცრემლიანი ყელზე მომეხვია, ლოყები დანამვოდა, ტუჩები ალუბლებივით დაბურცვოდა, კულულები უწესრიგოდ გაჰფანტვოდა მხრებზე. შლეგიანივით მკოცნიდა. მიკოცნიდა სახეს, თვალებს, ტუჩებს, ყელს, ხელებს. ისტერიულად ქვითინებდა. მე მაგრად მივეკარი მის მკერდს. ჩვენ მხიარულად და ტკბილად ვეხვეოდით ერთმანეთს, როგორც ნამდვილი მეგობრები, ნამდვილი შეყვარებულები, რომლებმაც დიდი ხნის განშორების შემდეგ ნახეს ერთმანეთი. კატიას ისე ძლიერ უცემდა გული, რომ ყოველი მისი დარტყმა მკაფიოდ მესმოდა.

ამ დროს ვიღაცის ხმა გაისმა მეზობელ ოთახში. კატიას დედასთან უხმობდნენ.

— ოჰ, ნეტოჩკა! აბა, საღამომდე, ღამემდე, ახლა ზემოთ ადი, იქ დამელოდე.

მან უკანასკნელად მაკოცა მაგრად, ნელა, უხმაუროდ და ნასტიას დაძახებაზე წავიდა. მე როცა კიბეზე ავრბოდი, მკვდრეთით აღმდგარს ვგავდი, სავარძელში მოწყვეტილი ჩავეშვი, ბალიშებში თავი ჩავრგე, სიხარულისგან ავქვითინდი, გული ძლიერ მიცემდა, ისე ძლიერ, რომ მეგონა, ამოვარდნას ლამობს-მეთქი. არ მახსოვს, როგორ გავძელი გვიან ღამემდე. ბოლოს საათმა თერთმეტჯერ ჩამორეკა, მე დასაძინებლად დავწექი. თავადის ასული მხოლოდ თორმეტ საათზე დაბრუნდა. შორიდან გამიღიმა, არაფერი უთქვამს. ნასტია თითქოს განგებ, აუჩქარებლად ხდიდა ტანზე.

— ჩქარა, ჩქარა, ნასტია! — ჩურჩულებდა კატია.

— რაო, რა მოხდა, თავადის ასულო, გული ისე გიცემთ, თითქოს ეს კიბე სულმოუთქმელად ამოგერბინოთ. რა მოხდა? — ჰკითხა ნასტიამ.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ნასტია! რა მოსაწყენია! ჩქარა! ჩქარა! — და თავადის ასულმა ფეხები იატაკზე დააბაკუნა.

— ღმერთო, რა გული გაქვთ! — თქვა ნასტიამ და იმ ფეხზე აკოცა, რომელზედაც ფეხსაცმელს ხდიდა.

როგორც იქნა, ყველაფერი დამთავრდა. თავადის ასული ლოგინში ჩაწვა. ნასტია ოთახიდან გავიდა. კატია მაშინვე ჩამოხტა თავის ლოგინიდან და ჩემს საწოლთან მოირბინა. მე მის მოახლოვებას სიხარულის წამოძახილით შევხვდი.

— ნეტოჩკა, წამოდი ჩემთან, ჩემთან დაწექი, — მითხრა მან და ლოგინიდან წამომახტუნა. — მე თვალისდახამხამებაში მის ლოგინში გავჩნდი. ჩვენ ერთმანეთს მაგრად ვეკვროდით, ვეხვეოდით. თავადის ასული დაუსრულებლივ მკოცნიდა.

— მე ისიც ვიცი, შენ რომ ღამღამობით მკოცნიდი ხოლმე, — მითხრა მან და კიბოსავით გაწითლდა.

მე ვქვითინებდი.

— ნეტოჩკა! — წაიჩურჩულა კატიამ ცრემლნარევი ხმით, — ჩემო ანგელოზო, მე შენ დიდი ხანია, ძალიან დიდი ხანია მიყვარხარ! იცი რა დროიდან?

— რა დროიდან?

— აი, მამამ რომ მიბრძანა ბოდიში მოუხადეო. გახსოვს, ნეტოჩკა, როგორ დაიცავი მაშინ მამაშენი?

ნეტოჩკა... ჩემო ობოლო! — გააგრძელა მან და ისევ დამიწყო კოცნა. ისევ ტიროდა და იცინოდა ერთსა და იმავე დროს.

— ოჰ, კატია!

— რაო, რა იყო? რა მოხდა?

— რატომ ასე დიდხანს... რატომ... — და მე ვერ დავამთავრე სათქმელი. ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ. სამიოდე წუთის განმავლობაში ხმა აღარ ამოგვიღია.

— მომისმინე, ნეტოჩკა, შენ ჩემზე ფიქრობდი? — მკითხა თავადის ასულმა.

— ჰო, კატია, ვფიქრობდი, ძალიან ბევრს ვფიქრობდი! სულ ვფიქრობდი; დღეც, ღამეც.

— ვიცი, ღამღამობით მახსენებდი ხოლმე, მე თვითონ გამიგონია.

— მართლა?

— რამდენჯერ გიტირია კიდეც.

— ხედავ, გცოდნია, რაღად იყავი ასეთი ამაყი?

— სულელი ვიყავი და იმიტომ, ნეტოჩკა! მომივლიდა რაღაც და მორჩა. მე სულ ვბრაზობდი შენზე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე თავად ვიყავი ცუდი. უპირველეს ყოვლისა, ვბრაზობდი იმიტომ, რომ შენ მე მჯობიხარ, მეორეც იმიტომ, რომ მამას შენ ჩემზე უფრო ძალიან უყვარხარ, მამა კი კეთილი კაცია, ნეტოჩკა. ხომ მართალია?

— ჰო, ჰო, — ვეუბნებოდი მე ცრემლმორეული თავადის მოგონებაზე.

— კარგი ადამიანია, — სერიოზულად დაასკვნა კატიამ, — რა უნდა მოვუხერხო, ასეთია... მერე შენ პატიება გთხოვე და კინაღამ ავტირდი, ამაზედაც გავბრაზდი.

— მე ვიგრძენი, რომ ტირილი გინდოდა.

— გაჩუმდი, შე სულელო, თვითონ მტირალა! — დამიყვირა კატიამ და ტუჩზე ხელი ამაფარა. — გამიგონე, ძალიან მინდოდა, რომ მყვარებოდი, მაგრამ უცებ შემეცვლებოდა ხოლმე გუნება, შემჯავრდებოდი, მძულდი, მძულდი!

— რისთვის?

— ვბრაზობდი, მაგრამ არ ვიცი რაზე! მერე ვხედავ, რომ შენ უჩემოდ სიცოცხლე არ შეგიძლია, ჰოდა ვფიქრობ: მოდი გავაწვალებ მაგ საძაგელს-მეთქი!

— ოჰ, კატია!

— ჩემო კარგო! — მითხრა კატიამ და ხელზე მაკოცა. — მერე იყო და შენთან ლაპარაკიც კი აღარ მინდოდა, არასგზით არ მინდოდა. გახსოვს, ფალსტაფს რომ ვეფერებოდი?

— ოი, შე გულადო, შენა!

— მერე, როგორ მეშინოდა, — გააგრძელა თავადის ასულმა. — შენ იცი, რატომ მივედი ფალსტაფთან?

— რატომ?

— შენ მიყურებდი და იმიტომ. როცა დავინახე, რომ მიყურებ... გავიფიქრე, მოხდეს რაც მოსახდენია-მეთქი და წავედი. შეგაშინე, არა? ხომ შეგეშინდა ჩემ გამო?

— ძალიან.

— მე ვხედავდი. იცი როგორ გამიხარდა ფალსტაფი რომ წავიდა, ღმერთო, მე ხომ იმის წასვლის შემდეგაც მეშინოდა, როგორ მეშინოდა, საოცარია სწორედ.

და თავადის ასულმა ნერვული სიცილით გაიცინა. მერე გახურებული თავი უცებ ასწია და დაჟინებით დამაცქერდა. ცრემლები მარგალიტებივით უბრწყინავდნენ გრძელ წამწამებზე.

— აბა, რა გაქვს ისეთი მე რომ ასე ძალიან შემიყვარდი? ფერმკრთალი ხარ, ცისფერთვალა, თმა ქერა გაქვს, თვითონ სულელი ხარ, მტირალა, ჩემო ობოლო!!!

კატია ისევ დაიხარა ჩემკენ და ისევ დამიწყო კოცნა დაუსრულებლად. მისი ცრემლის რამდენიმე წვეთი ლოყაზე დამეცა. კატია ძალზე გულაჩუყებული იყო.

— რომ იცოდე როგორ ძალიან მიყვარდი, მაგრამ სულ ვფიქრობდი — არა და არა, არ ვეტყვი-მეთქი! ვჯიუტობდი! ნეტა რისი მეშინოდა, რატომ მრცხვენოდა შენი! ნახე რა კარგად ვართ!

— კატია! როგორ მტკივა! — ვთქვი მე სიხარულისაგან გაშმაგებულმა, — გული მტკივა!

— აი, ნეტოჩკა, მომისმინე... მართლა, ვინ დაგარქვა, ნეტოჩკა?

— დედამ!

— ყველაფერს მიამბობ დედაშენზე?

— ყველაფერს, ყველაფერს, — ვუთხარი მე აღტაცებით.

— ჩემი ორი ცხვირსახოცი რა უყავი, არშია რომ ჰქონდა შემოვლებული. ბაფთა რად წაიღე? აი, შე უსირცხვილო, შენა. მე ხომ ყველაფერი ვიცი.

მე გამეცინა და სასტიკად გავწითლდი.

— ვფიქრობდი, მოიცადოს, გაწვალდეს, არაუშავს. ხანდახან კი იმას ვფიქრობდი, სულაც არ მიყვარს, მეჯავრება-მეთქი. შენ კი ასეთი მშვიდი ხარ. კრავი ხარ ნამდვილი! როგორ მეშინოდა, ნეტოჩკა, რომ ჩემზე არ გეფიქრა, სულელი გოგოაო! შენ ჭკვიანი გოგო ხარ, ნეტოჩკა! ხომ მართალია? ძალიან ჭკვიანი!

— რას ამბობ, კატია! — ვუთხარი მე თითქმის ნაწყენმა.

— არა, შენ ჭკვიანი ხარ, — თქვა კატიამ სერიოზულად და მტკიცედ, მე ვიცი. ერთხელ დილით წამოვდექი და ვგრძნობ, რომ ძალიან მიყვარხარ, ისე ძალიან, რომ... მთელი ღამე მესიზმრებოდი. ხანდახან კი ვფიქრობდი — დედასთან ჩავალ და იქ ვიცხოვრებ. არ მინდა ნეტოჩკას სიყვარული, არ მინდა-მეთქი! მეორე საღამოს კი ვწვებოდი და ძილის წინ ისევ ვფიქრობდი: ნეტა მოვიდეს ჩემთან, ისე როგორც ამას წინათ მოვიდა, ჰოდა, შენ მოხვედი. ნეტა იცოდე როგორ ვთვალთმაქცობდი, ვითომ მეძინა... ღმერთო! რა უსირცხვილოები ვართ, ნეტოჩკა!

— რა იყო, ასე ძალიან რატომ გაურბოდი ჩემს სიყვარულს?

— ისე... ნეტა რას ვამბობ! მე ხომ შენ მუდამ მიყვარდი... მუდამ! მერე კი მოთმინებაც არ მეყო, ვფიქრობდი: როდისმე აუცილებლად დავკოცნი, ანდა სულ სასიკვდილოდ დავჩქმეტ-მეთქი. აი, ესეც შენ, შე სულელო, შენა!

და თავადის ასულმა მიჩქმიტა.

— გახსოვს, ფეხსაცმელზე ზონარი რომ შეგიკარი?

— მახსოვს.

— მახსოვს. კარგი იყო? გიყურებდი და ვფიქრობდი, რა საყვარელია-მეთქი. მოდი ფეხსაცმლის ზონარს შევუკრავ, ვნახოთ რას იფიქრებს-მეთქი და თვითონვე ვიგრძენი თავი კარგად. ნეტავ იცოდე, როგორ მინდოდა მეკოცნა... მაინც არ გაკოცე. მერე ისე ძალიან მეცინებოდა. მოვდიოდით, მოვსეირნობდით და ერთი სული მქონდა, ვიდრე გულიანად გადავიხარხარებდი, შეხედვის მეშინოდა, არ გამეცინოს-მეთქი. ნეტა იცოდე, როგორ მიხაროდა, ჩემი გულისთვის რომ დაისაჯე თავი და დილეგში ჩაჯექი.

გამოცარიელებულ ოთახს „დილეგს“ ეძახდნენ.

— შეგეშინდა?

— ძალიან.

— მე ის კი არ მიხაროდა, შენ რომ დაიბრალე, არამედ ის, რომ ჩემი გულისათვის დაისაჯე თავი. ვფიქრობდი: ახლა ის ტირის, მე

კი როგორ მიყვარს, წავალ და დავკოცნი, სულ ერთიანად დავ-კოცნი-მეთქი. არ მეცოდებოდი, ღმერთმანი, არ მეცოდებოდი, თუმცა ვიტირე.

— მე კი არ ვიტირე, გახარებული ვიყავი და იმიტომ!

— არ იტირე? აი, შე ავო, შენა! — წამოიყვირა თავადის ასულმა და ტუჩებში მაკოცა.

— კატია! კატია! ღმერთო ჩემო, რა ლამაზი ხარ!

— ხომ მართალია? ჰოდა, ახლა, რაც გინდა ის მიყავი, დამ-ჩქმიტე, მაწამე, ღვთის გულისათვის, მიჩქმიტე, მიჩქმიტე, ჩემო კარგო.

— ეშმაკო!

— კიდევ რას იტყვი?

— სულელო...

— კიდევ, მაკოცე.

და ჩვენ ვკოცნიდით ერთმანეთს, ვტიროდით, ვკოცნიდით, ტუ-ჩები დაგვისივდა ამდენი კოცნისაგან.

— ნეტოჩკა! ჯერ ერთი, შენ ამის შემდეგ ყოველთვის მოხვალ ხოლმე ჩემთან დასაძინებლად. კოცნა გიყვარს? ვკოცნოთ ერ-თმანეთი. მეორეც, არ მინდა, რომ შენ სულ მოწყენილი იყო. რა-ტომ იყავი ყოველთვის მოწყენილი, მომიყვები ხომ?

— ყველაფერს მოგიყვები; მაგრამ ახლა მოწყენილი სულაც არა ვარ, ახლა მე მხიარულად ვარ!

— არა, შენც ჩემსავით წითელი ლოყები უნდა გქონდეს! ნეტა მალე გათენდეს ხვალინდელი დღე! გეძინება, ნეტოჩკა?

— არა.

— მაშ, მოდი ვილაპარაკოთ.

და კიდევ ორი საათი ვილაპარაკეთ, ღმერთმა უწყის, რა არა ვთქვით. ჯერ ერთი, თავადის ასულმა თავისი მომავლის გეგმები გამაცნო და საქმის დღევანდელ ვითარებაზეც მელაპარაკა. და აი, მე გავიგე, რომ მას მამა ყველა დანარჩენებზე უფრო ძლიერ

უყვარს, იქნებ ჩემზე ძლიერაც. მერე ჩვენ ორთავემ დავასკვენით, რომ მადამ ლეოტარი ძალიან კარგი ქალია და სულაც არ არის მკაცრი. შემდეგ აქვე მოვითათბირეთ იმის შესახებ, თუ რა უნდა გავაკეთოთ ხვალ, ზეგ და საერთოდ, ჩვენ თითქმის ოცი წლით განვსაზღვრეთ ჩვენი ცხოვრება. კატიამ მოიფიქრა, რომ ჩვენ ვიცხოვრებთ ასე: ერთ დღეს ის მიბრძანებს და მე ყველაფერს შეავასრულებ, მეორე დღეს კი — პირიქით — მე ვუბრძანებ და ის შეასრულებს ყველაფერს. მერე კი ორთავე თანაბრად ვუბრძანებთ ერთმანეთს, ხოლო თუ რომელიმე ჩვენგანი, განგებ არ შეასრულებს მეორის ბრძანებას, ჩვენ წავიჩხუბებთ, სხვების დასანახად, მერე კი როგორღაც, სასწრაფოდ შევრიგდებით. ერთი სიტყვით, ჩვენ გველოდა დაუსრულებელი ბედნიერება. ბოლოს ლაპარაკით დავიღალეთ. თვალები მეხუჭებოდა, კატია დამცინოდა, მძინარას მეძახდა, მაგრამ თვითონ ჩემზე უფრო ადრე ჩაეძინა. დილით ერთდროულად გაგვეღვიძა. სასწრაფოდ ვაკოცეთ ერთმანეთს, რადგან ჩვენს ოთახში ვიღაც აპირებდა შემოსვლას. მე მოვასწარი ჩემს ლოგინში ჩაწოლა.

მთელი დღის განმავლობაში სიხარულისგან აღარ ვიცოდით რა უნდა გვექნა ერთმანეთისთვის. ვემალებოდით ყველას, განსაკუთრებით უცხო თვალს. ბოლოს, ჩემი ამბის მოყოლა დავიწყე. კატია ცრემლებამდე შეაძრწუნა ჩემმა ამბავმა.

— ავო, ავო! რატომ აქამდე არ მიამბე ყველაფერი, მე შენ ისე ძალიან შეგიყვარებდი, ისე ძალიან. ბიჭები მაგრად გცემდნენ ქუჩაში?

— მაგრად. ისე მეშინოდა იმ ბიჭების!

— საზიზღრები! იცი, ნეტოჩკა, მე თვითონაც მინახავს როგორ სცემდა ერთი ბიჭი მეორეს ქუჩაში. ხვალ ჩუმად ფალსტაფის მათრახს ავიღებ და თუ ერთი მაინც შემხვდა ასეთი, ისე გავამათრახებ, ისე გავამათრახებ...

კატიას გულისწყრომისაგან თვალები უელავდა.

გვეშინოდა, უცხო ვინმე არ შემოსულიყო ჩვენთან. განსაკუთრებით იმიტომ, რომ არ გვინდოდა ვენახეთ კოცნის დროს. კოცნით კი ამ დღეს სულ ცოტა ასჯერ მაინც ვაკოცეთ ერთმანეთს. ასე გავიდა ეს დღე და მისი მომდევნო დღეც. მეშინოდა აღტაცებისაგან გული არ გამისკდეს-მეთქი. ბედნიერებისაგან სული მეგუბებოდა. მაგრამ ჩვენი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა.

მადამ ლეოტარს დავალებული ჰქონდა თვალ-ყური ედევნებინა ჩვენთვის და ყველაფერი, რაც კი თავადის ასულს შეეხებოდა, მოეხსენებინა თავადის მეუღლისათვის. ამ სამი დღის განმავლობაში კი, ჩვენი თვალ-ყურის დევნების შედეგად, მადამ ლეოტარს ბევრი სათქმელი დაუგროვდა. ბოლოს, წავიდა თავადის მეუღლესთან რათა ყველაფერი მოეხსენებინა, რაც კი შენიშნა. კერძოდ ის, რომ ჩვენ აგერ უკვე სამი დღეა ერთმანეთს წამითაც არ ვშორდებით, ვიმყოფებით რაღაც აღგზნებულ მდგომარეობაში, გაუთავებლად ვკოცნით ერთმანეთს, ვტირით და ვიცინით გიჟებივით, ენის გაუჩერებლად ვლაპარაკობთ, მაშინ, როცა წინათ ამის მსგავსი არაფერი შეუნიშნავს მადამ ლეოტარს, ვერ გაურკვევია რას მიაწეროს ყოველივე ეს, მაგრამ ერთი ცხადია, თავადის ასული რაღაცნაირ ავადმყოფურ კრიზისს განიცდის და ბოლოს დაასკვნა, რომ მისი აზრით, საჭიროა ჩვენ უფრო იშვიათად შევხვდეთ ერთმანეთს.

— მე კარგა ხანია ამას ვფიქრობ, — თქვა თავადის მეუღლემ. — ვიცოდი, რომ ეს უცნაური ობოლი გოგო რაღაც დავიდარაბას გადაგვკიდებდა. ის რაც მაგისი წარსული ცხოვრების შესახებ მიამბეს, საშინელებაა, ნამდვილი საშინელება: მაგას დიდი გავლენა აქვს ჩემს კატიაზე. თქვენ ამბობთ კატიას ძალიან უყვარსო?

— თავდავიწყებით.

თავადის მეუღლე წყენისგან წამოწითლდა კიდეც, რადგან ის უკვე ეჭვიანობდა ჩვენზე.

— არაბუნებრივი ამბავია, — თქვა მან, — წინათ ისე უცხონი იყვნენ ერთმანეთისთვის, უნდა გამოგიტყდეთ, მიხაროდა. მართალია ეს ობოლი გოგო ჯერ პატარაა, მაგრამ კაცი თავს ვერაფერზე დადებს. ხომ გესმით ჩემი? მაგას დედის რძესთან ერთად აქვს შესისხლხორცებული ყველა ჩვევა, აღზრდა, იქნებ წესებიც. ვერ გამიგია რას ხედავს ამ გოგოში თავადი? ათასჯერ შევთავაზე პანსიონში მივცეთ-მეთქი.

მადამ ლეოტარმა სცადა ჩემი გამოქომაგება, მაგრამ თავადის მეუღლეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ჩვენი განშორება. მაშინვე კაცი გამოუგზავნეს კატიას დასაძახებლად და იქ, ქვემო სართულზე განუცხადეს რომ მომავალ კვირამდე ვეღარ მნახავს, ესე იგი ზუსტად ერთი კვირის განმავლობაში.

ამის შესახებ გვიან ღამით გავიგე. ამ საშინელმა ამბავმა შემაძრწუნა. კატიაზე ვფიქრობდი, მეგონა ვერ გადაიტანს-მეთქი ჩვენს განშორებას. ნაღველისა და მწუხარებისგან კინაღამ გონი დავკარგე. ღამით ავად გავხდი. დილით თავადი მოვიდა ჩემთან და ჩამჩურჩულა: იმედიანად იყავიო. თავადი მართლაც ყოველ ღონეს ხმარობდა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. რადგან თავადის მეუღლეს არასგზით არ სურდა თავისი გადაწყვეტილების შეცვლა. მე ნელ-ნელა სასოწარკვეთილებამდე მივედი, მწუხარებისაგან სუნთქვა მეკვროდა.

მესამე დღეს დილით ნასტიამ კატიასაგან წერილი მომიტანა. წერილი ფანქრით იყო დაჯღაბნილი. აი, რა ეწერა შიგ:

„ძალიან მიყვარხარ. ვზივარ Maman-თან და ვფიქრობ, როგორ მოვახერხო გამოპარვა შენთან. მაგრამ გამოვიპარები — მე ვთქვი და ამიტომაც შენ ნუღარ ტირი. მომწერე ჩემ შესახებ, როგორ გიყვარვარ. მე მთელი ღამე ძილში გეხვეოდი, საშინლად ვიტანჯებოდი, ნეტოჩკა! კანფეტებს გიგზავნი, ნახვამდის“.

დაახლოებით ამდაგვარივე პასუხი მივწერე. მთელი დღე კატიას წერილზე ვფიქრობდი და ვტიროდი. მადამ ლეოტარმა გამა-

წამა თავისი ალერსით. საღამოს გავიგე, რომ თავადთან მისულა და უთქვამს, თუ კატიას არ აჩვენებთ, აუცილებლად მესამედაც გახდება ავადო. ამასთან ერთად სინანული გამოუთქვამს იმის გამო, რომ თავადის მეუღლეს შეატყობინა ყველაფერი. მე ნასტიას ვეკითხებოდი კატიას ამბავს. — კატია არ ტირის, მაგრამ საშინლად ფერმკრთალიაო, — მითხრა მან.

დილით ნასტიამ ყურში ჩამჩურჩულა:

— ქვემოთ ჩადით, მისი ბრწყინვალების კაბინეტში. მარჯვნივ რომ კიბეა იმით.

საამო წინათგრძნობისაგან გამოვცოცხლდი; მოლოდინმა სუნთქვა შემიკრა. კიბე სწრაფად ჩავირბინე; კაბინეტის კარი შევაღე, მაგრამ კატია იქ არ დამიხვდა. უეცრად ვიღაც შემომეხვია უკნიდან და მაგრად მაკოცა. სიცილი... ტირილი... კატია მკლავებიდან უეცრად დამისხლტა, მამამისს შეაცოცდა ტანზე, მერე ციყვივით მხარზე შეახტა, ხოლო რადგან აქ თავი ვერ შეიკავა, პირდაპირ დივანზე ისკუპა. კატიასთან ერთად თავადიც დაეცა დივანზე. თავადის ასული აღტაცებისგან ტიროდა.

— მამა, რა კარგი ხარ, რა კარგი.

— აი, თქვე ცუღლუტებო! რა დაგემართათ? საიდან მოიტანეთ ასეთი მეგობრობა? ასეთი სიყვარული?

— გაჩუმდი, მამა, გაჩუმდი, შენ ხომ არაფერი არ იცი ჩვენი საქმის.

და ჩვენ ისევ გადავეხვიეთ ერთმანეთს.

ვაკვირდებოდი კატიას. ამ სამ დღეში გამხდარიყო. ვარდისფერი სიფერმკრთალეს შეეცვალა მის სახეზე. მე მწუხარებისაგან ავტირდი.

კარზე ნასტიამ დააბრახუნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ კატია მოიკითხეს. ეძახდნენ. კატიას მკვდრის ფერი დაედო.

— მშვიდად იყავით, ბავშვებო, ჩვენ ყოველ დღე შევხვდებით ერთმანეთს, — თქვა თავადმა, — ნახვამდის, გფარვიდეთ უფალი!

ჩვენი შემხედვარე თავადიც გულაჩუყებული იყო, მაგრამ ვარაუდში შეცდა. საღამოს მოსკოვიდან ცნობა მოვიდა, პატარა საშა მოულოდნელად ავად გამხდარიყო, უკანასკნელ დღეში იყო.

თავადის მეუღლემ მეორე დღესვე გადაწყვიტა წასვლა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი მანამდე, ვიდრე თავადის ასულთან გამომშვიდობების დრო არ დადგა. ჩვენი გამომშვიდობება თავადის თაოსნობით მოხდა, რაზეც თავადის მეუღლე ძლივს დაითანხმეს. თავადის ასული ცოცხალმკვდარი იყო. როგორ დავეშვი კიბეზე, აღარ მახსოვს. კატიას ყელზე შემოვეხვიე. სამგზავრო კარეტა სადარბაზოსთან იდგა. კატიამ დამინახა თუ არა, წამოიყვირა და გულწასული დაეცა. მივვარდი, კოცნა დავუწყე, დედამისი აბრუნებდა, ბოლოს კატია მოტრიალდა და გადამეხვია.

— ნახვამდის, ნეტოჩკა! — მითხრა მან უეცრად სიცილით და სახეზე რაღაც ჩემთვის ამოუცნობი ცვლილება შევნიშნე, — აგრე ნუ მიყურებ, ეს ისე, განა ავადა ვარ. ერთი თვის შემდეგ დავბრუნდები და ჩვენ აღარასოდეს დავშორდებით ერთმანეთს.

— კმარა, — თქვა თავადის მეუღლემ, — წავედით!

მაგრამ თავადის ასულმა კიდევ ერთხელ მოირბინა, კიდევ ერთხელ ჩამიკრა გულში ცახცახით.

— ჩემო სიცოცხლევ! — ჩამჩურჩულა სწრაფად და ისევ გადამეხვია, — მშვიდობით!

ჩვენ უკანასკნელად ვაკოცეთ ერთმანეთს და თავადის ასული გაქრა დიდი ხნით. რვა წელი გავიდა ჩვენს შეხვედრამდე.

მე განგებ მოგიყევით ასე დაწვრილებით ჩემი ბავშვობისა და კატიას პირველი გამოჩენის ამბავი ჩემი ცხოვრების გზაზე. ჩვენი გზები განუყრელი აღმოჩნდა. მისი რომანი — ჩემი რომანიც იყო, მასთან შეხვედრა იყო ჩემი ბედისწერა. მისი ბედიწერა — ჩემი პოვნა. ეგეც არ იყოს, მე არ შემეძლო უარი მეთქვა სიამოვნებაზე, რომ კიდევ ერთხელ დავბრუნებოდი ჩემს ბავშვობას. ამის შემ-

დეგ ჩემი ამბის მოყოლა უფრო სწრაფად წავა წინ. ჩემი ცხოვრება თითქოს უცებ შეჩერდა, მიყუჩდა და მხოლოდ მაშინ გამოვფხიზლდი, როცა თექვსმეტი წელი შემისრულდა.

მანამდე მინდა რამდენიმე სიტყვით გადმოგცეთ თუ რა დამემართა მას შემდეგ, რაც თავადის ოჯახმა პეტერბურგი დატოვა და მოსკოვში გადასახლდა.

პეტერბურგში მე და მადამ ლეოტარი დავრჩით.

ორი კვირის შემდეგ ჩვენთან შიკრიკი გამოცხადდა და შეგვატყობინა, რომ თავადის ოჯახის დაბრუნება პეტერბურგში განუსაზღვრელი ვადით გადაიდოო. ბოლოს, რადგან მადამ ლეოტარს, ოჯახური პირობების გამო, მოსკოვში წასვლა არ შეეძლო და, ამრიგად, შექმნილი ვითარების გამო, თავადის ოჯახში ადგილი აღარ ჰქონდა, გადაწყვიტა ამავე ოჯახის წევრთან, თავადის მეუღლის ქალიშვილთან ალექსანდრა მიხაილოვნასთან გადასახლებულიყო.

ჯერ არაფერი მითქვამს ალექსანდრა მიხაილოვნას შესახებ. ანდა რა უნდა მეთქვა, მხოლოდ ერთხელ მყავდა ნანახი. ის თავადის მეუღლის ქალიშვილი გახლდათ, პირველი ქმრიდან. თავადის მეუღლის წარმოშობისა და მისი ნათესაობის საკითხი ძალზე ბუნდოვანი იყო. მისი პირველი ქმარი მოიჯარე ყოფილა. როცა თავადის მეუღლე მეორედ გათხოვდა, წარმოდგენა არ ჰქონდა რა უნდა ექნა უფროსი ქალიშვილისათვის... სახარბიელო სასიძოს შოვნის იმედი არსაიდან ჩანდა, მზითევი ცოტა ჰქონდათ. ბოლოს, ამ ოთხი წლის წინ, მდიდარი და საკმაოდ მაღალი წოდების საქმრო მოუნახავთ. ალექსანდრა მიხაილოვნამ სრულიად სხვა საზოგადოებაში შედგა ფეხი, სხვა ადამიანები აღმოჩნდნენ მის გარშემო. თავადის მეუღლე წელიწადში ორჯერ ეწვეოდა ხოლმე, თავადი კი, მისი მამინაცვალი, კვირაში ერთხელ მაინც მიდიოდა მასთან კატიასთან ერთად, მაგრამ ამ ბოლო დროს თავადის მეუღლეს აღარ სურდა კატიას გაშვება დასთან და

თავადი იძულებული იყო დედის ჩუმად მიეყვანა. კატიას გაგიჟებით უყვარდა თავისი და, თუმცა ისინი ხასიათით სრულიად არ ჰგვანდნენ ერთმანეთს. ალექსანდრა მიხაილოვნა ოცდაორი წლისა იყო, მშვიდი, ნაზი, მოსიყვარულე გულის. მის მშვენიერ სახის ნაკვთებს სადღაც შორს მიმალული ნაღველი და რაღაცნაირი ფარული გულისტკივილი მკაცრ იერს აძლევდა. ეს სერიოზულობა და სიმკაცრე სრულიად არ უხდებოდა მის ანგელოზისებურ სახეს, ისე იყო, თითქოს ბავშვი ძაძებით შეუმოსავთო. შეუძლებელი იყო შეგეხედათ და განსაკუთრებული მიმზიდველობა არ გეგრძნოთ. ძალზე ფერმკრთალი სახე ჰქონდა. ჩემი გაცნობის პირველ დღეებში ამბობდნენ, ჭლექისკენ აქვს მიდრეკილებაო. ცხოვრობდა ძალზე განმარტოებულად, არც სტუმრად წასვლა უყვარდა, არც სტუმრების მიღება, თითქმის მონასტრულ ცხოვრებას ეწეოდა; შვილები არა ჰყავდა. მახსოვს ერთხელ, როცა მადამ ლეოტართან მოვიდა, მომიახლოვდა და დიდი გრძნობით მაკოცა, თან საკმაოდ ხანდაზმული და გამხდარი კაცი მოჰყვა. ჩემს დანახვაზე ამ კაცს ცრემლი მოერია. იგი მევიოლინე ბ. აღმოჩნდა. ალექსანდრა მიხაილოვნამ ხელი მომხვია და მკითხა: არ გინდა ჩემთან იცხოვრო და ჩემი შვილი გახდეო? მე სახეში შევხედე და მაშინვე ვიცანი ჩემი კატიას და, რაღაცნაირმა ფარულმა გულისტკივილმა შესძრა მთელი ჩემი არსება. მე მას მაგრად გადავეხვიე. თითქოს ყურში ვიღაცამ კიდევ ერთხელ ჩამძახა — ობოლოო. ალექსანდრა მიხაილოვნამ თავადის წერილი მაჩვენა. ამ წერილში რამდენიმე სტრიქონი მე მეკუთვნოდა. ყრუ ქვითინით გადავიკითხე ეს სტრიქონები. თავადი მლოცავდა, მისურვებდა ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჩემივე სიკეთისა და ბედნიერებისათვის მთხოვდა ჩემი მეორე შვილი შეიყვარეო. კატიასაც მიეწერა წერილზე რამდენიმე სტრიქონი — მწერდა: დედას ერთი წუთითაც ვერ ვტოვებო.

და აი, იმ საღამოს მე უკვე მეორე ოჯახში, მეორე სახლში შევდგი ფეხი და ახალ ადამიანთა შორის აღმოვჩნდი. მეორედ მოვიგლიჯე გულიდან ის, რაც ასე ძლიერ შევიყვარე, რაც ესოდენ მშობლიური გახდა ჩემთვის. მე აქ გადმოვედი გაწამებული, გატანჯული, სულიერი ნაღველით შეპყრობილი. ამის შემდეგ იწყება ახალი ისტორია.

VI

ჩემი ახალი ცხოვრება ისე მშვიდად და უდრტვინველად წარიმართა, გეგონებოდათ განდეგილთა შორის დავსახლდიო... რვა წელზე მეტი დავყავი ჩემს აღმზრდელებთან და არ მახსოვს ამ ხნის განმავლობაში, გარდა ერთი-ორი შემთხვევისა, აქ თავი მოეყაროთ ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს, წვეულების, სადილის ანდა სხვა რაიმე შემთხვევის გამო, თუ არ ჩავთვლით ერთიორ ადამიანს, რომლებიც იშვიათად მოდიოდნენ. მაგალითად: მევიოლინე ბ., რომელიც ოჯახის მეგობრად ითვლებოდა, ანდა ალექსანდრა მიხაილოვნას ქმართან მომსვლელნი, რომლებიც თითქმის მუდამ მხოლოდ საქმეზე მოდიოდნენ, ალექსანდრა მიხაილოვნას ქმარი ძალზე დატვირთული კაცი იყო სამსახურებრივი თუ სხვა საქმეებით და მხოლოდ ხანდახან გამონახავდა თავისუფალ დროს, რომელსაც თანაბრად ანაწილებდა ოჯახსა და მაღალ საზოგადოებას შორის. იგი ხშირად იძულებული იყო ეფიქრა იმ საქმიან ურთიერთობებზე, რომელთა უგულვებელყოფა შეუძლებლად მიაჩნდა. მისი განუსაზღვრელად დიდი პატივმოყვარე ხასიათის შესახებ ხმა შორს იყო გავარდნილი, მაგრამ რადგან მას საქმიან და სერიოზულ კაცად თვლიდნენ, ამასთან თანამდებობაც საკმაოდ დიდი ჰქონდა, ბედი წყალობდა, წარმატება განუყრელად სდევდა თან, საზოგადოება მას პატივისცემით ექცეოდა, უფრო მეტიც, იგი განსაკუთრებული თანაგრძნობით სარგებლობდა, მაშინ, როცა მისი მეუღლე ამას სავსებით მოკლებული იყო. ალექსანდრა მიხაილოვნა ცხოვრობდა სრულიად განმარტოებით, მაგრამ თავისი მშვიდი ხასიათის გამო ეს თითქოს არც კი აწუხებდა. ვგონებ, იგი საგანგებოდ ასეთი ცხოვრებისათვის იყო დაბადებული.

მან მთელი გულით შემიყვარა და ღვიძლი შვილივით შემითვისა. მეც, კატიასთან განშორებით გამოწვეული, ჯერ შეუშრობე-

ლი ცრემლებითა და შემორჩენილი გულისტკივილით, ჩემს კეთილისმყოფელს, შვილივით რომ მიმიღო, მაგრად ჩავეკარი გულში და ამ დღიდან მოყოლებული ჩემი დიდი სიყვარული მისდამი აღარასოდეს განელებულა. იგი ჩემთვის დედაც იყო, დაც და მეგობარიც. მან მე ყველას მაგივრობა გამიწია და ფაქიზად გამოზარდა ჩემი ახალგაზრდობა. ამასთან არ ვიცი ინსტინქტითა თუ წინათგრძნობით, მალე შევნიშნე, რომ მისი ბედი არც ისე სახარბიელო იყო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა, როცა ვუყურებდი მის ჩუმსა და მოჩვენებითად მშვიდ, ვითომდა თავისუფალ ცხოვრებას, უშფოთველ ნათელ ღიმილს, რომელიც ასე ხშირად უნათებდა სახეს. ამიტომაც ჩემი განვითარების დღეებში, მისი ცხოვრებიდან აღებული ყოველი დღე მაცნობდა რაღაც ისეთს, რასაც ნელა, დიდი წვალებით ითვისებდა ჩემი გული და ნაღველნარევი შეგნებით წარმოშობილი ჩემი სიყვარული მისდამი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და მტკიცდებოდა. ისეთი მოკრძალებული და სუსტი ხასიათი ჰქონდა, რომ მის ნათელსა და მშვიდი სახის დანახვაზე ვერასგზით ვერ იფიქრებდით — შეიძლება ეს უმწიკვლო გული რაიმე მწუხარებამ შეაშფოთოსო. შეუძლებელი იყო გეფიქრათ, რომ არსებობს ქვეყნად ვინმე, ვისი შეყვარებაც მას არ შესძლებოდა. სიბრალულის გრძნობა მასში ისე ძლიერი იყო, რომ ზიზღსაც კი სძლევდა. ამასთან, ბევრი მეგობარი როდი ჰყავდა, ცხოვრობდა სრულიად განმარტოებით. ბუნებით ვნებიანი და შთაბეჭდილებიანი იყო, მაგრამ, ვგონებ, თვითონვე რცხვენოდა თავისი შთაბეჭდილებების, თვითონვე დარაჯობდა თავის გრძნობებს, რომ თუნდაც ოცნებით არ მისცემოდა თავდავიწყებას. ხანდახან მის თვალზე, ყველაზე ნათელ წუთებშიც შემინიშნავს ცრემლი და ამ დროს ისე იყო, თითქოს უეცარმა, მტანჯველმა მოგონებამ იფეთქა მის სულში და სინდისი შეუშფოთაო. მის ბედნიერებას თითქოს ვიღაც მტრულად ჩასაფრებოდა, დარაჯობდა და არცხვენდა. რამდენადაც უფრო ბედნიერი გეჩვენებო-

დათ, რამდენადაც უფრო მშვიდი და ნათელი იყო მისი ცხოვრების წამი, მით უფრო ახლო იყო ნაღველი. მით უფრო მოსალოდნელი იყო უეცარი სევდა, ცრემლები. მთელი ამ რვა წლის განმავლობაში არ მახსოვს არც ერთი მშვიდი თვე. ქმარს, როგორც ჩანს, ძალიან უყვარდა ცოლი, ცოლსაც უყვარდა ქმარი გაგიჟებით, მაგრამ ერთი შეხედვით გეგონებოდათ, რომ მათ შორის ყველაფერი ბოლომდე არ იყო ნათქვამი. რაღაც საიდუმლოს ფარავდა ალექსანდრა მიხაილოვნას ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში მე პირველსავე დღეს დამებადა ასეთი ეჭვი.

ალექსანდრა მიხაილოვნას ქმარმა პირველად ძალზე პირქუში კაცის შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე და ბავშვობაში მიღებული ეს შთაბეჭდილება არასოდეს შემცვლია. იგი გარეგნულად მაღალი და გამხდარი კაცი იყო. თვალებს, თითქოს განგებ, მუდამ დიდი მწვანე სათვალის ქვეშ მალავდა. უცხვირპირო იყო, კარჩაკეტილი და საკუთარ ცოლთანაც ვერ ახერხებდა სასაუბრო თემის გამონახვას. ვგონებ, ხალხში ყოფნა უმძიმდა. ყურადღებას არ მაქცევდა, მაგრამ მე მაინც უხერხულობას ვგრძნობდი, როდესაც ჩვენ სამივე, სასტუმრო ოთახში, ჩაის დასალევად შევიკრიბებოდით ხოლმე. ალექსანდრა მიხაილოვნაც თრთოდა მის წინაშე. მე მას ჩუმჩუმად ვუთვალთვალებდი და ვხედავდი თავის ყოველ მოძრაობას როგორ ზომავდა წინასწარ. თითქოს ფითრდებოდა კიდეც, თუ ქმარი ჩვეულებრივზე უფრო პირქუში და მკაცრი მოეჩვენებოდა, ანდა უეცრად გაწითლდებოდა თუ ქმრის ნათქვამში რაიმე ქარაგმულს შენიშნავდა. ვგრძნობდი, რაოდენად უმძიმდა ქმრის ახლოს ყოფნა, მაგრამ არც უმისობა შეეძლო. დამაინტერესა მისმა ესოდენ დიდმა ყურადღებამ ქმრისადმი, მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვისადმი, ყოველი მოძრაობისადმი. თითქოს ყველანაირად ცდილობდა ქმრისთვის ესიამოვნებინა და რადგან წინასწარ გრძნობდა, რომ ამას ვერ ახერხებდა, მუდარით შეჰყურებდა, თითქოს შესთხოვდა მოიწონეო. ხოლო თუ მის

სახეზე ღიმილის მსგავსს შენიშნავდა, თუ მის მიერ წარმოთქმულ და შუაგზაზე შეწყვეტილ საალერსო სიტყვას გაიგონებდა, იგი ბედნიერი იყო. გეგონებოდათ ეს იყო პირველი, ჯერ კიდევ მორცხვი და უიმედო სიყვარულით აღსავსე დღეები. იგი ქმარს ისე უვლიდა, როგორც მძიმე ავადმყოფს. როცა ქმარი თავის კაბინეტში გასვლის წინ ხელს ჩამოართმევდა და, როგორც მეჩვენებოდა, მისთვის ძალზე სამძიმო თანაგრძნობით შეაცქერდებოდა, თითქოს უფრო მხიარული და უფრო თავისუფალი ხდებოდა. მაგრამ უხერხულობის გრძნობას, ქმართან შეხვედრის შემდეგაც, კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა, მის მიერ კარგა ხნის წინ ნათქვამ ყოველ სიტყვას ისევ და ისევ იგონებდა, თითქოს წონიდა, ზომავდა. ხშირად მეკითხებოდა: სწორად გავიგე თუ არა პიოტრ ალექსანდროვიჩის ნათქვამიო, ზუსტად ასე თქვა თუ არაო, — გეგონებოდათ ქმრის მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვაში კიდევ და კიდევ ეძებდა რაღაც ახალ აზრს და მხოლოდ შემდეგ, იქნებ მთელი ერთი საათის შემდეგ, როცა დარწმუნდებოდა, რომ ტყუილუბრალოდ შფოთავდა, რომ ქმარი სავსებით კმაყოფილი დარჩა მისით, მხნევდებოდა. ამ დროს იყო იგი უფრო კეთილი, უფრო მხიარული და ლაღი. ჩემთან ერთად იცინოდა, მკოცნიდა, ანდა ფორტეპიანოს მიუჯდებოდა და ერთი-ორი საათი უკრავდა. მაგრამ არც თუ ისე იშვიათად, ეს სიხარული უცებ ქრებოდა მის სახეზე, იწყებდა ტირილს, ხოლო, როცა შეშფოთებული, შეშინებული და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი შევხედავდი, მაშინვე ჩურჩულით, რათა უნებლიე მოწმეს არ გაეგონა მისი ნათქვამი, მოჰყვებოდა მტკიცებას, რომ ცრემლები წასცდა ისე, უბრალოდ, რომ ის სრულიად მხიარულად გრძნობს თავს და არ ღირს ამაზე წუხილი. ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ როცა ქმარი შინ არ იყო, უეცრად დაიწყებდა მისი ამბის გამოკითხვას შეშფოთებით, წუხილით. ღელავდა, კაცს აგზავნიდა მისი ამბის გასაგებად, მომვლელი ქალის საშუალებით შეიტყობდა რატომ გამოიყ-

ვანეს ცხენები, სად აპირებს წასვლას, შეუძლოდ ხომ არ არის, თავს მხიარულად გრძნობს თუ პირიქით, მოწყენილია, რას ამბობს და ა.შ. ქმართან საქმეზე ლაპარაკს ბევრს ბედავდა, მაგრამ როცა ქმარი რჩევას მისცემდა, ანდა რაიმეს სთხოვდა, იგი ისეთი მორჩილებით უგდებდა ყურს, ისე რცხვენოდა მისი, თითქოს მისი მონა ყოფილიყოს. უხაროდა, როცა ქმარი მოუწონებდა რომელიმე ნივთს, წიგნს, ნაქარგს, ამით თითქოს თავს იწონებდა და უეცრად უსაზღვრო ბედნიერება ეუფლებოდა. მაგრამ მის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, თუ ქმარი მოულოდნელად (რაც ძალზე იშვიათად ხდებოდა) მოისურვებდა პაწია შვილების მიალერსებას. შვილი ორი ჰყავდათ. ასეთ შემთხვევაში ცოლს სახე უეცრად შეეცვლებოდა, ზედ ბედნიერება ეხატებოდა. ამ წუთებში იგი გადაჭარბებულადაც კი ამჟღავნებდა ქმრის წინაშე თავის სიხარულს. მისი სითამამე შორს მიდიოდა, უეცრად, ქმრის მიერ სურვილის გამოთქმის გარეშე, სთხოვდა მოესმინა რომელიმე ახლად მიღებული მუსიკალური ნაწარმოები, ეთქვა თავისი აზრი ახალ წიგნზე, ანდა ნება დაერთო ერთი-ორი გვერდი წაეკითხა იმ ავტორის წიგნიდან, რომელმაც იმ დღეს განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ქმარი ხანდახან დიდსულოვნად უსრულებდა ყველა ამ სურვილს და ისე მოწყალედ უღიმოდა, როგორც უღიმიან განებივრებულ ბავშვებს, რომელთაც უარს არ ეუბნებიან ამა თუ იმ ახირებულ მოთხოვნაზე, რადგან არ სურთ მათი ბავშვური გულუბრყვილობა შეაშფოთონ, ანდა მტრულად განაწყონ საკუთარი თავისადმი. მაგრამ მე, არ ვიცი რატომ, გულის სიღრმემდე მაღშფოთებდა მისი ეს ღიმილი, ეს უთანასწორო, მოწყალე, ქედმაღლური დამოკიდებულება. ხმას არ ვიღებდი, თავს ვიკავებდი, მაგრამ ბავშვური ცნობისმოყვარეობით გულდაგულ ვადევნებდი თვალს და ხანდახან იმასაც ვამჩნევდი, რომ პიოტრ ალექსანდროვიჩს უეცრად, თითქოს მისდაუნებურად, თითქოს მოულოდნელად, ვიღაცის ძალდატანებით, საკუ-

თარი სურვილის წინააღმდეგ, გაახსენდებოდა რაღაც მძიმე, ძალზე მძიმე, სრულიად გადაუდებელი საქმე, და მის სახეზე თვალისდახამხამებაში გაქრებოდა მოწყალე ღიმილი, მისი თვალები უეცრად ისეთი სიბრალულით მიაშტერდებოდნენ განცვიფრებული ცოლის სახეს, რომ მე შევკრთებოდი ხოლმე და ეს გამოხედვა ჩემკენ რომ ყოფილიყო მომართული, მერწმუნეთ, დავიტანჯებოდი. ალექსანდრა მიხაილოვნას სახეზეც მაშინვე ქრებოდა სიხარული. დაკვრას, ანდა წიგნის კითხვას თავს ანებებდა და იდგა ერთ ადგილზე გადაფითრებული, მოთმინებით, ხმაამოუღებლად. ჩამოვარდებოდა უსიამოვნო, ნაღვლიანი წამი, რომელიც ხანდახან დიდხანს გრძელდებოდა. ბოლოს, ქმარი სიჩუმეს არღვევდა, სავარძლიდან ისეთი სახით წამოდგებოდა, გეგონებოდათ უნებური წყენისა და მღელვარების დაფარვა უმძიმსო და ოთახში პირქუში სახით რამდენჯერმე გაივლ-გამოივლიდა. მერე ცოლს ხელზე ხელს მოუჭერდა, ჰაერს ღრმად შეისუნთქავდა და აშკარად შეცბუნებული რამდენიმე სიტყვას ეტყოდა ნუგეშისათვის და ოთახიდან გადიოდა. ალექსანდრა მიხაილოვნას ცრემლები წასკდებოდა, ანდა საშინელი და ხანგრძლივი ნაღველი დაეუფლებოდა. ხშირად ქმარი საღამოობით გამომშვიდობებისას ბავშვივით დალოცავდა, ჯვარს გადასახავდა. ცოლი მადლიერების გრძნობით და მოწიწებით იღებდა ამ დალოცვას. არ შემიძლია დავივიწყო რამდენიმე საღამო ჩვენს სახლში (სულ ორი თუ სამი რვა წლის განმავლობაში), როცა ალექსანდრა მიხაილოვნა თითქოს ერთიანად შეიცვლებოდა, ნაცვლად მუდმივი თავმდაბლობისა და მოწიწებისა ქმრისადმი, მის მუდამ მშვიდსა და წყნარ სახეზე აღიბეჭდებოდა რაღაცნაირი გულისწყრომა, მრისხანება. ხანდახან მთელი საათით ადრე მზადდებოდა ჭექა-ქუხილი. ქმარი ჩვეულებრივზე უფრო ენაძვირი, მკაცრი და კუშტი ხდებოდა. ბოლოს, საწყალი ქალის ავადმყოფი გული ვეღარ იტანდა და მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით იწყებდა ლაპარაკს,

ჯერ უთავბოლოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, შიგადაშიგ ისმოდა გადაკრული და მწარედ ნათქვამი დაუმთავრებელი სიტყვები, მერე თითქოს მისი გული ამ დიდ ნაღველს ვეღარ იტევდა და ყველაფერი ცრემლებსა და ქვითინში გადმოიღვრებოდა. ამას მოჰყვებოდა აღშფოთება, საყვედური, ჩივილი, სასოწარკვეთილება — თითქოს ამ წუთს ავად იყო. უნდა გენახათ, როგორი მოთმინებით იტანდა ქმარი ყოველივეს, როგორი თანაგრძნობით ამშვიდებდა, როგორ უკოცნიდა ხელებს და ბოლოს, ტიროდა კიდეც მასთან ერთად. მაშინ ალექსანდრა მიხაილოვნა უცებ გამოერკვეოდა, თითქოს შინაგანი სინდისი ამხელდა მას, დანაშაულზე უთითებდა. ქმრის ცრემლები მუდამ თავზარს სცემდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ხელებს იმტვრევდა, გულამოსკვნილი ქვითინებდა, ქმარს ფეხებში უვარდებოდა, პატიებას შესთხოვდა და ქმარიც მაშინვე მოლბებოდა, აპატიებდა. მაგრამ კიდევ დიდხანს, დიდხანს ქენჯნიდა სინდისი, კიდევ დიდხანს სდიოდა ცრემლები, კიდევ დიდხანს შესთხოვდა პატიებას და კიდევ უფრო მოკრძალებული და მორჩილი ხდებოდა, ძლიერ ძრწოდა მის წინაშე თვეების განმავლობაში. მე არ მესმოდა რაში მდგომარეობდა ეს საყვედურები, ეს ჩივილი. ამ დროს ოთახიდან მისტუმრებდნენ, მაგრამ ამას ყოველთვის ძალზე უხერხულად აკეთებდნენ და ჩემგან თავის დაცვას მაინც ვერ ახერხებდნენ. მე თვალყურს ვადევნებდი, ყველაფერს ვაკვირდებოდი, ვამჩნევდი და თავიდანვე ჩაისახა ჩემს გულში შავი იჭვები. თავიდანვე მივხვდი, რომ ეს მოულოდნელი აფეთქება, თავმოყვარეობაშერყეული გულისა, უბრალო ნერვული შეტევა კი არ იყო, არამედ აქ იფარებოდა რაღაც საიდუმლო. ქმარი ტყუილუბრალოდ როდი დადიოდა დაბღვერილი. უმიზეზოდ როდი იყო გამოწვეული მისი თითქოს ორაზროვანი თანაგრძნობა საცოდავი, ავადმყოფი ცოლისადმი. არც ცოლის გამუდმებული მორჩილება და თრთოლვა იყო უმიზეზო და, ბოლოს, არც ეს მორჩილი უცნაური სიყვარული, რომლის გამომ-

ჟღავნებისაც კი ეშინოდა ქმრის წინაშე. უმიზეზო არც ეს განდგომა იყო, არც ეს მონასტრული ცხოვრება, არც ეს სიწითლე და უეცარი გაფითრება ქმრის წინაშე.

ხოლო რადგან მსგავსი სცენები ძალზე იშვიათ ხასიათს ატარებდნენ, ჩვენი ცხოვრება კი, რომელსაც მე საკმაოდ ახლოს გავეცანი, მეტისმეტად ერთფეროვანი იყო, ჩემი ზრდა და განვითარება ძალზე სწრაფად წავიდა წინ. ბევრი ახალი, თუმცა ჯერ კარგად შეუცნობი გრძნობები დამებადა და ამ გრძნობებმა ჩემი ყურადღება გაფანტა, ნაწილობრივ ჩამომაშორა კიდეც ამ დაკვირვებებს. ბოლოს და ბოლოს მე შევეჩვიე ამ ცხოვრებას. შევეჩვიე იმ ადამიანთა ხასიათებს და ზნე-ჩვეულებებს, რომელთა შორისაც ვიყავი. რაღა თქმა უნდა, არ შემეძლო არ მეფიქრა ალექსანდრა მიხაილოვნას ბედზე, რადგან ძალიან მიყვარდა. ანგარიშს ვუწევდი მის ნაღველს და ამიტომაც უფრო მეშინოდა, რომ შემთხვევით არ შემეკრთო მისი ესოდენ უნაზესი გული ჩემი ცნობისმოყვარეობით. მას კარგად ესმოდა ჩემი და რამდენჯერ შემინიშნავს მზად ყოფნა იმის გამო, რომ მადლობა ეთქვა ესოდენ დიდი ერთგულებისათვის. ზოგჯერ, როცა ჩემს ყურადღებას შენიშნავდა, გამიღიმებდა, უფრო ხშირად ცრემლიანი თვალებით და მერე თვითონვე დასცინოდა თავის ცრემლებს. ზოგჯერ მოულოდნელად დაიწყებდა მოყოლას იმის შესახებ, რომ ის ბედნიერია, რომ ძალზე კმაყოფილია თავისი ცხოვრებით. რომ მის მიმართ ყველა კეთილად არის განწყობილი, რომ ის ყოველთვის უყვარდა ყველას, რომ იტანჯება რადგან პიოტრ ალექსანდროვიჩი წუხს მისი ავადმყოფობისა და სულიერი მდგომარეობის გამო, მაშინ, როცა თვითონ სრულიად ბედნიერად გრძნობს თავს!... და ამ დროს იგი ისეთი დიდი გრძნობით მეხვეოდა, ისე თავდავიწყებამდე მისული სიყვარული იხატებოდა მის ნათელ სახეზე, რომ მე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისდამი უსაზღვრო თანაგრძნობისაგან, გული მტკიოდა.

მისი სახის ნაკვთების დავიწყება ვერასგზით შევძელი. მას ჰქონდა სწორი ნაკვთები, სიგამხდრე და მკრთალი ფერი თითქოს კიდევ უფრო მატებდნენ მის მკაცრ სილამაზეს მშვენიერებას. სქელი შავი თმა ქვემოთ სწორად რომ ჰქონდა ჩამოვარცხნილი, ლოყების ირგვლივ მკაცრსა და მკვეთრ ჩრდილს ჰფენდნენ და მით უფრო საყვარლად განცვიფრებდათ კონტრასტი, რომელიც დიდრონი, ბავშვურად ნათელი, ცისფერი თვალების ნაზი გამოხედვით იყო ხაზგასმული, რასაც გრძნობდით მისი მოკრძალებული ღიმილის და მთლიანად ამ მშვიდი, ფერმკრთალი სახის დანახვაზე, რომელზედაც ხანდახან ესოდენ მიამიტი გაუბედაობა ისახებოდა. იგი იყო თითქოს დაუცავი, თითქოს შეშინებული ყოველგვარი გრძნობის, გულის სწრაფვის, წამიერი სიხარულისა თუ ხშირი ჩუმი ნაღველის გამო. მაგრამ სხვა დროს, აუღელვებელ ბედნიერ წუთებში, ეს გამოხედვა იყო დღესავით ნათელი. იგი იყო უმწიკვლო, გულში ჩამწვდომი. ცასავით უსაზღვროდ ღრმა ცისფერი თვალები ისეთი სიყვარულით ელავდნენ, იმდენი სიტკბო და სითბო იყო ჩაქსოვილი მათში, ისეთი ღრმა გრძნობები, იმდენი კეთილშობილება ყველაფრისადმი, რაც სიყვარულსა და თანაგრძნობას ითხოვდა, რომ მთელი არსება ემორჩილებოდა მას, უნებურად მიიწევდა მისკენ და გეჩვენებოდა, რომ მისგანვე იღებდი ამ სინათლესაც, ამ სულის სიმშვენიერესაც, მორჩილებასაც და სიყვარულსაც და ხანდახან, როცა მიაჩერდებოდი ამ უძირო ცის ლაჟვარდს, ფიქრობდი, რომ შეგიძლია სჭვრიტო იგი ნეტარებით დაუსრულებლად, რომ შენი სული უფრო მშვიდი და თავისუფალი ხდება მაშინ, რომ ამ უძირო სივრცეში მოჩანს დიადი ცის გუმბათი ისე, როგორც ანკარა წყლის ზედაპირზე. ხოლო როცა — ეს კი ხშირად ხდებოდა — აღფრთოვანებისაგან ლოყები შეუფაკლდებოდა და მისი გულიც მღელვარებისაგან თრთოდა, — თვალები ელვასავით აენთებოდნენ და გეჩვენებოდათ, რომ ნაპერწკლებს ჰყრიანო, ხოლო მთელი მისი არსება, რომელსაც

მშვენიერი, სუფთა ნაპერწკალი უმწიკვლოდ შემოენახა და ახლა მასვე ამხნევებდა, შენშიც ისადგურებდა. იგი ამ წუთებში ჰგავდა შთაგონებულს. ასეთი მოულოდნელი გატაცების წუთებში, როდესაც წყნარ, მოკრძალებულ, სულიერ განწყობილებას ძლიერი აღტყინება და წმიდა, მკაცრი ენთუზიაზმი სცვლიდა, იგი იყო მეტისმეტად მიამიტი, ბავშვურად აჩქარებული. მასში ისეთი ბალღური რწმენა იყო, რომ მხატვარი, ვგონებ, სიცოცხლეს არ დაიშურებდა, რომ ასეთი ნათელი აღტაცების წამი დაეჭირა და ეს შთაგონებული სახე ტილოზე გადაეტანა.

ამ სახლში შემოსვლის პირველი დღიდანვე ვიგრძენი, რომ ჩემი მოსვლით გავახარე ის, — ამ დროს მხოლოდ ერთი შვილი ჰყავდა. სულ ერთი წელი იქნებოდა, რაც დედა გამხდარიყო, მაგრამ მეც ღვიძლი შვილივით მიმიღო, თავის შვილში არ მარჩევდა, ჩემს აღზრდას დიდი გატაცებით მოჰკიდა ხელი. პირველად ისე აჩქარდა, რომ მადამ ლეოტარს უნებურად გაეღიმა. ყველაფრის სწავლება ერთად მოინდომა, კინაღამ დავიბენით, კინაღამ ვერ გავუგეთ ერთმანეთს. მოინდომა თვითონ ერთბაშად, უცებ ესწავლებინა ყველაფერი და ნაცვლად სარგებლობისა, უთავბოლო აჩქარება გამოუვიდა, პირველად თვითონვე შეწუხდა თავისი წარუმატებლობის გამო. მერე გაგვეცინა და თავიდან დავიწყეთ. პირველი წარუმატებლობის მიუხედავად, მან უარი თქვა მადამ ლეოტარის სწავლების მეთოდზე. დიდხანს კამათობდნენ, იცინოდნენ, მაგრამ ჩემი ახალი მასწავლებელი გადაჭრით ამბობდა უარს მადამ ლეოტარის სისტემით სწავლებაზე. იგი ირწმუნებოდა, რომ წინასწარი შემუშავებული გეგმის გარეშე უფრო ადვილად მივაღწევთო მიზანს. სრულიად არ არის საჭირო მშრალი ცოდნით თავის გადატვირთვა, მთელი წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოვახერხებ საკუთარი ინსტინქტის წყალობით ჩავწვდე ცოდნის საფუძვლებს და კიდევ იმაზე, თუ რამდენად შევძლებ მოწაფეს აღვუძრა სწავლის სურვილიო. იგი უდა-

ვოდ მართალი იყო, რადგან მან სავსებით მიაღწია მიზანს. ჯერ ერთი, მეცადინეობას ჩვენ თავიდანვე ისე შევუდექით, როგორც თანატოლები და არა როგორც მასწავლებელი და მოწაფე. ხანდახან მის ეშმაკობას ვერც კი ვამჩნევდი და მაშინ ისე იყო, თითქოს მასწავლებელი ის კი არა მე ვიყავი. ასეთ დროს ცხარედ და დიდხანს ვკამათობდით, მთელი ძალ-ღონით ვცდილობდი დამემტკიცებინა, რაც ასე ღრმად მწამდა. ამასობაში, ჩემთვის სრულიად შეუმჩნევლად, ალექსანდრა მიხაილოვნა სწორ გზაზე მაყენებდა და ბოლოს საქმე იმით მთავრდებოდა, რომ მე ჭეშმარიტებას ამოვხსნიდი, ვამხელდი ჩემი მასწავლებლის ეშმაკობას და, როდესაც მის ფანდებს, მის მიერ ჩემი სარგებლობისათვის დაკარგული საათების რაოდენობას წარმოვიდგენდი, ყოველი გაკვეთილის შემდეგ ყელზე ვეხვეოდი. ჩემი მგრძნობიარობა ანცვიფრებდა მას, გულს უჩუყებდა და საგონებელში აგდებდა. ცნობისმოყვარეობით მეკითხებოდა ჩემი წარსულის შესახებ. უნდოდა პირადად ჩემგან მოესმინა ჩემი ამბავი და ყოველთვის, როცა ვუყვებოდი, უფრო მგრძნობიარე, უფრო ნაზი და სერიოზული ხდებოდა ჩემ მიმართ. — სერიოზული, რადგან უბედური ჩემი ბავშვობა მასში სიბრალულის გრძნობასთან ერთად, პატივისცემის გრძნობასაც იწვევდა. ყოველი ჩემი აღსარების შემდეგ კიდევ დიდხანს ვლაპარაკობდით. ამ საუბრების დროს იგი ცდილობდა ჩემთვის აეხსნა ჩემივე წარსული და მართლაც მე თითქოს თავიდან ვიწყებდი ყველაფრის განცდას, ბევრ რამეში თავიდან ვერკვეოდი, თავიდან ვსწავლობდი. მადამ ლეოტარი ხშირად ამ საუბრებში რაღაც გადაჭარბებულად სერიოზულს ხედავდა და როდესაც ჩემს თვალზე უნებურ ცრემლს შენიშნავდა, ფიქრობდა, რომ არ იყო საჭირო ასეთი სერიოზული ამბებით ამ ცრემლების გამოწვევა, თუმცა მე სრულიად საწინააღმდეგო აზრისა ვიყავი, რადგან ამ გაკვეთილების შემდეგ ძალზე მსუბუქად და კარგად ვგრძნობდი თავს, თითქოს აღარც კი არსებობდა ჩემი უბედური

ბედი. უფრო მეტიც, მე მეტად მადლიერი ვიყავი ალექსანდრა მიხაილოვნასი, რადგან დღითიდღე სულ უფრო და უფრო შემაყვარა თავი. მადამ ლეოტარისათვის წარმოუდგენელი იყო, როგორ შეიძლებოდა ამგვარი საუბრების შემდეგ, თანდათანობით გათანაბრებულიყო და ჰარმონიულად შერწყმულიყო ყველაფერი ის, რაც ადრე მომხდარ ამბავთა არასწორად გააზრების შედეგად, ესოდენ ნაადრევ ასაკში მიშფოთებდა სულს, მიკლავდა გულს და მწვალებლურ გულისტკივილს იწვევდა ჩემში, მერე კი უსამართლოდ გააფთრებული დავტიროდი ამ ტკივილს მაშინ, როდესაც არ მესმოდა საიდან მოდიოდა ეს დარტყმები.

ჩვენი დღე იწყებოდა ასე: ორთავე ჩავდიოდით ქვემოთ საბავშვო ოთახში მის ბავშვთან, ვაღვიძებდით, ვაცმევდით, ვაჭმევდით, ვართობდით, ვასწავლიდით ლაპარაკს. ბოლოს, ჩვენს საქმეს შევუდგებოდით. ვსწავლობდით ბევრს, ვეუფლებოდით მრავალ მეცნიერებას, მაგრამ, ღმერთმა უწყის რა ხასიათის იყო ეს მეცნიერება, აქ იყო თითქმის ყველაფერი, მაგრამ გარკვეულად არაფერი. ვკითხულობდით, მერე შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით ერთმანეთს. ხანდახან წიგნს მივაგდებდით იმიტომ, რომ მუსიკისათვის მოგვეკიდა ხელი. ამგვარად, შეუმჩნევლად გარბოდნენ საათები საღამოობით. ხშირად ალექსანდრა მიხაილოვნას მეგობარი ბ. მოდიოდა ჩვენთან, მოდიოდა მადამ ლეოტარიც და არცთუ ისე იშვიათად გაცხარებული საუბრები იმართებოდა ხელოვნებაზე, ცხოვრებაზე (რომელსაც, ჩვენს წრეში მხოლოდ ყურმოკვრით თუ ვიცნობდით), ვლაპარაკობდით სინამდვილეზე, იდეალებზე, წარსულსა და მომავალზე. ვისხედით შუაღამემდე. მთელი გულისყურით ვუსმენდი ამ საუბრებს და სხვებთან ერთად მეც ვიცინოდი აღგზნებული, ანდა მათსავით გულაჩუყებული ვიყავი. მაშინ პირველად გავიგე ასე დაწვრილებით მამაჩემისა და ჩემი პირველი ბავშვობის ამბავი. ამასობაში ვიზრდებოდი, დამიქირავეს მასწავლებლები, რომელთა მეოხებითაც ბევრს ვერა-

ფერს შევისწავლიდი, რომ ალექსანდრა მიხაილოვნა არ დამხმარებოდა. გეოგრაფიის მასწავლებელი უთუოდ თვალებს დამივსებდა რუკაზე ქალაქებისა და მდინარეების ძებნით, მაშინ, როცა მე და ალექსანდრა მიხაილოვნა მრავალ საინტერესო ქვეყანაში ვმოგზაურობდით, ბევრ საინტერესოს და უცნაურს ვნახულობდით. მრავალი აღფრთოვანებული და ფანტასტიკურად საოცარი საათი გავატარეთ ერთად. ჩვენი ლტოლვა უსაზღვრო იყო. ალექსანდრა მიხაილოვნას მიერ წაკითხული წიგნები რომ აღარ გვყოფნიდა ეს აშკარა იყო, იძულებული ვიყავით ახალ წიგნებზე გვეზრუნა. მალე მე თვითონ შემეძლო ჩემი გეოგრაფიის მასწავლებლისათვის რუკაზე მეჩვენებინა ქალაქები და მდინარეები, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მან ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა მერიდიანებისა და ამ მერიდიანებზე გაწოლილ ქალაქებში მცხოვრებთა რაოდენობის ზუსტად ცოდნის საკითხში. ჩემი ისტორიის მასწავლებელსაც ზუსტად თავის დროზე აძლევდნენ ფულს, მაგრამ ჩვენ მისი წასვლის შემდეგ ისტორიასაც ჩვენებურად ვსწავლობდით. ხშირად შუაღამემდე ვკითხულობდით, ანდა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, კითხულობდა ალექსანდრა მიხაილოვნა, რადგან ერთსა და იმავე დროს ის ცენზორიც იყო. მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ამაზე უფრო აღფრთოვანებული წუთები არ მახსოვს. ისე იყო, თითქოს ჩვენ თვითონ ვიყავით ამ ამბის გმირები. რაღა თქმა უნდა, სტრიქონებსა და სტრიქონებს შორის უფრო მეტს ვკითხულობდით, ვიდრე თვით სტრიქონებში, ამასთან, ალექსანდრა მიხაილოვნა იმდენად კარგად ჰყვებოდა წაკითხულს, რომ იფიქრებდით თვითონ არის ამ ამბის მონაწილეო. დაე, სასაცილოდ მოგეჩვენოთ ჩვენი აღგზნება, რომ მე ბავშვი, ის კი გულმოკლული ადამიანი, რომლისთვისაც ესოდენ მძიმე იყო ცხოვრება, შუაღამემდე ვისხედით ერთად. მე ვგრძნობდი, რომ ჩემ გვერდით ის ისვენებდა. მახსოვს შევცქეროდი და უცნაური ფიქრები მიპ-

ყრობდნენ. თითქოს რაღაცას მივხვდი, თუმცა ვიდრე ცხოვრებას დავიწყებდი, მე მანამდეც ჩავწვდი ცხოვრების ბევრ რამეს.

ბოლოს, ცამეტი წელი შემისრულდა. ამასობაში ალექსანდრა მიხაილოვნას ჯანმრთელობა თანდათან გაუარესდა, სულ უფრო და უფრო აღგზნებული იყო. განუსაზღვრელი ნაღველისაგან გამოწვეულმა შეტევებმა უმატა. ქმარმა მოუხშირა მასთან სიარულს, მაგრამ კვლავინდებურად ხმაამოუღებლად, კუშტი და დაბღვერილი სახით იჯდა. მე უფრო დავინტერესდი ალექსანდრა მიხაილოვნას ბედით. ახლა ბავშვი აღარ ვიყავი. ჩემში თანდათან მოიკიდა ფეხი ახალმა შთაბეჭდილებებმა, დაკვირვებამ, გატაცებამ, მიხვედრილობამ და ცხადია საიდუმლო, რომელიც ამ ოჯახში ტრიალებდა, სულ უფრო და უფრო მაწამებდა, იყო წუთები, როდესაც მეგონა ამოვიცანი რაღაც ამ საიდუმლოში, მაგრამ ხანდახან გულგრილობა, აპათია, ზოგჯერ წყენაც მეუფლებოდა და მაშინ, ვინაიდან ვერც ერთ კითხვაზე საჭირო პასუხს ვერ ვიღებდი, მავიწყდებოდა ჩემი ცნობისმოყვარეობა. ხანდახან — ეს კი სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა — უცნაური გრძნობა მიპყრობდა, მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი, დაუსრულებლად მეფიქრა ჩემთვის, განმარტოებით. ეს წუთები მაგონებდა ჩემს მშობლებთან გატარებულ ადრეულ ბავშვობას, მამაჩემთან შეხვედრამდე. ერთი წელი ვფიქრობდი, ვწონიდი და ვაკვირდებოდი ცხოვრებას ჩემი კუთხიდან. სავსებით გაველურდი. ვცხოვრობდი ჩემ მიერვე შექმნილ ფანტასტიკურ აჩრდილთა შორის. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მე ახლა უფრო მოუთმენელი და უფრო ნაღვლიანი გავხდი, უფრო ძლიერ მაწამებდა ჯერ კიდევ კარგად გაუაზრებელი რაღაც ახალი მისწრაფება, აღარ შემეძლო ერთ ადგილზე უმოძრაოდ ყოფნა, ისე როგორც ამას წინათ ვახერხებდი. თავის მხრივ ალექსანდრა მიხაილოვნაც გაურბოდა ჩემთან სიახლოვეს. ამ ასაკში თითქმის აღარ შეიძლებოდა ჩვენი ამხანაგობა, მე უკვე ბავშვი აღარ ვიყავი. ძალზე ბევრი კით-

ხვა მებადებოდა. ხშირად ისეთნაირად შევაცქერდებოდი, რომ იძულებული იყო თვალები ძირს დაეხარა. ხდებოდა რაღაც უცნაური. მისი ცრემლების დანახვას ვერ ვიტანდი. ხშირად მის შემყურეს მეც მერეოდა ცრემლი. ამ დროს გაცხარებით ვეხვეოდი ყელზე და რა შეეძლო ეთქვა? ვგრძნობდი, რომ უმძიმდა ჩემთან ყოფნა. მაგრამ ხანდახან, ეს კი ყველაზე მძიმე წუთებში ხდებოდა, — თვითონაც მეხვეოდა, ათრთოლებული, სასოწარკვეთილი, მარტოობით გაწამებული ჩემში ეძებდა თანაგრძნობას, თითქოს მე უკვე მესმოდა მისი, ჩვენ ორთავე ვიტანჯებოდით, მაგრამ ისიც ნათლად ჩანდა, რომ ჩვენ შორის საიდუმლო ამოუხსნელი რჩებოდა და მე თვითონ გავურბოდი მას, თვითონ მიმძიმდა მასთან ყოფნა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენ აღარაფერი დაგვრჩა საერთო მუსიკის გარდა, მაგრამ მუსიკაც რომ აუკრძალეს ექიმებმა?! წიგნები? — ამ შემთხვევაში ჩვენ ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიყავით. — ერთად კითხვა აღარ შეგვეძლო, რადგან ცხადია, პირველ გვერდზევე შევჩერდებოდით, პირველივე სიტყვა ქარაგმულად ნათქვამი გვეჩვენებოდა. ყოველ უმნიშვნელო ფრაზაში საიდუმლოს ვხედავდით და ჩვენ ორთავე გავურბოდით ამ მწვავე და გულითად საუბარს.

და აი, ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, ბედმა სულ სხვა, მეტად უცნაური მიმართულება მისცა ჩემს ცხოვრებას. ყველაფერი, ჩემი ყურადღება, გული, გონება, ენთუზიაზმამდე მისული დაძაბული გრძნობა, უეცრად სულ სხვა გარემოში მოექცა, თვითონაც ვერ შევნიშნე როგორ აღმოვჩნდი ახალ სამყაროში! დრო არ მქონდა უკან მოსახედავად, მოსაფიქრებლად, გამოსაფხიზლებლად. შეიძლებოდა დავღუპულიყავი კიდეც, თითქმის ვგრძნობდი ამას, მაგრამ ცდუნება შიშზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მე თვალდახუჭული, საეგებისოდ გადავეშვი უსასრულობაში. დიდი ხნით მივატოვე გარემო, რომელიც ასე მწვალებლურად მოქმე-

დებდა ჩემზე, რომელშიც ესოდენ ხარბად და უშედეგოდ ველოდი ხსნას. აი, რა იყო და როგორ მოხდა ეს ამბავი:

სასადილო ოთახს სამი კარი ჰქონდა, ერთი დიდ ოთახებში გადიოდა, მეორე — ჩემსა და საბავშვო ოთახში, მესამე — სამკითხველოში. სამკითხველოდან კიდევ ერთი გასასვლელი იყო, რომელსაც ჩემი ოთახიდან მხოლოდ სამუშაო კაბინეტი ჰყოფდა. ამ კაბინეტში ჩვეულებრივ პიოტრ ალექსანდროვიჩის თანაშემწე მუშაობდა ხოლმე. ეს კაცი მისი ხელქვეითი იყო, გადამწერი, მდივანი და ფაქტერი ერთსა და იმავე დროს. ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკაში მდგომი ყველა კარადის გასაღები მას ჰქონდა ხელთ. ერთხელ, ნასადილევს, როდესაც თანაშემწე შინ არ იყო, ეს გასაღები იატაკზე ვიპოვე. გასაღების ხელში ჩაგდებამ ისეთი დიდი ცნობისმოყვარეობა აღმიძრა, რომ მაშინვე ბიბლიოთეკაში გავიქეცი. ბიბლიოთეკა საკმაოდ დიდი და ნათელი იყო. უამრავი წიგნი ინახებოდა აქ. მათი უდიდესი ნაწილი მემკვიდრეობით დარჩენოდა პიოტრ ალექსანდროვიჩს, ხოლო დანარჩენი შემდეგ შეეძინა ალექსანდრა მიხაილოვნას, რომელიც ხშირად ყიდულობდა წიგნებს. მე დიდი სიფრთხილით მაკითხებდნენ. მათი უდიდესი ნაწილის წაკითხვა აკრძალული მქონდა და სრულიად ადვილად მივხვდი, რომ ჩემთვის ბევრი რამ ჯერ ისევ და ისევ საიდუმლოებით იყო მოცული. აი, რატომ შემიპყრო შეუკავებელმა ცნობისმოყვარეობამ, რაღაცნაირმა განსაკუთრებულმა ანგარიშმიუცემელმა გრძნობამ. შიშისა და სიხარულისგან ათრთოლებულმა პირველი კარადა გავაღე და ამოვიღე ის წიგნი, რომელიც პირველად მომხვდა ხელში. ამ კარადაში რომანები ინახებოდა. კარადა ისევ ჩავკეტე და წიგნი ისეთი უცნაური შეშფოთებით და გულის ფანცქალით წამოვიღე, თითქოს წინასწარ ვიგრძენი, რა უდიდესი გარდატეხა იყო მოსალოდნელი ჩემს ცხოვრებაში. როცა ჩემს ოთახში შევედი, კარი ჩავკეტე, წიგნი გადავშალე, მაგრამ კითხვას არ შევდგომივარ, რადგან ჯერ სხვა საზ-

რუნავი მქონდა, საჭირო იყო მტკიცედ და საბოლოოდ დამემკვიდრებინა ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება, შემექმნა პირობა იმისათვის, რომ საშუალება მქონოდა თავისუფლად, როცა მომესურვებოდა, ამეღო ყველა წიგნი და მერე მისი შენახვის საშუალებაც მქონოდა ისე, რომ ამის შესახებ არავის არაფერი სცოდნოდა. აი, რატომ შემოვინახე ჩემი ტკბობის წუთები უფრო ხელსაყრელი შემთხვევისათვის. წიგნი უკან წავიღე, გასაღები დავმალე. ეს იყო პირველი ცუდი საქციელი, რომელიც მე ჩავიდინე ჩემს ცხოვრებაში. შედეგს დაველოდე, იგი მეტისმეტად მშვიდობიანად დამთავრდა. პიოტრ ალექსანდროვიჩის თანაშემწე დიდხანს ეძებდა გასაღებს, მთელი საღამო, თითქმის შუაღამემდე იატაკზე დადებული სანთლით, ბოლოს გადაწყვიტა დილისთვის ზეინკალი მოეწვია. ზეინკალმა თავისი გასაღებების გროვაში ახალი გასაღები შეურჩია. ასე დამთავრდა ეს ამბავი. გასაღების დაკარგვა არავის გაუგია. მე კი საქმე ეშმაკურად და ფრთხილად წარვმართე. ბიბლიოთეკაში მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შევედი, სრულიად დარწმუნებულმა იმაში, რომ აღარავითარი ეჭვი აღარ შეიძლებოდა აღმეძრა. პირველად ისეთი დრო შევარჩიე, როდესაც მდივანი შინ არ იყო, მერე სასადილო ოთახიდან შევდიოდი, რადგან პიოტრ ალექსანდროვიჩის საქმის მწარმოებელს არავითარი კავშირი არ ჰქონდა წიგნებთან, ის მხოლოდ გასაღებს ინახავდა ჯიბეში, თორემ იმ ოთახში, სადაც ის წიგნები ინახებოდა, თითქმის სრულიად არ შედიოდა.

ხარბად დავეწაფე კითხვას, კითხვამ მალე სავსებით გამიტაცა. ყველა ჩემი ახალი სურვილი, ყველა უწინდელი მისწრაფება, ნაადრევი განვითარებით გამოწვეული ჩემი ყმაწვილური, ჯერ კიდევ გაურკვეველი ყველა სწრაფვა, რომელიც ესოდენ მშფოთვარედ და მწვალებლურად აჯანყდა ჩემს სულში, უეცრად გვერდზე გადაიხარა და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად კარგა დიდი ხნით გამოინახა დასასრული, თითქოს იგი სავსებით დაკ-

მაყოფილდა ახალი საკვებით, გამოინახა სწორი, ახალი გზა და სულ მალე მთელი ჩემი არსება აღტაცებამ შეიპყრო, ჩემმა ფანტაზიამ ფრთები შეისხა და მთელი ქვეყანა, დღემდე რომ გარს მერტყა, გადამავიწყა თითქოს. თვით ბედისწერამ შემაჩერა ახალი ცხოვრების ზღურბლზე, ცხოვრებისა, რომლისკენაც ასეთი ძალით მივისწრაფოდი და რომელზედაც დღე და ღამე ვოცნებობდი. ხოლო ვიდრე ახალი ცხოვრების იდუმალ გზაზე გამიყვანდა,ზე აღმამაღლა, რათა აქედან დამენახა ჩემი მომავალი, მთელი თავისი მაცდუნებელი, ჯადოსნური, ბრწყინვალე ფერებით. მე ბედმა მარგუნა ჩემი მომავალი, რომელიც ჯერ მხოლოდ წიგნებში მქონდა ამოკითხული განმეცადა და ჩემს ოცნებებში, იმედებში, თავშეუკავებელ სწრაფვასა თუ ახალგაზრდა სულის ტკბილ მღელვარებაში გადამეტანა. მე ყველაფერს ვკითხულობდი განურჩევლად, რაც კი პირველად ხელში მომხვდებოდა. მაგრამ ბედი მწყალობდა, ყველაფერი, რაც დღემდე განვიცადე, გავიგე და გადავიტანე, იყო იმდენად კეთილშობილური და მკაცრი, რომ რომელიმე ეშმაკურ, უსუფთაო გვერდს აღარ შეეძლო ჩემი შეცდენა. მე მიცავდა ჩემი ბავშვური ინსტინქტი, ასაკი, მთელი ჩემი წარსული და ახლა, ჩემს გონებაში ეს წარსული უეცრად თითქოს განათდა. მართლაც, ყოველი წაკითხული სტრიქონი, მთელი ეს ცხოვრება თავისი ვნებებით, ჩემ წინ უეცრად ესოდენ წარმტაც ფერებსა და საზღაპრო სურათებში რომ აისახა, უკვე ნაცნობი იყო ჩემთვის, უკვე განცდილი დიდი ხნის წინათ და როგორ შეიძლებოდა ყოველივე ამას თავდავიწყებამდე არ გავეტაცე, არ განვდგომოდი სინამდვილეს მაშინ, როდესაც ჩემ წინ მდებარე ყოველი წაკითხული წიგნის შემდეგ ცოცხლდებოდა იგივე ცხოვრების კანონი, იგივე სულისკვეთებით აღსავსე თავგადასავალი, რომელიც მეფობდა ადამიანის სიცოცხლეზე, რომელიც გამომდინარეობდა ადამიანის ცხოვრების რომელიღაც მთავარი კანონიდან და იყო გადარჩენის, თავდაცვისა და ბედნიერების საწინ-

დარი. სწორედ ამ კანონის ამოხსნას ვლამობდი მთელი ძალით, მთელი არსებით, რომელსაც ეჭვით ვგრძნობდი და, რომელიც, უთუოდ, ჩემში თავდაცვის ინსტინქტით იყო გამოწვეული. თითქოს წინასწარ გამაფრთხილეს, თითქოს წინასწარ დამიფარა ვიღაცამ, რაღაც წინასწარმეტყველური მჭიდროდ შემოიჭრა ჩემს სულში და დღითი დღე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ჩემი იმედი, თუმცა ამასთან ერთად იზრდებოდა ლტოლვაც მომავალი ცხოვრებისაკენ, რომლის შესახებ ყოველდღე ვკითხულობდი და, რომელიც ნამდვილად მანცვიფრებდა. წიგნებში ცხოვრება წარმოდგენილი იყო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მთელი თავისი მომჯადოვებლობით. მაგრამ ჩემზე, როგორც მოგახსენეთ, ფანტაზია მბრძანებლობდა, მოუთმელობით ვიყავი შეპყრობილი, სიმართლეს თუ ვიტყვი, მე გულადი მხოლოდ ოცნებაში ვიყავი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ინსტინქტური შიში მიპყრობდა მომავლის წინაშე. სწორედ ამიტომ შევუთანხმდი ჩემს თავს წინასწარ და სრულიად შეგნებულად მივედი იმ დასკვნამდე, რომ დავკმაყოფილებულიყავი მხოლოდ ფანტაზიით, ოცნებებით, სადაც თვითონ ვიყავი მბრძანებელი, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერება და სიხარული სუფევდა და თვით უბედურებაც კი, თუ ამას დავუშვებდი, თამაშობდა უმნიშვნელო როლს, საჭირო იყო ამბიდან ამბავზე გადასვლისათვის, აუცილებელი იყო საამო კონტრასტებისათვის, ბედის უეცარი შემობრუნებისათვის და ჩემს თავში მოკალათებული აღფრთოვანებული რომანების ბედნიერი დაბოლოებისათვის. ასე წარმომიდგება ახლა მაშინდელი ჩემი განწყობილება.

და ასეთი ცხოვრება, ცხოვრება ფანტაზიებით, ცხოვრება მარტოობაში, ყველაფრისაგან განდგომით, მთელი სამი წელიწადი გაგრძელდა.

ეს ცხოვრება ჩემი საიდუმლო იყო სამი წლის შემდეგაც. არ ვიცოდი შემშინებოდა თუ არა მისი უეცარი გამომჟღავნების. ის,

რაც ამ სამ წელიწადში თავს გადამხდა, ძალზე ახლობელი და მშობლიური იყო ჩემთვის. ყველა ფანტაზიაში ძალზე მკვეთრად ავისახე მე თვითონ და შემეშინდა უცხო თვალის, რომელსაც შეეძლო გაუფრთხილებლად შემოეხედა ჩემს სულში. ამასთან ჩვენ ყველა, მთელი ჩვენი სახლი, იმდენად განმარტოებით ვცხოვრობდით, საზოგადოების გარეშე, მონასტრულ სიჩუმეში, რომ ბუნებრივია, თითოეულ ჩვენგანში უნდა განვითარებულიყო დაძაბულობა, რაღაცნაირი მოთხოვნილება საკუთარ თავში ჩაკეტვისა. სწორედ ასე დამემართა მე. ამ სამი წლის განმავლობაში ჩემ გარშემო არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ძველებურად დარჩა, ძველებურად სუფევდა ჩვენ შორის მოსაწყენი ერთფეროვნება, რომელიც — როგორც ახლა ვფიქრობ, ჩემი საიდუმლო და ფარული საქმიანობა რომ არ მქონოდა, გადამისროდა შეუცნობ, მშფოთვარე უსასრულობაში, რათა იქ მეძებნა გამოსავალი ამ მოთენთილი, ნაღვლიანი გარემოდან თავის დასახსნელად და, ვინ იცის, იქნებ ეს გამოსავალი ჩემთვის საბედისწერო ყოფილიყო. მადამ ლეოტარი დაბერდა, ახლა ის თითქმის გარეთ გამოუსვლელად იჯდა ოთახში. ბავშვები ძალზე პატარები იყვნენ, ბ. ძალზე ერთფეროვანი, ხოლო ალექსანდრა მიხაილოვნას ქმარი — კვლავინდებურად მკაცრი და მიუკარებელი, ისევ ისე ჩაკეტილი საკუთარ თავში. ცოლსა და ქმარს შორის ძველებურად სუფევდა საიდუმლოთი გამოწვეული დაძაბულობა, რომელიც მე სულ უფრო და უფრო მრისხანე და მკაცრ ფერებში მეხატებოდა, სულ უფრო და უფრო მაშინებდა ალექსანდრა მიხაილოვნას ჯანმრთელობა. ჩემ თვალწინ იფერფლებოდა ის თავის უფერულ, უსიხარულო ცხოვრებასთან ერთად. დღითი დღე უარესდებოდა მისი ჯანმრთელობა, თითქოს, ახლა უკვე საბოლოოდ დაუფლებოდა მის სულს რაღაც საშინელი სასოწარკვეთილება, ამოუცნობი რაღაც მწუხარება, რომლის გარკვევა არ შეეძლო და ეს რაღაც საშინელი, მაგრამ მისთვისვე გაურკვეველი მან საკუთარი დაგ-

მობილი ცხოვრების ჯვარცმად მიიღო. ბოლოს და ბოლოს, ამ ყრუ წამებამ გაასასტიკა, მისმა გონებამაც კი სხვა მიმართულება მიიღო, იგი სიბნელემ მოიცვა თითქოს. მასში უფრო მტკიცედ დაისადგურა მწუხარებამ. განსაკუთრებით ერთმა დაკვირვებამ განმაცვიფრა: იგი თითქოს სულ უფრო და უფრო გამირბოდა მას შემდეგ, რაც წლები მემატებოდა. მისმა გულჩათხრობილობამ, რომელსაც ჩემთან ურთიერთობის დროს ამჟღავნებდა, აუტანლად შემაწუხა. ზოგჯერ ისე მეჩვენებოდა, თითქოს აღარ ვუყვარდი, ხელს ვუშლიდი. მოგახსენეთ, განგებ გავურბოდი-მეთქი, მაგრამ ახლა, როდესაც ასე ვიქცეოდი, ვგრძნობდი, რომ ამის მიზეზი მასშივე დაფარული საიდუმლო იყო, რომელიც გადმომედო. აი, რატომ იყო, რომ ის, რაც ამ სამ წელიწადში განვიცადე, რაც ჩემს სულში, ოცნებებში, შემეცნებაში, იმედებსა თუ ვნებიან აღფრთოვანებაში ჩამოყალიბდა, ჩემშივე ჩაიმარხა, რაკი ერთხელ გავექეცით ერთმანეთს, აღარ დავახლოვებივართ, თუმცა მე ვფიქრობ, ჩვენი სიყვარული სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. უცრემლოდ ახლაც არ შემიძლია მოვიგონო, როგორ ვუყვარდი, როგორი თავდადებით ცდილობდა შემოეწირა ჩემთვის სიყვარული, რომელიც ესოდენ უხვად ჰქონდა შემონახული გულში. შეესრულებინა პირობა ბოლომდე დარჩენილიყო ჩემს ღვიძლ მშობლად. თუმცა, საკუთარი მწუხარება დრო და დრო აიძულებდა საკმაოდ კარგა ხნით, სხვა საგანზე გადაეტანა თავისი ყურადღება და მაშინ თითქოს ვავიწყდებოდი, მით უმეტეს, რომ მეც ვცდილობდი არ გამეხსენებინა ჩემი თავი და კარს ისე მომადგა თექვსმეტი წელი, რომ არავის შეუნიშნავს. მაგრამ იყო წუთები, როდესაც ალექსანდრა მიხაილოვნა გონს მოეგებოდა, ფხიზელი თვალით მიიხედ-მოიხედავდა გარშემო და მაშინ იწყებდა ჩემზე წუხილს, იპყრობდა მოუთმენლობა, მეძახდა, გამომიყვანდა ოთახიდან, მეცადინეობიდან, გაკვეთილიდან. ათასნაირ შეკითხვას მაძლევდა, თითქოს ჩემი გამოცდა უნდაო, თითქოს

სურდა უკეთ შევეცანი, მთელი დღეები გვერდიდან არ მიშორებდა. წინასწარ შეეძლო ამოეცნო ჩემი ყველა სურვილი, განზრახვა, ეტყობოდა, რომ ჩემი ასაკი აფიქრებდა, ზრუნვდა ჩემს დღევანდელ დღეზე, მომავალზე, დაუშრეტელი სიყვარულითა და რაღაცნაირი მოკრძალები მთავაზობდა დახმარებას, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ძალიან გადამეჩვია და ყველაფერი მიამიტურად გამოუდიოდა. მე ყველა მის განზრახვას მაშინვე ვხვდებოდი, ვამჩნევდი. მაგალითად: ეს მოხდა მაშინ, როცა თექვსმეტი წელი შემისრულდა, ყველა ჩემი წიგნი გადაქექა, მეკითხებოდა, რას კითხულობო, ბოლოს დაასკვნა, რომ წიგნები, რომლებითაც მე ვსარგებლობ, მხოლოდ თორმეტი წლის ასაკის ბავშვს შეეფერება და შეშინდა თითქოს. ამით მივხვდი რაშიც იყო საქმე. თვალს დიდი გულისყურით ვადევნებდი, მთელი ორი კვირის განმავლობაში მამზადებდა, მამოწმებდა, ამოწმებდა ჩემს ცოდნას, გამოცდილებას, მოთხოვნას. ბოლოს გადაწყვიტა საქმეს შედგომოდა. მაგიდაზე უოლტერ სკოტის „აივენჰო“ გაჩნდა, რომელიც მე დიდი ხნის წინათ, სულ ცოტა, ერთი სამჯერ მაინც მქონდა წაკითხული. პირველად მორცხვი მოლოდინით დაელოდა ჩემს შთაბეჭდილებას, თითქოს სწონიდა, თითქოს ეშინოდა. ბოლოს ჩვენ შორის არსებული ეს დაძაბულობა, რომელიც ჩემთვის ძალზე თვალსაჩინო იყო, გაქრა, ჩვენ ორთავე აღვეგზნეთ. წარმოუდგენელმა სიხარულმა შემიპყრო. მე ახლა შემეძლო არ დავმალულიყავი. როცა რომანის კითხვა გავათავეთ, ჩემით აღფრთოვანებული დარჩა, კითხვის დროს წარმოთქმული ყველა ჩემი შენიშვნა სწორი იყო, შთაბეჭდილება მართებული. მე მის თვალში უკვე დიდად განათლებული ვიყავი, განცვიფრებულმა და აღფრთოვანებულმა ამით ისევ დიდი სიხარულით მოჰკიდა ხელი ჩემი აღზრდის საქმეს. აღარ ცდილობდა ჩემთან განშორებას, მაგრამ ეს მასზე არ იყო დამოკიდებული. ბედმა კვლავ დაგვაშორა ერთმანეთს, ხელი შეუშალა ჩვენს დაახლოვებას. ამი-

სათვის საკმარისი აღმოჩნდა პირველივე შეტევა, ესოდენ გარდუვალად რომ სდევდა მის მწუხარებას. ამის შემდეგ კი ისევ განდგომა, ისევ საიდუმლო, უნდობლობა და იქნებ სისასტიკეც კი. და მაინც, იყო წამი, რომელიც არ ემორჩილებოდა ჩვენს ნებასურვილს. ერთად კითხვა, ერთმანეთისთვის ნათქვამი რამდენიმე მიმზიდველი სიტყვა, მუსიკა, — და ჩვენ თავდავიწყებას ვეძლეოდით, აზრებს გამოვთქვამდით, ხანდახან ვაჭარბებდით კიდეც და მერე ისევ გვიმძიმდა ერთად ყოფნა. გონსმოსულნი ერთმანეთს შიშით, იჭვნეული ცნობისმოყვარეობითა და უნდობლობით შევაჩერდებოდით. თითოეულ ჩვენგანს ჰქონდა თავისი საზღვარი, რომლის იქით გადასვლა დაახლოებას ნიშნავდა, ჩვენ გვინდოდა ამ საზღვრის გადალახვა, მაგრამ ვერ ვბედავდით.

ერთ საღამოს, დაბინდებისას, ალექსანდრა მიხაილოვნას კაბინეტში ვიჯექი და გონებაგაფანტული წიგნს ვკითხულობდი. ალექსანდრა მიხაილოვნა ფორტეპიანოზე უკრავდა, თავისი უსაყვარლესი იტალიური მუსიკიდან იმპროვიზაციებს. ბოლოს, მელოდიის ზუსტ დაკვრაზე გადავიდა. მე მოხიბლული ვუსმენდი და მუსიკით გატაცებულმა, მორცხვად, ხმადაბლა დავიწყე ჩემთვის ღიღინი, ბოლოს ისე გამიტაცა სიმღერამ, რომ წამოვდექი და ფორტეპიანოსთან მივედი. ალექსანდრა მიხაილოვნა თითქოს მიმიხვდა რაც მინდოდა, აკომპანემენტზე გადავიდა, სიყვარულით მიუგდო ყური ჩემ მიერ სიმღერით წარმოთქმულ ყოველ ბგერას და განაცვიფრა მისმა სიმდიდრემ. მე არასოდეს მიმღერია მისი თანდასწრებით, თუმცა თვითონაც არ ვიცოდი, რომ რაიმე მონაცემი მქონდა. ჩვენ ახლა ორთავე აღფრთოვანებულნი ვიყავით. მე თანდათან ავუწიე ხმას, თანდათან იზრდებოდა ჩემში ენერგია და ვნება, რომელსაც ალექსანდრა მიხაილოვნას სიხარული და განცვიფრება მატებდა ცეცხლს. ეს სიხარული იგრძნობოდა კლავიშებზე ყოველი მისი თითის შეხებისას აკომპანემენტის დროს. ბოლოს სიმღერა დამთავრდა დიდი წარმატებით, აღ-

ფრთოვანებით, სიძლიერით. აღტაცებულმა ალექსანდრა მიხაილოვნამ ხელებზე ხელი წამავლო, თვალებში ჩამხედა.

— ანეტა, შენ ჩინებული ხმა გაქვს, ღმერთო ჩემო, დღემდე როგორ ვერ შევნიშნე! — თქვა მან.

— არც მე შემინიშნავს! — წარმოვთქვი სიხარულისგან თითქმის გონდაკარგულმა.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩემო კარგო, ფასდაუდებელო, მადლობა შესწირე უფალს ასეთი წყალობისათვის, ვინ იცის... ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

ალექსანდრა მიხაილოვნა ისე ღელავდა, რომ არ იცოდა რა ეთქვა, როგორ მომფერებოდა. ეს იყო გულახდილობის, ურთიერთსიმპათიის, ურთიერთდაახლოების წუთები, რაც კარგა ხანია აღარ ყოფილა ჩვენ შორის. ერთ საათში ჩვენს სახლში დღესასწაული გეგონებოდათ. ბ-სთან კაცი აფრინეს. მის მოლოდინში მე კიდევ ერთხელ ვიმღერე, შემთხვევით ხელთ მოხვედრილი მუსიკის რვეული გადავშალეთ და ჩემთვის შედარებით ყველაზე უფრო ნაცნობი სიმღერა დავიწყე. ამჯერად დავირცხვინე, ვთრთოდი, არ მინდოდა პირველი შთაბეჭდილება წარუმატებლობით დამერღვია, მაგრამ მალე ჩემმა ხმამ თვითონვე გამამხნევა, თითქოს მხარში ამომიდგა, განმაცვიფრა მისმა ძალამ. ამ მეორე ცდამ საბოლოოდ გაფანტა ეჭვი. ალექსანდრა მიხაილოვნამ მოულოდნელობისა და სიხარულისაგან აღფრთოვანებულმა, შვილების დასაძახებლად კაცი გაგზავნა. ბოლოს, ისე გაიტაცა სიხარულმა, რომ ქმრის დასაძახებლად თვითონ წავიდა კაბინეტში. სხვა დროს ამას ვერასგზით გაბედავდა. პიოტრ ალექსანდროვიჩმა კეთილგანწყობით ისმინა ახალი ამბავი, მომილოცა და პირველად თვითონვე განაცხადა, რომ საჭიროა სწავლაო. ალექსანდრა მიხაილოვნა მადლიერების გრძნობით აღივსო ქმრისადმი, თითქოს პირადად მისთვის მოეღოს მოწყალება. იგი ქმარს მივარდა, ხელებზე დაუწყო კოცნა. ამასობაში ბ. გამოცხადდა,

მოხუცი სიხარულს ვერ ფარავდა, მე მას ძალიან ვუყვარდი. მოიგონა მამაჩემი, ჩვენი წარსული და როცა მისი თანდასწრებით ორჯერ-სამჯერ ვიმღერე, მზრუნველი და სერიოზული სახით, თანაც იდუმალად განაცხადა, რომ მე უტყუარი ნიჭით ვარ დაჯილდოებული, ვინ იცის, იქნებ უდიდესი ნიჭითაც და აუცილებელია ჩემთვის სწავლა. მაგრამ მერე თითქოს გონს მოეგოო, გადაწყვიტა, რომ ასეთი ქება დასაწყისისათვის საზიანოა და ალექსანდრა მიხაილოვნას თვალი ჩაუკრა, ამის შემდეგ ხმადაბლა გააბეს ლაპარაკი. ერთი სიტყვით, მათი შეთქმულება ჩემ წინააღმდეგ მიამიტი და უხერხული გამოვიდა. მთელი საღამო ღიმილს ვერ ვიკავებდი, რადგან აშკარად ვხედავდი, როგორ ცდილობდნენ ყოველი ჩემი სიმღერის შემდეგ მოეძებნათ რაიმე ნაკლი და მერე ჩემთვის ეთქვათ, მაგრამ მოთმინება დიდხანს არ ეყოთ. პირველად თვითონ ბ-მ დაარღვია ეს შეთქმულება. სიხარულისგან გული აუჩუყდა, ვერასგზით წარმოვიდგენდი, რომ ასე ძალიან ვუყვარდი. მთელი საღამო მეგობრულ, გულთბილ საუბარში გავატარეთ. ბ-მ რამდენიმე ცნობილი მომღერლისა და მსახიობის ბიოგრაფია გვიამბო. ჰყვებოდა ოსტატურად, მოწიწებით, გულაჩუყებული. მერე, როცა მამაჩემზე ჩამოვარდა სიტყვა, საუბარი ჩემზე გადმოიტანეს, გაიხსენეს ჩემი ბავშვობა, გაიხსენეს თავადი და მისი ოჯახის ყველა წევრი, რომელთა შესახებ დღიდან განშორებისა თითქმის აღარაფერი ვიცოდი, არც ალექსანდრა მიხაილოვნამ იცოდა მათ შესახებ ბევრი. ყველაზე მეტი ისევ ბ-მ იცოდა, რადგან რამდენჯერმე ყოფილიყო მოსკოვში. მაგრამ საუბარმა იდუმალი სახე მიიღო, ერთი-ორჯერ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარი თავადს შეეხო, სრულიად ვერაფერი გავიგე. ალექსანდრა მიხაილოვნამ სიტყვა კატიაზე ჩამოაგდო. ბ-მ აქაც ვერაფერი თქვა, თითქოს განგებ გაურბოდა კატიაზე ლაპარაკს. ამან განმაცვიფრა, მე არამც თუ დავიწყებული მყავდა კატია, ანდა მისი სიყვარული ამოღებული მქონდა გულიდან, პირიქით, ვერასო-

დეს წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა იგი ოდესმე შეცვლილიყო, მე სრულიად გამომრჩა მხედველობიდან, რომ ჩვენ უკვე მრავალი წელი გვაშორებდა ერთმანეთს, ვცხოვრობდით ცალ-ცალკე, არ გვქონდა მიწერ-მოწერა. არ მიფიქრია ჩვენ შორის აღზრდისა და ხასიათის სხვადასხვაობაზე. კატია მუდამ ჩემთან იყო, მუდამ თან სდევდა ჩემს ოცნებებს, რომანებს, ფანტასტიკურ წარმოსახვას, ჩვენ ყოველთვის ხელიხელ ჩაკიდებულნი ერთად მივაბიჯებდით, თითქოს არასოდეს დავშორებივართ ერთმანეთს და, როცა ჩემს თავს, ჩემ მიერ წაკითხული რომანების გმირად წარმოვიდგენდი, თავადის ასული განუშორებლად ჩემ გვერდით იყო. ორ ნაწილად ვყოფდი ჩემს რომანს და, რაღა თქმა უნდა, მისი ერთი ნაწილი ჩემი შეთხზული იყო, თუმცა ამ შეთხზვისას, შეუბრალებლად ვძარცვავდი ჩემს საყვარელ მწერლებს. ბოლოს ჩვენს ოჯახურ თათბირზე გადაწყდა, რომ ჩემთვის სიმღერის მასწავლებელი მოეწვიათ, ბ-მ ყველაზე კარგი და ყველაზე ცნობილი მასწავლებელი შემოგვთავაზა. ეს იყო იტალიელი დ. იგი მეორე დღესვე მოვიდა ჩვენთან, მომისმინა და თავისი მეგობრის ბ-ს აზრი გაიზიარა. თანაც დასძინა, რომ გაცილებით უკეთესი იქნება, თუ კონსერვატორიაში ვივლი და მის დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად ვიმეცადინებ, რადგან შეჯიბრი ურთიერთშორის, მიმბაძველობა დაბოლოს, ყველა ის საშუალება, რაც მათ მოეპოვებათ, ხელს შეუწყობს ჩემი ხმის უკეთ განვითარებას. ალექსანდრა მიხაილოვნა დაეთანხმა და ამის შემდეგ, მოსამსახურე ქალის თანხლებით, ზუსტად კვირაში სამჯერ, დილის რვა საათზე, კონსერვატორიაში მივდიოდი.

ახლა მე ერთ უცნაურ შემთხვევას გიამბობთ, რამაც ძალზე დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, მკვეთრად გამოავლინა ჩემი ასაკი. თექვსმეტი წელი შემისრულდა და ჩემს სულს აუტანელი ნაღველი და გულგრილობა დაეუფლა, უეცრად ჩამოწვა ჩემ ირგვლივ სიჩუმე. ყველაფერი მიყუჩდა, მიყუჩდნენ ზმანებანი, მისწრაფება-

ნი, თვით თითქოს დაღლილ-დაქანცული ოცნებანიც კი, ნაცვლად უწინდელი, ჯერ კიდევ გამოუცდელი ცეცხლისა, ცივმა გულგრილობამ დაისადგურა ჩემში. ჩემს ნიჭს, რომელიც ყველამ, ვინც კი მიყვარდა, სიხარულით აღიარა, გულგრილად შევხვდი, უგულებელვყავი იგი, აღარაფერი მართობდა, თვით ალექსანდრა მიხაილოვნასადმიც კი გამიცივდა გული. ამაში ჩემს თავს ვამტყუნებდი, არ შემეძლო ეს არ მეღიარებინა ჩემივე თავის წინაშე. უხალისობას ჩემში ანგარიშმიუცემელი ნაღველი და უეცარი ცრემლები ცვლიდნენ, განმარტოებას ვეძებდი. ამ უცნაურ წუთებში, უცნაურმა შემთხვევამ ძირფესვიანად შეარყია მთელი ჩემი არსება, უეცრად მოვარდნილმა ქარიშხალმა მოულოდნელად შეცვალა ჩემი გარინდება, რამაც დაჰკოდა ჩემი გული. აი, როგორ მოხდა ეს.

VII

ბიბლიოთეკაში შევედი (ეს წუთი სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში). ხელთ უოლტერ სკოტის რომანი „სენ-რონანის წყლები“ ავიღე. ეს რომანი ერთადერთი იყო, რომელიც ჯერ არ მქონდა წაკითხული. საშინელმა წინათგრძნობამ შემიპყრო, უმიზეზო ნაღველი მაწამებდა, ტირილი მინდოდა. ჩამავალი მზის დამრეცი სხივები, რომლებიც უხვად იჭრებოდნენ მაღალი ფანჯრებიდან, ძლიერ აშუქებდნენ ოთახს. იატაკი ბრწყინავდა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, არც მეზობელ ოთახებში ისმოდა ჩამიჩუმი. პიოტრ ივანოვიჩი შინ არ იყო. ალექსანდრა მიხაილოვნა კი ავადმყოფობის გამო ლოგინში იწვა. მე ავტირდი, წიგნის მეორე ნაწილი გადავშალე, უაზროდ ვფურცლავდი, ვცდილობდი ცალკეულ სიტყვებში, რომლებიც ჩემ წინ ხტოდნენ, რაიმე აზრი დამეჭირა. თითქოს ვმარჩიელობდი, ისე როგორც მარჩიელობენ წიგნის ალალ-ბედზე გადაშლით. ადამიანის ცხოვრებაში არის წუთები, როდესაც გონებრივი და სულიერი ძალები ავადმყოფურად იძაბებიან, მერე უეცრად აზრის გამოშუქებით იფეთქებენ და ამ დროს რაღაც წინასწარმეტყველური ესიზმრება მის შეძრწუნებულ სულს, წინასწარ გრძნობ, მომავლის წინათგრძნობით გაწამებული, მომავალს და ამ დროს სიცოცხლე გინდა, სიცოცხლეს ითხოვს მთელი შენი არსება და ძლიერი ცეცხლი ბრმა იმედით შეპყრობილი იხმობ მომავალს, მომავალს, თავისი იდუმალებით, თუნდაც ქარიშხლიანს, ოღონდ იყოს ცხოვრება, ნამდვილი ცხოვრება. სწორედ ასეთი იყო ჩემი ეს წუთები.

მახსოვს წიგნი დავხურე, დიახ! დავხურე იმიტომ, რომ მერე ალალბედად გადამეშალა და გადაშლილ გვერდზე ჩემი ბედი ამომეკითხა, მემარჩიელა, მაგრამ, როდესაც წიგნი გადავშალე, უცბად დაწერილი საფოსტო ქაღალდი მომხვდა თვალში, იგი ოთხად იყო დაკეცილი, ისე მაგრად იყო დატკეპნილი, გეგონებო-

დათ მრავალი წლის განმავლობაში იდო ასე მივიწყებული. წარმოუდგენელმა ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, წერილი შევათვალიერე, იგი უმისამართო იყო, ბოლოში ორი ასო ჰქონდა მიწერილი ს. და ო. განვცვიფრდი, ერთმანეთზე შეწებებული ფურცლები გავშალე, ქაღალდი, დიდი ხნის დებისაგან, სტრიქონების გაყოლებით გახუნებულიყო, ნაკეცებში გაცრეცილიყო. ეტყობოდა ოდესღაც ხშირად კითხულობდნენ და მერე ძვირფასი განძივით ინახავდნენ, მელანიც გამოხუნებულიყო, ძალიან დიდი ხნის წინ იყო დაწერილი! რამდენიმე სიტყვა შემთხვევით მომხვდა თვალში, მოლოდინით შეპყრობილს გულმა გამალებით დამიწყო ცემა, შეცბუნებული ვიდექი და წერილს ხელში ვატრიალებდი. თითქოს განგებ ვაგვიანებდი წაკითხვას. შემთხვევით მივიტანე სინათლესთან. დიახ! ეს ცრემლები იყო, ისინი ლაქებივით აჩნდა ქაღალდს, აქა-იქ ასოებიც კი წაეშალა. ვისი იყო ეს ცრემლები? ბოლოს, მოულოდნელობისაგან გულაფანცქალებულმა გადავიკითხე პირველი გვერდის ნახევარი და განცვიფრებისგან შევყვირე. კარადა დავკეტე. წიგნი ადგილზე დავდე, წერილი ყელსახვევის ქვეშ დავმალე და ჩემს ოთახში გავიქეცი, კარი ჩავკეტე და კითხვა დავიწყე, მაგრამ გული ისე ძლიერ მიცემდა, რომ სიტყვები ვერ გავარჩიე, ასოები ხტოდნენ ჩემ წინ, დიდხანს ვერაფერი გავიგე. წერილში ამოხსნილი იყო საიდუმლო. დასაწყისი საიდუმლოსი. მივხვდი ვისაც ეკუთვნოდა ის.

მოულოდნელობამ განმაცვიფრა. ჩემ მიერ მისი წაკითხვა თითქმის ბოროტმოქმედებას უდრიდა, ეს ვიგრძენი, მაგრამ ეს წამი, ჩემში დაგუბებულ გრძნობებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. წერილს ალექსანდრა მიხაილოვნას სწერდნენ.

აი, ეს წერილიც, მე იგი მომყავს აქ. ხეირიანად ვერ გავიგე რა ეწერა შიგ. კიდევ დიდხანს მაწვალებდნენ მძიმე ფიქრები, მაწვალებდა მისი ამოცნობის სურვილი. ამ წუთიდან ჩემი ცხოვრება თითქოს შეიცვალა. სამუდამოდ განაცვიფრა და აღაშფოთა ჩემი

გული ამ წერილმა, რადგან ბევრი რამ გამოიწვია, მე სწორედ განვსაზღვრე მომავალი.

ეს იყო საშინელი წერილი, უკანასკნელი, გამოსათხოვარი. მისი წაკითხვის შემდეგ ისე ავადმყოფურად შემეკუმშა გული, თითქოს ყველაფერი დავკარგე, დავკარგე სამუდამოდ ოცნებაც, იმედიც, აღარაფერი დამრჩა, გარდა სიცოცხლისა, რომელიც აღარ მჭირდებოდა. ვინ იყო ის, ვინც ამ წერილს წერდა? როგორი იყო ამ წერილის შემდეგ ალექსანდრა მიხაილოვნას ცხოვრება? წერილში ბევრი რამ ქარაგმულად იყო ნათქვამი, ბევრი გასაგებად, ისე, რომ არ შეიძლებოდა შევმცდარიყავი, მაგრამ ბევრი რამ იდუმალიც იყო და არ შეიძლებოდა არ დავბნეულიყავი ვარაუდებში. მე კი თითქმის არ შევმცდარვარ, ხელი შემიწყო წერილის ენამ, რომელიც მეუბნებოდა ძალიან ბევრს იმ ურთიერთობათა შესახებ, რომელმაც დაამსხვრია ორი ადამიანის გული.

სააშკარაოზე იყო გამოტანილი წერილის დამწერის ფიქრები, გრძნობები, იგი ძალზე თავისებურად გადმოსცემდა ყოველივე ამას, ისე, რომ როგორც უკვე მოგახსენეთ, ძალზე ბევრ საშუალებას მაძლევდა ამომეხსნა ვარაუდი. აი, ეს წერილიც, მე იგი სიტყვა-სიტყვით მომყავს.

„შენ არ დამივიწყებ, ვიცი. მჯერა შენიო, — მითხარი და ამის შემდეგ მთელი ჩემი ცხოვრება ამ სიტყვებთანაა დაკავშირებული. ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, დადგა ჩვენი განშორების წამი! დიდი ხანია ვიცოდი ეს, დიდი ხანია ველოდი ამ წამს, ჩემო უწყინარო, ნაღვლიანო მზეთუნახავო, მაგრამ ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი ამაში. მთელი ჩვენი დრო, მთელი ის დრო, როცა მე შენ გიყვარდი, გული მიკვნესოდა, მტკიოდა ჩვენი სიყვარულის გამო. დამიჯერებ? — ახლა თითქოს უფრო შემიმსუბუქდა მდგომარეობა. დიდი ხანია ვგრძნობდი, რომ ასე უნდა მომხდარიყო, ეს ბედი ეწერა ჩვენს სიყვარულს! რას იზამ, ასეთია ბე-

დი ჩვენი. მომისმინე, ალექსანდრა, ჩვენ შეუფერებელნი ვიყავით, მე ამას ყოველთვის, ყოველთვის ვგრძნობდი! არ ვიყავი შენი ღირსი და მხოლოდ მე უნდა მეზიდა სასჯელი, რაც ჩემი განვლილი ბედნიერებისათვის მერგო. მითხარი, რას წარმოვადგენდი მანამდე, ვიდრე გამიცნობდი? ღმერთო ჩემო! აგერ უკვე ორი წელია და მე ჯერაც გონს ვერ მოვსულვარ, დღემდე არ შემიძლია დავიჯერო, რომ შეგიყვარდი, ვერ გამიგია როგორ მივედით იქამდე, რითაც დავიწყეთ. რა ვიყავი მე შენთან შედარებით, გახსოვს? განა შენი ღირსი ვიყავი? რით მოვიგე შენი გული, რა მქონდა განსაკუთრებული? შენამდე მე ვიყავი ერთი უბრალო, უხეში ვინმე. შესახედავად უხალისო, პირქუში. სხვაგვარ ცხოვრებაზე არც ვოცნებობდი, არც მინდოდა, არც ვუხმობდი მას, რადგან არ მქონდა ამის სურვილი. ჩემში ყველაფერი ჩამკვდარი იყო, არაფერზე არ ვფიქრობდი, ყოველდღიური საჩქარო სამუშაოს გარდა, მხოლოდ ერთი საზრუნავი მქონდა — ეს იყო ხვალინდელ დღეზე ფიქრი, — თუმცა იმასაც გულგრილად ვუყურებდი. წინათ კი, ძალზე დიდი ხნის წინათ, რაღაც ამდაგვარი მესიზმრებოდა თითქოს, ლენჩივით ვოცნებობდი, მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ძალზე ბევრი და მე განმარტოებული ცხოვრება დავიწყე. ვცხოვრობდი მკაცრი წესებით, მშვიდად, ვერც სიცივეს ვგრძნობდი, გულს რომ მიყინავდა. და ჩემმა გულმა მიიძინა. მე ხომ გადაწყვეტით ვიცოდი, რომ ჩემთვის არ გამოანათებდა მზე, ამაში დარწმუნებული ვიყავი და ბედსაც აღარ ვუჩიოდი, ვიცოდი, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. როდესაც ჩემ გვერდით ჩაივლიდი, ვერც წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა შემომეხედა შენთვის, შენ წინაშე მონასავით ვიყავი, შენს მახლობლად ჩემი გული არ თრთოდა, არ მიკვნესოდა, არ მამცნობდა შენს სიახლოვეს. იგი მშვიდად იყო, ჩემი სული ვერ სცნობდა შენს სულს, თუმცა მზე ამოდიოდა მაშინ, როცა თავისი მშვენიერი დის გვერდით აღმოჩნდებოდა. მე ეს ვიცი, მე ამას ყრუდ ვგრძნობდი, ვგრძნობდი, რადგან

სულ პაწია ბალახის ღეროსაც უნათებს მზე და მასაც ისევე ათბობს, როგორც უმშვენიერეს ყვავილს, რომლის გვერდით მორჩილად ითოშება იგი. ხოლო, როცა მე ყველაფერი გავიგე, გახსოვს, იმ საღამოს შემდეგ, იმ სიტყვების შემდეგ, რომლებმაც ძირფესვიანად შეძრეს მთელი ჩემი არსება — დავბრმავდი თითქოს, განვცვიფრდი, ჩემში ყველაფერი გაბუნდოვანდა და — იცი? — იმდენად განვცვიფრდი, იმდენად ვერ დავუჯერე ჩემს თავს, რომ ვერ გავიგე! ამის შესახებ მე შენთვის არასოდეს არაფერი მითქვამს, შენ არაფერი იცოდი, წინათ მე ისეთი როდი ვიყავი, როგორიც მაშინ, როცა შენ გამიცანი. რომ შემძლებოდა, უფლება რომ მქონოდა მეთქვა ყველაფერი შენთვის, დიდი ხნის წინათვე გეტყოდი, მაგრამ ვდუმდი, ახლა კი ყველაფერს გეტყვი, რადგან უნდა იცოდე ვის ტოვებ, როგორ ადამიანის შორდები! იცი თუ არა, თავდაპირველად როგორ გაგიგე? ვნება ცეცხლივით მომედო, საწამლავივით ჩაიღვარა ჩემს სულში, მთელი ჩემი აზრები და გრძნობები შეაშფოთა. მთვრალივით ვიყავი, სიზმარში მეგონა თავი და შენს წმინდა, თანაგრძნობით გამოწვეულ სიყვარულს ვპასუხობდი არა ისე, როგორც თანასწორი თანასწორს, არა ისე, როგორც შენი სუფთა სიყვარულის ღირსი, არამედ უაზროდ, უგულოდ, მე ვერ გიცანი, შენს სიყვარულს მე შევხვდი ჩემებურად, თითქოს შენ უნდა დაშვებულიყავი ჩემამდე და არა მე ავმაღლებულიყავი შენამდე. იცი თუ არა, რაში შევიტანე ეჭვი? იცი თუ არა, რას ნიშნავს, დაშვებულიყავი ჩემამდე? მაგრამ არა, მე შენ არ შეურაცხგყოფ ჩემი აღსარებით, მხოლოდ ერთს გეტყვი, შენ მწარედ მოტყუვდი ჩემში! ვერასოდეს, ვერასოდეს შევძლებდი შენამდე ამაღლებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაგიგე, შემეძლო მიუწვდომლად მეჭვრიტა შენთვის, თავდავიწყებამდე მისულს შენი სიყვარულით. მაგრამ ამაოდ, მე ვეღარ გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს, ჩემი ვნება, ამაღლებული შენი სიყვარულით, სიყვარული როდი იყო, მე მეშინოდა სიყვარულის. ვერ გავბედავდი შენს

შეყვარებას, — სიყვარულში არის თანასწორობა, საპასუხო სიყვარული, ამის ღირსი კი მე არ ვიყავი... არ ვიცოდი რა მემართებოდა. ო! როგორ გიამბო ყოველივე ეს, როგორ გაგაგებინო!.. თავდაპირველად, არ მჯეროდა... გახსოვს, როდესაც დაცხრა ჩვენი პირველი ღელვა, როდესაც გამინათდა გონება და მხოლოდ უწმინდესი შეუბღალავი გრძნობა დარჩა, — ჩემი პირველი მოძრაობა განცვიფრებაში გამოიხატა. სირცხვილისა და შიშის გრძნობა დამეუფლა და — გახსოვს? — უცებ როგორ ავქვითინდი, ფეხებში ჩაგივარდი. შენ კი დარცხვენილი, შეშინებული, თვალზე ცრემლმომდგარი მეკითხებოდი: რა დაგემართაო? ხომ გახსოვს? მე ვდუმდი, არაფრის თქმა არ შემეძლო, მაგრამ ჩემი გული დაიფერფლა. ჩემი ბედნიერება სულს მიხუთავდა, იგი აუტანელი სიმძიმით მაწვებოდა და ქვითინით ვფიქრობდი: „რისთვის? რით დავიმსახურე ასეთი დიდი ბედნიერება? დაო, ჩემო დაო, რამდენჯერ ჩუმად, ფარულად დამიკოცნია შენი კაბის კალთა, ფარულად იმიტომ, რომ ვიცოდი არ ვიყავი შენი ღირსი, სული მეხუთებოდა, გული მიცემდა, თუმცა თანდათან ანელებდა ცემას, თითქოს სამუდამოდ ლამობდა გაჩერებას. ხელზე ხელს როცა გკიდებდი, ვფითრდებოდი, ვთრთოდი, რადგან შენი უმწიკვლო სულის სიწმინდე მარცხვენდა. არა, ვერ ვახერხებ გითხრა ყველაფერი, რაც ჩემს სულში ტრიალებს, რისი თქმაც ასე ძალიან მინდა, იცი თუ არა, რომ ხშირად შენი თანაგრძნობა, მუდმივი შენი სინაზე ჩემდამი, გულს მიმძიმებდა, მაწამებდა. ერთხელ, როცა მაკოცე (ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ და მე ამას ვერასოდეს დავივიწყებ), ბინდი გადამეკრა თვალებზე, გული აკვნესდა, რატომ არ მოვკვდი მაშინ შენს ფერხთა ქვეშ. ხედავ, პირველად არის, რომ შენობით მოგმართავ, თუმცა დიდი ხანია მიბრძანე ეს. გამიგებ კია რისი თქმა მინდა? მე მინდა გითხრა ყველაფერი და გეტყვი კიდეც. ჰო, ძალიან გიყვარვარ, მე შენ გიყვარდი, როგორც დას უყვარს თავისი ძმა, შენ მე გიყვარდი როგორც, საკუ-

თარი პირმშო, რადგან შენ გამოაცოცხლე ჩემი გული, გამოაღვიძე ღრმა ძილისაგან ჩემი გონება, სულში საამო იმედი ჩამიღვარე. მე კი არ შემეძლო, ვერ ვბედავდი, დღემდე ვერც ერთხელ ვერ გავბედე მეწოდებინა შენთვის ჩემო დაო, იმიტომ, რომ მე არ შემეძლო ვყოფილიყავი შენი ძმა, იმიტომ რომ ჩვენ უთანასწორონი ვიყავით, იმიტომ, რომ შენ ჩემში მოტყუვდი!

ხედავ, როგორ ვიჩქარი ვილაპარაკო მხოლოდ ჩემზე. ახლაც, ამ საშინელი უბედურების წუთებშიც, მხოლოდ ჩემს თავზე ვფიქრობ, თუმცა ვიცი, რომ შენ იტანჯები ჩემ გამო. ო! ნუ იტანჯები, ჩემო ძვირფასო! იცი თუ არა, როგორ დამცირებულად ვგრძნობ თავს საკუთარ თვალში. ყველაფერი გამომჟღავნდა, ისეთი ხმაური ატეხეს, შენ ჩემი გულისთვის დაგგმობენ, დაგცინებენ, შეგიზიზღებენ, იმიტომ, რომ მე მეტისმეტად დაბლა ვდგავარ მათ თვალში! ღმერთო ჩემო! როგორი დამნაშავე ვარ შენ წინაშე, იმიტომ რომ შენი უღირსი ვარ, ნეტავი ზვიადი ვიყო, შემეძლოს საკუთარი თავის დაფასება, მეც პატივისცემას ვიწვევდე მათში, მაშინ ისინი შეგინდობდნენ, მაგრამ მე მდაბალი ვარ, არარაობა, სასაცილო, ხოლო სასაცილოზე მდაბალი ხომ აღარაფერი არსებობს ამქვეყნად. იცი ვინ ყვირის? აკი იმიტომაც დავეცი სულით, რომ მათ უკვე ატეხეს ყვირილი. მე ყოველთვის სუსტი ვიყავი, ახლა კი იცი რა მდგომარეობაში ვარ, თვითონ დავცინი საკუთარ თავს და ამიტომაც მგონია, რომ ისინი მართალნი არიან. თვითონ მეჩვენება ჩემი თავი სასაცილოდ და საძულველად. მე ამას ვგრძნობ, მეჯავრება ჩემი სახეც, სხეულიც, ჩვევებიც, არაკეთილშობილური გამოხდომებიც, მე ისინი ყოველთვის მეჯავრებოდა. მაპატიე ჩემი უხეში სასოწარკვეთა! შენ თვითონ მასწავლე გულახდილობა. მე დაგღუპე, მე გამოვიწვიე სხვების გულისწყრომა შენდამი და დაცინვის საგნად გაგხადე იმიტომ, რომ მე შენი უღირსი ვიყავი.

სწორედ ეს აზრია, რომ მაწამებს, იგი განუშორებლად მიტრიალებს თავში, სულს მიხუთავს. ვერ მოვიშორე იმაზე ფიქრი, რომ შენ ის კი არ შეიყვარე, ვინც უნდა გყვარებოდა, შენ ის კი ვერ ნახე, ვის ნახვასაც ელოდი ჩემში. შენ მოტყუვდი, აი, რა მაწამებს, რა გამაწამებს კუბოს კარამდე და ჭკუაზე შემშლის.

მშვიდობით, მშვიდობით! ახლა, როცა ყველაფერი გამოაშკარავდა, როცა მათი ყვირილი გაისმა, გაისმა მათი მითქმა-მოთქმა (მე თვითონ გავიგონე ეს!), როცა დავკნინდი და დავმცირდი საკუთარ თვალში, მრცხვენია არა მარტო ჩემი თავის გამო, არამედ შენ გამოც, შენი არჩევანის გამო, მე დავწყევლე ჩემი თავი და ახლა შენი კეთილდღეობისათვის საჭიროა გავქრე, გადავიკარგო, ასე მოითხოვენ, ასეა საჭირო, შენ ვეღარასოდეს, ვეღარასოდეს მნახავ! ასე ინება ბედმა, მე ძალზე ბევრი სიამოვნება მერგო, ბედი შეცდა, ახლა იგი ასწორებს თავის შეცდომას, ყველაფერი უკანვე მიაქვს. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, გავიცანით ერთმანეთი და ახლა ვშორდებით სხვა, ახალ გარემოში შესახვედრად! სად იქნება ეს შეხვედრა, როდის იქნება? ო! მითხარი, ძვირფასო, სად შევხვდებით, სად გიპოვი, როგორ უნდა გიცნო? შენ მიცნობ? მთელი ჩემი გული სავსეა შენით, რისთვის, რისთვის ყველაფერი ეს? რატომ ვშორდებით ერთმანეთს? მასწავლე, მე ხომ არ მესმის ეს, ვერც ვერასოდეს გავიგებ, ვერასოდეს, — მასწავლე როგორ გავგლიჯო ცხოვრება შუაზე, როგორ ამოვიგლიჯო გული მკერდიდან და დავრჩე უმისოდ! როდესაც გავიფიქრებ, რომ მე შენ ვეღარასოდეს გნახავ, ვეღარასოდეს, ვეღარასოდეს...

ღმერთო ჩემო! როგორი ხმაური ატეხეს! როგორი შეშინებული ვარ შენ გამო! მე სულ ახლახანს შევხვდი შენს ქმარს, ჩვენ მისი ღირსი არა ვართ, თუმცა ორთავე უმწიკვლონი ვართ მის წინაშე. მან ყველაფერი იცის, ჩვენ ის ნათლად გვხედავს; მას ყველაფერი ესმის, წინათაც დღესავით ნათელი იყო მისთვის ყველა-

ფერი. შენ მან გულადად დაგიცვა, იგი გიხსნის და დაგიფარავს ამ მითქმა-მოთქმისაგან, მას თავდავიწყებით უყვარხარ, პატივს გცემს, იგი შენი მხსნელია, მე კი გტოვებ, გავრბივარ შენგან. მე მასთან მივირბინე, მინდოდა ხელები დამეკოცნა... მან მითხრა: სასწრაფოდ დატოვეთ აქაურობაო. გადაწყდა! ამბობენ, რომ ის ყველას წაეჩხუბა შენი გულისთვის! იქ ყველა შენ წინააღმდეგია, მას ხასიათის სისუსტესა და წაქეზებაში სდებენ ბრალს. ღმერთო ჩემო! ვინ იცის, რას არ ამბობენ შენ შესახებ? არ იციან მათ, არ შეუძლიათ, ღონე არ შესწევთ, გაიგონ. აპატიე, აპატიე, ჩემი საბ-რალოვ, ისე, როგორც მე ვაპატიე. მე კი უფრო მეტი წამართვეს, ვიდრე შენ!

თვითონ არ ვიცი რას ვაკეთებ, რას გწერ, რას გეუბნებოდი გუ-შინ გამომშვიდობებისას, ყველაფერი გადამავიწყდა, ყველაფე-რი, გონება არეული მქონდა, შენ ტიროდი... მაპატიე ამ ცრემლე-ბის გამო! მე ისეთი სუსტი ვარ, ისეთი სულმოკლე! კიდევ რაღა-ცის თქმა მინდოდა... ნეტავ საშუალება მქონდეს კიდევ ერთხელ დავაფრქვიო შენს ხელებზე ცრემლები, ისე, როგორც ახლა ამ წე-რილზე ვაფრქვევ! ნეტავ კიდევ ერთხელ მამყოფა შენს ფერ-ხთით! ნეტავ შეეძლოთ იმის გაგება რაოდენ ძვირფასია შენი გრძნობა! მაგრამ ეგენი ბრმები არიან, მაგათ ამაყი და მედიდური გული აქვთ, ეგენი ვერ ხედავენ, ვერც ვერასოდეს დაინახავენ, რადგან მაგათ თვალები არა აქვთ, ეგენი ვერასოდეს დაიჯერე-ბენ, რომ შენ უცოდველი ხარ, ეგენი თავიანთ სამართალსაც არ დაუჯერებენ, თუნდაც მთელი დედამიწა მოწმედ დაგიდგეს. სად შეუძლიათ მაგათ ამის გაგება. ნეტავ რომელ ქვას აიღებენ ხელ-ში, ან ვისი ხელი აიღებს პირველად ამ ქვას? ისინი არ შედრკები-ან, ათას ქვას აიღებენ ერთად, გაბედავენ კიდეც ამას, რადგან იციან, როგორ უნდა აიღონ. ყველა ერთად აიღებს ქვას, ყველა ერთად გესვრის და იტყვის, რომ თვითონ უცოდველია, თუმცა არც ცოდვას შეუშინდებიან. რომ იცოდნენ, რას სჩადიან! რომ შე-

იძლებოდეს მათთვის ყველაფრის დაუფარავად თქმა, რომ შეეძლოთ დაინახონ, გაიგონ, გაიგონონ და დარწმუნდნენ, მაგრამ არა, ეგენი არც ისე ავები არიან... მე ახლა სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი, მე იქნებ ცილს ვწამებ მათ, მე იქნებ გაშინებ, თავად შეშინებული. ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ჩემო ძვირფასო! შენ გაგიგებენ, ბოლოს და ბოლოს, ერთმა მათგანმა უკვე გაგიგო — ეს შენი ქმარია! იმედი იქონიე.

მშვიდობით! მშვიდობით! მადლობას არ გეუბნები, მშვიდობით, სამუდამოდ!

ს.ო.

ჩემი შეცბუნება ძალზე ძლიერი იყო. იმდენად შევძრწუნდი და შევშინდი, რომ დიდხანს ვერ გავარკვიე რა მემართებოდა, სინამდვილემ მსუბუქ ოცნებებში მომისწრო და გამანადგურა. უკვე სამი წელი იქნებოდა, რაც ამ ოცნებით ვცხოვრობდი. შიშით ვიგრძენი, რომ ხელთ დიდი საიდუმლო მქონდა, ეს საიდუმლო მბოჭავდა... რანაირად? ჯერ თავად არ ვიცოდი, მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რომ ამ წუთიდან ჩემი ახალი ცხოვრება დაიწყო. უნებურად იმ ადამიანთა ცხოვრებისა და ურთიერთობის ძალზე ახლო მონაწილე გავხდი, რომლებმაც მთლიანად შეავსეს ჩემი არსებობა. საკუთარი თავის გამო შევშინდი, როგორ შევალ მათ ცხოვრებაში დაუპატიჟებელი და უცხო? რას მოვუტან მათ? რით დამთავრდება ეს გზა, რომელმაც ესოდენ უცნაურად მიმაჯაჭვა სხვის საიდუმლოს? ვინ იცის, იქნებ ეს ჩემი ახალი გზა მწვალებლური აღმოჩნდეს, როგორც ჩემთვის, ისე მათთვის. მე ხომ არ შემიძლია გავჩუმდე, არ შემიძლია სამუდამოდ ჩავიმარხო გულში ის, რაც გავიგე, მაგრამ რა იქნება შემდეგ, რას გავაკეთებ? ბოლოს და ბოლოს, რა გავიგე ისეთი? ათასი ბუნდოვანი, ჯერ სრულიად გაურკვეველი კითხვა მებადებოდა და აუტანელი ტკივი-

ლით მიკუმშავდა გულს. მე სრულიად მარტო დავრჩი, მიუსაფარი.

მერე მახსოვს, დადგა ახალი, უცნაური, დღემდე განუცდელი, შთაბეჭდილებებით აღსავსე წუთები, ვიგრძენი, რომ ჩემს გულში შემოიჭრა ახალი რაღაც, ამ ახალმა დაუთმო ადგილი უწინდელ ნაღველს. არ ვიცოდი გავეხარებინე, თუ შევეწუხებინე ამას. ჩემი ცხოვრების ეს წუთები იმ წუთებს ჰგავდა, როდესაც ადამიანი სამუდამოდ შორდება თავის სახლ-კარს, ტოვებს დღემდე მშვიდობიან, უშფოთველ ცხოვრებას იმისათვის, რომ წავიდეს შორეულ, შეუცნობ მხარეს, უკანასკნელად იხედება გარშემო, უკანასკნელად ემშვიდობება გონების თვალით თავის წარსულს, შეჰყურებს შეუცნობ მომავალს და მწუხარე წინათგრძნობა უკუმშავს გულს, ვინ იცის, იქნებ ეს მომავალი, ამ ახალ გზაზე რომ ელოდება, აღმოჩნდეს მტრული, მკაცრი. ბოლოს საშინელი ქვითინი წამსკდა. ამ ავადმყოფურმა ქვითინმა დააცხო ჩემი გული. მინდოდა ამ წუთს ვინმე ყოფილიყო ჩემთან, ვინმეს ხმა გამეგონა, მოვხვეოდი მაგრად-მაგრად, მე უკვე აღარ შემეძლო მარტო ყოფნა, ალექსანდრა მიხაილოვნასთან წავედი. მთელი საღამო მასთან დავრჩი, ჩვენ ორნი ვიყავით მხოლოდ. ვთხოვე ნუ დაუკრავთ-მეთქი. მიუხედავად მისი ხვეწნისა, სიმღერაზე უარი ვთქვი. უეცრად ყველაფერი სამძიმო გახდა ჩემთვის, არაფერზე აღარ შემეძლო ყურადღების შეჩერება. ვგონებ, ჩვენ ორთავე ვტიროდით. მხოლოდ ის მახსოვს, რომ საბოლოოდ შევაშინე, მთხოვდა დამშვიდდიო, ნუ სწუხარო, შიშით მადევნებდა თვალს, მარწმუნებდა, რომ ავად ხარო, თავს არ უფრთხილდებიო. ბოლოს მისგან გონდაკარგული და გაწამებული წავედი. მეგონა ჭკუაზე შევცდი-მეთქი, როცა ლოგინში ჩავწექი ციებცხელებიანივით ვცახცახებდი.

რამდენიმე დღე გავიდა, ვიდრე გონს მოვედი, ვიდრე შექმნილი ვითარების ნათლად გააზრება მოვასწარი. ამ პერიოდში მე და ალექსანდრა მიხაილოვნა ერთმანეთისაგან სრულიად გან-

მარტოებით ვცხოვრობდით. პიოტრ ალექსანდროვიჩი მოსკოვში იყო რაღაც საქმეებზე. მხოლოდ სამი კვირა დაჰყო იქ და მიუხედავად ესოდენ ხანმოკლე განშორებისა, ალექსანდრა მიხაილოვნა საშინელმა ნაღველმა შეიპყრო. დროდადრო მშვიდდებოდა, მაგრამ მაშინაც მარტოობას არჩევდა. ჩემთან ყოფნა აღარ უნდოდა, თავის ოთახში იკეტებოდა. ესეც არ იყოს, თვითონაც სიმარტოვეს ვეძებდი. ჩემი გონება რაღაც ავადმყოფურად იყო დაძაბული, თითქოს ბინდი გადამეკრა. ხშირად ხანგრძლივი, მწვალებლური, მოუშორებელი ფიქრი ამეკვიატებოდა და მაშინ მეზმანებოდა, რომ ვიღაც ჩუმ-ჩუმად დამცინოდა, მარცხვენდა, სწამლავდა ჩემს აზრებს. ვერ ვახერხებდი გათავისუფლებას იმ მწვალებლური მოჩვენებებისაგან, რომლებიც ყოველ წუთს მდევნიდნენ და მოსვენებას მიკარგავდნენ. თვალთაგან არ მშორდებოდა ხანგრძლივი, უიმედო ტანჯვა-წამება. მორჩილად, უხმოდ და ამასთან უმიზეზოდ მიტანილი მსხვერპლი. მე მეგონა, რომ ნათლად ვხედავდი იმას, ვისთვისაც გაიღეს მსხვერპლი. ვხედავდი, როგორ სძაგდა და დასცინოდა მას იგი, ვინც სამსხვერპლოზე დასდო თავი. მეგონა ჩემი თვალით მყავდა ნანახი ბოროტმოქმედი, რომელმაც ცოდვები მიუტევა უმწიკვლო ადამიანს და ჩემი გული ნაწილ-ნაწილ იფლითებოდა, თუმცა გულით მწადდა თავიდან მომეშორებინა ეს ეჭვები: ვწყევლიდი იმას, ვისთვისაც ეს მსხვერპლი გაიღეს. მეჯავრებოდა საკუთარი თავიც იმის გამო, რომ ჩემი ყველა რწმენა, რწმენა კი არა, მხოლოდ წინათგრძნობა იყო, რომ მე არ შემეძლო თვით ჩემი თავისთვის დამემტკიცებინა ჩემი ეჭვების სინამდვილე.

მერე მაგონდებოდა სიტყვები, ჩამესმოდა განშორების წინ საშინელი და გულისმომწყვლელი ამონაკვნესი, თვალწინ მედგა ის კაცი — შეუფერებელი, ვცდილობდი ამომეხსნა მტანჯველი სიტყვის „შეუფერებელის“ აზრი. მანცვიფრებდა და მაწამებდა ეს სასოწარკვეთილებამდე მისული გამომშვიდობება: „მე სასაცილო

ვარ და მრცხვენია, რომ შენ მე ამომირჩიე“. რას ნიშნავდა ეს? ვინ იყვნენ ისინი, თავს ძალას ვატანდი და ისევ ვკითხულობდი წერილს, რომელშიც ესოდენ გულისმომწყვლელად გაისმოდა თავგანწირული ყვირილი, მაგრამ რომლის აზრიც სრულიად უცნაური, სრულიად ამოუხსნელი რჩებოდა ჩემთვის. წერილი ხელიდან მივარდებოდა და მშფოთვარე ღელვა სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა ჩემს სულს... მაგრამ, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დამთავრებულიყო ყოველივე ეს. მე კი გამოსავალს ვერ ვხედავდი. ვინ იცის, იქნებ მეშინოდა?

მე მგონი, უკვე საბოლოოდ ავად ვიყავი, როდესაც ერთ დღეს ჩვენს ეზოში მოსკოვიდან დაბრუნებული პიოტრ ალექსანდროვიჩის ეკიპაჟი შემოგრიალდა. ალექსანდრა მიხაილოვნა გახარებული შეეგება ქმარს. მე კი დალურსმნულივით ვიდექი ერთ ადგილზე. მახსოვს, ჩემმა მოულოდნელმა მღელვარებამ თვითონვე განმაცვიფრა, შემაკრთო. აქ დგომა ვეღარ ავიტანე და ჩემს ოთახში შევედი. ვერ გამერკვია რამ შემაშინა ასე უცებ! მაგრამ მე სწორედ ამ შიშის მეშინოდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ დამიძახეს, თავადის წერილი გადმომცეს. სასტუმრო ოთახში უცხო კაცი იყო, პიოტრ ალექსანდროვიჩს ჩამოჰყოლოდა მოსკოვიდან, როგორც ყური მოვკარი, დიდი ხნით. ეს კაცი თავადის რწმუნებული გახლდათ, პეტერბურგში ჩამოსულიყო თავადის ოჯახთან დაკავშირებულ რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე, რომელსაც დიდი ხანია რაც პიოტრ ალექსანდროვიჩი განაგებდა. რწმუნებულმა თავადის წერილი მომაწოდა და მაცნობა, რომ თავადის ასულსაც უნდოდა თქვენთვის წერილის მოწერა, გამომგზავრების უკანასკნელ წუთამდე აპირებდა დაწერას, მაგრამ ვერ მოახერხა და ბოლოს მაინც ხელცარიელი გამომისტუმრაო. თან მთხოვა გადმომეცა თქვენთვის, რომ მოსაწერი არაფერი აქვს, წერილში ვერაფრის თქვა ვერ მოახერხა. ხუთი ფურცელი შეალია წერილს, მაგრამ ბოლოს სულ ნაკუწებად აქციაო. აუცილებელია ხელახლად

დამეგობრება იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ერთმანეთს წერილებით ვესაუბროთო. შემდეგ კატიამ დაავალა რწმუნებულს, გადმოეცა ჩემთვის, რომ ჩვენ მალე შევხვდებოდით ერთმანეთს. ჩემს მოუთმენელ შეკითხვაზე უცნობმა ბატონმა დადებითი პასუხი მომცა: დამარწმუნა, რომ შეხვედრის ცნობა უტყუარია, რადგან მთელი ოჯახი სულ მალე აპირებს პეტერბურგში გადმოსვლასო. სიხარულისგან არ ვიცოდი რა მექნა. სასწრაფოდ გავიქეცი ჩემს ოთახში. კარი ჩავკეტე და ცრემლების ფრქვევით გავხსენი წერილი. თავადი მარწმუნებდა, რომ მე და კატია სულ მალე გნახავთო, მილოცავდა ჩემი ნიჭის აღმოჩენას. ბოლოს მლოცავდა და მპირდებოდა ჩემი მომავლის მოწყობის საქმეში დახმარებას. წერილის კითხვისას ვტიროდი, მაგრამ ამ ტკბილი გრძნობით გამოწვეულ ცრემლებს აუტანელი ნაღველი ერთვოდა. მახსოვს, როგორ შემეშინდა საკუთარი თავის გამო! თვითონაც არ ვიცოდი რა მემართებოდა.

რამდენიმე დღე გავიდა. ჩემი ოთახის გვერდით, იქ, სადაც ადრე პიოტრ ალექსანდროვიჩის საქმის მწარმოებელი მუშაობდა, ახლა ყოველ დილით, ხშირად საღამოობითაც, ზოგჯერ შუაღამემდე, მუშაობდა ჩამოსული სტუმარი. ზოგჯერ პიოტრ ალექსანდროვიჩი და ის მუშაობდნენ ერთად კარჩაკეტილში. ერთხელ, ნასადილევს, ალექსანდრა მიხაილოვნამ მთხოვა, მისი ქმრის კაბინეტში შევსულიყავი და გამეგო აპირებდა თუ არა ჩვენთან ერთად ჩაის დალევას. ვინაიდან კაბინეტში არავინ დამხვდა, მე კი ვიფიქრე, პიოტრ ალექსანდროვიჩი მალე შემოვა-მეთქი, დაველოდე. კედელზე მისი სურათი ეკიდა. მახსოვს, როდესაც ამ სურათს შევხედე, მოულოდნელად შევკრთი. მერე დაჟინებით და რაღაცნაირი გაურკვეველი მღელვარებით დავუწყე თვალიერება. სურათი მაღლა ეკიდა. ოთახში საკმაოდ ბნელოდა. სურათის უკეთ დანახვის მიზნით, სკამი მივწიე და ზედ შევდექი, თითქოს რაღაცას ვეძებდი ამ სურათზე. იქნებ ჩემი ეჭვების ამოხსნის იმე-

დი მქონდა? მახსოვს ყველაზე ძალიან ამ სურათზე თვალებმა განმაცვიფრა, მით უმეტეს, რომ მე ეს თვალები თითქმის არასოდეს მენახა. ის ხომ ყოველთვის სათვალის ქვეშ მალავდა მათ.

ბავშვობიდანვე არ მიყვარდა ამ თვალების გამოხედვა, რაღაცნაირი ცრურწმენის შიშით შეპყრობილს, მაგრამ ეს ცრურწმენა ახლა თითქოს გამართლდა. უთუოდ წინასწარ ვიყავი საამისოდ შემზადებული. უეცრად ისე მომეჩვენა, რომ სურათი ჩემს დაჟინებულ, გამომცდელ მზერას გაურბოდა, თვალს არიდებდა. მომეჩვენა, რომ ამ თვალებში გამოკრთოდა სიცრუე, რომელიც მე ამოვიცანი და არ ვიცი, ეს ფარული სიხარული საიდან გამოეხმიანა ჩემს ვარაუდს, უეცრად გულიდან მსუბუქი ყვირილი აღმომხდა, ჩემ წინ პიოტრ ალექსანდროვიჩი იდგა. გულისყურით შემომცქეროდა, თითქოს გაწითლდა კიდეც. მე სახეზე ცეცხლი მომედო. სკამიდან ჩამოვხტი.

— აქ რას აკეთებთ? — მკითხა მან მკაცრად, — აქ რა გინდათ?

არ ვიცოდი რა უნდა მეთქვა. ბოლოს, როდესაც ცოტაოდენ გონი მოვიკრიფე, ავუხსენი, რომ ალექსანდრა მიხაილოვნას დავალებით მოვედი — ხომ არ ინებებთ ჩვენთან ერთად ჩაის დალევას-მეთქი. — აღარ მახსოვს რა მიპასუხა, აღარ მახსოვს როგორ გამოვედი ოთახიდან, მაგრამ, როდესაც ალექსანდრა მიხაილოვნასთან შევედი, სრულიად აღარ მახსოვდა რა უნდა მეთქვა და რაღაც ვარაუდით ვუთხარი.

— რა დაგემართა, ნეტოჩკა? — მკითხა ალექსანდრა მიხაილოვნამ, — როგორი აწითლებული ხარ, აბა, შენს თავს შეხედე. რა იყო, რა მოხდა?

— არ ვიცი... ჩქარა მოვდიოდი... — ვუთხარი მე.

— რაო, რა თქვა პიოტრ ალექსანდროვიჩმა? — შემაწყვეტინა მან, ვგონებ, თვითონვე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა.

ხმა არ გამიცია. ამ დროს პიოტრ ალექსანდროვიჩის ნაბიჯების ხმა გავიგონე. მაშინვე ოთახიდან გავედი. მძიმე ნაღველმა შემიპყრო, მთელი ორი საათი ველოდი დაძახებას. ბოლოს დამიძახეს. ალექსანდრა მიხაილოვნა დაფიქრებული იჯდა, ხმას არ იღებდა. როცა ოთახში შევედი, სწრაფი, გამომცდელი თვალით შემომხედა, მაგრამ მაშინვე ძირს დახარა თვალები. მომეჩვენა, რომ რაღაცის შერცხვა. ისიც შევნიშნე, რომ ცუდ გუნება-განწყობაზე იყო. ლაპარაკობდა ცოტას, ზედ არ მიყურებდა. ბ-ს მზრუნველ შეკითხვაზე უთხრა, რომ თავი მტკივაო. პიოტრ ალექსანდროვიჩი ჩვეულებრივზე უფრო ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ მხოლოდ ბ-ს ელაპარაკებოდა.

ალექსანდრა მიხაილოვნა დაბნეული სახით მიუახლოვდა ფორტეპიანოს.

— გვიმღერე რამე, — მომმართა ბ-მ.

— ჰო, ანეტა, შენი ახალი სიმღერა გვიმღერე, — ჩამოართვა სიტყვა ალექსანდრა მიხაილოვნამ, თითქოს გაეხარდა კიდეც, რომ დალაპარაკების საშუალება მიეცა.

მე მას სახეში შევხედე. შეწუხებული და ამასთან, მოლოდინის გამომხატველი სახით შემომცქეროდა.

მაგრამ თავს ვეღარ მოვერიე. ნაცვლად იმისა, რომ ფორტეპიანოსთან მივსულიყავი და როგორმე მემღერა, შევცბი, დავიბენი, არ ვიცოდი როგორ ამერიდებინა თავი სიმღერისათვის. ბოლოს, მაინც გულისტკენამ მძლია და გადაჭრით განვაცხადე უარი.

— რატომ არ გინდა იმღერო? — მომმართა ალექსანდრა მიხაილოვნამ და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა, მერე მზერა ქმარზე გადაიტანა.

ამ გადახედ-გადმოხედვამ მოთმინება დამაკარგვინა. მაგიდიდან თავგზააბნეული წამოვდექი, მაგრამ ამჯერად არ მიცდია განწყობილების დაფარვა. რაღაცნაირმა მოუთმენელმა წყენამ შე-

მიპყრო. ავთრთოლდი და გადაჭრით განვაცხადე: არ მინდა, არ შემიძლია, თავს ცუდად ვგრძნობ-მეთქი. როდესაც ამას ვამბობდი, ყველას თვალებში შევყურებდი, მაგრამ მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, როგორ მინდოდა ამ წუთს ჩემს ოთახში მარტოდ ყოფნა.

ბ. განცვიფრებული მიყურებდა. ალექსანდრა მიხაილოვნას ნათლად ეტყობოდა სახეზე აღბეჭდილი ნაღველი. ხმას არ იღებდა. პიოტრ ალექსანდროვიჩი უეცრად წამოდგა სკამიდან, თითქოს მოულოდნელად, რაღაც სრულიად გადაუდებელი საქმე გაახსენდა და სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან. წასვლის წინ თქვა: იქნებ მოგვიანებით შემოვიაროო, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ბ-ს გამომშვიდობების ნიშნად, ხელი ჩამოართვა.

— ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, აღარ გვეტყვი? — მომიბრუნდა ბ. — კაცმა რომ შეგხედოს ავადმყოფი ეგონები.

— დიახ, ავად ვარ, ძალიან ავად, — ვუთხარი მოუთმენლად.

— მართლაც ძალიან ცუდი ფერი გადევს, წეღან კი ისეთი აწითლებული იყავი, — შენიშნა ალექსანდრა მიხაილოვნამ და უეცრად გაჩუმდა.

— კმარა! — ვთქვი და პირდაპირ მისკენ წავედი. თვალებში ჩავხედე. საწყალმა ჩემი გამოხედვა ვერ აიტანა, თვალები დამნაშავესავით დახარა, წამოწითლდა. ხელზე ვაკოცე, წმინდა, გულუბრყვილო სიხარულით შემომხედა. — მაპატიეთ, დღეს ასეთი ცუდი ბავშვი რომ ვიყავი, — ვთქვი გრძნობამორეულმა. — მაგრამ ნამდვილად ავად ვარ, არ გამიჯავრდეთ, ნება მომეცით წავიდე...

— ჩვენ ყველანი ბავშვები ვართ, — თქვა მან და მორცხვად გაიღიმა, — მეც ბავშვი ვარ. გაცილებით შენზე ბავშვი, — მითხრა მან ყურში. — ნახვამდის, კარგად იყავი, მხოლოდ, ღვთის გულისათვის, ჩემგან არაფერი გეწყინოს.

— რა უნდა მეწყინოს? — ვთქვი, მისი ესოდენ გულუბრყვილო აღიარებით განცვიფრებულმა.

— რა? — გაიმეორა ალექსანდრა მიხაილოვნამ დარცხვენით, თითქმის შეშინებულმა, — რა? ნუთუ ვერ ხედავ, ნეტოჩკა, როგორი ვარ? ვერ ნახე რა გითხარი? ნახვამდის! შენ ჩემზე ჭკვიანი ხარ!... მე ხომ ბავშვზე უარესი ვარ.

— კარგით, ღვთის გულისათვის, — წამოვიყვირე გულაჩუყებულმა, რადგან არ ვიცოდი სხვა რა უნდა მეთქვა, კიდევ ერთხელ ვაკოცე და სასწრაფოდ გავედი ოთახიდან.

ძალიან ნაღვლიანი და მოწყენილი ვიყავი. ვჯავრობდი საკუთარ თავზე, ვგრძნობდი, რომ გაუფრთხილებელი ვარ, არ ვიცი როგორ უნდა მოვიქცე; რაღაცის სასტიკად მრცხვენოდა. ნაღვლიანი, მწარე ფიქრებით შეპყრობილს ჩამეძინა. დილით გაღვიძებისთანავე პირველი რამაც თავში გამიელვა, ეს იყო ფიქრი იმაზე, რომ წუხანდელი საღამო ზმანება იყო, მოჩვენება, მისტიფიკაცია. ჩვენ ყველანი ავჩქარდით, უბრალო საქმე დიდ ამბად ვაქციეთ, ყველაფერი გამოუცდელობით მოგვივიდა. შეჩვეულნი არა ვართ გარეშე შთაბეჭდილებებს და იმიტომ.

ვგრძნობდი, რომ ყველაფერში წერილი იყო დამნაშავე. ეს წერილი იყო ასე ძალიან რომ მაწუხებდა. აფორიაქებული ვიყავი. ამიტომაც გადავწყვიტე აღარაფერზე მეფიქრა, მეგონა სრულიად ადვილად განვიქარვებდი ნაღველს. ამაში ღრმად დავრწმუნდი და კიდევ უფრო დავმშვიდდი. სრულიად გამხიარულებული წავედი სიმღერის გაკვეთილზე. დილის ჰაერმა საბოლოოდ გაფანტა ჩემი ნაღველი. ძალიან მიყვარდა დილის მოგზაურობა მასწავლებელთან. მხიარულად მივაბიჯებდი ქალაქის ქუჩებში, რომელიც დილის ცხრა საათისათვის უკვე სავსებით გამოცოცხლებული იყო და თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას იწყებდა. ჩვენ უმთავრესად მჭიდროდ დასახლებული, ხალხმრავალი, მოფუსფუსე ქუჩებით მივდიოდით და ასეთი გარემო, ჩემი არტისტული კარიერის დასაწყისისას, ძალიან მიზიდავდა. მიზიდავდა კონტრასტი ყოველდღიურ, წვრილმან, პატარ-პატარა მოფუსფუსე საზრუნავ-

სა და შემოქმედებით შრომას შორის, ორიოდე ნაბიჯის დაშორებით რომ მელოდა აქვე, ამ უშველებელი სახლის მესამე სართულზე, თავიდან ბოლომდე ხელოვნებისგან სრულიად შორს მდგარი ადამიანებით რომ იყო დასახლებული. მივდიოდი ამ საქმოსან, ბრაზიან ადამიანთა შორის, იღლიის ქვეშ ამოჩრილი ნოტების რვეულით, და ვფიქრობდი მოხუცებულ ნატალიაზე, რომელიც ყოველ დილით მაცილებდა მასწავლებელთან. მაინტერესებდა იმისი ამოცნობა, თუ რა საზრუნავი აწუხებდა მას ყველაზე მეტად... დაბოლოს, ვფიქრობდი ჩემს მასწავლებელზე, რომელიც გახლდათ ნახევრად იტალიელი, ნახევრად ფრანგი, ახირებული, ზოგჯერ დიდი ენთუზიასტი, უფრო ხშირად პედანტი, ხოლო ყველაზე მეტად ძუნწი. — ყველაფერი ეს მართობდა, მაცინებდა, ანდა მაფიქრებდა.

ამასთან ერთად მოკრძალებით, მაგრამ გატაცებით მიყვარდა ჩემი ხელოვნება. ვაგებდი ჰაეროვან კოშკებს, ვთხზავდი ჩემთვის ყველაზე უფრო საუცხოო მომავალს და არც თუ ისე იშვიათად, როცა მასწავლებლიდან წამოსული შინისკენ ვბრუნდებოდი, ფანტაზიის ცეცხლში ვიწვოდი. ერთი სიტყვით, ამ წუთებში თითქმის ბედნიერი ვიყავი.

სწორედ ასეთ წუთებს განვიცდიდი მაშინაც, როცა დილის ათ საათზე გაკვეთილებიდან შინ დაბრუნებული ჩვენი სახლის კიბეზე ავდიოდი. ყველაფერი დამავიწყდა თითქოს. მახსოვს მხოლოდ ვოცნებობდი რაღაცაზე. მაგრამ უეცრად შევკრთი, გეგონებოდათ ცივი წყალი გადამასხესო, ჩემს თავს ზემოთ პიოტრ ალექსანდროვიჩის ხმა შემომესმა. კიბეზე ჩამოდიოდა. უსიამოვნო გრძნობა, რომელიც მაშინ დამეუფლა, წარმოუდგენლად დიდი იყო. გუშინდელმა მოგონებამ მტრულად განმაწყო მისდამი, ნაღველი ვერასგზით ვერ დავფარე, ოდნავი თავდახრით მივესალმე. ჩემი სახე იმ წუთს უთუოდ ძალზე მეტყველი იყო, რადგან იგი განცვიფრებული შეჩერდა ჩემ წინ. როცა მისი მოძრაობა შევ-

ნიშნე, გავწითლდი და სწრაფად ავედი ზემოთ. მან ჩემს ზურგს უკან რაღაც ჩაიბუტბუტა და გზა განაგრძო.

ისე ძალიან მეწყინა, რომ მზად ვიყავი მეტირა. ვერ გამეგო რა მემართებოდა. მთელი დილა ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, რა გადაწყვეტილება მიმეღო, რომ თავი დამეღწია ამ განცდებისაგან. ათასჯერ მივეცი ჩემს თავს პირობა უფრო კეთილგონიერი ვიქნები-მეთქი, მაგრამ ათასჯერვე შიშმა შემიპყრო, ვგრძნობდი, რომ ჭირივით მძულდა ალექსანდრა მიხაილოვნას ქმარი. ამასთან, სასოწარკვეთილებამდე ვიყავი მისული და ამჯერად, გაუთავებელი მღელვარებისაგან სერიოზულად გავხდი ავად. თავს ვეღარ ვიმორჩილებდი, ნაწყენი ვიყავი ყველაზე. მთელი დილა ოთახში გავატარე. ალექსანდრა მიხაილოვნასთანაც კი არ შევსულვარ. თვითონ მოვიდა ჩემთან. შემომხედა და შიშისგან კინაღამ შეჰყვირა. ადამიანის ფერი არ მედო. სარკეში როცა ჩავიხედე, თვითონვე შემეშინდა საკუთარი თავის. ალექსანდრა მიხაილოვნამ ერთი საათი დაჰყო ჩემთან, პატარა ბავშვივით მივლიდა.

მისმა ყურადღებამ ნაღველი მომგვარა, მისმა ალერსმა გული დამიმძიმა, მიმძიმდა მისი შეხედვაც. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ვთხოვე — მარტო დამტოვეთ-მეთქი. ჩემი მდგომარეობის გამო ძალზე ღელავდა. ჩემი ნაღველი ცრემლებში გადმოიღვარა. ბოლოს, ყველაფერი ეს ნერვული შეტევით დამთავრდა. საღამოს თავს უკეთ ვგრძნობდი.

ალექსანდრა მიხაილოვნასთან მისვლა გადავწყვიტე. მინდოდა მის წინ მუხლებზე დავცემულიყავი და ისე დამებრუნებინა წერილი, რომელიც დაკარგვოდა. მინდოდა გამოვტყდომოდი ყველაფერში, გამეგებინებინა ტანჯვა, რომელსაც მთელი ჩემი დაეჭვების დროს განვიცდიდი. მოვხვეოდი იმ დაუსაბამო სიყვარულით, რომელიც ცეცხლივით გიზგიზებდა ჩემს გულში. მოვხვეოდი ჩემს საყვარელ, გაწამებულ ადამიანს და მეთქვა, რომ მისი

ღვიძლი შვილი ვარ, მისი მეგობარი, რომ ჩემი გული ყოველთვის გადაშლილია მისთვის. შეუძლია ჩაიხედოს შიგ და დაინახოს, დარწმუნდეს, რა უსაზღვროა ჩემი სიყვარული. ღმერთო ჩემო! მე ხომ ვგრძნობდი, მე ხომ ვიცოდი, რომ ერთადერთი ადამიანი ვიყავი დედამიწის ზურგზე, ვისთვისაც შეეძლო გადაეშალა გული და მით უფრო მჯეროდა, რომ ხსნა შესაძლებელი იყო, მით უფრო მჯეროდა, რომ შეიძლებოდა ჩემს სიტყვებს ძლიერი გავლენა მოეხდინა მასზე... თუმცა, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც საკმარისად კარგად მესმოდა მისი ნაღველი და მით უფრო ვივსებოდი გულისწყრომით, იმის გამო, რომ შეეძლო გაწითლებულიყო ჩემ წინაშე, შერცხვენოდა ჩემი გასამართლების. საბრალოვ, ჩემო საბრალოვ, ეს შენა ხარ ცოდვილი? აი, რას ვეტყვი მე და ავტირდები მის ფერხთით. ჩემში სამართლიანობის გრძნობამ იფეთქა, გააფთრებული ვიყავი. არ ვიცი, რას ჩავიდენდი, მაგრამ გონს მაშინ მოვედი, როცა თითქმის პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე, მე და ის შემთხვევამ გვიხსნა დაღუპვისაგან. უეცრად დამეცა თავზარი, განა ამ გაწამებული ადამიანის გულს შეეძლო აღმდგარიყო მხოლოდ იმიტომ, რომ მე მას იმედს მივცემდი? მე ხომ ერთი ხელის დაკვრით შემეძლო მომეკლა იგი!

აი, რა მოხდა: ორი ოთახი დამრჩა გასავლელი, ვიდრე მისი ოთახის კართან მივიდოდი, პიოტრ ალექსანდროვიჩი გვერდითა ოთახიდან გამოვიდა. ვერ შემნიშნა, ისე ჩამიარა. ისიც იმასთან მიდიოდა. ერთ ადგილზე დალურსმნულივით გავჩერდი. ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც შეიძლებოდა ასეთ წუთებში შევხვედროდი. გაბრუნება მინდოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ ადგილზე გამაქვავა.

წუთით სარკის წინ შეჩერდა, თმა გაისწორა, უეცრად მისი ღიღინი შემომესმა. სახტად დავრჩი. თვალის დახამხამებაში გაცოცხლდა ჩემს მეხსიერებაში შორეული ბავშვობის დროინდელი რომელიღაც შავბნელი მოგონება. უფრო ნათელი რომ გახდეს

ჩემი უცნაური განცდა, რომელიც იმ წუთს დამეუფლა, გიამბობთ იმასაც, თუ რა გამახსენდა: ამ სახლში გადმოსვლის პირველსავე წელს განმაცვიფრა ერთმა შემთხვევამ, რომლის გახსენებამ მხოლოდ ახლა გამინათა გონება, რადგან მხოლოდ ახლა, მხოლოდ ამ წუთს გავიაზრე რითი იყო გამოწვეული ჩემი ამოუხსნელი სიძულვილი ამ კაცისადმი. უკვე ნათქვამი მაქვს, რომ თავიდანვე მიმძიმდა ამ კაცთან ყოფნა, ისიც მაქვს ნათქვამი, თუ როგორ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემზე მისი დაბღვერილი, საქმიანი და თანაც ნაღვლიანი, ღრმად დამწუხრებული გარეგნობა, როგორ დამიმძიმდებოდა ხოლმე გული ალექსანდრა მიხაილოვნას ოთახში ჩაის მაგიდასთან გატარებული საათების შემდეგ დაბოლოს, როგორი მწვალებლური ნაღველი მიკლავდა გულს, როცა ერთი-ორჯერ მოწმე გავხდი იმ პირქუში და ბნელი სცენებისა, რომელთა შესახებ უკვე დასაწყისშივე გიამბეთ. მაშინაც, ისევე როგორც დღეს, ამავე ოთახში, დროის ამავე მონაკვეთში, შევხვდი. მაშინაც, როგორც დღეს, ალექსანდრა მიხაილოვნასთან მიდიოდა. ყოველთვის, როცა კი მას პირისპირ ვხვდებოდი, ბავშვური მოკრძალება მიპყრობდა. სწორედ ამიტომ მივიმალე კუთხეში დამნაშავესავით და ვინატრე არ შემნიშნოს-მეთქი. ზუსტად ისევე, როგორც დღეს სარკის წინ შეჩერდა. მაშინაც შევკრთი გაურკვეველი გრძნობისაგან, ეს არ იყო ბავშვური გრძნობა, მომეჩვენა, რომ სახის გამომეტყველების შეცვლა უნდოდა. ყოველ შემთხვევაში, როდესაც სარკეს უახლოვდებოდა, ნათლად შევნიშნე მის სახეზე ღიმილი, შევნიშნე სიცილი, რომელიც ადრე არასოდეს შემინიშნავს, რადგან ალექსანდრა მიხაილოვნას თანდასწრებით არასოდეს იცინოდა (მახსოვს, ამ სიცილმა ყველაზე მეტად განმაცვიფრა). სამაგიეროდ, სარკეში ჩახედვისთანავე უეცრად, თითქოს ვიღაცის საგანგებო ბრძანებით, სახე შეეცვალა. ღიმილის ნაცვლად სახეზე რაღაცნაირი მწარე, თითქოს გულიდან ნაძალადევად ამოგლეჯილი,

მისდაუნებური გრძნობა აღებეჭდა, რომლის დაფარვას ცდილობდა, მაგრამ არ შეეძლო, არ შეეძლო, რადგან ეს აღემატებოდა ადამიანის ძალ-ღონეს. შუბლი უეცრად, რაღაცნაირი კრუნჩხვისებური ტკივილებისაგან ნაოჭებით დაესერა, ტუჩები დაემანჭა, წარბები შეეჭმუხნა, ნაღვლიანი გამოხედვა სათვალის ქვეშ მიმალა და თითქოს სხვისი ბრძანებით, უეცრად, სრულიად სხვა ადამიანად გადაიქცა. მახსოვს, მე, ბავშვი, ავთრთოლდი იმის შეგრძნებით, რაც იმ წუთს განვიცადე და მას შემდეგ ეს უსიამოვნო გრძნობა მუდამ თან მდევდა. სარკესთან შედგა, თავი ჩაქინდრა, ბეჭებში მოიხარა და ისევ ძველებური იერი მიიღო, ალექსანდრა მიხაილოვნასთან რომ ჰქონდა ხოლმე, ფეხაკრეფით შევიდა მასთან ოთახში. აი, ამ მოგონებამ განმაცვიფრა.

მაშინაც, როგორც ახლა, დარწმუნებული გახლდათ, რომ მარტოა და ამ რწმენით შეჩერდა სარკის წინ. მაშინდელივით უსიამოვნო, მტრული გრძნობით აღვივსე მისდამი, მაგრამ როდესაც მისი ღიღინი გავიგონე (ღიღინი იმ ადამიანისა, რომლისგანაც სრულიად წარმოუდგენელი იყო ამის მსგავსი რამ), იმდენად განვცვიფრდი ამ მოულოდნელობისაგან, რომ ადგილზევე დალურსმნულივით გავშეშდი და როდესაც ამ წუთს მომხდარმა ამბავმა გამახსენა თითქმის სრულიად ასეთივე წამი ჩემი ბავშვობისა, ვერ აგიწერთ რანაირი გრძნობა დამეუფლა, გესლიანი შთაბეჭდილებებით შეპყრობილს რაღაცამ მიჩხვლიტა გულზე. მთელი ნერვები დაძაბული მქონდა. ამ გასაცოდავებული ღიღინის საპასუხოდ გადავიხარხარე, გადავიხარხარე ისეთნაირად, რომ საცოდავმა მომღერალმა წამოიყვირა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია სარკიდან. სახეზე მკვდრის ფერი დაედო. განცვიფრებისა და ბრაზისაგან იმის გამო, რომ ესოდენ უსახელო დანაშაულზე წაუსწრეს, გაშმაგებული მომაჩერდა. მისმა გამოხედვამ სასტიკად იმოქმედა ჩემზე. სახეში შევაცქერდი და ისტერიულად გადავიხარხარე. ამავე ხარხარით ჩავუარე გვერდი და ალექსანდრა

მიხაილოვნასთან შევედი. ვიცოდი, რომ თვითონ ფარდის უკან იდგა შიშისა და გააფთრებისგან ერთ ადგილზე მიჯაჭვული და ორჭოფობდა შემოსულიყო თუ არა — და რაღაცნაირი გაღიზიანებითა და გამომწვევი მოუთმენლობით ველოდი რა გადაწყვეტილებას მიიღებდა. მზად ვიყავი სანაძლეო დამედო, რომ არ შემოვიდოდა და მე მოვიგე. მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შემოვიდა. ალექსანდრა მიხაილოვნა კარგა ხანს საოცრად განცვიფრებული შემოგვცქეროდა და ამაოდ მეკითხებოდა, რა დაგემართაო. ხმის ამოღება არ შემეძლო, სუნთქვა მეკვროდა. ბოლოს, ალექსანდრა მიხაილოვნა მიხვდა, რომ ნერვული შეტევა დამეწყო. შეშფოთებული მივლიდა. როდესაც ოდნავ მოვსულიერდი, ხელებზე კოცნა დავუწყე. ახლაღა მოვეგე გონს, მივხვდი, რომ შეიძლებოდა მომეკლა იგი, მის ქმარს რომ არ შევხვედროდი და როგორც მკვდრეთით აღმდგარს ისე მივაჩერდი.

ამ დროს პიოტრ ალექსანდროვიჩი შემოვიდა.

თვალი შევავლე. თავი ისე ეჭირა, თითქოს ჩვენ შორის არაფერი მომხდარიყოს. ესე იგი კვლავინდებურად პირქუში და კუშტი იყო, მაგრამ როდესაც მის ფერმკრთალ სახესა და ოდნავ ათრთოლებული ტუჩის კუთხეებს შევხედე, მივხვდი, რომ მღელვარებისაგან თავს ძლივს იკავებდა. ალექსანდრა მიხაილოვნას ოდნავი თავის დახრით მიესალმა და ხმაამოუღებლად ჩამოჯდა სკამზე. როცა ჩაის ჭიქა ხელში აიღო, ხელი უთრთოდა. აფეთქების მოლოდინში რაღაცნაირმა ანგარიშმიუცემელმა შიშმა შემიპყრო. ის იყო წასასვლელად მოვემზადე, მაგრამ შევჩერდი, ვერ გადამეწყვიტა ალექსანდრა მიხაილოვნას მიტოვება, რომელსაც ქმრის დანახვაზე სახე შეეცვალა, მანაც იგრძნო რაღაც ავბედითის მოახლოვება. ბოლოს მაინც მოხდა ის, რისიც ასე მეშინოდა. სამარისებურ სიჩუმეში თავი ავწიე და მაშინვე პიოტრ ალექსანდროვიჩის სათვალეს შევეფეთე. იგი პირდაპირ მე მიყურებდა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ უნებურად

შევკრთი, კინაღამ წამოვიყვირე, თვალები ძირს დავხარე. ალექსანდრა მიხაილოვნამ შენიშნა ჩემი თვალების მოძრაობა.

— რა დაგემართათ? რატომ გაწითლდით? — გაისმა პიოტრ ალექსანდროვიჩის მკვეთრი და უხეში ხმა.

ხმა არ ამომიღია. გული ისე ძლიერ მიცემდა, რომ კრინტიც ვერ დავძარი.

— რატომ გაწითლდა? რატომ წითლდება მუდამ? — მიუბრუნდა ის ალექსანდრა მიხაილოვნას და თავხედურად ჩემზე მიუთითა.

აღშფოთებისგან სუნთქვა შემეკრა, მავედრებელი მზერა მივაპყარი ალექსანდრა მიხაილოვნას. ის მიმიხვდა, ფერმკრთალი ლოყები აენთო.

— ანეტა! — მითხრა ისეთი მტკიცე ხმით, როგორსაც არასგზით არ მოველოდი მისგან, — შენს ოთახში წადი, მეც ახლავე მოვალ, ჩვენ ერთად გავატარებთ ამ საღამოს...

— თქვენ გეკითხებით, გაიგონეთ თუ არა, რაც გითხარით? — კიდევ უფრო აუწია ხმას პიოტრ ალექსანდროვიჩმა და ისე, თითქოს ცოლის სიტყვები არ გაუგონიაო, მე მომმართა, — ჩემს შეხვედრაზე რატომ წითლდებით, რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ აიძულებთ გაწითლდეს. თქვენ მეც მაიძულებთ. — წარმოთქვა მღელვარებისგან სუნთქვაშეკრულმა ალექსანდრა მიხაილოვნამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად. მე განცვიფრებით შევხედე ალექსანდრა მიხაილოვნას, დავიბენი, უცებ ვერ გავარკვიე მისი სიფიცხის მიზეზი.

— მე გაიძულებთ გაწითლებას, მე?! — თქვა განცვიფრებულმა, წონასწორობადაკარგულმა პიოტრ ალექსანდროვიჩმა. განსაკუთრებით მახვილი დაუსვა სიტყვას მე. — ჩემი გულისთვის წითლდებით? განა მე შემიძლია სიწითლე გამოვიწვიო თქვენს სახეზე? თქვენ თქვენი თავის გამო უნდა წითლდებოდეთ და არა ჩემ გამო, როგორ ფიქრობთ?

ამ სიტყვების მნიშვნელობა სავსებით გასაგები იყო ჩემთვის, ისეთი გააფთრებითა და გესლიანი დაცინვით იყო წარმოთქმული, რომ საშინელებისგან შევყვირე და ალექსანდრა მიხაილოვნასთან მივირბინე. განცვიფრება, ტკივილი, საყვედური და შიში გამოიხატა მის გადაფითრებულ სახეზე. გულზე ხელებდაკრეფილი, მავედრებელი სახით შევყურებდი პიოტრ ალექსანდროვიჩს, ვგონებ თვითონაც მოეგო გონს. მაგრამ გააფთრება, რომელმაც ეს სიტყვები ათქმევინა, ჯერ ისევ ისე ჩარჩენილი ჰქონდა გულში და მაინც, როდესაც ჩემი უსიტყვო ვედრება შენიშნა, შეცბა. ნათლად ჩანდა ჩემს გამოხედვაში, რომ მე ბევრი რამ ვიცოდი მათი საიდუმლოს შესახებ, რომ მე კარგად გავიგე მისი სიტყვების მნიშვნელობა.

— ანეტა! თქვენს ოთახში გადით! — გამიმეორა ალექსანდრა მიხაილოვნამ სუსტი, მაგრამ მტკიცე ხმით და სკამიდან წამოდგა, — ჩემთვის აუცილებელია პიოტრ ალექსანდროვიჩთან მოლაპარაკება.

გარეგნულად მშვიდად იყო, მაგრამ მე ამ სიმშვიდის უფრო მეშინოდა, ვიდრე დიდი მღელვარებისა. მისი ნათქვამი თითქოს ვერ გავიგონე, ადგილზე მილურსმნულივით ვიდექი, თავს ძალა დავატანე და შევეცადე ამომეკითხა რა ხდებოდა მის გულში და ისე მომეჩვენა, რომ იგი ვერ ჩასწვდა ჩემი მოძრაობის მნიშვნელობას. ვერც ჩემი წამოძახილი გაიგო.

— აი, რა ჩაიდინეთ თქვენ, ქალბატონო! — ჩაილაპარაკა პიოტრ ალექსანდროვიჩმა. ხელებზე ხელი წამავლო და ცოლზე მიმითითა.

ღმერთო ჩემო! არასოდეს მენახა ასეთი სასოწარკვეთილება, როგორიც ამ გაწამებული, ცოცხალ-მკვდარი ადამიანის სახეზე ამოვიკითხე. პიოტრ ალექსანდროვიჩმა ხელმოკიდებული გამიყვანა ოთახიდან. ერთხელ კიდევ მივიხედე მათკენ. ალექსანდრა მიხაილოვნა ბუხარს დაყრდნობოდა, ორივე ხელი თავზე წა-

ევლო, მთელი მისი აღნაგობა საშინელ ტანჯვას გამოხატავდა. პიოტრ ალექსანდროვიჩს მაგრად მოვუჭირე ხელზე ხელი და ნაწ-ყვეტ-ნაწყვეტად წარმოვთქვი:

— ღვთის გულისათვის! ღვთის გულისათვის! შეიბრალეთ!

— ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ! — თქვა მან და რაღაცნაირად უცნაურად შემომხედა, — ეს არაფერია, ეს ჩვეულებრივი ნერვული შეტევაა, მიბრძანდით, მიბრძანდით.

ჩემს ოთახში შესვლისთანავე სავარძელში ჩავეშვი და სახე ხელებით დავიფარე, მთელი სამი საათი ვიყავი ამ მდგომარეობაში. ამ ხნის მანძილზე მთელი ჯოჯოხეთი გამოვიარე. ბოლოს, ვეღარ მოვითმინე და კაცი გავგზავნე საკითხავად, შეიძლება თუ არა ალექსანდრა მიხაილოვნას ნახვა-მეთქი. პასუხი მადამ ლეოტარმა მომიტანა, პიოტრ ალექსანდროვიჩი მითვლიდა: ალექსანდრა მიხაილოვნას შეტევამ გაუარა, საშიში არაფერია, მაგრამ სიმშვიდე სჭირდებაო. დილის სამ საათამდე არ დავწოლილვარ, ოთახში ბოლთას ვცემდი და ვფიქრობდი. ჩემი მდგომარეობა ახლა უფრო იდუმალებით იყო მოცული ვიდრე როდისმე, მაგრამ თავს ახლა უფრო მშვიდად ვგრძნობდი, იქნებ იმიტომ, რომ ჩემი თავი ყველაზე უფრო დიდ დამნაშავედ მიმაჩნდა. ბოლოს, ხვალინდელი დღის მოუთმენელი მოლოდინით დავწექი.

მაგრამ მეორე დღეს, ჩემდა სამწუხაროდ, ჩემდა გასაკვირად, ალექსანდრა მიხაილოვნას რაღაცნაირი ამოუხსნელი სიცივე შევნიშნე. თავდაპირველად მეგონა, ამ სუფთა, კეთილშობილური გულის პატრონს, ქმართან მომხდარი უსიამოვნების შემდეგ, რომლის უნებური მოწმე გავხდი, უმძიმს-მეთქი ჩემთან ყოფნა. ვიცოდი, რომ ამ ბავშვს შეეძლო გაწითლებულიყო ჩემ წინაშე და ჩემთვის ეთხოვა პატიება იმის გამო, რომ შეიძლება, წუხანდელმა ამბავმა ჩემი გული შეურაცხყო, მაგრამ მალე შევნიშნე, რომ მას რაღაც სხვა საზრუნავი გასჩენოდა, რაღაც წყინდა, რაც ძალზე უხერხულად გამოამჟღავნა. ხან მშრალად და ცივად მაძლევ-

და პასუხს, ხან რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აზრს აქსოვდა თავის ნათქვამში, ხან ზომაზე მეტად ნაზად მექცეოდა, თითქოს ნანობდა იმ სიმკაცრის გამო, რაც ჩემ მიმართ გამოიჩინა და რაც არ შეიძლებოდა გულში ჰქონოდა. მაგრამ მის ალერსიან სიტყვებშიც ისმოდა რაღაც საყვედურის მაგვარი. ბოლოს, პირდაპირ ვკითხე: მითხარით, რა დაგემართათ, ხომ არაფერი გაქვთ ჩემთვის სათქმელი-მეთქი? — ასეთი პირდაპირი და უეცარი შეკითხვისაგან შეკრთა, მაგრამ იმავე წამს ასწია თავისი დიდრონი, მშვიდი თვალები და ღიმილით შემომხედა.

— არაფერი, ნეტოჩკა, — მითხრა მან, — ისეთი მოულოდნელი იყო შენი შეკითხვა, რომ უცებ დავიბენი... ესაა, სხვა არაფერი, გარწმუნებ. მაგრამ მომისმინე და გულწრფელად მითხარი, გაქვს თუ არა რაიმე ისეთი გულში, რისთვისაც აი, ასევე შეკრთებოდი, ასევე სწრაფად და მოულოდნელად რომ დაესვათ შენთვის კითხვა?

— არა! — ვუთხარი და გულმართალი თვალებით პირდაპირ თვალებში ჩავხედე.

— ჰოდა, ძალიან კარგი! რომ იცოდე, ჩემო მეგობარო, როგორი მადლობელი ვარ ასეთი შესანიშნავი პასუხისათვის. საქმე იმაში კი არ არის, მე შენ დამნაშავედ გთვლი თუ არა, ანდა ეჭვი მეპარება თუ არა შენს ცუდ საქციელში, — არა, არასოდეს! მე ჩემს თავს ამის გაფიქრების უფლებასაც არ მივცემდი, მაგრამ მომისმინე, როდესაც შენ ჩემთან მოხვედი, ბავშვი იყავი, ახლა კი ჩვიდმეტი წლისა ხარ. თვითონაც ხედავ, რომ მე ავად ვარ, თვითონ ვარ ბავშვივით, თვითონ მჭირდება პატრონობა, ამიტომაც ვერ შევძელი გამეწია შენთვის დედის მაგივრობა ისე, როგორც ეს საჭირო იყო, თუმცა საამისოდ საკმარისად დიდი სიყვარული მქონდა შემონახული შენთვის. ხოლო თუ ახლა ასე ძალიან მაწუხებს შენზე ზრუნვა, ცხადია, ამაში დამნაშავე მე ვარ, მაპატიე ჩემი შეკითხვა, მაპატიე ისიც, თუ უნებურად ვერ შევასრულე ის პირობა,

რომელიც შენ და მამაჩემს მოგეცით, როცა მისი სახლიდან წამოგიყვანე. მე ძალიან მაწუხებს ეს და ყოველთვის მაწუხებდა, ჩემო მეგობარო.

მე ალექსანდრა მიხაილოვნას მოვეხვიე და ავტირდი.

— მადლობას, მადლობას გწირავთ ყველაფრისთვის! — ვამბობდი და ხელებს ცრემლებით ვუსველებდი, — ნუ მელაპარაკებით ასე, ნუ, გულს ნუ მიკლავთ, თქვენ ჩემთვის ყოველთვის დედაზე უფრო მეტი იყავით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ყველაფრისთვის, რაც თქვენ და თავადმა ჩემთვის გააკეთეთ, საცოდავი, მიგდებული, უპატრონო გოგოსათვის! საწყალო ჩემო, ძვირფასო ჩემო!

— გეყოფა, ნეტოჩკა, გეყოფა! უფრო მაგრად მომეხვიე, უფრო მაგრად, ასე, იცი რას გეტყვი, ნეტოჩკა? ღმერთმა უწყის რატომ, მაგრამ ისე მეჩვენება, რომ უკანასკნელად გეხვევი.

— არა, არა, — ვამბობდი ბავშვივით აზლუქუნებული. — არა, ეგ არ მოხდება, არა! თქვენ ბედნიერი იქნებით!.. თქვენი მომავალი ჯერ წინაა, დამიჯერეთ, ჩვენ ბედნიერები ვიქნებით.

— გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო კარგო, ასეთი დიდი სიყვარულისთვის, ჩემ გვერდით ახლა ცოტანი არიან, ყველამ მიმატოვა.

— ვინ, ვინ მიგატოვათ, ვინ არიან ისინი?

— წინათ ჩემ გარშემო სხვებიც იყვნენ, ნეტოჩკა, შენ მათ შესახებ არაფერი იცი. ყველამ მიმატოვა, ყველა წავიდა, აჩრდილებივით გაქრნენ, მე კი ველოდი, მთელი ჩემი სიცოცხლე ველოდი მათ! რას იზამ! ხედავ, ნეტოჩკა, ხედავ, როგორი ღრმა შემოდგომაა, მალე თოვლიც მოვა. პირველი თოვლი მოვა თუ არა, მე მოვკვდები. დიახ, მაგრამ მე არ ვდარდობ, მშვიდობით!

სახე ძალზე გამხდარი და ფერმკრთალი ჰქონდა, ლოყებზე ავისმომასწავებელი წითელი ლაქები აჩნდა. შინაგანი სიცხისაგან შემხმარი ტუჩები უთრთოდა.

ფორტეპიანოს მიუახლოვდა, რამდენიმე აკორდი აიღო. ამ დროს სიმი ხმაურით გაწყდა, აჟღრიალდა, გაგრძელებული კვნესა აღმოხდა.

— გესმის, ნეტოჩკა, გესმის? — თქვა მან უეცრად შთაგონებული ხმით და ფორტეპიანოზე მიმითითა, — ეს სიმი ძალზე მაგრად დაჭიმეს და ვეღარ გაუძლო, მოკვდა, გესმის, როგორ საცოდავად კვდება?!

ძლივს ლაპარაკობდა, გულის ყრუ ტკივილი სახეზედაც აღბეჭდვოდა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— კარგი, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი, ნეტოჩკა, გვეყოფა, ჩემო მეგობარო. წადი, ნეტოჩკა, ბავშვები მომიყვანე.

მე ბავშვები მოვიყვანე. ალექსანდრა მიხაილოვნამ შვილებთან მოისვენა თითქოს. ერთი საათი დაჰყო მათთან და ისევ უკან გაისტუმრა.

— როდესაც მოვკვდები, ხომ არ მიატოვებ მათ, ანეტა? ხომ არ მიატოვებ? — ამას ჩურჩულით მეუბნებოდა, თითქოს ეშინოდა ჩვენი ლაპარკისთვის ყური არავის მოეკრა.

— გეყოფათ, თქვენ მე მომკლავთ! — მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე.

— გაგემასხრე. — მითხრა მან ცოტაოდენი დუმილის შემდეგ და გაიღიმა. — შენ კი დაიჯერე? განა არ იცი, რომ ხანდახან, ღმერთმა უწყის, რას ვამბობ. მე ხომ ბავშვივით ვარ. მე ახლა ყველაფერი მეპატიება. თან მორცხვად შემომხედა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ეშინოდა ჩემი. მე დაველოდე.

— იცოდე, არ შეაშინო, — ჩაილაპარაკა მან ბოლოს იმდენად ჩუმად, რომ ძლივს გავიგონე და თან თვალები ძირს დახარა, ოდნავმა სიწითლემ გადაურბინა სახეზე.

— ვინ? — ვკითხე განცვიფრებულმა.

— ჩემი ქმარი, შენ ალბათ მას თანდათან ყველაფერს უამბობ.

— რატომ ფიქრობთ ასე, რატომ? — ვეკითხებოდი სულ უფრო და უფრო განცვიფრებული.

— ვინ იცის, იქნებ არც უამბო, — თქვა მან ბოლოს და შეეცადა, რამდენადაც კი შეიძლებოდა ეშმაკურად შემოეხედა ჩემთვის. თუმცა გულუბრყვილო ღიმილი ისევ უბრწყინავდა სახეზე, სიწითლე თანდათან ემატებოდა. კარგი, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი, გემასხრები.

მე სულ უფრო და უფრო შემეკუშმა გული.

— ანეტა, მომისმინე, შენ ხომ გეყვარება ისინი, როცა მე მოვკვდები, გეყვარება ხომ? — დასძინა სერიოზული და იდუმალი ხმით. — ხომ გეყვარება, როგორც საკუთარი შვილები? დაიმახსოვრებ ამას? მე მუდამ ღვიძლი შვილივით მიყვარდი, ჩემს შვილებში არ გარჩევდი.

— ჰო, ჰო, — ვეუბნებოდი, რადგან თავადაც არ მესმოდა რას ვამბობდი, თვალზე მომდგარი ცრემლებისა და შეცბუნებისაგან სული მეხუთებოდა.

უეცრად, ვიდრე ხელის გამოტაცებას მოვასწრებდი, ხელზე ცხარე კოცნა ვიგრძენი. განცვიფრებისაგან ენა დამება.

რა ემართება? რას ფიქრობს? რაზე ილაპარაკეს გუშინ? — გამიელვა უეცრად თავში.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ალაპრაკდა. ახლა დაღლილობას უჩიოდა.

— დიდი ხანია ავად ვარ, ნეტოჩკა, მაგრამ არ მინდოდა თქვენი შეშინება, მე ხომ ვიცი თქვენ ორთავეს გიყვარვართ, ხომ მართალია? მშვიდობით, ნეტოჩკა! — მითხრა მან, — ახლა მარტო დამტოვე, მხოლოდ საღამოს კი აუცილებლად მოდი ჩემთან. მოხვალ?

სიტყვა მივეცი, მოვალ-მეთქი! მაგრამ აქედან წასვლა მეჩქარებოდა. მეტის ატანა აღარ შემეძლო.

საბრალო, საბრალო, რა ეჭვები მიგყვება სამარეში? — ვამბობდი ქვითინით, — რა ახალი მწუხარება გიტანჯავს გულს, ორიოდ სიტყვითაც რომ ვერ გაგიბედავს გამოთქმა? ღმერთო ჩემო! ეს დაუსაბამო წამება, რომლის შესახებაც მე ახლა ყველაფერი ვიცი, ბნელით მოცული ეს უსიხარულო ცხოვრება, მოკრძალებული სიყვარული, რომელიც არაფერს ითხოვდა და ახლაც, როდესაც გული ტკივილისგან გაპობას ლამობს, სიკვდილის სარეცელზე მყოფი არაფერს ითხოვს. ბოროტმოქმედივით უფრთხის ოდნავ დაწუწუნებასაც კი, ხოლო როდესაც საკუთარი წარმოდგენით ახალი მწუხარება შეჰქმნა, მაშინვე დაემორჩილა, შეურიგდა ბედს.

საღამოს, ბინდისას, ოვროვის (მოსკოვიდან ჩამოსული სტუმრის) შინ არყოფნით ვისარგებლე, ბიბლიოთეკაში შევედი, კარადა გამოვაღე, ალექსანდრა მიხაილოვნასთვის, მისი შავი ფიქრების განსაქარვებლად მინდოდა მომეძებნა რაიმე წიგნი ხმამაღლა წასაკითხად. დავიწყე წიგნებში ქექვა, ვეძებდი რაღაც მსუბუქს, სამხიარულოს!... დიდხანს ვეძებდი დაბნეული. ბინდი ძლიერდებოდა, ბინდთან ერთად ძლიერდებოდა ჩემი ნაღველიც. უეცრად ხელში ისევ ის წიგნი მომხვდა, ისევ იმ გვერდზე იყო გადაშლილი, რომელზედაც წერილის კვალი აჩნდა, მე რომ უბიდან არ ვიშორებდი. ეს იყო საიდუმლო, რომლის შემდგომ ჩემი ცხოვრება გაიბზარა თითქოს და მერე ისევ გამთელდა. ძლიერმა სიცივემ უეცრად დაჰბერა. შეუცნობელი, კუშტი საიდუმლო ახლაც მემუქრებოდა შორიდან, მკაცრად... „რა მოგველის? — ვფიქრობდი მე, — ის მყუდრო კუთხე, სადაც ესოდენ თბილად და თავისუფლად ვგრძნობდი თავს, ცარიელდებოდა! ფაქიზი და ნათელი სული, ჩემს ახალგზრდობას რომ იცავდა, მტოვებდა! რა მელის მომავალში?“ ვიდექი ისე, თითქოს აღარაფერი მახსოვდა იმ წარსულიდან, რომელიც ესოდენ საყვარელი იყო ახლა ჩემთვის. ვცდილობდი განმეჭვრიტა შეუცნობი და მკაცრი მომავალი... ეს წუთე-

ბი იმდენად ღრმად დამრჩა მეხსიერებაში და იმდენად მკვეთრად ვგრძნობდი მათ, რომ მგონია კვლავაც განვიცდი.

ხელში წერილი და გადაშლილი წიგნი მეჭირა, ცრემლებისაგან სახე სულ ერთიან დასველებული მქონდა. უეცრად შიშისაგან შევკრთი. ჩემს თავს ზემოთ ნაცნობი ხმა გავიგონე. ვიგრძენი, როგორ გამომგლიჯეს ხელიდან წერილი. შევყვირე, უკან მივიხედე, ჩემს წინ პიოტრ ალექსანდროვიჩი იდგა. ხელზე ხელი წამავლო და მთელი ძალით ცდილობდა ერთ ადგილზე ჩემს შეჩერებას, მარჯვენა ხელით კი წერილის სინათლისკენ წაღებას ლამობდა. როგორც ჩანდა, პირველი სტრიქონების წაკითხვა უნდოდა... მე შევყვირე. ამ წერილის მის ხელში ჩაგდებას სიკვდილი მერჩია. მოზეიმე სახეზე შევატყვე, რომ წერილის პირველი სტრიქონები გაარჩია. კინაღამ გონი დავკარგე.

თავი აღარ მახსოვდა, თვალის დახამხამებაში მივვარდი და წერილი ხელიდან გამოვგლიჯე, ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ თვითონვე გამიკვირდა, როგორ მოვახერხე წერილის ისევ ხელში ჩაგდება. ხოლო, როდესაც ვიგრძენი, რომ კვლავ წართმევას მიპირებდა, მაშინვე უბეში ჩავიდევი. სამი ნაბიჯით უკან დავიხიე.

ნახევარ წუთს ხმაამოუღებლად შევყურებდით ერთმანეთს. შიშისაგან ისევ ვთრთოდი. ის საშინლად ფერმკრთალი იყოს. ტუჩები ჩალურჯებოდა, ბრაზისაგან უთრთოდა. სიჩუმე პირველად მან დაარღვია.

— კმარა! — წარმოთქვა მღელვარებისაგან დასუსტებული ხმით, — თქვენ, ალბათ, არ ისურვებთ, რომ ძალა ვიხმარო, თქვენივე ნებით მომეცით წერილი.

მხოლოდ ახლა მოვეგე გონს. შეურაცხყოფამ, სირცხვილმა და აღშფოთებამ ამ უხეში ძალადობის გამო, სუნთქვა შემიკრა. ცრემლები თავისთავად ჩამომიგორდნენ ცეცხლწაკიდებულ

ლოყებზე. მღელვარებისაგან ათრთოლებულმა ერთხანს ხმის ამოღება ვერ მოვახერხე.

— გაიგონეთ, რა გითხარით? — თქვა მან და ორი ნაბიჯით მომიახლოვდა.

— თავი დამანებეთ, თავი დამანებეთ! — წამოვიყვირე და უკან დავიხიე, თქვენ არაკეთილშობილურად იქცევით, მდაბლად, თავი გავიწყდებათ, გამატარეთ!...

— რაო? რას ნიშნავს ეს? როგორ ბედავთ ჩემთან ასე ლაპარაკს, მას შემდეგ რაც... მომეცით-მეთქი, თქვენ გეუბნებით!

კიდევ ერთხელ წამოიწია ჩემკენ, მაგრამ სახეზე როცა შემომხედა, ისეთი მტკიცე გადაწყვეტილება ამოიკითხა ჩემს თვალებში, რომ შეჩერდა, დაფიქრდა.

— კეთილი! — თქვა მან ბოლოს ცივად, თითქოს ერთხელვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე შეჩერდაო, თუმცა სახეზე ეტყობოდა, რომ თავს ძლივს იკავებდა. — დაე, ასე იყოს, მაგრამ... — მიიხედ-მოიხედა.

— ვინ... ვინ შემოგიშვათ ბიბლიოთეკაში? რატომ არის ეს კარადა ღია? საიდან აიღეთ გასაღები?

— არ გეტყვით, — ვუთხარი მე, — არ შემიძლია თქვენთან ლაპარაკი. გამიშვით, გამიშვით.

და კარისკენ წავედი.

— მოითმინეთ, — წამოიძახა მან და ხელზე ხელი წამავლო, შემაჩერა. — თქვენ ასე ვერ წახვალთ, ვერა!

ხმაამოუღებლად გამოვტაცე ხელიდან ხელი და ისევ კარისკენ გავიწიე.

— კარგით, მაგრამ მე ხომ არ შემიძლია, ბოლოს და ბოლოს, ნება დაგრთოთ წერილები მიიღოთ თქვენი საყვარლისაგან, ჩემს სახლში.

შიშისაგან წამოვიყვირე და სრულიად დაბნეული მივაჩერდი.

— და ამიტომაც...

— შეჩერდით! — წამოვიყვირე ისევ, — როგორ შეგიძლიათ... როგორ შეგეძლოთ ეს გეთქვათ ჩემთვის?... ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

— რაო? მემუქრებით კიდეც?

მაგრამ მე ფერწასული და გაწამებული სახით შევაჩერდი მას, ჩვენ შორის მომხდარი ამბავი უკიდურეს გააფთრებამდე მივიდა. ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო ის, რაც მოხდა. თვალებით შევთხოვდი, რომ ლაპარაკი შეეწყვიტა. მზად ვიყავი მეპატიებინა უხეშობა, ოღონდ შეჩერებულიყო. მაგრამ ის დაჟინებით მიყურებდა, როგორც ჩანდა, მერყეობდა.

— უკიდურესობამდე ნუ მიმიყვანთ, — ვჩურჩულებდი მე თავზარდაცემული.

— არა, ეს უნდა დამთავრდეს! — თქვა მან ბოლოს ისე, თითქოს გონს ახლა მოეგოო და უცნაური ღიმილით დასძინა, — გამოგიტყდებით, ვმერყეობდი თქვენი თვალების შემხედვარე, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტი უტყუარია, მე მოვასწარი პირველი სტრიქონების წაკითხვა. ეს წერილი სასიყვარულოა, ვერ გადამარწმუნებთ, ნურც შეეცდებით გადარწმუნებას, ხოლო მე თუ წამით შევყოყმანდი, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ სხვა შესანიშნავ ღირსებებთან ერთად უბადლო ნიჭიც გაქვთ — მოატყუოთ ადამიანი. ამიტომაც ვიმეორებ...

ამბობდა ამას და სახე ბრაზისგან თანდათან უმახინჯდებოდა. გაფითრდა, ტუჩები მოეღრიცა, აუთრთოლდა, ისე, რომ ბოლოს დიდი გაჭირვებით წარმოთქვამდა სიტყვებს. ბნელდებოდა, მე მარტო, უქომაგოდ ვიდექი იმ ადამიანის წინ, რომელსაც შეეძლო შეურაცხყოფა მოეყენებინა ჩემთვის და ბოლოს, ყველაფერი აქ ჩემს საწინააღმდეგოდ მეტყველებდა. სირცხვილისაგან ვიტანჯებოდი, დავიბენი, ვერ გამეგო ამ კაცის გაბრაზების მიზეზი. ხმა არ ამომიღია, საშინელებისაგან თავგზააბნეული ოთახიდან გავვარდი. გონს მხოლოდ ალექსანდრა მიხაილოვნას კართან მოვედი.

იმავე წამს პიოტრ ალექსანდროვიჩის ნაბიჯების ხმაც გავიგონე, მე უკვე ოთახში ვაპირებდი შესვლას, რომ უეცრად მეხდაცემულივით შევჩერდი.

„რა მოუვა იმას? — გამიელვა უეცრად თავში. — ეს წერილი!...არა, დაე, ყველაფერი მოხდეს, მაგრამ არა ეს უკანასკნელი დარტყმა“, — და მე უკან გამოვბრუნდი, მაგრამ უკვე გვიან იყო: პიოტრ ალექსანდროვიჩი ჩემ გვერდით იდგა.

— სადაც გინდათ, სადაც გნებავთ, ოღონდ აქ არა, აქ არა! — ჩავიჩურჩულე და ხელზე ხელი მოვკიდე, — შეიბრალეთ, შეიბრალეთ! მე ისევ ბიბლიოთეკაში მოვალ, ანდა... სადაც გნებავთ! თქვენ მას მოკლავთ!

— მე კი არა, თქვენ მოკლავთ! — თქვა მან და ხელით გვერდზე გამწია.

ჩემი ყველა იმედი ამოიწურა, მე ვიგრძენი, რომ მას სწორედ ალექსანდრა მიხაილოვნას თანდასწრებით უნდოდა ეთქვა ყველაფერი.

— თუ ღმერთი გწამთ! — ვამბობდი და მთელი ძალით ვცდილობდი მის შეჩერებას. მაგრამ ამ დროს ფარდა გადაიწია და ალექსანდრა მიხაილოვნა გამოჩნდა. იგი ჩვენ წინ იდგა, განცვიფრებული შემოგვყურებდა. ჩვეულებრივზე უფრო გადაფითრებული იყო, ფეხზე ძლივს იდგა. ჩვენი ლაპარაკი უთუოდ გაგონილი ჰქონდა. ნათლად ჩანდა, რომ ძვირად დაუჯდა ჩვენამდე მოსვლა.

— ვინ არის აქ? რაზე ლაპარაკობთ? — იკითხა მან და განცვიფრებით შემოგვაჩერდა.

სიჩუმე რამდენიმე წამს გაგრძელდა. ალექსანდრა მიხაილოვნას მკვდრის ფერი ედო. მასთან მივედი, მაგრად მოვეხვიე, ისევ უკან კაბინეტში შევიყვანე. პიოტრ ალექსანდროვიჩი ფეხდაფეხ შემოგვყვა. მე ალექსანდრა მიხაილოვნას მკერდში ჩავმალე სა-

ხე. მოლოდინისაგან ქვადქცეული, სულ უფრო და უფრო მაგრად ვეკვროდი.

— რა დაგემართა, რა დაგემართათ? — იკითხა ხელმეორედ ალექსანდრა მიხაილოვნამ.

— მაგას ჰკითხეთ, განა გუშინ არ იყო, რომ ასეთი თავგამოდებით იცავდით? — თქვა პიოტრ ალექსანდროვიჩმა და მძიმედ ჩაეშვა სავარძელში.

მე უფრო და უფრო მაგრად ვეკვროდი ალექსანდრა მიხაილოვნას.

— ღმერთო ჩემო, რას ნიშნავს ყოველივე ეს? — წარმოთქვა საშინლად შეშინებულმა ალექსანდრა მიხაილოვნამ, — თქვენ ისეთი აღელვებული ხართ, ეს შეშინებულია, ტირის. რა მოხდა, ანეტა, მითხარი, ყველაფერი მითხარი.

— არა, ნება მომეცით ჯერ მე ვთქვა, — წარმოთქვა პიოტრ ალექსანდროვიჩმა და მოგვიახლოვდა, ხელზე ხელი მომკიდა, ალექსანდრა მიხაილოვნას მომაშორა. — აგერ მანდ დადექით, — მითხრა და შუა ოთახზე მიმითითა, — მე მინდა იმ ადამიანის თანდასწრებით გაგასამართლოთ, ვინც თქვენ დედის მაგივრობა გაგიწიათ. თქვენ კი დამშვიდდით, დაჯექით, — დასძინა პიოტრ ალექსანდროვიჩმა და ალექსანდრა მიხაილოვნა ისევ სავარძელში ჩასვა. — ჩემთვის ძალიან საწყენია, რომ ვერ აგაშორეთ უსიამოვნო ახსნა-განმარტება. სამწუხაროდ, ეს აუცილებელია.

— ღმერთო ჩემო, რას ნიშნავს ყოველივე ეს? — წამოიძახა ალექსანდრა მიხაილოვნამ და მწუხარედ ხან მე მიცქერდა, ხან ქმარს.

საშინელი წუთის მოლოდინში ხელებს ვიმტვრევდი, პიოტრ ალექსანდროვიჩისაგან შებრალებას აღარ ველოდი.

— ერთი სიტყვით, — განაგრძობდა პიოტრ ალექსანდროვიჩი, — მე მინდა ჩემთან ერთად თქვენც განსაჯოთ, თქვენ ყოველთვის (ვერ გამიგია რატომ, ალბათ, ესეც ერთ-ერთი თქვენი ფანტაზიის

ნაყოფია), ყოველთვის — მაგალითად გუშინ — ფიქრობდით, ამბობდით... მაგრამ არა, არ ვიცი როგორ გითხრათ, მე ვწითლდები იმ ვარაუდის გამო, რომელიც უნდა გამოვთქვა... ერთი სიტყვით, თქვენ იცავდით მაგას, მე კი მამტყუნებდით, მამტყუნებდით გადაჭარბებულ სისასტიკეში, ეჭვს გამოთქვამდით, მომაწერდით ისეთ გრძნობებს, რომლის გამოც მე ვითომ უადგილო სიმკაცრეს ვიჩენდი, თქვენ... ვერ გამიგია რა მემართება, როდესაც თქვენი ვარაუდის შესახებ ვლაპარაკობ, ვერ ვძლევ ჩემს თავში სირცხვილის გრძნობას, ვერ ვერევი სიწითლეს, ნეტავ რატომ ვერ ვახერხებ გამოვთქვა ხმამაღლა, გულღიად, მისი თანდასწრებით... ერთი სიტყვით...

— არა, თქვენ არ იზამთ ამას! არ იტყვით, არა! — წამოიყვირა სირცხვილისგან საზღვარგდასული მღელვარებით ალექსანდრა მიხაილოვნამ. — შეიბრალეთ, შეიბრალეთ, ეს ყველაფერი მე მოვიგონე, არავითარი ეჭვი აღარა მაქვს, მაპატიეთ, მომიტევეთ, მე ავად ვარ, უნდა მომიტევოთ, მაგას არაფერი უთხრათ, არა... ანეტა, — თქვა მან და მომიახლოვდა, — ანეტა, წადი აქედან, წადი ჩქარა, მაგან იხუმრა, ამაში მე ვარ დამნაშავე, მე, ეს უადგილო ხუმრობა იყო...

— ერთი სიტყვით, თქვენ ეჭვიანობდით ჩემზე და მაგაზე, — წამოიძახა პიოტრ ალექსანდროვიჩმა ულმობლად. ალექსანდრა მიხაილოვნამ, რომელიც ნაღვლიანი შიშით ელოდა პასუხს, საშინლად შეჰყვირა, სახე გაუფითრდა, სავარძლის სახელურს დაეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

— ღმერთმა შეგინდოთ! — ჩაილაპარაკა მან ბოლოს მისუსტებული ხმით, — მაპატიე, ნეტოჩკა, მე, მე ვარ დამნაშავე ყველაფერში. მე ავად ვარ...

— ეს უსირცხვილობაა, სიმდაბლე, ულმობლობა! — წამოვიყვირე გაშმაგებით, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, თუ რა-

ტომ უნდოდა პიოტრ ალექსანდროვიჩს ჩემი გასამართლება ცოლის თანდასწრებით. — ეს საქციელი ზიზღის ღირსია. თქვენ...

— ანეტა! — წამოიყვირა თავზარდაცემულმა ალექსანდრა მიხაილოვნამ და ხელზე ხელი წამავლო.

— კომედიაა, კომედია და მეტი არაფერი, — ჩაილაპარაკა პიოტრ ალექსანდროვიჩმა და ჩვენკენ წამოვიდა, საშინლად ღელავდა, — კომედია არის-მეთქი, თქვენ გეუბნებით, — განაგრძობდა იგი დაჟინებით და ღვარძლიანი ღიმილით შეჰყურებდა ცოლს. — მთელ ამ კომედიაში მოტყუებული მხოლოდ თქვენა ხართ, დამიჯერეთ, მხოლოდ თქვენ, ჩვენ კი, — თქვა მან სუნთქვაშეკვრით და ჩემზე მიუთითა, — ჩვენ კი არ გვეშინია ამგვარი ახსნა-განმარტებების, დამიჯერეთ, ჩვენ არც ისეთი უბიწონი ვართ, რომ შეურაცხყოფილნი დავრჩეთ, გავწითლდეთ, ყურები დავიცვათ, როცა ამგვარ საკითხებზე ლაპარაკობენ. მაპატიეთ, მე ჩემს აზრს გამოვთქვამ, უბრალოდ, პირდაპირ, იქნებ უხეშად, მაგრამ ეს ასეა საჭირო. თქვენ დარწმუნებული ხართ, ქალბატონო, ამ... ამ ქალიშვილის უბიწოებაში?

— ღმერთო ჩემო? რა გემართებათ? თქვენ თავი გავიწყდებათ, — წარმოთქვა შიშისგან გაშეშებულმა, გონმიხდილმა ალექსანდრა მიხაილოვნამ.

— ღვთის გულისათვის, არ არის საჭირო ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები, მე ეს არ მიყვარს — წარმოთქვა აგდებულად პიოტრ ალექსანდროვიჩმა, — აქ უბრალო ამბავია, აშკარა, მდაბალი, უკანასკნელ სიმდაბლემდე მისული; მე თქვენ გეკითხებით, იცით თუ არა რაიმე მაგისი ყოფაქცევის შესახებ?

მაგრამ სიტყვა აღარ დავამთავრებინე, ხელებში ვწვდი და ძალით წამოვიყვანე აქეთ. კიდევ ერთი წამი და შეიძლებოდა უკვე გვიან ყოფილიყო.

— წერილის შესახებ არაფერი თქვათ! — ვუთხარი ჩურჩულით სწრაფად, თორემ თქვენ მას აქვე მოკლავთ. ჩემი საყვედური მისი

საყვედურიც იქნება, მას არ შეუძლია მე გამასამართლოს, იმიტომ, რომ მე ყველაფერი ვიცი... გესმით, ყველაფერი ვიცი!

მან დაჟინებითა და ველური ცნობისმოყვარეობით შემომხედა, დაიბნა, სახეზე სისხლი მოაწვა.

— ყველაფერი ვიცი, ყველაფერი! — გავიმეორე მე.

ის ჯერ კიდევ ორჭოფობდა, ტუჩებზე ეტყობოდა, რომ მზად იყო შეკითხვა მოეცა ჩემთვის, მე დავასწარი.

— აი, რაშია საქმე, — ხმამაღლა ვთქვი და ალექსანდრა მიხაილოვნას მივუბრუნდი. იგი შეცბუნებული და ნაღვლიანი განცვიფრებით შემომცქეროდა. — დამნაშავე ყველაფერში მე ვარ. აგერ უკვე ოთხი წელიწადი იქნება, რაც გატყუებდით. ბიბლიოთეკის გასაღები ჩავიგდე ხელში და უკვე ოთხი წელიწადია ჩუმჩუმად ვკითხულობ წიგნებს. პიოტრ ალექსანდროვიჩმა ისეთი წიგნის კითხვისას მომისწრო, რომელიც ჩემს ხელში არ უნდა ყოფილიყო, არ უნდა წამეკითხა, მას შეეშინდა და თქვენს თვალში საშიშროება გააზვიადა... მაგრამ მე თავს არ ვიმართლებ, — (დავსძინე საჩქაროდ, რადგან პიოტრ ალექსანდროვიჩის სახეზე დამცინავი ღიმილი შევნიშნე) მე ვარ დამნაშავე ყველაფერში, ცდუნება ძალზე დიდი იყო და რაკი ერთხელ ჩავიდინე ცოდვა, მერე შემრცხვა და ვეღარ ვაღიარე ჩემი დანაშაული... აი, სულ ეს იყო, თითქმის ეს...

— ოჰო, ძალზე მამაცურია! — ჩაიჩურჩულა ჩემს ყურთან პიოტრ ალექსანდროვიჩმა.

ალექსანდრა მიხაილოვნა მეტისმეტი ყურადღებით მისმენდა. მის სახეზე ეჭვი შევნიშნე, ხან მე მიყურებდა, ხან თავის ქმარს. სიჩუმე ჩამოვარდა, სულს ძლივს ვიბრუნებდი. ალექსანდრა მიხაილოვნამ თავი ჩაქინდრა, თვალებზე ხელები აიფარა, რაღაცას იაზრებდა თითქოს. ჩანდა, რომ ჩემ მიერ ნათქვამ ყოველ სიტყვას წონიდა, ბოლოს თავი ასწია და დაჟინებით შემომაჩერდა.

— ნეტოჩკა, ჩემო შვილო, მე ვიცი, რომ შენ ტყუილი არ გეხერხება, სულ ეს იყო, მხოლოდ ეს? ნამდვილად?

— დიახ, სულ ეს, — მივუგე მე.

— სულ ეს? — მიუბრუნდა ის ქმარს.

— ჰო, სულ, — თქვა მან ნაძალადევად, — სულ!

მე თავისუფლად ამოვისუნთქე.

— ნეტოჩკა, შენ მაძლევ სიტყვას?

— დიახ! — მივუგე სწრაფად!

მაგრამ ვეღარ მოვითმინე და პიოტრ ალექსანდროვიჩს გადავხედე. იგი იცინოდა იმის გამო, რომ მე სიტყვა მივეცი, უეცრად წამოვწითლდი, ჩემი ეს შეკრთომა საცოდავ ალექსანდრა მიხაილოვნას არ გამოჰპარვია, მის სახეზე გადამეტებული, მწვალებლური ნაღველი აღიბეჭდა.

— კმარა, — თქვა მან ნაღვლიანად. — მე მჯერ თქვენი. არ შეიძლია არ დაგიჯეროთ.

— მე ვფიქრობ, რომ ასეთი აღიარება სავსებით საკმარისია, — თქვა პიოტრ ალექსანდროვიჩმა, — თქვენ ხომ გაიგონეთ? რას მიბრძანებთ, რა ვიფიქრო?

ალექსანდრა მიხაილოვნას ხმა არ ამოუღია. მდგომარეობა თანდათან დამძიმდა.

— ხვალვე ყველა წიგნს გადავათვალიერებ. — განაგრძო პიოტრ ალექსანდროვიჩმა, ჯერ არ ვიცი რა იყო კიდევ იქ, მაგრამ...

— რომელ წიგნს კითხულობდა? — იკითხა ალექსანდრა მიხაილოვნამ.

— წიგნს? — უპასუხეთ, — მომიბრუნდა პიოტრ ალექსანდროვიჩი. — თქვენ ჩემზე უკეთ გეხერხებათ მდგომარეობის ახსნა, — დასძინა მან ფარული დაცინვით.

იმდენად დავიბენი, რომ ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე, ალექსანდრა მიხაილოვნა წამოწითლდა და თავი დახარა. ხან-

გრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. პიოტრ ალექსანდროვიჩი ოთახში ბოლთას სცემდა.

— თქვენ შორის რა მოხდა არ ვიცი, — დაიწყო ბოლოს ალექსანდრა მიხაილოვნამ მოკრძალებით, — მაგრამ თუ მხოლოდ ეს იყო, — განაგრძნო მან შეშფოთებით, — რადგან ქმარი თვალმოუშორებლად შესცქეროდა, ხოლო თვითონ ცდილობდა ეს დაჟინებული მზერა აეცდინა და თავისი სიტყვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა. — თუ მხოლოდ ეს იყო, ჭმუნვის მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას? ყველაზე მეტად მე ვარ დამნაშავე, მხოლოდ მე, რაც ძალიან მაწუხებს. მე ვერ მივადევნე თვალი მაგის აღზრდის საქმეს და პასუხიც ყველაფერზე მე უნდა ვაგო, მაგრამ მაგან უნდა მაპატიოს, მე მაგის გამტყუნებას ვერ გავბედავ. ვიმეორებ, რატომ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას? საშიშროება გავლილია, აბა, შეხედეთ, — თქვა მან და თანდათან სულ უფრო და უფრო გამხნევებულმა, ქმარს გამომცდელი თვალით გადახედა, — შეხედეთ, ნუთუ მაგისმა გაუფრთხილებელმა ნაბიჯმა რაიმე შედეგი გამოიღო? ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ მე არ ვიცნობ მაგას, ჩემს პირმშოს, ჩემს საყვარელ შვილს? ნუთუ მე არ ვიცი, რომ მაგას სუფთა, კეთილშობილი და სპეტაკი გული აქვს, რომ ამ მშვენიერ თავში ნათელი ჭკუა და გონება იფარება, — განაგრძობდა ის და მეფერებოდა, თავისკენ მიზიდავდა. — მაგის სინდისს არ შეუძლია ტყუილი თქვას... გეყოფათ ძვირფასებო, დავამთავროთ! უთუოდ რაღაც სხვა ნაღველია დაბუდებული თქვენში, იქნებ მხოლოდ წუთიერად დაეშვა ეს მტრული აჩრდილი ჩვენ შორის, მაგრამ ჩვენ მას განვდევნით, გაუგებრობას გავფანტავთ სიყვარულით, კეთილი თანხმობით, იქნებ ჩვენ შორის ბევრი რამ არ არის ნათქვამი, ამაში, უპირველეს ყოვლისა, მე მიმიძღვის ბრალი, მე თვითონ ვმალავდი სათქმელს, პირველად მე დამებადა, ღმერთმა უწყის, რანაირი ეჭვები, რომელშიც ჩემი ავადმყოფი თავია დამნაშავე, მაგ-

რამ... ახლა თუ ნაწილობრივ მაინც ვთქვით ჩვენ ჩვენი სათქმელი, ორთავემ უნდა მაპატიოთ, იმიტომ... იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, იქნებ ცოდვაც აღარ არის იმაში, რომ ეჭვი დამებადა.

თქვა ეს დარცხვენით და წამოწითლდა, ქმარს ნაღვლიანად შეხედა. პასუხს დაელოდა. პიოტრ ალექსანდროვიჩს თანდათან, იმისდა მიხედვით თუ რას ამბობდა ცოლი, დამცინავი ღიმილი აეკრა სახეზე. სიარულს თავი დაანება, უკან ხელებშემოწყობილი შეჩერდა ცოლის პირდაპირ. მის დარცხვენას თვალი მიადევნა თითქოს, ამოწმებდა, ესიყვარულებოდა. ალექსანდრა მიხაილოვნა დააბნია ქმრის დაჟინებულმა გამოხედვამ. ქმარმა წამით ადროვა, თითქოს რაღაცას ელოდა. ალექსანდრა მიხაილოვნა კიდევ უფრო დაიბნა. პიოტრ ალექსანდროვიჩმა ხანგრძლივი, გესლიანი სიცილით შეწყვიტა ეს მძიმე სურათი. ბოლოს ეს სიცილიც შეწყდა, ქმარმა მწარე და სერიოზული სახით შეხედა ცოლს.

— მეცოდებით, საბრალო დედაკაცო! — თქვა მან, — თქვენ ისეთი ვალდებულება იდეთ თავს, რომელიც თქვენს ძალ-ღონეს აღემატება, რა გინდოდათ? თქვენ გინდოდათ საპასუხოდ გამოგეწვიეთ, ახალი ეჭვებით აგენთეთ, ანდა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, ძველი ეჭვით, რომლის დაფარვა, მაინცდამაინც კარგად ვერ შეძელით, თქვენი სიტყვების აზრი გამოიხატებოდა იმაში, რომ მაგას არაფერი აქვს გასაჯავრებელი, რომ ეგ კარგია, მიუხედავად იმისა, რომ უზნეო წიგნებს კითხულობს, რომელთა მორალმა, — ამას ჩემით ვამბობ, — ვგონებ უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი. ბოლოს, თქვენ იმასაც ამბობთ, რომ მზად ხართ მაგის ნაცვლად აგოთ პასუხი, ასე არ არის? მაგრამ როდესაც ამას ამბობთ, სხვა რამეს გულისხმობთ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემი ეჭვები და დევნა რაღაც სხვა გრძნობებით არის გამოწვეული, გუშინ ამის შესახებ გადაკვრით მითხარით კიდეც რაღაც ამგვარი, — გთხოვთ, ღვთის გულისათვის, ნუ შემაჩერებთ. მე პირდაპირ მიყვარს ლაპარაკი. — გუშინ გადაკვრით მითხარით, რომ ზოგიერთ

ადამიანს, (მახსოვს ამბობდით, რომ ეს ადამიანები არიან, უმეტეს შემთხვევაში, დარბაისელნი, მკაცრნი, პირდაპირნი, ჭკვიანები, ძლიერნი და, ღმერთმა უწყის, კიდევ რა განსაზღვრას აძლევდით მათ, თქვენი კეთილშობილური აღგზნების წუთებში) რომ ზოგიერთ ადამიანს, ვიმეორებ, სიყვარული (და ღმერთმა უწყის რატომ გამოიგონეთ ეს) არ შეუძლია გამოამჟღავნოს სხვაგვარად, თუ არა მკაცრად, ცხარედ, მკვეთრად, ხშირად ეჭვებით, დევნით. მე უკვე კარგად არ მახსოვს, ზუსტად ასე ამბობდით გუშინ თუ არა... გთხოვთ ნუ შემაჩერებთ, მე კარგად ვიცნობ თქვენს აღზრდილს, მაგას შეიძლება მოასმენინოთ ყველაფერი, ყველაფერი, მეათასეჯერ გიმეორებთ, ყველაფერი. თქვენ მოტყუებული ხართ, მაგრამ არ ვიცი რატომ დაგიჩემებიათ, რომ სწორედ მე ვარ ის ადამიანი? ღმერთმა უწყის, რატომ გინდათ რომ ჩამაცვათ მასხარას სამოსი. ჩემს ასაკს არ შეეფერება ამ ქალიშვილის სიყვარული; დამიჯერეთ, ქალბატონო, მე ვიცი ჩემი მოვალეობა და რაოდენ კეთილშობილური გრძნობებიც არ უნდა მომაწეროთ, მე მაინც ჩემსას ვიტყვი — დანაშაული მუდამ დანაშაულად დარჩება, რომ ცოდვა, რა სიმაღლეზედაც არ უნდა აიყვანოთ თქვენი ბიწიერი გრძნობა, სასირცხვო, საზიზღარ, არაკეთილშობილურ ცოდვად დარჩება. კარგით! კმარა! აღარ მსურს ამ საზიზღრობის მეორედ მოსმენა.

ალექსანდრა მიხაილოვნა ტიროდა.

— დაე, მე ვზიდო ეს სიმძიმე, დაე, ჩემს კისერზე იყოს ეს, — თქვა მან ბოლოს და ქვითინით გადამეხვია, — დავუშვათ, რომ ჩემი ეჭვები სასირცხვოა, თქვენ ასე მკაცრად დამცინეთ, მაგრამ შენ, ჩემო საბრალოვ, შენ რატომ უნდა დაისაჯო, რატომ უნდა ისმინო ასეთი შეურაცხყოფა, მაშინ, როცა მე არ შემიძლია, მე უფლება არა მაქვს დაგიცვა! მე ვდუმვარ! ღმერთო ჩემო! მე არ შემიძლია დუმილი ბატონო! მე ვერ ავიტან ამას... თქვენი მოქმედება უგუნურია!

— კმარა, კმარა! — ვჩურჩულებდი მე და ვცდილობდი დამემშვიდებინა, რომ მისი ქმარი ამ მწვავე საყვედურებს მოთმინებიდან არ გამოეყვანა. მე ჯერ ისევ შიშის ქვეშ ვიყავი.

— თქვენ დაბრმავებული ხართ! — წამოიყვირა პიოტრ ალექსანდროვიჩმა, — თქვენ არ იცით, თქვენ ვერ ხედავთ.

და წამით შეჩერდა, მერე მე მომიბრუნდა, ჩემი ხელი ალექსანდრა მიხაილოვნას ხელს მოაშორა და წამოიყვირა:

— მოშორდით, გასწით აქედან! მე თქვენ უფლებას არ გაძლევთ ჩემს ცოლს მიეკაროთ, თქვენ შეურაცხყოფთ მას თქვენი სიახლოვით! მაგრამ... მაგრამ რა მაიძულებს გავჩუმდე, მაშინ როცა ლაპარაკი აუცილებელია? მე ყველაფერს ვიტყვი, ყველაფერს, — დაიყვირა და ფეხი იატაკზე დაარტყა. — მე არ ვიცი, ქალბატონო, თქვენთვის რა არის ცნობილი, რით მაშინებთ, არც მინდა ვიცოდე, მომისმინეთ! — მიუბრუნდა ის ალექსანდრა მიხაილოვნას, — მომისმინეთ!

— გაჩუმდით! — დავიყვირე მე და მისკენ წავიწიე, — გაჩუმდით, არც ერთი სიტყვა!

— მომისმინეთ!

— გაჩუმდით, ღვთის...

— რაო, ქალბატონო? — სიტყვა სასწრაფოდ შუა გზაზე შემაწყვეტინა და განადგურებული მზერა მესროლა, — ღვთის გულისთვისო! — იგი ალექსანდრა მიხაილოვნას მიუბრუნდა, — იცოდეთ, მე მაგას თავისი საყვარლის წერილი გამოვგლიჯე ხელიდან. აი, რა ხდება თქვენს სახლში, თქვენ თვალწინ. აი, რა ვერ შენიშნეთ თქვენ, რისი დანახვა ვერ შეძელით.

ალექსანდრა მიხაილოვნას მკვდრის ფერი დაედო, მე ფეხზე ძლივს ვიდექი.

— შეუძლებელია, — წარმოთქვა ალექსანდრა მიხაილოვნამ ძლივს გასაგონი ხმით.

— ქალბატონო! მე თვითონ ვნახე ეს წერილი, იგი ჩემს ხელთ იყო, დასაწყისის რამდენიმე სტრიქონი წავიკითხე, მე არ შევმცდარვარ, იგი საყვარლისგანაა, ეს წერილი მან ისევ გამომტაცა ხელიდან, ახლა თვითონ აქვს. ყველაფერი ეს დღესავით ნათელია, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, ხოლო თუ თქვენ მაინც ეჭვი გეპარებათ, შეხედეთ სახეზე და დარწმუნდებით.

— ნეტოჩკა! — წამოიყვირა ალექსანდრა მიხაილოვნამ და ჩემკენ წამოვიდა, — მაგრამ არა, ნუ მეტყვი, ნუ! რა იყო, როგორ იყო... მე არაფერი ვიცი, არა, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

იგი თვალებზე ხელებაფარებული აქვითინდა.

— არა, არა, ეს შეუძლებელია, — წამოიყვირა ისევ ალექსანდრა მიხაილოვნამ, — თქვენ შეცდით, ეს... ეს მე ვიცი, რასაც ნიშნავს! — თქვა მან და დაჟინებით შეაცქერდა ქმარს, — თქვენ... მე... შენ არ შეგეძლო, შენ არ მომატყუებ, შენ არ შეგიძლია მომატყუო! მომიყევი ყველაფერი, ყველაფერი დაუფარავად, ეგ შეცდა, ხომ მართალია? შეცდა, მაგან სხვა რაღაც ნახა, მაგას თვალი აეხვია, ხომ მართალია? მომისმინე, ანეტა, რატომ არ გინდა მითხრა ყველაფერი, ჩემო შვილო, ჩემო ძვირფასო შვილო.

— უპასუხეთ, უპასუხეთ, ჩქარა, — გაისმა ჩემს თავს ზემოთ პიოტრ ალექსანდროვიჩის ხმა: — უთხარით, ვნახე თუ არა მე თქვენს ხელში წერილი?

— დიახ, ნახეთ! — ვთქვი მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულმა.

— იგი თქვენი საყვარლისგანაა, ხომ მართალია?

— დიახ! — გავიმეორე მე.

— თქვენ მასთან აგრძელებთ ურთიერთობას, ესეც ხომ მართალია?

— დიახ, დიახ, დიახ! — ყველაფერზე ვამბობდი „დიახს“ ანგარიშმიუცემლად, რადგან მინდოდა დროზე მოღებოდა ბოლო ჩემს ტანჯვას.

— გაიგონეთ? ახლა რაღას იტყვით? დამიჯერეთ, კეთილო, თქვენ ძალზე მიმნდობი გული გაქვთ, — დასძინა მან და ცოლს ხელზე ხელი მოჰკიდა. — დამიჯერეთ, უკუაგდეთ თქვენი ცრურწმენა, რომელიც თქვენი დაავადებული გონების ნაყოფია. ახლა ხომ მაინც დაინახეთ ვინც ყოფილა ეს ქალიშვილი... მე მინდოდა თქვენი ეჭვების უსაფუძვლობა დამემტკიცებინა, დიდი ხანია, რაც მაგას ყოველივე ეს შევნიშნე და მიხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, თქვენ თვითონაც დარწმუნდით ამაში, მიხარია, რომ თქვენ წინაშე გამოვამჟღავნე ის. მე მიმძიმდა, როდესაც მას თქვენ გვერდით ვხედავდი, ვხედავდი თქვენთან ხელიხელგადახვეულს, ჩვენთან ერთად მაგიდასთან მჯდომს დაბოლოს, ვხედავდი ჩვენს სახლში. მე აღმაშფოთებდე თქვენი სიბეცეც. აი, რატომ ვაქცევდი ასეთ დიდ ყურადღებას მას, რატომ ვადევნებდი თვალს. ამ ყურადღებამ დაგაეჭვათ თქვენ და ღმერთმა უწყის, რა არ იფიქრეთ, რა არ წარმოიდგინეთ, რანაირი ეჭვი არ დაგებადათ, მაგრამ ახლა მდგომარეობა გამოსწორდა, რაღა თქმა უნდა, არავითარი ეჭვი აღარ შეიძლება არსებობდეს, — დაამთავრა მან და მე მომიბრუნდა, — ხვალიდანვე, ხვალიდანვე აღარ იქნება თქვენი ფეხი ჩვენს სახლში, ქალბატონო!

— შეჩერდით! — შეჰყვირა ალექსანდრა მიხაილოვნამ და სკამიდან წამოდგა, — ყველაფერი ის, რაც თქვენ თქვით, არა მჯერა. ნუ მიყურებთ ასეთი საშინელი თვალებით, ნუ დამცინით, მსჯვრმდებლად თქვენვე მოგიხმობთ, ანეტა, ჩემო შვილო, მომიახლოვდი, მომეცი შენი ხელი, აი, ასე. ჩვენ ყველა ცოდვილნი ვართ! — თქვა მან ცრემლებისაგან ათრთოლებული ხმით და მორჩილებით შეხედა ქმარს. — აბა, მითხარით, რომელ ჩვენთაგანს აქვს უფლება უარყოს მისკენ გამოწვდილი ხელი, ვისიც არ უნდა იყოს ის? მომეცი შენი ხელი, ანეტა, ჩემო კარგო შვილო, შენზე უკეთესი, შენზე ღირსეული არც მე ვარ, შენ არ შეგიძლია

შენი აქ ყოფნით შეურაცხმყო, იმიტომ რომ მეც, მეც ცოდვილი ვარ!

— ქალბატონო! — წამოიყვირა განცვიფრებულმა პიოტრ ალექსანდროვიჩმა, — ქალბატონო, თავი შეიკავეთ, თქვენ გავიწ-ყდებათ სად ხართ!

— არა, მე არაფერი არ მავიწყდება, სიტყვას ნუ მაწყვეტინებთ, საშუალება მომეცით ბოლომდე ვთქვა სათქმელი. მაგის ხელში თქვენ ნახეთ წერილი. ეს წერილი წაიკითხეთ, ამბობთ გამოტ-ყდაო. თქვა, რომ ეს წერილი იმისგანაა, ვინც მაგას უყვარს, მერე და განა ეს საშუალებას გაძლევთ მას უწოდოთ ბოროტმოქმედი? განა უფლება გაქვთ ასე მოექცეთ, ასეთი წყენა მიაყენოთ თქვენი ცოლის თანდასწრებით? დიახ, ბატონო ჩემო, თქვენი ცოლის თანდასწრებით? თქვენ ეს წინასწარ განსაჯეთ? განა თქვენ ყვე-ლაფერი იცით რაც მოხდა?

— გამოდის, რომ თქვენ ჩემგან მოითხოვთ ბოდიში მოვუხადო მაგას. ეს გნებავთ? — დაიყვირა პიოტრ ალექსანდროვიჩმა, — თქვენმა სიტყვებმა მოთმინება დამაკარგვინა! დაფიქრდით, რას ამბობთ, გესმით, რას ლაპარაკობთ? იცით, რას ანდა ვის იცავთ? მე ხომ გამჭოლ ვხედავ ყველაფერს....

— და მაინც, თქვენ ვერ ხედავთ ყველაზე მთავარს, იმიტომ, რომ ბრაზი და სიამაყე გიშლით ხელს დაინახოთ ეს. თქვენ ვერ ხედავთ იმას, რასაც მე ვიცავ, რაზედაც მე მინდა ვილაპარაკო. მე ბიწიერებას როდი ვიცავ. მაგრამ თქვენ განსაჯეთ, ხოლო თუ გან-საჯეთ, დაინახავდით, რომ ის, ვისაც თქვენ ასეთ ბრალს სდებთ, იქნებ ბავშვივით უცოდველია! დიახ, მე არ ვიცავ ბიწიერებას! ვჩქარობ ეს გაუწყოთ, თუ ასე გსიამოვნებთ. დიახ, ეგ რომ ყოფი-ლიყო მეუღლე, დედა და მაშინ უგულვებელეყო თავისი მოვალე-ობა, დაგეთანხმებოდით... ხედავთ, წამომცდა, გაითვალისწინეთ ეს და ნუ დამაყვედრით! მაგრამ მაგან თუ ეს წერილი მიიღო და მასში ვერ დაინახა ბოროტება? თუ გამოუცდელობის გამო გაიტა-

ცა გრძნობამ და მის გვერდით არავინ აღმოჩნდა, რომ დროზე შეეჩერებინა? თუ მე ვარ ყველაზე მეტი დამნაშავე, რომ დროზე ვერ მივადევნე თვალი მაგის გულს? თუ ეს წერილი პირველია? თუ თქვენ შეურაცხყავით თქვენი უხეში ეჭვებით მისი ქალწულებრივი სურნელით აღსავსე გრძნობა? თუ თქვენ შებღალეთ მაგისი ოცნება, თქვენი ცინიკური ლაპარაკით ამ წერილის გარშემო? თუ თქვენ ვერ დაინახეთ ეს უბიწო, ქალწულებრივი მორცხვობა, რომელიც სუფთა, უმანკო სახეზე დაჰნათის, რომელსაც მე ვხედავ ახლა და, რომელსაც ვხედავდი მაშინაც, როცა დაბნეულს, განცვიფრებულს არ იცოდა რა ეთქვა თქვენთვის და ნაღველისაგან გონდაკარგული თქვენს ყველა არაადამიანურ შეკითხვაზე დადებით პასუხს გაძლევდათ? დიახ, დიახ, ეს არაადამიანობაა, ულმობელობაა, მე თქვენ ვეღარ გცნობთ, ამას ვერ გაპატიებთ, ვერასოდეს, ვერასოდეს!

— შემიბრალეთ, შემიბრალეთ! — წამოვიყვირე და მაგრად ჩავეკარი ალექსანდრა მიხაილოვნას, — შემიბრალეთ, დამიჯერეთ, ნუ გამრიყავთ...

და მის წინ მუხლებზე დავეცი.

— დაბოლოს, — განაგრძნო ალექსანდრა მიხაილოვნამ, რომელსაც სუნთქვა ეკვროდა, — დაბოლოს, მე რომ არ ვყოფილიყავი მაგის გვერდით, თქვენ რომ თქვენი სიტყვებით დაგეფრთხოთ ეგ საცოდავი, თვითონაც რომ დარწმუნებულიყო თავის დანაშაულში, თქვენ რომ შეგეშფოთებინათ მისი სინდისი, სული, დაგემსხვრიათ გულის სიმშვიდე... ღმერთო ჩემო, თქვენ გინდოდათ მაგისი სახლიდან გაგდება! განა თქვენ არ იცით ვის ექცევიან ასე? იცით თუ არა თქვენ, რომ თუ მაგას გააგდებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ორთავე გაგვაგდეთ, — მეც მაგასთან ერთად. გაიგონეთ რაც გითხარით, ბატონო ჩემო?

ალექსანდრა მიხაილოვნას თვალები უბრწყინავდა, ღელავდა, მისმა ავადმყოფურმა დაძაბვამ უკანასკნელ საზღვარს მიაღწია.

— საკმარისია, ქალბატონო, საკმაოდ ბევრი გისმინეთ! — დაიყვირა ბოლოს პიოტრ ალექსანდროვიჩმა, — საკმარისია! მე ვიცი, რომ არსებობს პლატონური ვნებები, — ჩემდა საუბედუროდ, მე ეს ვიცი, ქალბატონო, ჩემდა საუბედუროდ, გესმით? მაგრამ მე არ მსურს შევეგუო მოოქროვილ ბიწიერებას! მე არ მესმის იგი, მომაშორეთ ზიზილ-პიპილები! და თუ თქვენ თავი დამნაშავედ მიგაჩნიათ, თუ ზურგს უკან გრძნობთ რაიმე დანაშაულს (მე არ უნდა მოგაგონოთ ეს, ქალბატონო), დაბოლოს, თუ თქვენ მოგწონთ აზრი იმის შესახებ, რომ დატოვოთ ჩემი სახლი... მაშინ მხოლოდ ისღა დამრჩენია გითხრათ, მოგაგონოთ, რომ ტყუილუბრალოდ დაივიწყეთ თქვენი გადაწყვეტილების შესრულება მაშინ, როდესაც საამისოდ ნამდვილად გქონდათ დრო, წლების წინ... თქვენ თუ დავიწყებული გაქვთ, მე გაგახსენებთ...

ალექსანდრა მიხაილოვნას შევხედე, იგი ჩემზე იყო დაყრდნობილი, თრთოდა, სულიერი ნაღველისა და დაულეველი მწუხარებისაგან ღონეგამოცლილს თვალები ნახევრად მოხუჭვოდა, წამიც და დაეცემოდა.

— ღვთის გულისათვის, ახლა მაინც შეიბრალეთ! უკანასკნელ სიტყვას ნუ წარმოთქვამთ! — წამოვიყვირე და პიოტრ ალექსანდროვიჩის წინ მუხლებზე დავეცი. სულ გადამავიწყდა, რომ ამ საქციელით ჩემს საკუთარ გადაწყვეტილებას ვღალატობდი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ჩემი სიტყვების საპასუხოდ, სუსტი შეყვირება გაისმა, და საცოდავი უგონოდ დაეცა იატაკზე.

— გათავდა, თქვენ ის მოკალით! — ვთქვი მე, — ხალხს დაუძახეთ, უშველეთ, გადაარჩინეთ, მე თქვენ კაბინეტში დაგელოდებით, ჩემთვის აუცილებელია თქვენთან ლაპარაკი, მე თქვენ ყველაფერს გეტყვით.

— რას, რას მეტყვით?

— მერე!

ალექსანდრა მიხაილოვნას გულყრა ორ საათს გაგრძელდა. მთელი სახლი შეშფოთებული იყოს, ექიმი იჭვნეულად აქნევდა თავს. ორი საათის შემდეგ პიოტრ ალექსანდროვიჩის კაბინეტში შევედი. ის წუთი იყო დაბრუნებულიყო ცოლისაგან. ოთახში ბოლთას სცემდა, ფრჩხილებს იკვნეტდა, ისე, რომ სისხლი სდიოდა თითებიდან. ფერმკრთალი იყო, ნერვებმოშლილი, არასოდეს მენახა ამ ყოფაში.

— რა უნდა გეთქვათ? — შემეკითხა მკაცრად, უწყალოდ, — რაღაცის თქმას აპირებდით?

— აი, წერილი, რომელიც თქვენ ჩემს ხელში ნახეთ. იცანით?

— დიახ.

— გამომართვით.

მან წერილი გამომართვა და სინათლისაკენ წაიღო, ყურადღებით ვადევნებდი თვალს. რამდენიმე წუთის შემდეგ წერილი სწრაფად მეოთხე გვერდზე გადაშალა. ხელმოწერას დახედა. დავინახე როგორ აასხა თავში სისხლმა.

— ეს რა არის? — მკითხა განცვიფრებისაგან გაშეშებულმა.

— სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს წერილი ერთ-ერთ წიგნში ვიპოვე. მაშინვე მივხვდი, რომ მივიწყებული იყო, წავიკითხე და ყველაფერი გავიგე. ამ დღიდან მოყოლებული ეს წერილი ჩემთან ინახებოდა, რადგან არ ვიცოდი, ვისთვის მიმეცა. იმას ვერ მივცემდი, თქვენთვის მომეცა? მაგრამ თქვენ არ შეიძლებოდა ამ წერილის შინაარსი არ გცოდნოდათ, მასში ხომ მთლიანად არის მოცემული მთელი ეს ნაღვლიანი ამბავი... რატომ დაგჭირდათ თვალთმაქცობა — არ ვიცი. ჩემთვის ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება. მე ჯერჯერობით არ ძალმიძს ჩავიხედო თქვენს ბნელ სულში. თქვენ გინდოდათ უპირატესობა შეგენარჩუნებინათ მასზე და შეინარჩუნეთ კიდეც, მაგრამ რისთვის დაგჭირდათ

ეს? მხოლოდ იმიტომ, რომ გეზეიმათ აჩრდილზე, გეზეიმათ ავადმყოფი ადამიანის მოშლილ წარმოსახვაზე, იმიტომ, რომ დაგემტკიცებინათ, რომ ის ცდება, რომ თქვენ მასზე უცოდველი ხართ! და თქვენ მიაღწიეთ მიზანს, მიაღწიეთ, რადგან ეს მისი ეჭვი ხორცშესხმული იდეა იყო მიმქრალი გონებისა, იქნებ ეს იყო დამსხვრეული გულის უკანასკნელი საყვედური ადამიანთა უკანონო განაჩენზე, რომელსაც თქვენც ემხრობოდით. „მერე რა, რომ თქვენ მე შემიყვარეთ“. აი, რას გეუბნებოდათ ის თქვენ, აი, რისი დამტკიცება უნდოდა მას თქვენთვის. თქვენი პატივმოყვარეობა, თქვენი იჭვნეული ეგოიზმი ულმობელი იყო. მშვიდობით! ახსნა-განმარტება საჭირო არ არის! მაგრამ იცოდეთ, მე თქვენ გიცნობთ მთლიანად, გამჭოლ გხედავთ, ეს არ დაგავიწყდეთ.

მე ჩემს ოთახში შევედი, ხეირიანად ვერ გამერკვია რა მემართებოდა. კართან პიოტრ ალექსანდროვიჩის თანაშემწემ, ოვროვმა, შემაჩერა.

— თქვენთან საუბარი მსურს, — მითხრა მან თავაზიანი სალმის შემდეგ.

მე მას უაზროდ შევყურებდი. ხეირიანად ვერ გამეგო რას მეუბნებოდა.

— მაპატიეთ, შემდეგ იყოს, თავს ცუდად ვგრძნობ. — ვუთხარი ბოლოს და გვერდი ავუარე.

— მაშ ხვალ, — მითხრა მან ორაზროვანი ღიმილით გამომშვიდობებისას.

მაგრამ იქნებ მე ეს მომეჩვენა. ყოველივე ამან თითქოს თვალწინ გამიელვა მხოლოდ.